





**5**  
**2015**

# თეატრი

ცარცორების ცოდნა  
გურიაშვილის ციმა:

გენიალური ტიპების  
ნამდვილი ზედახორაა:  
სესილია და ვერიკო,  
შავგულიძე და ხორავა  
ყველა ტკუნძარია და ამ დროს  
უცუკნელა არის ცოცხალი:  
ახმეტელი და ვასაძე!  
მარჯანიშვილი  
ოცხელი...

კარგია, წოდარ ამ წიგნებს  
შენც რომეს ცვებისგან არ იწერ!  
მემატიანევ ნამდვილო—  
ისარე, გურაბანძევ!  
ტარიელჭანტურია



ჩვენს ურნალს უკვე  
აქვს თავისი  
ვებ-გვერდი.

იპითხეთ ურნალი  
„თვალი და ცხოვრება“  
ეისამართვე:

[www.teatridacxovreba.ge](http://www.teatridacxovreba.ge)

# თეატრი

## და

## ცხოვრება

მთავარი რედაქტორი  
გურამ ბათიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი  
ნინო მაჭავარიანი

საკონსულტაციო საბჭო:  
ნოდარ გურაბანიძე,  
დავით დოიაშვილი,  
ვასილ კიკნაძე,  
ირაკლი სამსონაძე,  
გიორგი სიხარულიძე,  
რობერტ სტურუა,  
თემურ ჩხეიძე

N<sup>o</sup>5, 2015  
სექტემბერი, ოქტომბერი



საერთო და ადამიანის  
და კულტურული  
სამსახური

ექინია „თეატრი და ცხოვრება“ რედაქცია  
მაღლობას მოასწერს საქართველოს კულტურ-  
ისა და მეცნიერებლის სამინისტროს ექინიადის  
ფინანსური შეარდებულისთვის.

1910-1926

„თეატრი და ცხოვრება“

1950-1990

„თეატრალური მოამბე“

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება

UDC 792(479.22)

0-391

გიგა ლორთქიფანიძის დაბრუნება -----	3
ნოდარ გურაბანიძე-----	4
ემზარ კვიტაიშვილი — „სამყარო არა მხოლოდ თეატრალის თვალით“ -----	5
კოლეგები ულოცავენ -----	10
ნოდარ გურაბანიძე — სამყარო თეატრალის თვალით -----	16
გიგა ჯაფარიძის ვარსკვლავი ონში -----	29
საუბარი ქართულ თეატრალურ კრიტიკაზე -	30

**სპეციალები**

თეა კახიანი — „ტკივილის მორფოლოგია“ --	37
ლაშა ჩხარტიშვილი — კინოფილმის ორი თეატრალური ვერსიის შესახებ -----	41
გუბაზ მეგრელიძე — დმანისის თეატრი კვლავ აღორძინდა -----	48
მაკა ვასაძე — ზუგდიდის თეატრში გაცოცხლებული ვაჟას მოთხოვბა -----	51
ლელა წიფურია — მარადიულისა და თანამედროვეობის სინთეზი თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე --	54
ვასილ კიკნაძე — მითებში გადასული თეატრის 220 წელი -----	60
ნინო მაჭავარიანი — გრიბოედოვის თეატრი — 170 -----	67
„დურუჯის“ მისია -----	71
ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი -----	72

**დიალოგი**

მაკა ვასაძე — რობერტ სტურუა: თუ გსურს მიხვდე, რა სწრაფად გადის დრო, მოდი თეატრში -----	73
მაია კიკაბიძე — თანამედროვე დამოუკიდებელი ტელევიზიის სტრუქტურა, წარმოება და კრიტიკა -----	82

Giga Lortkianidze's return -----	3
Nodar GurabaniDze - 85 -----	4
Emzar KvitaliSvili - The World not only ' in the Eye of the theater-goer~ -----	5
Nodar GurabaniDze - The World in the Eye of the theater-goer -----	16
Giga Japharidze's Star in Oni -----	29
talk about Georgian theatrical criticism -----	30

**PERFORMANCES**

Tea Kakiani - The pain's morphology -----	37
Lasha Chkhartishvili - about movie's two Georgian theatrical version About two versions of Georgian theatrical movies -----	41
Gubaz Megrelidze - Dmanisi Theatre arised again -----	48
Maka Vasadze - Vazha- Pshavela's story in Zugdidi Theatre -----	51
Lela Tsifuria - Synthesis of eternity and modernity on the Tbilisi International Theatrical Festival -----	54
Vasil Kiknadze - 220 years of Theatre transitioned on the myths -----	60
Nino Matchavariani - Griboedovi Theatre - 170 -----	67
Mission of 'Duruji~ -----	71
National Drama Festival -----	72
Maia Kikabidze - The structure. Production and criticism of modern independent television -----	82

# გიგა ლორთქიფანიძის დაბრუნება



სწორედ ასე შეიძლება ითქვას იმის თაობაზე, რაც იმ დღეს — 3 ოქტომბერს ელბაქიძის დაღ-  
მართზე, პატარა სკვერში ხდებოდა. გიგა ლორთქიფანიძისათვის მშობლიური მარჯანიშვილის თეა-  
ტრის სიახლოეს დაიდგა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის,  
რუსთაველის პრემიის ლაურეატის გიგა ლორთქიფანიძის ბიუსტი — რეჟისორმა თავისი თეატრის  
შემოგარენში დაიდო ბინა.

ბიუსტი შექმნა და ქალაქს საჩუქრად გადასცა გამოჩენილმა ქართველმა მოქანდაკემ და ფერ-  
მნერმა ზურაბ წერეთელმა.

ბიუსტის გახსნის ცერემონიალი მიჰყავდა რეჟისორის მეუღლეს, რესპუბლიკის სახალხო არტ-  
ისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ქეთევან კიკნაძეს. ცხადია, ღელავდა, დაძაბული გახლ-  
დათ, რადგან ელბაქიძის დალმართის სკვერში მეუღლე შემოეგება. ქ. კიკნაძემ უღრმესი მადლობა  
გადაუხადა თბილისის მერს ბ-ნ დავით ნარმანიას, მერიის თანამშრომლებს იმ გულითადობისათვის,  
რომელსაც რეჟისორის სახელის უკვდავსაყოფად გაწეულ შრომაში იჩენდნენ. ქ. კიკნაძეს თბილი-  
სის მერიის არც ადრინდელი ხელმძღვანელი და თანამშრომლები დავიწყნია — სწორედ გამოჩე-  
ნილი გულითადობისა და ყურადღების გამო.

გულთბილი სიტყვა ნარმოთქვა, ქართულ კულტურაში გიგა ლორთქიფანიძის შეტანილ ღვაწლზე  
ისაუბრა ქალაქ თბილისის მერმა დავით ნარმანია: „გიგა ლორთქიფანიძის ღვაწლი, დედაქალაქისა  
და ქვეყნის წინაშე, ნამდვილად, იმსახურებს ამგვარ დაფასებას, თუმცა, ეს ყველაფერი სიმბოლუ-  
რია, გამომდინარე იქიდან, რომ ბატონი გიგა ლორთქიფანიძის დამსახურება და მისი შრომა შეუ-  
ფასებელია“.

გიგა ლორთქიფანიძე მრავალმხრივი მოღვაწე, პოლიტიკურ, საზოგადო სარბიელზე დამკვიდ-  
რებული შემოქმედი გახლდათ. ამიტომ მის შესახებ, რასაკვირველია, უწინარესად, თეატრის და  
კინოს მოღვაწენი საუბრობდნენ: მწერალი რევაზ მიშველაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
პროფესორი ვასილ კიკნაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თემურ ჩხეიძე, კომპოზიტორი ვაჟა  
აზარაშვილი, პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი, მოქანდაკის და ე. წერეთელი, კინორეჟისორი ელდარ შენ-  
გელაია, რუსთავის თეატრის მსახიობი ნათელა მუხულიშვილი, სპორტული მიმომხილველი ჯამ-  
ლეტ ხუხაშვილი და სხვ.

# ნოდარ გურაბანიძე — 85

**გამოჩენილ ქართველ თეატრმცოდნეს, შოთა რუსთაველის სახ.  
ეროვნული პრემიის ლაურეატს, პროფესორ ნოდარ გურაბანიძეს**

მეორე წლის ბატონი ნოდარ,  
საქართველოს თეატრალური საზოგადოება გულითადად მოგესალმებათ თქვენი დაბადების 85-ე  
წლისთავზე, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს და ჩვენს მეგობარს,  
ბირთვნებას, რომელიც ხანგრძლივი და ნაუთიერი სიცოცხლის განმავლობაში დიდი ძალის მქონე ემ-  
სახურება ქართულ თეატრს.

თქვენ ტრადიციულად გვერდში უდგენართ ქართულ თეატრს, როგორც მისი ჭირისა და ლინის  
გამზიარებელი. არა ერთგულის იყალთ და ხართ, გამოეთქვამთ სურვილს, რომ კვლავაც იქნებით, ჩვენი  
პრეზიდიუმის, გამგეობის, ამათუმი ქომისისა, თუ კიურის თავმჯდომარე. ქართველი შეითხებულისა-  
თვის, ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოქალიბისათვის მალე მნიშვნელოვანია თქვენს მიერ  
დაწერილი წიგნები ჩვენი თეატრის რეკისორებზე, მსახიობებზე. ამ წიგნებს გამოარჩევს ცინცხალი  
აზროვნება, წერის მაღალი კულტურა, ღრმა ერუდიცია, თქვენი კეთილგა ანწერობა. ურნალ „თეატრი და  
ცხოვრების“ ფურცლებზე დღესაც დიდი ინტერესით გვითხულობთ თქვენი ჩანაწერების წიგნს „სამუარო  
თეატრალის თვალით“ თქვენ ერთ-ერთი იმათგანი ხართ, ვინც ქართული თეატრმცოდნება მაღალ პრო-  
ფესიულ დაწესებულებას, ეს თავისებურება ცრადად ვლინდება თქვენს წიგნები.

მრავალები, ბატონი ნოდარ!

**საქართველოს თეატრალური საზოგადოება**

## „იმხევე და იძლიერე“

ქართულ თეატრმცოდნებაში ნოდარ გურაბანიძე სრულიად გამორჩეულია თავი-  
სი აზროვნებით, მხატვრული გემოვნებით, მახვილგონიერებით, ფართო დიაპაზონითა და  
ნერის კულტურით. რა თემაზეც არ უნდა ნერ-  
დეს, ყველგან იცავს მაღალ კრიტიკულებს. თეატრალის თვალით დანახული მისი სამ-  
ყარო გამოირჩევა ორიგინალური მხატვრული მიგნებებით.

განსაკუთრებულია ნოდარ გურაბანიძის დამსახურება ურნალ „ხელოვნების“ მთავარი  
რედაქტორის, გამომცემლობა „ხელოვნების“ ხელმძღვანელობის პერიოდში, სადაც ბევრი  
ეროვნული მნიშვნელობის საქმე გაკეთდა.

ჩვენ თითქმის ერთად გავიარეთ ხანგრძლივი ცხოვრების გზა. მას შემდეგ, რაც თეატრალურ  
ინსტიტუტში შევხვდით როგორც სტუდენტები, 65 წელზე მეტი დრო გავიდა...

მართლა წუთი ყოფილა წუთისითელი!...  
მთავარია, რომ ამაოდ არ გარჯილა. შექმნა  
შესანიშნავი მრავალშვილიანი (ოთხი) ოჯახი,  
რომელსაც დედაბურჯად უდგას ფისო ყარ-  
ალაშვილი.

ნოდარ გურაბანიძის ასპარეზი მოიცავს თე-

ატრმცოდნებას, საზოგადო და სახელმწიფო  
მოღვაწეობას.

საზოგადოებრივი და პროფესიული ცხოვრებით მდიდარი თავის 85 წლისთავს სპორტულ  
ფორმაში შეხვდა. მისი წიგნების თითქმის უმ-  
რავლესობას გამოვეხმაურე, მაგრამ ვერც ამ  
წიგნს ავუარე გვერდი არა მეგობრობის, არ-  
ამედ პროფესიული სინდისისა და მოვალეობის  
გამო — გამოვიდა შესანიშნავი მონოგრაფია  
„რეჟისორი გიზო უორდანია“. მონოგრაფია,  
როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით ნა-  
ვიკითხე. მიხარია, რომ წიგნი კიდევ ერთხელ  
გამოხატავს ქართული თეატრმცოდნების მა-  
ღალ დონეს და მის მნიშვნელობას ქართული თე-  
ატრის ისტორიისათვის. სწორედ ასეთი წიგნები  
უქმნიან ავტორიტეტს თეატრმცოდნების,  
ჩვენს პროფესიას ანიჭებენ განსაკუთრებულ  
მნიშვნელობას.

იმაზე მეტი რა უნდა ვუთხრა ჩემს მეგობარს,  
რაც ილია ჭავჭავაძემ უთხრა ვასო აბაშიძეს  
საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით: „იმხნევე  
და იძლიერე!“.

**ვასილ კიკერიძე**

# არა მხოლოდ „თეატრალის თვალით“

## ემზარ კვიფაიშვილი

ყმანვილობიდანვე მქონდა მისწრაფება ასაკით ჩემზე დიდებთან სიახლოვისა და ეს არავითარ უხერხულობას არ იწვევდა; ბევრ მათგანს დავუმეგობრდი და გაუხუნარი მოგონებებიც დამრჩა. ნოდარ გურაბანიძე ხუთი წლითაა უფროსი და მასთან ყოველთვის უაღრესად თბილი ურთიერთობა მქონდა. უზომო სიამოვნებას მანიჭებდა და მანიჭებს მისი ესსეების, თეატრალური შთაბეჭდილებების, მონოგრაფიების კითხვა, ნერის უზადო სტილი, მრავალმხრივი ცოდნა და ნააზრევის გადმოცემის მისაბაძი — უშუალო და ძნელად მისაღწევი სისადავე.

განუხრელად მწამდა — ყოვლად შეუძლებელია, ნოდარ გურაბანიძეს თუნდაც მცირეოდენი სიყალპე დასცდეს; რაც არ სჯერა, არასოდეს დაწერს; ვინც ქების, პატივისცემისა და სიყვარულის ღირსია, ყველას ჯეროვნად წარმოაჩენს, ვინც უკეთურებითა და ქვებუდანობით შეირცხვინა თავი, არც იმას დააფარებს ხელს, საკადრისს მიუზღავს.

უდიდეს, შესაძურ განათლებასთან შეზავბული შეუმცდარი გემოვნება მის ნაწერებს მიმზიდველად, გატაცებით საკითხავს ხდის, სულიერად გამდიდრებს და მუდამ უზომოდ კმაყოფილი რჩები, რაც ჩემ თავზე არაერთგზის გამომიცდია.

სამი საუცხოო მონოგრაფია — „რეჟისორი რობერტ სტურუა“ (1998), „ფანტასტიკური რამაზ ჩხივაძე“ (2004) და „მიხეილ თუმანიშვილის თეატრი“ (2009) ძვირფასმა ნოდარმა ადრევე მისახსოვრა. მათში ქართული თეატრის ამ კორიფების განუმეორებელი სამყარო, მართლაც, მთელი სიღრმით, ფერადოვნებითაა განვითილი, ჭეშმარიტი ხელოვნების ძალასა და მაღლს გაგრძნობინებს. ახლახან გამოვიდა მისი ახალი მონოგრაფია გამორჩეული ხელწერისა და შეუბლალავი ზნეობის რეჟისორზე, გიზო უორდანიაზე, რომელსაც, იმედია, მაღლე გავეცნობი.

ყოველგვარი პათეტურობისა და გადაჭარბების გარეშე მინდა ვთქვა, იშვიათად წამიკითხავს ისეთი პირუთვენელი, მოქნილად დაწერილი და შთამბეჭდავი მოგონებების წიგნი, როგორიც გახლავთ ნოდარ გურაბანიძეს „ჩემი ცხოვრების თეატრი“ (2006), რომელმაც ჩემი ყოფის შორეული თუ ახლო წარსულის დღეები გამიცოცხლა, გარდასული ეპოქის სურნელი მძაფრად მაგრძნობინა, ბევრ რამეზე სხვაგვარად დამაფიქრა.

ამ წიგნის ფურცლებზე ოსტატურად, იუველირის სიფაქიზით არის ალბეჭდილი უამრავი ადამიანის სახე, ვინც ავტორს ცხოვრების გრძელსა და რთულ გზაზე შეხვედრია. მათი უმ-

ეტესობა სიკეთისკენაა მიდრეკილი და გულთბილად გახსენებას იმსახურებს, მაგრამ აქა-იქ გაკრთებიან დაბადებითვე ცილისმწამებლები, პროფესიონალი დამბეზებლები, სისხლს რომ უშრობდნენ, სიცოცხლეს უმწარებდნენ ირგვლივ მყოფთ. მათ მიმართ ნოდარ გურაბანიძე საკმაოდ დაუნდობელია, ვინაიდან არ ძალუდს, სიმართლეს ულალატოს.

შეუნედებელი ექსპრესითაა დახატული ომისდროინდელი წლები, როცა სანახაობას დანატრებული ახალგაზრდობა ე.წ. „ტრაფეინი“ ფილმებს თვალებით ნთქავდა, ნეტარებას განიცდიდა. იმათ შორის ყველაზე პოპულარული და საამო „მზიური ველის სერენადა“ იყო.

ნოდარ გურაბანიძე მოგვითხრობს, ყმანვილობაში და შემდგომაც ფეხბურთის როგორი თავგადაკულული მოტრფიალე ყოფილა და რამდენჯერ შესულა მაყურებლით გადაჭედილ, აგუგუნებულ სტადიონზე დახატული, ნაფლეთებისგან შეკონინებული ბილეთით. ასეთ უნიკინარ სიყალპეს, ბიჭობისას, არც მე და ჩემი თანატოლები ვთავილობდით.

წინამდებარე მოგონებებში იგი ყრუდ, ორიოდე სიტყვით მოიხსენიებს დაუჯერებელ, გულისშემძრავ ამბავს, როცა აკაკი ხორავას სახლში გარდაცვლილი, ერთადერთი ვაჟის ცხედარი ესვენა და ამ დროს სპექტაკლში „დიდი სელმზიფე“ ივანე მრისხანეს როლი უნდა ეთამაშა, რადგანაც გამოცხადებული პრემიერის სხვა დღისათვის გადატანა ხელისუფლების მიერ აკრძალული იყო და სასტიკად ისჯებოდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, ნებისყოფის რა დაძაბვა მოუხდებოდა გენიალურ მსახიობს, როგორ დაეფლითებოდა ნერვები (სცენაზეც შევილის კუბოს დაჰყურებდა), რომ ასეთ ჯოჯოხეთურ სატანჯველში ჩავარდნილს ეგზომ რთული როლი განესახიერებინა. ეს ამბავი თავად შექსპირის ყველაზე ტრაგიკული პიესების სიუჟეტში ჩაჯდებოდა, იმდენად ამაღლვებელი და დრამატულია. მისი გაძლება და წონასწორობის შენარჩუნება ადამიანის შესაძლებლობებს აღმატება.

ყოვლად შეუძლებელი იყო, ნოდარ გურაბანიძეს მოგონებების წიგნში ადგილი არ დათმობოდა აკაკი ხორავას დიდ სეხნიას, მისი უღლის გამწევს, უზარმაზარი ნიჭისა და კულტურის მსახიობს, გარდასახვათა უბადლო ოსტატს აკაკი ვასაძეს და ეს ასეც მოხდა.

გულისშემძრებული ინტრიგების გამო რუსთაველის თეატრიდან წასულ აკაკი ვასაძეს უთქამს: „სულაც გავშლი ერთ პატარა ფარდაგს ჩემი სახლის სადარბაზოს წინ და იქ დავინებ თამაშს. სხვა, არაფერი მჭირდება“.

ამ სიტყვებით შეძრული ნოდარ გურაბანიძე სინანულს ვერ მაღას და იქვე დასძენს:

„ვისაც აკაკი ვასაძე გოგოლის „შეშლილის წერილებში“ უნახავს, დამტეანხმება, რომ მას მართლაც, „არაფერი სჭირდებოდა“, იმდენად მდიდარ აქტიორულ ხერხებს ფლობდა და ისე ღრმა იყო მისი შემოქმედებითი სამყარო. შეშლილის თეთრ პერანგში გახვეული, სცენაზე მარტო მდგარი აკაკი ვასაძე სასწაულებს ახდენდა. იგი გმირის ავადმყოფურ ხილვებს მოუხელობელი შინაგანი ლოგიკით აერთებდა და მოლანდებებს რეალობად აქცევდა.

ბოლოს და ბოლოს, თეატრიც ხომ არარსებულის, გამონაგონის ხელახლა გამოგონება და ოეალობად ქცევა, ანუ როგორც პიტერ ბრუკი იტყოდა — თეატრი „უხილავის ხილულად გარდამქმნელია“.

მის ცხოვრებაში ზემოთ ნახსენებმა ამ უცარმა და სასიკეთო შემობრუნებამ ალალად ათქმევინა მემუარების ავტორს „თეატრი ჩემი ცხოვრება და ბედისწერა ყოფილა. სწორედ თეატრმა მომცა იმის საშუალება, რომ მომევლო თითქმის მთელი მსოფლიო, შენახა ხელოვნების უამრავი შედევრი, შევხვედროდი და მეცხოვრა უნიტიერესი ადამიანების გვერდით, რომელთაგან ზოგი გვნიოსიც კია“.

ნოდარ გურაბანიძე ბევრგან ალნიშნავს, თუ რა გულითადი მეგობრობა აქვს მას ქართული თეატრის ისტორიის საუკეთესო მევლევარებთან, თავის თანამოკალმესთან ვასილ კეკაძესთან, ვისაც ქართული პოეზიაც ძალიან უყვარს.

ერთხელ, ვასოს კაბინეტში, იდეოლოგიური დირექტივებით გალიზიანებულ ნოდარს მილიონობით ადამიანის დამღუცველის, საძულველი მანიაკი ლენინის თაბაშირის ქანდაკება შემოემსხვრა. დაფუთებული ძმაკაცები (ამის გახმაურებას რაც მოჰყვებოდა, კარგად იცოდნენ), ძირს დაყრილ ნამსხვრევებს დანაყავენ და ჩანთებით მალულად გაზიდავენ.

ეს სკანდალური შემთხვევა დიდოსტატურად გამოიყენა ამ ზაფხულს ძმობლიურ თელავში უცრად გარდაცვლილმა და იქვე დაკრძალულმა ჩემინა უნიტიერესმა რომანისტმა ზაირა არსენიშვილმა, რაც თავად ნოდარსაც აქვს ალნიშნული.

ნოდარ გურაბანიძის მართალზე მართალი წიგნიდან იმდენ ახალსა და საინტერესოს იგებ, ყველაფრის უბრალოდ ჩამოთვლაც კი გაგიჭირდება. მოგონებათა ავტორები ნარსულს ხშირად ალამაზებენ, თავიანთი თავი წმინდანებად გამოჰყავთ, აქ კი ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩნილი. ასეთი, ბოლომდე შენარჩუნებული გულახდილობა, ჩვენს გაუკულმართებულ დროში სანატრელია.

როგორ მიუკერძოებლად იხატება, მაგალი-

თად, ჩემინი საუკეთესო კომპოზიტორის, ოთარ თაქთაქიშვილის პორტრეტი, მისი ესოდენ მომხიბლავი ადამიანური თვისებები, ცხოვრების წესი იშვიათი პიროვნებისა, ვინც ურთულეს პირობებში, თითქმის ოცი წლის მანძილზე სახელოვნად უძღვებოდა კულტურის სამინისტროს და ყველაფერს აკეთებდა, რათა არავინ დაჩაგრულიყო. ნოდარ გურაბანიძე არც იმას მაღავს, რომ ზოგჯერ ამბიციები მოექალებოდა — თავისი ოპერა „მინდია“ ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერზე“ ნაკლებად არ მიაჩნდა. ისიც არ დამავიწყდება, საკმარ რისკის ფასად, რა ქომაგობა გაუწია მან უსაფუძვლოდ ათვალწუნებულ, ოპერაში გაჩენილ ხანძარზე ბოროტად ეჭვმიტანილ გენიალურ ქართველ მოცეკვავეს ვახტანგ ჭაბუკიანს. ასეთი მაგალითები წიგნში მრავლადაა წარმოდგენილი.

ჩემი მეგობრის, გამოჩენილი მსახიობის და ძალზე ნიჭიერი მწერლის გიორგი ხარაბაძისგან მომისმენია, როგორ ცდილობდა გუნებანამხდარი ოთარ თაქთაქიშვილი რუსთაველის თეატრში ჩათესილი ურთიერთქიშპობის განმუხტება.

ნოდარ გურაბანიძე თვით ყველაზე გამაღიზიანებულ ადამიანსაც არ უკარგავს, თუკი რაიმე სიკეთე ჰქონდა გაკეთებული. მაგალითად, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მომუშავე, მეტისმეტად ენერგიული პარტიული მუშაკი ოთარ ეგაძე დროდადრო ეხმარებოდა, ბევრს რამეში ხელს უწყობდა ახალგაზრდებს, მაგრამ ნიადაგ ინტრიგებში იყო გახლართული. ეს უთუოდ ჩრდილს აყენებს მის სახელს.

შეულამაზებლად წერს ნოდარ გურაბანიძე არცთუ სახარბიელო წარსულის მქონე ცნობილ მწერალზე („ცისკარში“ მე მისი რედაქტორობის დროს დავიწყე მუშაობა და, არაერთი უსიამოვნების გარდა, კარგი რამების გახსენებაც შემიღლია), კონსტანტინე ლორთქიფანიძეზე.

მემუარების ავტიგი თავიდან სავსებით ობიექტურად აღნიშნავს: „როცა იგი მსჯელობას იწყებდა ლიტერატურაზე, ეს იყო ნიჭიერი, უკიდურესად მახვილი თვალის შემოქმედის საუბრები. მას შეეძლო სრულიად ახლებურად წარმოეჩინა ამა თუ იმ მხატვრული ნანარმების თავისებურებანი. მე მისი მადლიერი ვიყავი. „ცისკარში“ სწორედ მისი დაკვეთით გამოვაქვენე რამდენიმე სტატია („ცეკვაში განცდილი შექსპირი“, ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტზე „ოტელო“, „ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია“, „აბსურდის თეატრი“ და სხვ). ძალზე ყურადღებით და გულთბილად მეპურობოდა.“

ამ გარემოებას ხელი არ შეუმლია ნოდარ გურაბანიძისათვის, გაემხილა ერთი აღმაშენოთებელი საქციელი, რასაც იგი თავად შესწრებია. მოხდა ისე, რომ რუსთაველის პრემიაზე

ერთად იყვნენ წარდგენილები კონსტანტინე ლორთქიფანიძე და რევაზ მარგიანი (მათთანვე კენჭს იყრიდა გიორგი ლეონიძე, რაც ბედის დაცინვას გავს). კონსტანტინე ლორთქიფანიძე დაურიდებლად შევარდნია რევაზ მარგიანს კაბინეტში და ულტიმატუმი წაუყენებია, შენი კანდიდატურა ახლავე უნდა მოხსნა, პრემია მე უნდა მივიღო (ბატონი კონსტანტინე არ მალავდა, რომ ჯილდოებისკენ ავადმყოფური ლტოლვა ჰქონდა). „მერანის“ დირექტორს, მიუხედავად განაწყენებისა, მშვიდად უპასუხნია, ვინც გაიმარჯვეს, პრემია იმან უნდა მიიღოს. ამაზე მთლად გაცეცხლებულა მომხდური. უფრო ხმამაღლა აყვირებულა: „რეზო, შენ ხომ იცი, მგელი ვარ, მგელი! გზაზე რომ ჩემი შვილი გოგია გადამიდგეს, იმას შევჭამ, იმიტომ, რომ მგელი ვარ და მოგსპობ იცოდე!“.

ამის გამგონე ნოდარ გურაბანიძე განცვიფრებულა, არაურით არ მეგონა, პრემიის გამო ასეთი სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება თუ გაიმართებოდა. დიდად გასაკვირა არ იყო ეს ამბავი. ბატონ კონსტანტინეს კარგად ვიცნობდი და ვიცოდა, იმ პრემიას, ცოცხალი თავით, არავის დაუთმობდა, თუმცა, როგორც მივანიშნე, მაშინ პრემიაზე გიორგი ლეონიძის შედევრიც, „ნატვრის ხე“ იყო წარდგენილი. იმავე ხანებში, პრემიების გაცემის კვირაძალზე, „ცისკრის“ რედაქციაში გავეშებული, აქლოშინებული კონსტანტინე ლორთქიფანიძე შემოიქრა, სახეზე აჭარბებული იყო. ეტყობოდა, უიურის ნევრები ახალი ანიოკებული თუ დამუნათებული ჰყავდა. თვალებს შეშლილივით შტრიმავდა (გურულების გამოთქმა). პორტფელი რომ დადო და ცოტათი დაწყნარდა, თანამშრომლებს მოგვიტრიალდა: „სად გაგონილა! მე, ნამდვილი პროზაიკოსი ასოამოგდებული (ის სასირცხვო სიტყვა იხმარა, მაგრამ გამეორებას მოვერიდები) დავრჩე და რუსთაველის პრემია თავისი ბავშვობის მოგონებაში გოგლა ლეონიძეს მიაკუთვნონ, ამას რანაირად შევურიგდებიო. მაგან იკმაროს, რაც სტალინური პრემიები მობოჭაო. გიორგი ლეონიძეს მაშინ ერთი წლის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი და ის პრემია კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ხვდა, ხოლო „ნატვრის ხე“ — უკვდავი ნიგნი, ქართული პროზის მარგალიტი, პოეტის გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა.

თანამედროვეებზე ნათქვამი იმდენი კეთილი და მოზომილი სიტყვა, ნოდარ გურაბანიძის მოგონებებსა თუ სხვა ნანერებში რომა გაბნეული, არავისთან წამიკითხავს. ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი არც იმათ გაიცხვასა და მხილებაზე იკავებს თავს, რომელთაც ქვეყნისა თუ პიროვნებათა მიმართ საძრახის საქციელი აქვთ ჩადენილი.

ნოდარ გურაბანიძე დამსახურებას არ უკარგავს ცნობილ, ძალზე ლრმად განსწავლულ

მუსიკათმცოდნეს ანტონ (ტატული) წულუკიძეს, მაგრამ მიხვევ-მოხვევის გარეშე გადაგიშლის უცნაური, ულოგიკო შეხედულებებით გაჯერებულ მის წინააღმდეგობრივ, ძნელად შესაგუებელ ხასიათს.

ნოდარ გურაბანიძეს ბევრი რამ აკავშირებდა ანტონ წულუკიძესთან, ვისაც ერთობ დიდ ადგილს უთმობს წიგნში. იგი საუკეთესო ინტელიგენტურ ოჯახსა და გარემოში გაიზარდა, ყმანვილობისას განსაციფრებელ მონაცემებს ამჟღავნებდა, როგორც პიანისტი, „მუსიკის ვუნდერვინდს“ ეძახდნენ თურმე, უცხოელ კომპოზიტორთაგან ვაგნერს ეთაყვანებოდა, რუსი კომპოზიტორებიდან პროკოფიევსა და შოსტაკოვიჩს ანიჭებდა უპირატესობას.

სიყმანვილეში დაუკავშირდა საქართველოს გათავისუფლებისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა კავშირს, მეგობრობდა უპატიონებს პიროვნებასთან, ლიტერატური მირიან აბულაძესთან და მასთან ერთად ამოჟყო ციხეში თავი. იქ, წამების მიუხედავად, არ გამტყდარა, ყველაზე მეტი ნებისყოფა გამოიჩინა, არავინ გაუცია, მოხსადა პატიმრობა.

ნოდარ გურაბანიძე მართლაც რომ მისაბადი ისტატობით ხატვას იმ ადამიანთა მცირე, დასამახსოვრებელ პორტრეტებს, ცხოვრების გზაზე რომ გადაყრიცა და თავიანთი პიროვნებით საყურადღებონი ყოფილან. ერთი მათგანია მთელი თბილისისთვის საყვარელი და ენამახვილობით გამორჩეული, სამწუხაროდ, ლოთობისკენ მიდრეკილი, მუდამ პენიანად ჩაცმული წიაზ დიასამიძე, რომელიც ოთარ ეგაძეს უურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ სამუშაოდ მიუღია. იქვეა ნათქვამი, რომ ამ კაცს „სჩეკოდა ხოლმე გაუკაცური და კეთილშობილური უესტის გაკეთება“. გახსენებულია ნიაზის მრავალმხრივი ნიჭიერებაც. მან მალე აუღო ალლო უურნალის სპეციფიკას, პატარ-პატარა, ხალისით საკითხავი მასალების წერაც დაუწყია, სმაც მიუტოვებია, ლოთობისგან დაფორაჟებული სახეც დაწმენდია და ამ დროს რედაქციაში სამადლოდ მიღებულ ერთ ლაზბანდარას ბოროტად გაუქილიკებია წიაზი, განა არ ვიცი, წერილებს ნოდარ გურაბანიძე და თენგიზ ჯანელიძე რომ გინერები. ყოვლად უსაფუძვლოდ შეურაცხყოფილ წიაზს სიმწრისაგან ერთი სანწყლად ჩაცლიმია, თანამშრომლებს ზრდილობიანად გამომშვიდობებია, წასულა და აღარც მიბრუნებულა სამასხურში, კვლავ ლოთობა დაუწყია, რამაც საბოლოოდ იმსხვერპლა. ასე დამღუბველად შეიძლება იმოქმედოს ღვარძლიანი კაცის ნათქვამა.

კიდევ უფრო ხელშესახები, გამოკვეთილია უნიჭიერესია მხატვრისა და დიდად სასიამოვნო, გულლია ადამიანის, ჭაბუა ამირჯვიბისა და ზურაბ ნიუარაძის სისხლით ნათესავის (იგი დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის პირდაპირი

შთამომავალიც გახლდათ) რევაზ თარხან-მოურავის სახე, ვისაც ასევე ალკოჰოლისადმი ზედმეტმა მიძალებამ მოუსწრაფა სიცოცხლე. იგი მოგონებათა ავტორს ლიტერატურის ინ-სტიტუტის თანამშრომელ, ქართული პოეზიის თავგადაკლულად მოყვარულ ქიცა ხერხეულიძესთან ერთად, მეგობრულ სუფრაზე გაუცვინა. მერე, როცა თარხან-მოურავის ძალზე თავისებური ლინგრავიურები და სხვა ნამუშევრებიც უნახავს (ფართო დიაპაზონის შემოქმედი დიდ, ულამაზეს პიროვნებასაც ხატავდა), ძალიან მოსწონებია და დახლოებია. უნესრიგო, ბოჭე-მური ცხოვრების მიმდევარი, უზომოდ კეთილი, ალალი მხატვარი (იგი ბევრი რამით მოგაგონებდათ ავთო ვარაზს), რამდენიმე წინადაღებით, უწყინარი იუმორისტული შტრიხებით ისე ცოცხლად არის დახატული, ეს უცნაური გარეგნობისა და უკომპრომისო პრინციპების მქონე უპატიოსნესი პიროვნება, უმაღლ თვალინი დაგიდგებათ:

„ჩვენს სუფრაზე ძალზე კოლორიტულად გამოიყურებოდა რეზო თარხან-მოურავი, უჩვეულოდ სამპათიური, ძალზე მომხიბლავი, მიუხედავად იმისა, რომ ტანად პატარა იყო, გამხდარი, სუსტი (თუმცა კრივშიც ვარჯიშობდა და „ზემელზე“ თავისი სახლის დიდ, გრძელ გალერეაში ე.წ. სავარჯიშო, „მსხალი“ ეკიდა და იმას დაუშენდა ხოლმე ტყავისხელთამანიან მუშტებს). ძალზე კოხტა თავი ჰქონდა, თუმცა, უზარმაზარი უყრები და ცხვირიც სირანო დე ბერჟერაკის (ამ რაინდისა და მენესტრელის) ცხვირს არ ჩამოუვარდებოდა. ამბობდნენ, რეზო თარხან-მოურავი ჯარში რომ გაინვიეს, საექიმო კომისიამ დაინუნა. ერთ ექიმს უთქვამს ხუმრობით: ამ ბიჭს დიდი მოურავის მარტო ცხვირი და ყურები შერჩენია.

ყველას უყვარდა, შეუდარებლად გულუხვი იყო, კაბიკს არ დაიტოვებდა სახვალიოდ, ამიტომაც სულ უფლოდ იყო. სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკით „ტვინდასეტყვილებს“ გვაიცებდა მისი მსჯელობა მხატვრებზე, საერთოდ მხატვრობაზე. ორიგინალური ხედვა ჰქონდა და ყველაფერზე თავისი დამოუკიდებელი აზრის გამოიქმა უყვარდა.

ძალზე მეამა, როცა მოგონებათა ფურცლები-დან ჩვენი უსაყვარლესი ნიკა აგიაშვილის სპეტაკმა სახემ შემომანათა. იგიც, ისევე, როგორც შალვა დემეტრაძე, ალიო ადამია, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ქოიავა და სხვები, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გაუცვინა ნოდარ გურაბანიძეს და ისე უნაკლოდ, სრულყოფილად ჰყავს დახასიათებული, თავად ბატონი ნიკა სამუდამოდ მადლიერი დარჩებოდა: „მე განსაკუთრებით დაგუახლოვდი ნიკა აგიაშვილს, ამ დახვენილ, მოსიყვარულე, მორიცებულ და თავისებურად არტისტულ კაცს. უამრავი რამ იცოდა და უამრავი რამ ახსოვდა. რასაკვირვე-

ლია, მე ვიცნობდი მის მშვენიერ ბიოგრაფიულ რომანს სერვანტებზე, მის არაჩვეულებრივ წიგნს „ჭაბუკები დარჩენენ მარად“ და მის სხვა ნაწერებსაც, მაგრამ სინამდვილეში იგი უფრო ღრმა და საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. გარეგნულადაც მშვენიერი შესახედავი იყო, საშუალოზე ოდნავ მაღალი, თხელი, წელგამართული, როგორც ამბობენ ხოლმე, მწყაზარი სახით. უცებ მიგიზიდავდა და ახლობლად გაგრძნობინებდა თავს. თეთრი თმა კოხტად ჰქონდა დავარცხნილი და მხოლოდ ფაფანაკი აკლდა თავზე, რომ ნამდვილ იმერელს დამსგავსებოდა. იშვიათი მოქართულე და სტილისტი იყო. ლაპარაკობდა ხმადაბლა, ჰქონდა იუმორის გრძნობა, ვერიტანდა მედროვებასა და კარიერისტებს, თუმცა თავის გრძნობებს იშვიათად ამხელდა. ყველა პატივისცემითა და რიდით ექცევოდა, მაგრამ თავის სასარგებლოდ არასოდეს გამოუყენებია ძლიერთა ამა ქვეყნისათა ეკოთილგანწყობილება (მაგალითად, ირაკლი აბაშიძის). ყველაფერს იწერდა, თუმცა საოცარი მეხსიერება ჰქონდა. მის მიერ ჩანერილი ქართველ პოეტთა ფუნაგორიები უნიკალურია. საინტერესო რამ მაჩვენა ერთხელ — შენახული ჰქონდა ყველა მოსაწვევი ბარათი (სხვათა შორის, ასე ინახავდა ყველაფერს რუსული ავანგარდისტული პოეზიის ცნობილი მკვლევარი ნიკოლოზ ხარჯიერი — ე.კ.). ამ ბარათებზე თითო მინიატურული ამბავი იყო მოთხოვნილი — ვინ ესწრებოდა საღამოს, ვინ რა თქვა, რა იხუმრა, როგორ მოიქცა, რა კურიოზი მოხდა. აპირებდა მათ გამოქვეყნებას სათაურით „მინანერები მოსაწვევ ბარათებზე“, რაც ჩვენი კულტურული ცხოვრების ერთგვარ მატიანედ შეიძლებოდა ქცეულიყო“.

შეუძლებელია დაგავინებდეს ნოდარ გურაბანიძის მაღლიანი კალმით დახატული (იგი ყოველთვის ღრმად წვდება ადამიანთა ხასიათს, შინაგან სამყაროს) პოლიკარპე კაკაბაძის, კოლაუნადირაძის, დემა შენგალაის, ალექსანდრე ქუთათელას, კარლო კალაძის, რევაზ მარგარინის და სხვათა პორტრეტები.

ასევე მიმზიდველად გამოიყურება მეგობარ მხატვართა და მოქანდაკეთა (მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, ჯუნა მიქატაძე, ზურაბ ლეჟავა, ნოდარ მაღაზონია, ზურაბ კაპანაძე და სხვები) გალერეა.

თვისი თანამდებობრივი მდგომარეობისა (კულტურის მინისტრის პირველი მოადგილება, უურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორობა...) და სულიერი მოთხოვნილების გამო, ნოდარ გურაბანიძეს ხელოვნების ყველა დარგის ნარმომადაგენლებთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. თავისუფლად გრძნობდა თავს კომპოზიტორთა ნერში, ბევრს წერდა მათზე, მაგრამ გუნდრუეს როდი უკმევდა თუ რამე არ მოენონებოდა რომელიმე მათგანის

ხასიათსა და საქციელში, ყოველთვის დაუფარავდ, მაგრამ ტაქტიანად აღნიშნავდა. ყველაზე ახლოს მაინც თეატრის სამყაროსთან (რეჟისორები, მსახიობები, სხვადასხვა ანსამბლთა ხელმძღვანელები, ლოტბარები...) იყო, არაერთი მონოგრაფია და წერილი მიუძღვნა მათ, მაგრამ აქაც, როგორც ყოველთვის, სასიკეთო წევრების, მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებათა დანახვის გვერდით, არც ჩრდილოვან მხარეებს, წვრილმანი ადამიანური კაპრიზების გამოვლენას ტრვებდა უყურადღებოდ.

მოველოდი და დიდად გავიხსარე, რომ ნოდარ გურაბანიძის მემუარებში სულ სხვა შარავანდედით არის შემოსილი ქართული ფოლკლორის უბადლო ამაგდარი, ლეგენდად ქცეული არტემ ერქომაიშვილის შვილიშვილი, ერთ-ერთი ყველაზე სახელმოხვეჭილი ანსამბლის „რუსთავის“ დამარსებელი და ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი, ვისთან ერთადაც ნოდარმა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა.

ბედნიერებაა, როდესაც კაცზე, მის მოქალაქეობრივ გმირობაზე გულით დაწერილ ანთებულ სტრიქონებს წაიკითხავ და თანაც ეს მთელ გვერდებზე გრძელდება.

რუსთაველის თეატრი და ანსამბლი „რუსთავი“ ერთად იყვნენ ამერიკაში საგასტროლოდ. ბროდვეიზე ჩატარებული კონცერტის შემდეგ ანზორს თეატრის მსახიობები და ქართველი ემიგრანტები დილის წირვაზე მიუწვევია უკრაინულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, სადაც ანსამბლის წევრებმა ცხრა აპრილს დალუპულთა სულების მოსახსენიებლად იმდერეს. მამინდელი შთაბეჭდილების გადმოსაცემად მოზრდილი ამონანერი უნდა მოვიტანო: „... მე ვხედავდი, როგორ უსველდებოდათ ცრემლით სახეები მორწმუნე ადამიანებს, მიუხედავად მათი ეროვნული წარმომავლობისა. ეს გააკეთა ქართულმა სიმღერამ, თორემ ჩვენი ტრაგედიის ამბავი ხეირიანად არც კი იცოდნენ ეკლესიაში თავმოყრილმა მორწმუნებმა. მაშინ მივხვდი, რომ ანზორის უჩვეულო რუდუნება ქართული ფოლკლორისადმი სხვა არაფერია, თუ არა ზრუნვა ჩვენი სულების გადარჩინისათვის. ასეთი მაღალი ზნეობრივი მიზანი წარმართავს მთელ მის მოვანეობას. მას შეუძლია უკანასკნელი გროშები გაიღოს, თვითონ ულუმაპუროდ დარჩეს და სხვას გაუწიოს დახმარების უანგარო ხელი. ესპანეთში, მაგალითად, მას თავისთვის არაფერი შეუძნია. მთელი პონორარი გადაიხადა აფადმყოფი რეზო ლალიძის წამლებისათვის. მიამდეს, რომ გერმანიაში უკვე ნაყიდი მანქანა მეორე დღეს უკან დააბრუნა, რათა ერთი რუსთაველი მეგობრისათვის გულის ოპერაცია გაეკეთებინათ“.

ნოდარ გურაბანიძე, ცხადია, არც იმას ივინყებს თუ როგორ მეურვეობდა გენიალური ხმის

მომღერალს ჰამლეტ გონაშვილს (სიცოცხლეში და გარდაცვალების მერცე) ანზორ ერქომაიშვილი, რამდენს ზრუნავდა, რომ ანსამბლ „რუსთავში“ ქართველი ორფეოსის ტალანტი სრულად გაშლილიყო.

ამ წიგნიდანვე გავიგე, რომ ჰამლეტი თავ-დაპირველად თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა, სამსახიობო ფაკულტეტზე, იქ ბევრი ვერაფერით გამოიჩინა თავი. მისი ლეთაებრივი ნიჭი შეამჩნია გამოჩენილმა სწავლულმა, ახალგაზრდა ხელოვანთა დაუდალავმა ქომაგმა მიხეილ კვესელავამ, დაარწმუნა, მსახიობობა მისი საქმე რომ არ იყო, დაეხმარა კონსერვატორიაში გადასულიყო და ასე გადაგვირჩინა ამოდენა საუნჯე. კინოსტუდიაში რასაც აკეთებდა, ეს ცალკეა სათქმელი.

სად არ ხლებია ნოდარ გურაბანიძე რუსთაველის თეატრსა და ანსამბლ „რუსთავს“, მაგრამ ეტყობა, ესპანეთში ყოფნას სხვანაირ გემოს ატანდა. ერთგან აღნერილია ქალაქ სანტენდერში ჩატარებული, დიდი წარმატებით ჩავლილი დასკვნითი კონცერტის შემდეგ, ჰამლეტ გონაშვილის ფანტასტიკური სიმღერით თავებრუდახვეული ულამაზესი შოტლანდიელი ქალები (თავადაც საუცხოო მომღერლები), როგორ მოიჭრნება სასტუმროში, გარს შემოეხვინენ ჰამლეტს და ყელზე კოცნიდნენ, კინალამ გაუგუდავთ. გაუთავებული ალერსისგან აფორიაქებულს წამოუძახნია: „მომაშორეთ ეს გოგოები, ძარღვებში წყალი კი არ მიდგასო.“

ყველაზე ძლიერი მაინც წიგნის ის, სუნთქვესშემკვრელი და აღტაცების მომგვრელი ადგილებია (ყველას ვურჩევდი მათ წაკითხვას, ვინაიდან ციტირება რამდენიმე გვერდზე გადაიჭიმებოდა), სადაც დასურათებულია ესპანელთა გამაოგნებელი, ცეცხლოვანი ცეკვა „ფლამენკო“ და ჩვენი რაინდული თავდაჭერილობით მოთოვეკილი „ქართული“ ვიზუალურად არის შეპირისპირებული მათი რიტმი და პლასტიკა, რაშიც ორი უძეველესი ერის განსხვავებული ხასიათი ვლინდება.

ნოდარ გურაბანიძეს მრავალგან არაჩვეულებრივი შთაგონებით აქვს გადმოცემული საზღვარგარეთ ნანახი სპექტაკლებიდან განცდილი უშუალო შთაბეჭდილებები და ამას ისე ცოცხლად, ძალდაუტანებლად აკეთებს, შეგრძება გიჩნდება, იმ სპექტაკლებს შენ თვითონაც ესწრები. ასეთია ინგლისელი რეჟისორის სტივენ ბერკოფის მიერ გამაოგნებელი ძალით, სრულიად ახალი, უაღრესად თამამი რეჟისორული ხერხებით და გადაწყვეტით ხორცულებების ფრანც კაფუას ერთ-ერთი საუკეთესო რომანი „პროცესი“ („ტიპიური ავანგარდისტული დადგმა“).

დისელდორფის დრამატული თეატრის გენერალ-ინტენდანტთან გიუნთერ ბელიცთან

ნოდარ გურაბანიძეს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, რომ დიუსელდორფისა და თბილისის თეატრთა სპექტაკლების პარიტეტული გაცვლა მომხდარიყო — ზარბრიუკენში საგასტროლოდ ჩასული რუსთაველის თეატრი თავის დადგმას წარმოადგენდა, ხოლო დიუსელდორფის თეატრი თბილისში „პროცესს“ ჩამოიტანდა.

სამწუხაოდ, კულტურათა დაახლოვების ამ კეთილშობილურ ჩანაფიქრს აღსრულება არ ენერა, ზარბრიუკენში, ბანკეტზე მყოფი ნოდარ გურაბანიძე საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებმა, ორმა ზონზრობმა, ერთნაირ ნაცრისფერ კოსტიუმში გამონყობილმა „კაგებეშნიკმა“, გვერდით ოთახში გაიხმო. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გუნებაზე დადგებოდა იგი (ეს „საიურპრიზი“ თავად გაფიორებულმა გიუნთერ ბელიცმა ამცნო სტუმარს). „კაგებეს“ სად აღარ მიუნვდებოდა რვაფეხასავით წაგრძელებული საცეცები, იმ მოგზავნილმა ახმახებმა შავი დღე დაანიეს ნოდარ გურაბანიძეს — როგორ გაბედე ასეთი რამე, ახლავე შეცვალე ხელშეკრულება, გერმანელებმა „პროცესი“ თბილისში თუ ჩამოიტანეს, მაშინ იძულებული გავხდებით იგი მოსკოვშიც ვაჩვენოთ, საკავშირო „ცეკა“ კი ამისი კატეგორიული წინააღმდეგიაო. ამგვარად დააკარგვინეს თბილისელ მაყურებელს უნიკალური შესაძლებლობა გენიალური სპექტაკლის ნახვისა. ასეთი შემთხვევები იმ დროს ერთი და ორი როდი იყო.

ათასნაირი ხრიკებისა და ხელოვნური ბარიერების მომწყობ „გოსკონცერტს“ ნოდარ გურაბანიძე სრულიად სამართლიანად უწოდებს კაგებეშნიკურ ორგანიზაციას; მათი შეფეხი ბერევერ ჰყავს მემუარების ავტორს მხილებული, სააშკარაოზე გამოყვანილი. მაგალითად, საკავშირო კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს, ვინძე ი. პოპოვს ნოდარ გურაბანიძის ითითი დაუქნევია, გააღიზიანებულს უთქვამს — ფედერაციულ გერმანიასთან თქვენი რომანი როდის გათავდებაო. ცინიზმი ამაზე შორს ძნელად თუ წავა.

ნოდარ გურაბანიძე არის ადამიანი, რომელმაც თეატრზე კითხვა დამაწყებინა. მისმა სტატიებმა 70-იანი წლების ქართულ უურნალებში თეატრი თავიდან აღმომაჩინია. უფრო სწორად, (ცნობიერად. (ეს ბატონი ნოდარისთვის რატომდაც არასდროს მითქამს და ალბათ, გაუკვირდება). ველოდებოდი მის წერილებს, წიგნებს, ჩანაწერებს. სახლში ეს ყველაფერი არ გველეოდა. ჩემი მშობლები იცნობდნენ. უყვარდათ. პატივს სცემდნენ. ავტორიტეტი ჰქონდა. ჰქონდა სახელი. მისი ხედვისა და გემოვნების სჯეროდათ. არაორდინარული პიროვნებაა ბევრი თვისებითა და მიზეზით. ცხოვრების წესითაც. დღეს შემიძლია თავს უფლება მივცე და ვთქვა — მეგობრები ვართ.

ყველაფრისთვის დიდი მადლობა, ბატონო ნოდარ!

საუკუნალო წერილის შეზღუდული მოცულობის გამო, ძირითადად ნოდარ გურაბანიძის ერთი წიგნის („ჩემი ცხოვრების თეატრი“) შთაბეჭდილებათა გადმოცემით შემოვიდარგლე, რაც მცირეა იმასთან შედარებით, რის თქმასაც ვაპირებდი ნიჭის უბერებლობაზე.

ნოდარ გურაბანიძის შთაგონებით განათებულ უმშვენიერეს ნაწერებს როცა კითხულობ, შეუძლებელია არ იწყმუნო მეოცე საუკუნის დიდი ფრანგი ფილოსოფოსის უაკ მარიტენის ნათევამი, რომ შემეცნებისკენ და არა პრაქტიკული საქმიანობის, კეთილდღეობისკენ მიმართული ჭვრეტითი გონება ანიჭებს ადამიანს სრულ და უსაზღვრო კმაყოფილებას ღმერთის არსების ინტუიციური წვდომისა და იგი აზიარებს ჭეშმარიტებით ტკბობას.

ასეთ ღვთაებრივ მადლობან წილნაყარობას მიჩვეული ვარ და ყოველთვის ველოდები ჩემი უფროსი მეგობრისგან. თვითონ მისითვისაც ბევრჯერ მითქამს და ვიმეორებ — ნოდარ გურაბანიძის შთაბეჭდილებათა ვება ციკლი „სამყარო თეატრალის თვალით“ (მათი უმრავლესობა დასრულებული, უნატიფერესი ესსეებია და ამჟამადაც გრძელდება) უზარმაზარ სიამოვნებას, უმაღლეს ნეტარებას მგვრის. ეს არამცდარამც არაა ჩვეულებრივი, სახელდახელო ჩანაწერები, არც მხოლოდ „თეატრალის თვალი“. მათში ჩანს უზარმაზარი განათლება და დახვეწილი, არისტოკრატიული გემოვნება — პოეზიის, მხატვრობის, ქანდაკების, არქიტექტურის, მუსიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, სხვა დარგების ზედმინევნითი ცოდნა და სულ ვნატრობ, ისინი ცალკე წიგნებად გამოსული ვიხილო.

ისედაც (შესაფერისი ქველმოქმედი რომ გამოჩდებოდეს), ძალზე სასურველი და საშურია ნოდარ გურაბანიძის მრავალტომეულის გამოცემა. მაშინ იგი მთელი სიმაღლით, სიღრმით წარსდგება როგორც თანამედროვეთა, ასევე შთამომავალთა წინაშე.

## ლელა მჩინეული

მართლაც, დაუჯერებელია, იმდენად შინაგანად ახალგაზრდაა, დღესაც, ბატონი ნოდარი...

მუდამ აჩქარებული მეტყველების მანერა, მუდამ ატაცებული იმითი, რაზეც თავის სტუდენტებს გვესაუბრებოდა... არადა მოსაყოლი ძალიან ბევრი ჰქონდა, ვინაიდან იმ დროისთვის — 1974-75

წლებისთვის, უცხოეთში ბევრი ვერ დადიოდა. პ-ნი ნოდარი კი, რუსთაველის თეატრის ყოველ გასტროლზე, როგორც თეატრმცოდნე, ყოველთვის თან ახლდა. ჩამოჰქონდა უამრავი შთაბეჭდილება და არ იღლებოდა ჩვენთან, ახალგაზრდებთან მათი გაზიარებით. მახსოვს ერთ-ერთი ლექცია, როცა ესპანეთიდან ჩამოვიდა და ყველაზე ძლიერი ემოციური განცდა რაც ეტყობა რომ ჩამოჰყვა – კორიდა იყო! მოგვიყვა, მაგრამ ეს არ იყო უბრალო, უინტერესო მონახებობი, არამედ ეს იყო მთელი „სპექტაკლი“, რომელიც ბატონმა ნოდარმა ჩვენს წარმოსახვას წარმოადგენინა, იმდენად სახიერად და ემოციურად ყვებოდა ტორეადორის და ხარის შერკინებას... ასეთი არაერთი შთაბეჭდილება მახსოვს, რომლითაც გვამდიდრებდა იგი თავისი ემოციური მეხსიერების და არაჩვეულებრივი გადმოცემის უნარით...

ბატონი ნოდარ, 85 წელი ნამდვილად არაფერია, იმიტომ, რომ თქვენ ისევ ისეთივე მოუსვენარი, ისევ ისეთივე კეთილმოსურნე ადამიანად დარჩით, როგორც იყავით მაშინ, როცა ჩვენთან შედიოდით ლექციაზე და როგორც გვახსოვხართ. თქვენ სულს ვერაფერი დააკლო ცხოვრების ორომტრიალმა... ალბათ, ეს თქვენი განსაკუთრებული ბუნების, ხასიათის და ცხოვრებისეული ღირებულების დამსახურებაცაა.

დიდხანს იყავით, რომ თქვენი კეთილგანწყობილი და ამავე დროს ძალიან საინტერესო, საგულისხმო თეატრმცოდნის სიტყვა ახალგაზრდებისთვის და არა მარტო ახალგაზრდებისთვის, მომავალშიც „ისმოდეს“. ეს ძალიან საჭირო და აუცილებელია.

## გარიგა ცულაბა

ბატონი ნოდარ გურაბანიძის პიროვნება ყოველთვის ასოცირდება: კეთილშობილებასთან, სიკეთესთან, უდიდეს პროფესიონალიზმთან.

მისი სახელი იმდენად ძვირფასია თეატრმცოდნეთა მრავალი თაობისთვის, რომ ჩემი ჯერ გამოუქვეყნებელი მოთხოვობის გმირიცაა.

სადაც არ უნდა ვიყო, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას დიდებული პიროვნებების: ვასილ კიკნაძისა და ნოდარ გურაბანიძის ნინაშე.

მათი სულიერების გამონაშექი ცხოვრებას დღესაც იმედითა და რწმენით მიცისკროვნებს.

ბატონი ნოდარის დამსახურებაა ალბათ ისიც, თუ დღემდე რაღაცას ვქმნი და ვწერ.

ეს მან მინინასწარმეტყველა დიდი წარმატება ლიტერატურის სარბიელზე, როცა პირველ კურსზე საკურსო ნაშრომი წარვადგინე.

ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

## დალი ცეკვავა

ბატონმა ნოდარ გურაბანიძემ მსოფლიო თეატრალური კულუარების ფანჯარა პირველმა გაუღო თავის სტუდენტებს. რუსთაველის თეატრის მუდმივ მეგზურს საზღვარგარეთის ქვეყნებში, თავის-თავადი მკეთრი ნიჭით და საინტერესო თხრობით ნათელი შემოქონდა ნაცრისფერ სინამდვილეში. ყველასათვის მისაბაძი პეტრი, ჩაცმის სტილით და ცხოვრების წესით, მძლავრი შინაგანი ძალით, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობით პედაგოგი და ერთგული მეგობარი თაობის სიმბოლოდ იქცა. მისით აღფრთვანებული სტუდენტები და არა მარტო სტუდენტები, პროფესიასთან ერთად ცხოვრებას სწავლობდნენ, ცხოვრებას, რომელსაც სახელად თეატრი ერქვა! სიკეთის მქადაგებელი – სიკეთეს ქადაგებდა! ღმერთმა გაუმარჯოს, სიხარული და მზეგრძელობა არ მოკლებდეს სამაგალითო ადამიანს, ხამდვილ მამულიშვილს, ჭეშმარიტ პროფესიონალს, ბატონ ნოდარ გურაბანიძეს! დიდი მადლობა ბატონი ნოდარ!

## გია კახელი

ბატონი ნოდარი უაღრესად ნიჭიერი, შრომისმოყვარე, მასშტაბურად მოაზროვნე თეატრმცოდნეა. შინაგანი კუნძულისტი მუდამ ახალგაზრდა, თანამედროვედ მოაზროვნე. მან ძალზე საგულისხმო, ღირებული მასალა შექმნა ქართული თეატრისათვის, შემოგვინახა 80-იანი წლების ქართული თეატრალური სამყაროს ძალზე ცოცხალი, ემოციური და სახიერი მატიანე.

## გარიგა ხარატიშვილი

ბატონი ნოდარი ჩვენი კურსის პირველი პედაგოგი იყო თეატრმცოდნებაში. მუშაობა საინტერესოდ დაიწყო. ჯერ პიესების განხილვა-ანალიზი ვისწავლეთ, მერე რეცენზიებზე გადავედით. ბატონი ნოდარი შეხვედრებს გვიწყობდა კოტე მახარაძესთან, რობერტ სტურუასთან და სხვებთან.

ვსაუბრობდით დადგმულ სპექტაკლებზე, ჩანაფიქრის განხორციელებაზე, მომავალ გეგმებსა და სხვა შემოქმედებით საკითხებზე, რაც ჩვენთვის დიდი სკოლა იყო. ბატონი ნოდარი საინტერესოდ გვიყვებოდა სხვადასხვა კოლექტივების საგასტროლო მოზაურობებს, ვისაც თან ახლდა ხოლმე და ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციებს გვანვდიდა, რაც იმ პერიოდში სხვებისთვის ძნელად მისაწვდომი იყო. ჩვენს ლექციებს იუმორიც თან სდევდა. მე, პირველმა დავიწყე კურსზე რეცენზიების გამოქვეყნება. ამიტომ სტუდენტთა აზრის გამოთქმისას მეტყოდა ხოლმე; „აბა, რას გვეტყვის გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტი“ -ო.

### გურაზ მაგრალიძე

ნოდარ გურაბანიძემ თეატრმცოდნის პროფესიას პრესტიუზი და წარმატების ხიბლი შესძინა. მისი შექება თუ მონონება საკუთარი თავის რწმენას გვმატებს, ხოლო მისი წიგნებისა თუ გამოსვლების ენერგეტიკა შემოქმედებით ინსპირაციას აღვიძებს. ესთეტის, ინტელექტუალსა და ეპიკურიელს თეატრის, პროფესიისა და ცხოვრების მიმართ მგზნებარე დამოკიდებულება აქვს. ყველაზე თანამედროვე, ის მუდამ მოვლენების ავანგარდშია და მარადი ახალგაზრდობის საიდუმლოს ფლობს.

**მონაფე და, ვიმედოვნებ, მეგობარი  
თამარ ბოკუჩავა**

### „ღმერთა არ მისცა სიბარის ნიში და დადის ჩვენში - ბებერი ბიჭი“ გიზო ნიშნიანძე

კ ა ც ი - ამ სიტყვის ყველაზე კარგი გაგებით. ადამიანი, რომელსაც არასდროს არ შეშლია, უკომპრომისონ და უტყუარი. თეატრზე უზომოდ შეყვარებული (რამდენიც გნებავთ, იმდენია ჩვენს სფეროში „მოლვანე“ ადამიანი, რომელსაც არათუ უყვარს, არამედ ვერ იტანს თეატრს). ბატონი ნოდარი 85 წლის გამხდარა, არადა, ის ჩვენზე ახალგაზრდა. ზაფხულში ჩიგბურთი, ზამთარში თხილამურები და ასე სპორტული შემართებით გადის დრო. ყველასგან გამორჩეული ზედმინევნით თანამედროვედ ჩაცმული და გარუჯული ბატონი ნოდარი პირველად მისაღებ გამოცდაზე ვნახე, ბრეხტისა და ქართული თეატრის ურთიერთობაზე რა შეგიძლიათ მიამბოთო, მკითხა, მეც მეტი რა მინდოდა. დავიწყე და დავიწყე... დოდო ალექსიძის „სამგროშიან ოპერაში“ მოთამაშე ისეთი მსახიობების გვარები ჩამოვუთვალე, მის შემდეგ რომ თეატრში საერთოდ აღარც უთამაშიათ, მაშინვე ხუთი დამინერა. სალამომდე დამტოვა გამოცდაზე და ყველა აბიტურიენტს რასაც ეკითხებოდა, თუ მან არ იცოდა, მე მაყოლებდა. იმ დღიდან მოყოლებული განსაკუთრებულ სიყვარულს ვგრძნობ მისგან, ერთხელ წამოცდა კიდეც, შენს თაობაში ყველაზე მეტად მიყვარხაორ.

**ძალიან მიყვარხაორთ, ბატონო ნოდარ და მინდა კიდევ დიდხანს ძალიან მაგრად იყოთ!!!**

### ნიკოლოზ ცულუკიძე

ნოდარ გურაბანიძის პედაგოგიური მოღვაწეობა თეატრალურ ინსტიტუტში თეატრმცოდნების ჯეუფისთვის თეატრალური კრიტიკის სემინარით დაიწყო. მაშინ ბატონი ნოდარი კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე იყო და მიუხედავად ამისა, არც ერთი ლექცია არ გაუცდენია. ქართულ სათეატრო ლიტერატურას კრიტიკის სახელმძღვანელო არ გააჩნდა, ამიტომ ბატონი ნოდარის ფანტაზიასაც მიეცა გაქანება — ლექციაზე გვანერინებდა სახელდახელო რეცენზიებს, პორტრეტებს და თითოეულ ჩვენგანს იქვე, ნაწერის ნაკითხვისთანავე, აძლევდა რჩევას, შენიშვნას და რაც მთავარია, ეს შენიშვნები არ ავინყდებოდა. პროფესიული სწავლების თითოეულ ელემენტს ბატონი ნოდარი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდა. ყოველ გამოთქმულ მოსაზრებაში იგრძნობოდა არა მხოლოდ თეატრმცოდნის, ხელოვნებათმცოდნის ღრმა ერუდიცია.

ის მრავალი წიგნის ავტორი, რომელთაგან ერთი — „სამყარო თეატრალის თვალით“ — ერთგვარი თვალის გადავლებაა წარსულისა, რომელიც მრავალ ხელოვანთან აკავშირებდა.

ბატონ ნოდარს ქართული თეატრის დიდი ოსტატების გვერდით მოუწია მოღვაწეობა, — ამანაც განაპირობა მისი ნაშრომების ხარისხი და მნიშვნელობა ქართულ თეატრში. წლებმა არამცთუ რამე დააკლეს, პირიქით, სიბრძნე და სულიერი სიძლიერე შემატეს.

დაე, კიდევ მრავალ წელს ემსახუროს ქართულ კულტურას.

### ნინო მაჭავარიანი

სულ სამი სემესტრი გვასწავლიდა თეატრმცოდნეების ჯგუფს. ახლადგამოსული იყო მისი ერთ-ერთი პირველი წიგნი, „მრავალსახეობა თეატრისა“ და დიდი მოლოდინით ველოდინო გახმაურებული წიგნის ავტორს. ორი კვირა გვალოდინა, თითქოს საგანგებო თეატრალური ეფექტის მოსახდებად (როგორც სტურუას „მეფე ლორს“ ელოდნენ). და, მართლაც მოხსდინა ეფექტი. რომელიმაც სამხრეთული ქვეყნის გასტროლზე ახლდა რუსთაველის თეატრს. ენერგიული ნაბიჯებით შემოძიჯა გარუჯულმა, ულტრამოდურ, კუბოკორულ კოსტიუმში გამოწყობილმა და შესანიშნავი პარფუმის სურნელით აავსო აუდიტორია. სტუდენტები სულ სხვა ტიპის და გარეგნობის პედაგოგებს ვიყავით შეჩვეული და ყველაფერი გვეუცხვა, სრულიად თავისუფლად გამოთქვამდა მოსაზრებებს – პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, ადამიანებზე. ზოგჯერ არცთუ ნორმატიული გამოთქმებიც კი გვესმოდა, რაც შოკში გვაგდებდა, გოგოებს გვაშფოთებდა კიდეც, მაგრამ დღეს რომ მახსენდება, ვეცდები: ცდილობდა გავეთავისუფლებინეთ სკოლიდან გამოყოლილი შებოჭილობიდან, გავთამამებულიყავით.

არასოდეს დაამავინცდება თუ როგორ სახიერად გვიამბო ესპანური ფლამენკოსა და კორიდის ამბები, როგორ მოადგა თვალზე ცრემლი, როცა ხარის მოკვლის სცენა აღწერა და არც ის დაუმალავს – ვიტირე, რადგანაც გამახსენდა ბაბუაჩემი რა სათუთად ექცეოდა თავის ხარის.

გვეშინოდა ბატონი ნოდარის, მისი მწარე, სარკასტული ენის. პირადად მე ახლაც მეშინია... არ ვიცი, მოენონება თუ არა ჩემი ეს წერილი.

## დოდო ხუცილავა

ნოდარ, ძვირფასო, გილოცავ ამ, მართლაც ღირშესანიშნავ იუბილეს. მადლობას გიხდი იმისათვის, რომ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აზიდე ქართული თეატრმცოდნეობა და შენი დაუღალავი მოლვანეობითა და უნიკალური შესაძლებლობებით ღირსება შექმატე მას.

პირადად მე, ბევრი რამ ვისწავლე შენგან და ახლა უნდა გამოვტყოდ, რომ თუკი ვინმესთვის მინდოდა თავის მონონება ჩემი საქმიანობით, უპირველესად ეს შენ იყავი. კვლავაც ველოდები აღტაცების მომგვრელ შენს ნამუშევარს. გკოცნი, მიყვარხარ და მენატრები.

## დალი მუმლაპა

ნოდარ გურაბანიძე ერთ-ერთი ყველაზე ანალიტიკური, პროფესიონალი და მუდამ პროგრესულად მოაზროვნე ოსტატი თეატრმცოდნეა, რომლის ნაშრომები, წიგნები, წერილები არის შაღალი პროფესიონალიზმის გამოხატულება და სამაგალითო მომავალი თაობის კრიტიკოსებისთვის. ნოდარ გურაბანიძეს კიდევ ერთი შესაშური თვისება და პროფესიული უნარი გამოარჩევს სხვა ყველა თაობის კრიტიკოსებისგან, მისი რეცენზიები სცილდება ლოკალურ მასშტაბს და მის მიერ სპეციალის, თეატრალური პროცესის თუ მოვლენის ანალიზი გადმოცემულია ევროპული თეატრის კონტექსტში. მხიბლავს და მომწონს მისი ბოლო პერიოდის გააქტიურება, როგორც მეცნიერული მემკვიდრეობა შექმნა. წიგნები: „მიხეილ თუმანიშვილის თეატრი“, „ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე“ ჩვენს პროფესიაში მოღვანე თაობებისთვის არა მხოლოდ საჭირო და აუცილებელი წიგნებია, არამედ სახელმძღვანელოც.

მინდა ბატონ ნოდარს დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ინტენსიური და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება უსურვი, რადგან ეს პირველ ყოვლისა, ჩვენ, მომავალ თაობას გვჭირდება.

## ლაშა ჩხარტიშვილი

„რა წელა გადის დრო, რა ჩქარა გადის დრო“ - რობერტ სტურუას პოლიკარპე კაკაბაძის მიხედვით დადგმული „ასულნის“ რეფრენად გადევნებული ფრაზა გამახსენდა, როდესაც გავიგე, რომ ნოდარ გურაბანიძე იუბილარია. დაუჯერებელია, მაგრამ ბატონი ნოდარი ოთხმოცდახუთისაა. დაუჯერებელია არა მარტო იმიტომ, რომ დღესაც აქტიურად მუშაობს და ამ ბოლო პერიოდში რამდენიმე შესანიშნავი და რაც მთავარია, ქართული თეატრალური სამყაროსთვის საჭირო წიგნი შექმნა, არა მარტო იმიტომ, რომ აბსოლუტურად თანამედროვედ აზროვნებს, არა მარტო იმიტომ, რომ მასთან საუბარი დღესაც ბევრს გაძლევს და გმატებს, არა მარტო იმიტომ, რომ ყოველთვის უყვარდა და უხაროდა ახალგაზრდებთან ურთიერთობა და მათთვის პროფესიული თვალსაზრისით ხელის გამართვა, იმიტომაც, რომ აქტიურად არის დაკავებული სპორტის სხვადასხვა სახეობით და რაც მთავარია, ჩართულეს უახლეს სათეატრო პროცესებში. მეამაყება, რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრმა“ ბოლო პერიოდში მისი ორი წიგნი გამოსცა: „მიხეილ თუმანიშვილის თეატრი“ და „ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე“. მეამაყე-

ბა, ვინაიდან გარდა იმისა, რომ უბრალო მკითხველისთვისაც საინტერესოა, ორივე ნაშრომი პროფესიონალებისთვის სამაგიდო წიგნად იქცა.

გილოცავთ ბატონი ნოდარ, ჯანმრთელობას და დიდხანს შემოქმედებითად აქტიურ ცხოვრებას გისურვებთ. თქვენ მისაბაზი ხართ ყველასთვის.

## მაკა ვასაძე

ბატონი ნოდარ გურაბანიძის შემოქმედებაში ყოველთვის და ყველა დროს მხიბლავდა მისი ერუდიცია, ევროპულად თავისუფალი და არაორდინარული აზროვნება; მხიბლავდა წებისმიერი ქვეყნის, ესთეტიკის თუ უანრის სპექტაკულების უზუსტესი აღქმის, შეფასებისა და, ამასთანავე, სპექტაკლის სახიერი ხატის გაცოცხლების, აღნერის უნარი. ეს ყველაფერი ლალი და უმდიდრესი ენით არის გადმოცმული მის წიგნებში, ესსეებში, რეცენზიებში, ჩანახატებში, სამეცნიერო თუ ურნალისტურ სტატიებში.

მინდა, აგრეთვე, ალვინიშნო ბატონი ნოდარის განსაკუთრებული ინტერესი და კეთილგანწყობა კოლეგების, მით უფრო, ახალგაზრდა თეატრმცოდნების მიმართ. სწორედ ეს დავინახე მრავალი წლის წინ, როცა ჩემი პირველი წერილი - „ელექტრას მითი თანამედროვე ფრანგულ თეატრში“ მიუტანე უურნალში „ხელოვნება“. იგივეს ვგრძნობ დღესაც!

გმადლობთ, ბატონო ნოდარ! გილოცავთ! კიდევ მრავალი წელი არ მოგვაკლოთ თქვენი კეთილგანწყობა და თეატრალური სტუდიების კითხვის სიამოვნება.

## ირინა ღოღობერიძე

1984 წლის პირველი სექტემბერი ბეჭნიერი დღე იყო ჩვენს ცხოვრებაში, — ნოდარ გურაბანიძის სტუდენტები გაეხდით. სწორედ ჩვენ ვიყავით თეატრმცოდნების ის პირველი ჯგუფი, ვინც ბატონმა ნოდარმა არ მიატოვა. მისი სტუდენტობა კი, საამაყო იყო ყოველთვის, განსაკუთრებით მაშინ, უძრაობის ხაზში. ჩვენთვის ბატონი ნოდარი იყო ნამდვილი „ფანჯარა ევროპისაკენ“, რადგან უსწრაფესად გვაცნობდა უცხოური თეატრალური პროცესების ინოვაციებს, უახლეს წიგნებს, ჯერ კიდევ დაუბეჭდავ წერილებსა და ახალ თარგმანებს, მისსავე ახალ წიგნებსა თუ წერილებს.

ბატონო ნოდარ! გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულსა და არაერთ საიუბილეო თარიღს.

**1989 წლის კურსდამთავრებული თეატრმცოდნების ჯგუფი:**  
**მარა კიცანაძე, თამარ ეუთათელაძე,**  
**ვიქტორ ყუშიაზვილი,**  
**მარია მამაცავილი, ნინო ჩირია.**

ნოდარ გურაბანიძე ქართული თეატრმცოდნებითი სკოლის ერთ-ერთ პირველი წარმომადგენელი - ვასილ კიკნაძის, ალექსანდრე შალუტაშვილის, თენიზ ჯანელიძის, რომლებმაც დიმიტრი ჯანელიძის უდიდესი სკოლა გაიარა. საბჭოთა თეატრმცოდნებისგან განსხვავებით ეს იყო ნამდვილად ეროვნულ ნიადაგზე დამყარებული და ქართულ თეატრზე ორიენტირებული სკოლა, რამაც მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა, ზოგადად, ქართული თეატრის განვითარებაში. თითქმის სამოცი წლის განმავლობაში ნოდარ გურაბანიძის შემოქმედება ქართული თეატრის კვლევას ეძღვნება: ესაა სქელტანიანი წიგნები და გამოკვლევები, თეორიული, თითქმის ენციკლოპედიური ნაშრომები, რეცენზიები. რუსთაველის თეატრის ყველა საგასტროლო მოგზაურობის, მათი საზღვარგარეთული წარმატებების მოწმემ და თანამონანილემ ამ კოლექტივის თანამედროვე ისტორია შექმნა, რაც აისახა მის ბოლოდროინდელ გამოცემებში: „ფანტასტიკური რამაზ ჩხილვაძე“, „რეჟისორი რობერტ სტურუა“, „უცხოური დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე“ და სულ ახლახან გამოსული — „რეჟისორი გიზმ უორდანია“.

ბატონი ნოდარი ყოველთვის მხიბლავდა იმით, რომ ის არის ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელოვნებათმცოდნე, რომელიც არ იფარგლება მხოლოდ თეატრმცოდნებითი სპეციალობით, არამედ სრულყოფილად ფლობს სახითი ხელოვნების ისტორიას, ხელოვნების თანამედროვე თეორიებს, რაც მის გამოკვლევებშია ასახული.

ვულოცავ ბატონ ნოდარ გურაბანიძეს 85 წლის იუბილეს და ვუსურვებ კვლავ ასეთი ახალგაზრული შემართებით გაეგრძელებინოს მოღვაწობა.

## გიორგი ყაჯრიშვილი

წერილები ყოველთვის ყველაზე მეტს ავტორის შესახებ ყვებიან. ნოდარ გურაბანიძის ერთ პატარა აბზაცშიც კი დაინახავთ, თუ რამდენად მრავალმხრივია ის, როგორც ინტელექტუალი და როგორც პიროვნება. მას აინტერესებს ყველაფერი, რაშიც ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმუმი ვლინდება: ხელოვნება, სპორტი, პოლიტიკა... გადმოგცემი უზუსტესი დეტალებით, მოულოდნელი ჩახართებით და მთავარი ემოციური დამოკიდებულებით, რომ მას სჯერა ადამიანის. ეს არის იმედის, ოპტიმიზმის და გულშემატკივრობის სულ უფრო გაიშვიათებული უნარი, რაც შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს.

### თეა კახიანი

ქართულ სათეატრო სივრცეში ნოდარ გურაბანიძის მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი თვისება მასშტაბურობაა. მასშტაბურია მისი ნაღვანის მოცულობა, აზროვნების სიღრმე, ინტერესთა სფერო და კვლევის ობიექტთა გეოგრაფიული არეალი. მის პროფესიულ თვალთახედვაში ყველთვის ხედებინადა ქართული და საერთაშორისო სათეატრო პროცესები, სასცენო ხელოვნების აქტუალური ტენდენციები. აზროვნების წესით, პროფესიული პათოსით, შემოქმედებითი ენერგეტიკით ბატონი ნოდარის საქმიანობის შედეგი ყოველთვის თანამედროვე, პროგრესული და აქტუალურია.

### ზაზა სოჭრომაძე

## ნოდარ გურაბანიძის ახალი ფიგური


გამომცემლობა „ლიტერამ“ გამოსცა ნოდარ გურაბანიძის წიგნი „რეჟისორი გიზო უორდანია“. ნაშრომი შედგება 10 თავისაგან და დართული აქვს რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლების ნუსხა. აქვე უნდა აღინიშნოს მისი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი.

ავტორი არ გაურბის მცირე ბიოგრაფიულ ექსკურსს და მისი დეტალების ანალიზით ადგენს გიზო უორდანიას შემოქმედების გარკვეული დეტალების აქცენტირებასაც. მუსიკალური განათლება დაეხმარა ამ დიდებულ შემოქმედს, დრამატული თეატრების თანაბარი წარმატებით და ერუდიციით ემოღვაწევა მუსიკალური თეატრების სარბიელზეც, გაემდიდრებინა თავისი თეატრალური ესთეტიკა და მუსიკის, ბალეტის, სიმღერის ელემენტების სახით პოლიფონიზმი შეეტანა როგორც კომედიურ, ასევე ტრაგიკულ სპექტაკლებში.

წიგნში ავტორისთვის დამახასათებელი სკრუპულობულობითა და ფართო ხედვით არის განხილული გიზო უორდანიას მიერ დადგმული წარმოდგენები. აგროვნი ამ სპექტაკლებს ხედავს როგორც ქვეყნის იმდროინდელი პოლიტიკური თუ სოციალური ვითარების, ასევე თეატრალური ცხოვრების მიმდინარე აქტიური პროცესების შუქში და ეს ძალიან საინტერესოს ხდის მათ ანალიზს.

გიზო უორდანიამ ქართული თეატრისათვის საკმაოდ რთულ პერიოდში დაიწყო მოღვაწეობა რუსთაველის თეატრი, მაგრამ არასდროს მიუღია მონანილეობა მის კონფლიქტებში. „იგი ნატიფი სულის კაცია, სულით არისტოკრატი... უდიდეს ტკივილს აყენებს მის მიშართ გამოვლენილი სულ მცირე უტაქტობაც კი...“ — ასე ახასიათებს მას ავტორი.

როგორც ვხედავთ, ნაშრომი მაღალი პროფესიონალიზმით ახასიათებს ამ დიდი ხელოვანის შემოქმედებას და ასევე, მის პიროვნულ თვისებებს. ეს არის წიგნი შემოქმედზე, რომელმაც დიდი კვალი დააჩნია თანამედროვე ქართული თეატრის ისტორიას, წიგნი, რომელიც ყოველი თეატრალისათვის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს.



# სამყარო თეატრალის თვალით

ნოდარ გურაშვილი

## „ალებასტრის პრიცესა“

სწორედ ასე, „ალებასტრის პრიცესა“ უწოდა ჯორჯ ბალანჩინმა თავის მუზას და უკანასკნელ სიყვარულს — სიუზან ფარელს, ულამაზეს ბალერინას, მთელი „ამერიკული ბალეტის ხატს“, რომელსაც აღმერთებდა როგორც მოცეკვავეს და თავდავიწყებით უყვარდა, როგორც ქალი, თუმც ეს ორი ცნება - ქალი და ბალერინა — განუყოფელი იყო მისთვის. ამიტომაც, მის მრავალრიცხოვან საყვარლებსა და ცოლებს შორის მხოლოდ ბალერინები იყვნენ.

...ბალანჩინის „ნიუ-იორკ სიტი ბალეს“ თბილისში პირველი გასტროლებისას (1963 წელი), პროგრამა შემომინახავს და მოცეკვავე ქალთა კორდებალეტში სიუზან ფარელის გვარიც ამოვიკითხე, ახლა რომ გამოვითვალე, თვრამეტი წლისა ყოფილა, მამინ მეც ახალგაზრდა ვიყავი და ამ გამოყნებელი, თავბრუდმხვევი სანახაობის ყველა მოცეკვავე ქალი ანგელოზივით მიუწვდომელი მეგონა, იმდენად დახვეწილი, მსუბუქი, სუფთა და ჰაეროვანი იყო მათი ყოველი მოძრაობა და უესტი ბროლივით გამჭვირვალე „სერენადაში“. თან ყველას, როგორც მახსოვეს, თმის ერთნაირი ვარცხნილობა და ერთნაირად ულამაზესი პროფილე ჰქონდა, რომ არაფერი ვთქვათ გამოკვეთილი ფიგურების, განსაკუთრებით ხელების, მიუწვდომელ ჰარმონიულობაზე. სამოც წელს მიტანებული მაესტრო, რომელიც თავის მეშვიდე თუ მერვე ცოლთან, ბალერინა ტანაკვალ ლე კლერკთან, ჯერ გაყრილიც კი არ იყო, როცა ერთდროულად იწვიოდა აგიზგიზებული შემოქმედებითი ცეცხლით და ტრფობის ალით. თავის ქორეოგრაფიულ ხილვები და მუსიკაში მხოლოდ სიუზანის სახეს და სხეულს ხედავდა, მხოლოდ მისთვის და მასზე თხზავდა თავის ქორეოგრაფიულ შედევრს. ასე შეიქმნა მისი ქეშმარიტი მწვერვალი „მოცარტიანა“.

„მოცარტიანა“ მშვიდი ბალეტია, მაგრამ ტექნიკურად ჯოკონხეთურად რთული. იგი დაკავშირებულია ატმოსფეროსთან, განწყობილებასთან, რეპეტიციებზე ჩვენ ორივე საშინლად ვლელავდით. ერთხელ ვუთხარი, ასეთი რამ „მგონია, რომ სამოთხე ასეთი უნდა იყოს“. ამ სიყვების შემდეგ იგი რნენით აღივსო“ (ს.ფარელი).

მეორე ბალეტი, რომელიც მას სპეციალურად დაუდგა, იყო „დონ-კიხოტი“, რომლის მუსიკა დაწერა ნიკოლას ნაბოკოვმა, სახელგანთქმული მწერლის, ნაბოკოვის ბიძაშვილმა და ბალანჩინის ახლო მეგობარმა. მინკუსის მუსიკისაგან განსხვავებით, ეს იყო თანამედროვე და რთული მუსიკა. ბალანჩინი დიდი წნის მანძილზე ფიქრობდა სერვანტების რომანის ქორეოგრაფიულ ენაზე ამეტყველებაზე. ს.ფარელი იკონებს: „რომანი მე არ წამიკითხავს, ძალიან წვრილი შროფტითაა დაბეჭდილი და ძალზე სქელი წიგნია... მე მხოლოდ ვფურცლავდი რომანს და ვეძებდი, თუ სად იყო მოხსენებული ფულსინეა, და... ვერ ვპოულობდი. ბოლოს, ვიფიქრე, ის, რაც სურს ბალანჩინს, იქნება ქორეოგრაფიაში. ამ ოპუსში ჩვენ შემოქმედებითად ვუგებდით ერთმანეთს ნახევარსიტყვით. იგი მუშაობდა სწრაფად (როგორც ეს საერთოდ სჩვევოდა), ოთხ კვირაში მთელი ბალეტი დადგა, თვითონ შეთხას სცენის გაფორმებაც და კოსტიუმებიც. „დონ-კიხოტში“ ვითარდებოდა მთელი ისტორია, რასაც მის სხვა ბალეტებში ვერ შეხვდებით, რამაც პუბლიკა გააოცა. თუმცა, იგი იღვნოდა, რომ მაყურებელს ჰყვარებოდა ბალეტი და არა სიუზეტი. რა თქმა უნდა, „ბი“ ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც უნდოდა. ამჟამად ისურვა დრამატული როლის შესრულება „მწუხარე სახის რაინდისა“. მის გვერდით ყოფნა ჩემთვის კიდევ ერთი საჩუქარი იყო“, მაგრამ ამ საჩუქარს, არა იმდენად სიუზენს უძღვნიდა, რამდენადაც საკუთარ თავს. სწორედ მას უნდოდა სცენაზე სიუზენ ფარელთან ახლოს ყოფნა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დიდი ხანია, რაც აღარ ცეკვავდა და თავისი ჰაბიტუსით სრულად არც შეესაბამებოდა დონ კიხოტის აწონილ და ჩამომხმარ ფიგურას.

მაგრამ, სახელგანთქმულმა მეტრიზემ და ტრიუმფატორმა საბოლოოდ, მაინც, მტკიცნეული მარცხი განიცადა. „მისმა „უნაზესმა მტარვალმა“ ოცდაოთხი წლის დუღსინეამ, „ტობოსის ამ მწყაზარმა გვრიტმა“, ბაზილი ამჯობინა 60 წლის „ლამანჩის ამ მძვინვარე ლომს“ და ცოლად გაპყვა ბალანჩინის მონაფეს, პოლ მეხიას“ - ასე ვწერდი ამ სიყვარულის გამო, თერთმეტი წლის წინათ, უურნალ „ომეგაში“ (№1, 2004. „დიდი ბი“-ს პარადოქსები და ვნებები“).

ბალანჩინი განსაკუთრებით განარისხა იმანაც, რომ მისი მოწაფეები მორის ბეჟართან გაიქცნენ. ლიდი ხნის შემდეგ ს.ფარელმა თავის მემუარებში „მოეჭიდე ჰაერს“ აღიარა: „არ მეგონა თუ ბეჟარის შემდეგ ბალანჩინთან დავბრუნდებოდი, თუმც ჩემი სხეული მოითხოვდა ბალანჩინის გაკვეთილებს, თავისუფალ დროს მე მისი სისტემის მიხედვით ვავრჯიშობდი“, მაგრამ გამოხდა ხანი და შევებულებაში მყოფი, დაბრუნდა ნიუ-იორკში, დაქსნო „New York City Ballet“-ის სპექტაკლს, რომლის პროგრამაში, ახალ ნაწარმოებთან ერთად, იყო ის ბალეტებიც, რომლებშიც სიუზანიც ცეკვავდა... სახლში დაბრუნებისთანავე მოკლე ბარათი მივწერე ბალანჩინს „ძვირფასო ჯორჯი, ამ ბალეტების ხილვა შესანიშნავია, მაგრამ მათში ცეკვა - კიდევ უფრო შესანიშნავი, ნუთუ ეს შესაძლებელია? — მალე დამირეკა ბალანჩინის მდივანმა და მითხრა, ბალანჩინს თქვენთან საუბარი სურს, ვიდრე ევროპაში დაბრუნდებითო. ჩვენ ერთმანეთს ბალანჩინის ბინაში შევხვდით, და მას ერთი ფრაზაც კი არ უთქვამს, აი, ასეთი ტიპისა „ნებას გაძლევთ დაბრუნდეთ დასძი“; მან მხოლოდ ეს სთქვა... „როდის დავინწყოთ მუშაობა. ბარემ, ეხლავე შევუდგეთ. ასე აღსდგა და გაგრძელდა ჩვენი შესანიშნავი საერთო ცხოვრება“.

სიუზან ფარელი მაღალი ზნეობისა და ერთგულების განსახიერება აღმოჩნდა, უარყოფილი სიყვარულის გამო განარისხებულმა ჯორჯმა (მას სიუზანის ცოლად შერთვა ჰქონდა გადაწყვეტილი) შეყვარებული მოცეკვავები, ფაქტიურად, კინწისკვრით გამოაგდო დასიდან. გულნატკენმა სიუზანმა სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ მთელი თავისი მოღვაწეობა და ცხოვრება, თავის დიდ მასწავლებელს და აღმზრდელს მიუძღვნა. ჩამოაყალიბა „სიუზან ფარელის ბალეტი“, რომელიც რეპეტიციებს ვაშინგტონის „კენედი ცენტრში“ ატარებს და მისი რეპეტიური, თითქმის მთლიანად, ბალანჩინის ბალეტებისაგან შედგება. აյ არის ბალეტმაისტერის როგორც ყველაზე სახელგანთქმული, ისე მივინწყებული ბალეტები, მაგალითად, იგორ სტრავინსკის ორი კამერული ბალეტი: Mouvement Pro Gesua do (1960 წელს დადგმული) და Movements for Piano and Orchestra (1957). სწორედ ამ უკანასკნელში შეასრულა ფარელმა თავისი პირველი მთავარი როლი, როცა მოულოდნელად შეცვალა სხვა შემსრულებელი. მაშინ სიუზანი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო და გენერალურ რეპეტიციებზე დაიგვიანა საკონტროლო წერის გამო... „მე მივედი ნ-სთან და შევჩივლე - გამოსასვლელად მზად არა ვარ. მიპასუხა: „ძვირფასო, გამოხვალ თუ არა, ამას მე ვწყვეტ“ - ი. და მე მივენდე მას. მივენდე სამუდამოდ. ძალიან მომზონს ის სიტყვები, რომლებიც სტრავინსკიმ წარმოსთქა სპექტაკლის შემდეგ: „ეს აღმოჩნდა გასეირნება შენობაში, რომლის გეგმა მე შევადგინე. მართალია, შევადგინე, მაგრამ არ დამისრულება“. ბალანჩინის დადგმებით „სიუზან ფარელის ბალეტმა“ მთელი მსოფლიო მოიარა, მიუხედავად იმისა, რომ ხანში შესულს უქირს ხანგრძლივი მოგზაურობა და აღარც ახალი ქვეყნების ხილვა იზიდავს მაინცდამანიც. „მე ყოველთვის ვამბობ „თანახმა ვარ!“ როცა მთხოვენ ბალანჩინის ბალეტების ჩვენებას.

„მე იგი, ახლაც, არც ერთი წუთით არ მავინწყდება. ბევრ რამეზე ისე ვფიქრობ, როგორც იგი ფიქრობდა. მაგალითად, რომ ბალეტი ძალზე ფაქიზი ხელოვნებაა, სადაც თანამედროვე ტექნილოგიები უძლურნი არიან. „ნ“-ც ასე ფიქრობდა - ყველა ცოდნა ჩვენს საქმეში დაგროვილი, ერთი მოცეკვავიდან მეორე მოცეკვავეზე გადადის. მისთვის ბალეტი იყო ცეკვის ყველაზე წმინდა ფორმა. რეპეტიციაზე თვალი უნდა გედევნებინა, გაემორებინა ყველა მისი მოძრაობა, გეცადათ მისი გაგება. ყველაზე პირველი ვერსია მისი „ჩვენებისა“ იყო ის, თუ რა უნდოდა მას უმალვე, ამიტომ მე ვისწავლე, თუ როგორ უნდა გამეგო ყველაფერი მყისიერად, უმალვე. ბალანჩინი ძალიან უფროთხილდებოდა მოცეკვავებს, მისთვის ყველა წევრი დასში ძალზე მნიშვნელოვანი პირვენება იყო. იგი გატაცებით სწვდებოდა ჩვენს არსა, სხეულის ყველა შესაძლებლობას. კარგად იცნობდა, ანუ იცნობდა იმ ინსტრუმენტს, რომელზედაც მოცეკვავე „უკარაც“. განსხვავებით ვიოლინოსა და როიალისგან, რომლებიც შეგიძლია მოათავსო განსაზღვრულ პირობებში, შესაბამის სინოტივესა და ტემპერატურაში, სხეული მოქმედებს განუწყვეტლივ, ყოველგვარი კლიმატ-ტემპერატურის მიუხედავად. სხეული არასოდეს ცრუობს, სხეულის ენა - ყველაზე სუფთა ენაა - ამბობდა. მოცეკვავების წინაშე იგი მოძრაობათა სამყაროს წარმოსახავდა. გაკვეთილებზე გვაიძულებდა გვემოძრავა ხან ნელა, აუტანლად ნელა, ხან კი, პირიქით, უკიდურესად სწრაფად. მიაჩნდა, რომ თუ მოცეკვავეს ძალუძს მხოლოდ სწრაფი ან მხოლოდ ნელი პას შესრულება, მაშინ ხელოვნებაში ერთობ ვინრო კორიდორი ექნებოდა. მას სჭირდებოდა სრულებრივი და თავისუფალი სხეული ცეკვის სივრცეში... მოსწონდა არტისტები, რომლებიც ატარებდნენ დიდ ენერგეტიკას. მაგრამ ტყუილად ნუ შეეცდებოდით იდეალურ მოცეკვავედ მოგეჩვენებინათ თავი. მისთვის რეპეტიციები იყო ლაბორატორია, სადაც მას არტისტის ინდივიდუალობა კი არ უნდა „დაემსხვრია“, არამედ უნდა განვეოთარებინა. იგი უპრალოდ კი არ თხზავდა ქორეოგრაფიას, არამედ ქმნიდა ფილოსოფიურ სისტემას... ბალანჩინის მთავარი პოსტულატი იყო: უნდა იცხოვრო ანმყოთი, ის მომავალს მიაპყრობს მზერას, წარ-

სული კი უკვე წასულია. ასევე ცხოვრობდა იგი, პრინციპით „აქ და ახლა“, არასოდეს ფიქრობდა მემკვიდრეობაზე, თავისი ბარეტების შენარჩუნება-შენახვაზე. მიაჩნდა, რომ ძალიან დიდხანს იცოცხლებდა. „ჩვენ, ქართველები, დიდხანს ვცოცხლობთ“ - ის მიზანი ამბობდა იგი და მე მჯეროდა მისი, ამიტომაც მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი ჩემთვის... ხშირად ვეკითხებოდი: „რა წახეთ ჩემში ასეთი?“ არასოდეს პასუხი არ გაუცია. მე ისე ძალიან მენატრება ბალანჩინი, რომ ჩემი ემოციები უნდაურად გადმოიღვარა ქალალზე. მოგონებათა ჩემი წიგნის სათაური დაკავშირებულია ბალეტ „მედიტაციებთან“ – პირველი ბალეტი, რომელიც მან ჩემთვის შექმნა. ეს იყო რომანტიკულ-ვენებიანი პა-დე-დე ჩაიკოვსკის მუსიკაზე. საშინლად ვერდნობდი თავს „ხილვების“ როლში. სიკვდილივით მეშინოდა მისი, ვკანკალებდი. შევჩივლე „მისტერ ნ-ი, მე წამდაუნუმ მეშლება რაღაც, ძალზე მოუქნელი და ტლანქი ვარ თითქოს. ჩემს გამო თქვენი ბალეტი ზარალდება“. მიპასუხა: „როცა შეყვარებული ხარ, ხშირად ყველაფერს უშნოდ და ტლანქად აკეთებ. მოეჭიდე ჰაერს და აფრინდები“. პრემიერიდან ორიოდე წლის შემდეგ, მან „მედიტაციების“ ყველა უფლება მე გადმომილოცა და მითხრა, „ამ ბალეტში სხვა ბალერინას ნახვა არ მსურსო“. პარტნიორები იცვლებოდნენ, მაგრამ ჩემი პარტია არავის შეუსრულებია. როცა ჩამოვაყალიბე დასი, ჩემს თავს ვუთხარი, სუზან, ნუ ხარ ეგოისტი. უჩვენე ახალ თაობას ეს ბალეტი. ახლა ჩემი დასი ამ ბალეტს ცეკვავს“.

### „გენიალური დილეტანტი“

„პეტიკის“ ავტორი, არისტოტელე ფიზიოგნომიკის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ. წარსულის დიდი მოაზროვნენი და ფილოსოფოსები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ კავშირი ადამიანის გამომეტყველებასა და მის შინაგან სამყაროსან. არისტოტელეს აზრით, განვლილი ცხოვრება ცვლის არა მარტო ადამიანის სხეულს, არამედ მის სულსაც. ფიზიოგნომიკის ამოცანად მას მიაჩნდა სხეულის გარეგნული ნიშნების საფუძველზე სულის თვისებების ამოცნობა. ადამიანის სახის აგებულების შესწავლისთვის რენესანსის ეპოქაში ნაყოფიერად იღვნონდნენ იტალიელები ჯვარი ბატისტე დელლა პოსტა – დრამატურგი, ფილოსოფოსი, ექიმი, ალქიმიკოსი და გენიალური ლეონარდო და ვინჩი. მაგრამ ფიზიოგნომიკის ფუძემდებლად მაინც ითვლება შვეიცარიელი მწერალი, ფილოსოფოსი და მწერალი იოპან კასპარ ლაფატერი, რომელსაც მისი მეგობარი გოეთე „გენიალურ დილეტანტს“ უწოდებდა. 1772 წელს მან გამოსცა ტრაქტატი, რომელმაც შესძრა მოაზროვნე სამყარო. მის „ფიზიოლოგიურ ეტიუდებს“ დიდი გატაცებით კითხულობდნენ პუშკინი, ბალზაკი, დიკენსი, ალექსანდრე დიუმა, ჯეკ ლონდონი, ხოლო ლორდ ბაირონმა საფუძვლიანად შეისწავლა იგი. ჩვენი თანამედროვე ასტროლოგის, ჭეშმარიტი ერუდიტის, ა. გლობას აზრით, ლაფატერი სახეს ყოველთვის ორ განზომილებაში განიხილავდა – ანფასში და პროფილში. ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ანფასი ეს არის ნილბის მსგავსი რამ, რომელსაც ადამიანები „იკეთებენ“ გარშემომყოფათვის, ხოლო პროფილი ცხადჰყოფს მათი მიზნების და ძიებათა მიმართულებას ცხოვრების ლაბირინთებში. მისი თანამედროვენი განსაკუთრებით შესძრა „ტრაქტატში“ ჩამოყალიბებულმა მოსაზრებაში, რომ სახის ნაკეთების მიხედვით შესაძლებელია პოტენციური დამანშვავის ამოცნობა. იგი ამტკიცებდა, რომ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ადამიანის სახეს გადაეკვრება ე. ნ. „სიკვდილის ნილაბი“, რომლის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს ტრაგიკული ფინალის მოახლოვება.

ა. გლობამ საფუძვლიანად შეისწავლა იოპან კასპარ ლაფატერის „ტრაქტატი“. აგრეთვე, უფრო ადრინდელი ტრაქტატები და თავისი ყოვლისმომცველი და ღრმა ასტროლოგიური ცოდნის საფუძველზე (ადამიანის სახის სხვადასხვა სახის შეფარდება პლანეტებთან) გააანალიზა ცნობილი ადამიანების სიკვდილის შემდგომ აღებული ნილბები (პირად კოლექციაში აქვს სამასი ასეთი ნილაბი, მათ შორის: გოეთეს, კრომველის, ნიკშეს, ჰეგელის, მოცარტის, ლევ ტოლსტოის, ლენინის, სტალინის, ტროცკის, ნაპოლეონის ნილბები) და ამ ნილბებში ხშირადაა გამოხატული ადამიანის ხასიათის ჭეშმარიტი არსი და ჩამოვაყალიბა ფიზიოგნომიკის საკუთარი ხედვა. აქვე შევნიშნავ, რომ მისი სტატიი, რომლებიც, გარდა სპეციალური სამეცნიერო გამოცემისა, იბეჭდება პოპულარულ ჟურნალებში „Story“, „ბიოგრაფიები“, „დიალოგი“, „კარავანი“ (სწორედ ამ ჟურნალების წყალობით გავიგებ ბევრი რამ ასტროლოგიაზე) და დიდი ინტერესით იკითხება. ამ შემთხვევაში მკითხველის

ყურადღებას მივაპყრობ ა. გლობას ზოგიერთ დასკვნას. მისი აზრით, პატარა, ღრმად ჩამჯდარი, ნაპერწკალივით მოელვარე შავი თვალები, ხშირი შავი წარბები, დამცინავ ღიმილთან ერთად (მოძღვრალი ტომი ჯონსი) მოწმობს ეშმაკობას, გამჭრიახობას და პარანოიამდე მისულ ეჭვიანობას. ასეთ ადამიანებს აქვთ ცივი და მძლავრი გონება, დაცვენილი გემოვნება, ახასიათებთ სოციალური ელეგანტურობა, მაგრამ აკლიათ ხელგამლილობა. უნდა ითქვას, რომ დაბლა ჩამოშვებული წარბები მოწმობს სიცოცხლის ძალების დიდ მარაგს, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებენ. ასეთი წარბები ჰქონდა სტალინს, რომელიც ცნობილი იყო თავისი უკიდურესი ეჭვიანობით. ...ამოზნექილი, ვინწრო ნიკაპი (ვლადიმერ მაიაკოვსკი) გვამცნობს ადამიანის ავანტიურისტულ სულს, ღრმული ნიკაპზე კი ამხელს პირვენებას, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს სანინააღმდეგო სქესის წარმომადგენელზე. ხშირად ეს არის, თეატრალური ტერმინი რომ მოვიხმოთ, „გმირი შეყვარებული“ („რეიტ ლითოვინი“, რომელსაც ქალი ბრმად არ უნდა ენდოს. ასეთი ღრმული „ამშვენებდა“ მარშალ უშკოვს, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე ქალთან ჰქონდა რომანი გაჩაღებული. ხანდაზმულობისას, ზოგს წარბებს შორის უწვითარდება ორი ვერტიკალური ნაოჭი, ზოგს კი ერთი. ერთხაოჭიანები გამოიჩინება თვითნებობით, სიამაყით, გულევაობთ, იმპულსურობით, საკუთარი აზრის თავზე მოხვევით. აქ გლობა ასახელებს ორ პიროვნებას, ჩერჩილს და ა. სოლუენიცისს, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ყველაფერში მართლები იყვნენ, მათვის არსებობდა მხოლოდ ორი აზრი – საკუთარი და მცდარი აზრი. ამის გამო იყო, ალბათ, რომ ჩერჩილი უკიდურესად უხეში იყო ხელქვეეთების მიმართ, ხოლო საკუთარი სიმართლის უსიტყვით რწმენამ სოლუენიცინი მრავალგზის იხსნა საშინელი ხიფათისაგან. როგორც წესი, ასეთ ადამიანებს ბევრი მტერი ჰყავთ, რადგან სხვისი აზრის შეუწყნარებლობა საპასუხო რეაქციას იწვევს. აი, სტალინს კი, რომელსაც ტირანად მიიჩნევენ, წარბებს შორის ორი ხაზი ჰქონდა, შეეძლო სიტუაციის მარჯვედ გამოყენება, ყურადღებით უსმენდა ოპონენტს, აგრძნობინებდა, რომ მისი აზრი მისთვის მნიშვნელოვანია და ყოველთვის როდი იჩემებდა თავის სიმართლეს. ამიტომ, მისი სვე-ბედი უფრო სვიანი იყო, ვიდრე ჩერჩილისა, რომელმაც ცხოვრებაში მრავალგზის განიცადა აღმაფრენის სიტკბო და დაცემის სიმწარე და, საბოლოოდ, სამარცხინოდ დატოვა პრემიერის სავარძელი.

ა. გლობა აშკარადაა დაინტერესებული სტალინის ფენომენით. აი, რას წერს იგი: „ლაფატერი საინტერესო დასკვნებს აკეთებს სახეზე ყურების დაბლა განლაგებაზე. ამ დასკვნების სიმართლე მე ვირნმუნე ჩემი პრაქტიკის მეოხებით. შემიძლია განვაცხადო, რომ ყურის ნიუარების დაბლა განლაგება ძალიან ხშირად ადასტურებს ჩამომავლობის სიძველეს და მემკვიდრეობით მიღებულ დიდ ნიჭიერებას. გარდაცვალების შემდეგ აღებულ ჩემ ნიღაბთა კოლეგუაში ყველაზე დაბლა განლაგებული ყურები სტალინს აქვს. თუმცა, თითქოსდა, იგი ღარიბი ოჯახიშვილი იყო. მამა – მენაღე, დედა – მრეცხავი. მაგრამ, როგორც ჩანს, მის გვარში არსებობდნენ უძველესი მემკვიდრეობითი ხაზები, რომელთა შესახებაც ჩვენ, უბრალოდ, არაფერი ვიცით. მე ყურადღება მივაქციე იმას, რომ ასეთი ყურები ყველაზე ხშირად აქვთ კეთილშობილი ოჯახის შვილებს. მე მაქვს მეფეთა თუ დედოფალთა რამდენიმე ნიღაბი, მათ შორის ნიკოლოზ პირველის და დედოფალი ვიქტორიასი, რომელთაც ყურები სწორედ ასე აქვთ განლაგებული. სხვის შეცდომებზე სწავლა ყველაზე მეტად ახასიათებთ ასეთი ყურების პატრონებს.“

აქ დავასრულოთ ა. გლობას დასკვნებზე საუბარი, თორემ ძალზე შორს წავალთ.

#### 6. შერეთები — „კამერული თეატრის სპეცი“

1912 წელს მაქს რეინჟარდტის „გერმანული თეატრის“ მიერ მოსკოვში გამართულმა გასტროლებმა იმდროინდელ თეატრალურ სამყაროში ფურიორი მოახდინა. რეინჟარდტი, უპირატესად, დგამდა გერმანულ კლასიკურ დრამატურგიას, შექსპირს და ძველ ბერძნეთა ტრაგედიებს. გახსაუთრებული წარმატება ხვდა მის მიერ დადგმულ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა წარმოშობით ალბანელი, გერმანულებინვანი მსახიობი, სანდრო მოისი (სახელი მოიხვეჭა შექსპირის რეპერტუარში, გამოდიოდა იბსენისა და ლ. ტოლსტიოს დრამებიც), თანამედროვეთა მოწმობით, დიდი ტრაგიკული ტემპერატურით და საოცარი ხმით დაჯილდოვებული არტისტი. თეატრალურ ხელოვნებაში რეინჟარდტის უდიდეს დამსახურებადა მიჩნეული მასობრივი სცენების კომპაზიციისა და დინამიკის თვალისმომჭრელი სილამაზით და ეფექტურობით დადგმა. სპექტაკლში მონაწილე მთელი ეს მასა გარდაქმილი იყო ერთ პლასტიკურ სხეულად, რომელიც ემორჩილებოდა მუსიკას და რიტმს, მყისიერ რეაქციას და მონუმენტურ გარინდებას. ერთობლივი უსტები, სხეულის მოძრაობანი, ასევე ერთობლივი რეჩიტატივები თუ წამოყვირებანი დიდ ზემოქმედებას ახდენ-

და თეატრში მოსულ აუდიტორიაზე. რეინჰარდტის რეჟისურამ განუზომელი გავლენა მოახდინა ეპრობული სცენური ხელოვნების განვითარებაზე და მის გავლენას მრავალი სახელოვანი რეჟისორი ვერ ასცდა, მათ შორის სანდრო ახმეტელიც.

რეინჰარდტი დიდი გულისხმევით არჩევდა მასობრივ სცენებში მონაწილე მსახიობებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მათ პლასტიკას, რიტმის და მუსიკის გრძნობას, თეატრის გამომსახველობას და სხეულის სილამაზეს. „ოიდიპოს მეფეში“ მასობრივ სცენებში მონაწილეთა შორის იყო ახალგაზრდა, ათლეტური აგებულების, რომაული პროფილის მსახიობი, ნ. ნერეთელიც, რომელმაც ამ სცენეტაკლითან ერთად მთელი დასავლეთ ევროპა შემოიარა. რეინჰარდტის თეატრის გასტროლებისას ნ. ნერეთელი სხავლობდა ა. ადაშვილს თეატრალურ სკოლაში და პარალელურად გამოდიოდა სხვადასხვა თეატრის სცენეტაკლების მასობრივ სცენებში. მოსკოვში ჩამოსულმა რეინჰარდტმა მასობრივ სცენებში მონაწილეობისათვის რამდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდა სტატისტი დაიმატა, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, „კასტინგის“ შემდეგ. ასე იქცეოდა იგი ყოველთვის გასტროლების დროს, რადგან მასობრივ სცენებში მონაწილეთა გრანდიოზული შემადგენლობის აქეთ-იქით ტარება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მ. რეინჰარდტი ეწვია ადაშოვის სკოლას („კურსი დრამი ადაშოვა“), სადაც ასწავლიდნენ ვ. კაჩალოვი, ა. სულერშიცე, ე. ლუქსეკი და მრავალთაგან მხოლოდ ნ. ნერეთელი შეარჩია. როგორც ჩანს, გერმანელ რეჟისორს თვალში მოუვიდა ნ. ნერეთელის გარეგნობა, პლასტიკურობა, ჩართო „ოიდიპოსის“ მასობრივ სცენებში და ევროპის რამდენიმე ქვეყანაშიც თან იახლა (სხვათა შორის ადაშოვის სკოლა დაამთავრა გენიალურმა ე. ვახტანგოვმაც). ევროპიდან დაბრუნებული ნ. ნერეთელი, ერთხანს (1913-1916. ნ.) მოსკოვის სამხატვრო თეატრში გამოდიოდა ეპიზოდებში და ე. ნ. „მასოვებში“. 1916 წლიდან კი, მთელი რვა სეზონის მანძილზე, ა. ტაიროვის ხელმძღვანელობით არსებული „კამერული თეატრის“ ნამყვანი მსახიობი იყო. ამ თეატრთან ერთად საგასტროლოდ იყო ევროპის მრავალ ქვეყანაში და სამხრეთ ამერიკაში (ბრაზილია, ურუგვაი, არგენტინა, კოლუმბია). სწორედ ა. ტაიროვის დამსახურებაა, რომ ნ. ნერეთელი, მეორეხარისხოვანი და უსიტყვო როლების შემსრულებელი, პირველი რანგის მსახიობად და თეატრის პრემიერი ქალის, ალისა კოონენის, პარტნიორად იქცა თითქმის ყველა მის ტრაგიკულ რეპერტუარში. როგორც ჩანს, გული რეჟისურისაკენ მოუწევდა, 1924 წელს მიატოვა „კამერული თეატრი“ (კ. მარჯანიშვილის „თავისუფალი თეატრის“ ეს „შეილობილი“), ვისი ნეალობითაც დიდი სახელი მოიხვეჭა და გამოვიდა ახალ ასპარეზზე – რეჟისორობდა მოსკოვის მუსიკალურ და ლენინგრადის კომედიის თეატრებში, მაგრამ ბოლომდე თავისი მსახიობური დიდების ჩრდილში დარჩა (თუმცა, რამდენიმე ფილმშიც გადაიღეს).

„კამერული თეატრიდან“ მისი წამოსვლის გამო, 1924 წლის უურნალი „Жизнь искусства“ წერდა: „ნერეთელი წამოვიდა „კამერული თეატრიდან!“ ჩვენ კი გვგონია, რომ ეს დაუჯერებელი ამბავია. ა. კოონენი და ნ. ნერეთელი ორი სვეტია, რომელზედაც დგას „კამერული თეატრი“ და უცებ, ერთ-ერთი სვეტი გამოვიდა წყობიდან...“

მართლაც, ნ. ნერეთელი ა. კოონენის შეუცვლელ პარტნიორად ითვლებოდა. თვით ა. კოონენი, რომელსაც უცხოეთის პრესა სარა ბერნარსა და ელეონორა დუზეს – ამ ორ გენიალურ მსახიობს, უტოლებდა – აღიარებდა, რომ ნ. ნერეთელი ძალიან მუსიკალური იყო, გემოვნებიანი, პლასტიკური, ცეკვავდა და მღეროდა შესანიშნავად, ჰერნდა მელერი ხმა. მოგონებათა წიგნში, „ცხოვრების ფურცლები“, იგი ვრცლად მსჯელობს ო. უაილდის „სალომეას“ ნოვატორულ დადგმაზე (თავისი მეუღლის, ა. ტაიროვის, ამ სცენეტაკლში იგი მთავარ გმირს, სალომეას, თამაშობდა, ხოლო ნ. ნერეთელი იოქანანს) და საგანგებოდ აღნიშნავს: „Потрясал зал сильный металлический голос. Церетели - Иоканана“

შ. ლეკოვის კომედიაში „უიროფლე-უიროფლია“ ნ. ნერეთელი ა. კოონენთან ერთად შესანიშნავად ასრულებდა მხიარულ დუეტს და ისეთი სიმსუბუქით ცეკვავდა, რომ „В Париже, во время наших гастролей его сравнивали с Нижинским“. დრამატული თეატრის მსახიობის შედარება ბალეტის ამ გენიალურ მოცეკვავესთან ყოველგვარ ქბას აღემატება. „კამერულ თეატრში“ შესრულებული რეპერტუარიდან განსაკუთრებული წარმატებით გამოდიოდა რომეოს (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“), იპოლიტეს (რასინი „ფედრა“) და იბერის (თ'ნილის „სიყვარული თელებს ქვებ“) როლებში. აქ სრულად გამოვლინდა მსახიობის ტრაგიკული ტემპერამენტი, რომანტიკული მგზებარება და დრამატული კონფლიქტის მძაფრი წარმოსახვის ნიჭი.

ნ. ნერეთელი დიდგვაროვანი და მდიდრული ოჯახიდან იყო, მისი ბაბუა ბუხარის ემირი გახდათ. მისი წამდგილი გვარია საიდ მირ ნუდიოარ ხანი. მაშ, საიდან გაჩნდა ქართველი თავადის გვარი? მის გარეგნობაში არაფერი იყო შუაზიური, პირიქით, ტიპიური ევროპელი იყო ქართული იერით. რუსულ სცენაზე მოღვაწე, რუსულენოვანი ხელოვანი, რატომ აიღებდა ფსევდონიმად მაინცდამაინც ქართულ გვარს, თუ იგი, რამენაირად არ იყო დაკავშირებული ამ გვართან? ცნო-

ბილია თუ ვინ იყო მისი ბაბუა, მაგრამ უცნობია ვინ იყო მამამისი. ერთი სიტყვით, მისი ზუსტი წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია. მაგრამ, დავანებოთ ყოველივე ამას თავი. ვიმსჯელოთ მხოლოდ მისი გარეგნული პორტრეტით და მისი მსახიობური ინდივიდუალობით. იგი იყო ჭეშმარიტად სინთეტური ქანიობი. მისი პლასტიკურობა, სიმღერისა და ცეკვის თანდაყოლილი ნიჭი, გამოკვეთილი თეატრალობა მაფიქრებინებს, რომ მის ძალვებში ქართული სისხლი ჩქეფდა. ასეც რომ არ იყოს, რუსეთის ერთ-ერთი, მსოფლიოში აღიარებული თეატრის ისტორიაში სამუდამოდ დამკვიდრდა, მსახიობი ქართული გვარით - ნ.მ.ნერეთელი.

## მაქსიმ გორგაშვილის ცოდნები

1903 წელს მოსკოვის სამხატვრო თეატრში გაიმართა მ.გორგაშვილის „ფსკერზე“, პრემიერა. სპექტაკლს არნახული წარმატება ხვდა წილად. მაყურებელი გაოგნებული იყო სცენაზე განვითარებული ამბებით. ასეთი რამ მანამდე არასოდეს ენახათ: დიდი რეალიზმით, ოსტატობით და დამაჯერებლობით გაითამაშა თეატრმა ე.წ. „ბოსიაკების“ ყოფა-ცხოვრების, ფსკერზე დაშვებული აუტ-საიდერების, „ყოფილების“ (ყოფილი ბარონი, ყოფილი აქტიორი) ხელმოცარული, გაუზედურებული ადამიანების ყოველდღიური ჭირ-ვარამი, მათი ილუზიები და ამაო ძალისხმევა „მაღლა, „ზევით“ ამოსვლისათვის. სოციალურად ასე მძაფრი სპექტაკლი მანამდე რუსულ სცენაზე არ წარმოუდგენიათ. სპექტაკლის პრემიერის შემდეგ გაიმართა დიდი ბანკეტი, სადაც, ამ თეატრის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკომ ბრწყინვალე სადღეგრძელო წარმოსთქვა (საქართველოში დაბადებულსა და გაზრდილს ეს არ შეეშლებოდა!), ხოტბა შეასხა ავტორს, უნიჭიერესი დრამატურგი უწოდა და დიდი წარმატება უნინასწარმეტყველა (რაც ახდა კიდეც) თეატრალური ხელოვნების ასპარეზზე. ალელვებული, გრძნობამორეული და აცრემლებული მ.გორგაშვილი მივიდა ნემიროვიჩთან და უთხრა „ძალიან გთხოვთ, საპასუხო სიტყვაც თქვენ წარმოსთქვითო“.

## რეზისორი დიქტატორები დიქტატორის საშობლოდან

გიორგი (გოგა) ტოვესტონოგოვის სიმკაცრისა და შეუვალობის ამბავი თეატრალურ წრეებში კარგად იყო ცნობილი. როგორც კი დაიკავა ლენინგრადის „დიდი დრამატული თეატრის“ (БДТ) მთავარი რეჟისორის პოსტი, იმ დღესვე დაიბარა თავის კაბინეტში წამყვანი მსახიობები (რომლებსაც უკვე მოესწროთ რამდენიმე სამხატვრო ხელმძღვანელის გაგდება, რის გამოც თეატრის მდგომარეობა აშკარად სავალალო გახდა) და განუცხადა, „თქვენ უკვე „შეჭამეთ“ ჩემი წინამორბედები, იცოდეთ, ჩემი ხორცი არ იჭმევა!“. ორი თუ სამი სეზონის შემდეგ, მაჩანჩალა ნეტ ერთ-ერთი უპირველესი თეატრი გახდა საბჭოთა სივრცეში. მსახიობები კრთოდნენ მის წინაშე, მისი ინტელექტი, ერუდიცია, დიდი შინაგანი ძალა და, ვთქვათ პირდაპირ, გენიალობა, ყველას იმორჩილებდა. მართალი ამბავია: თეატრის რადისტი ყოველდღიურად, რეპეტიციის წინ, რადიოთი აფრთხილებდა მსახიობებს: „გიორგი ალექსანდროვიჩის მანქანა უკვე დაირი თეატრისაკენ“ ... „გიორგი ალექსანდროვიჩი თეატრს მოუახლოვდა“ ... „აი, მანქანა ეზოში შემოვიდა... ის გადმოვიდა მანქანიდან და თეატრის კარებს მიუახლოვდა“ ... აქ წყდებოდა მისი ხმა, რადგან ტოვესტონოგოვი უკვე თეატრში იყო.

ტოვესტონოგოვის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოსწავლე, ახლა 70 წლის რეჟისორი, მოსკოვის ახალგაზრდული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია, კამა გინკასი, ავტორი მრავალი ლირსშესანიშნავი სპექტაკლისა, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ა. ჩეხოვის „შავი ბერი“ (ფესტივალ „საჩქარის“ მეშვეობით, თბილისელებსაც აქვთ ნანახი), თავის მასწავლებელს სტალინსაც კი ადარებს: „სტალინის ეშინოდათ საშინლად და უყვარდათ განუზომლად. ასე იყო გოგასთანაც. მისიც ეშინოდათ და, ამავ დროს, ალტაცებული მისი გენიალური რეჟისორით, განცვიფრებული მისი მძლავრი ნიჭით. თვალებში შესციცინებდნენ, ნეტაც, როგორ შემხედავს, როგორ გამიცინებსო. მაგრამ გოგა უაღრესად თავშეკავებული იყო. მასთან ურთიერთობა ძალიან რთული იყო, მაგრამ არ მახსოვეს ოდესაში ხმა აემაღლებინოს, ან წონასწორობა დაეკარგოს. მასში, ისევე როგორც სტალინში, იყო რაღაც კავკასიური თავდაჭერილობა, მე ასეც ვიტყოდი, ლომის სიმშვიდე, როცა ადამიანი მოშვებულია, მოდუნებულია, მაგრამ თუ გააბრაზებ, ძალუძს მყისიერად თავი მოგაჭამოს და ეს გააკეთოს ყოველგვარი ისტერიკის გარეშე, უბოროტოდ, მარჯვედ და უბრალოდ, უფრო ხშირად, იუმორის მომაკვდინებელი გრძნობით“.

თითქმის ამასვე ამბობს ტატიანა დორონინა, რუსული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი, მოსკოვის მ. გორგაშვილის სახ. სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელი, ოლეგ ბასილაშვილის პირ-

ველი მეუღლე, თვითონაც კარგა მაგარი უხიაკი და თავნება დიაცი. იგი და მისი მეუღლეც, ლენინგრადის „ლენინური კომკავშირის“ დასმი საუკეთესონი იყვნენ, და, როგორც ჩანს, ეს არ გამოჰქმარვია გ. ტოვსტონოვის მახვილ თვალს და გადაწყვიტა ტ. დორონინას თავისი თეატრში მიყვანა. ტ. დორონინა თავის წიგნში „მსახიობი ქალის დღიური“ იგონებს: „ტოვსტონოვთან რომ მივდიოდი, დედამ პირჯვარი გადამწერა. აი, ასე, დედის ლოცვა-კუროთხევით შევედი მის კაბინეტში. როგორც კი დამინახა, უმალვე ფეხზე ჩამოდგა და, ასე ფეხზე მდგარი მელაპარაკებოდა, მე კი არც ველოდი, რომ იგი საერთოდ დამელაპარაკებოდა — მე, დამწყებ მსახიობს, ცუდად და ლარიბულად ჩაცმულს, რაღაც ალუბლისფერი ყელიანი ფეხსაცმლით მისულს. იგი ნარმოუდგენლად ზრდილი მამაკაცი იყო, ყოველთვის ყურადღებიანი, თავდაჭერილი. როცა უსიამოვნონ რამის თქმა უნდოდა, კაბინეტში დაგიბარებდა და იქ გეტყოდა სათქმელს. ერთხელ, ამერიკიდან ახლად დაბრუნებული, რეპეტიციაზე შემოვიდა. სარეპეტიციოში მე და მისი თანაშემწე ვიყავით, ვგითხრა, რაიმე ნაწყვეტი მაჩვენეთო. ბოლომდე უყურა, მერე მე მომმართა: „ტატიანა, გეთაცყა, შემოდი ჩემს კაბინეტში“. შევედი, „თქვენ რომ ბალერინა ყოფილიყავით, თავისუფლად შეძლებდით ოცდათექვსმეტი ფულეტეს შესრულებას“, ასე კომპლიმენტით დაინყო საუბარი, „მაგრამ ამ როლში ოცდათექვსმეტი ფულეტე კი არ მჭირდება, არამედ მხოლოდ ხუთი და, ბოლოს და ბოლოს მე უნდა გავიგო, თუ რას აკეთებთ“ (ტ. დორონინამ და ა. ბასილაშვილმა მრავალი როლი ბრწყინვალედ განასახიერეს გ. ტოვსტონოვის სპექტაკლებში, მაგრამ ტატიანამ ვერ გაუძლო „დესპოტ“ რეჟისორს და მოსკოვში გაიცა, ისევე როგორც, ცოტა მოგვიანებით, უნიჭიერესი მსახიობები — სმოკუნივსკი, ბორისოვი, იურსკი).

სხვათა შორის, რუსთაველის თეატრის მსახიობები რობერტ სტურუას ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად, იმისდა მიხედვით თუ როგორ მოიქცა მათი სამხატვრო ხელმძღვანელი, კულუსარებში სტალინს უნდებენ. ამას წინათ, ერთი საინტერესო ამბავი გაამხილა: არგენტინაში, ბუენოს აირესის თეატრ „სან მარტინი“ დგამდა იუჯინ ა'ნილის პიესას „ელექტრას ძაქები შევნის“. გენერალურ რეპეტიციაზე, რომელსაც, ინერციით, დღესაც „პრაგონს“ უნდებენ, რ. სტურუამ სპექტაკლი შეკვეცა, ამოილო ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდი, რომელშიც შესანიშნავად თამაშობდა იქ ცნობილი და პოპულარული მსახიობი ქალი. სპექტაკლის ეს ეპიზოდი იმის გამო ამოილო, რომ იგი ანელებდა რიტმს და არც კომპოზიციას ერგებოდა. განაწყენებულმა მსახიობმა პროფესიონებში იჩივლა, ხოლო თუ რა ძალაუფლებით და ავტორიტეტით სარგებლობს ევროპაში და ამერიკის კონტინენტზე პროფესიონები, ამის მონებე მე ხშირად ვყოფილვარ. მსახიობი ქალი ჩიოდა - მე დიდი ენერგია და გახარჯე და ჩემი სამუშაო დროის მრავალი საათი მოვახმარე ამ როლის შექმნას. ეს დრო მე შემეძლო უკეთ გამომეყენებინა ჩემს შემოქმედებაში და კატეგორიულად ითხოვდა ეპიზოდის აღდგენას. თეატრის გენერალ-ინტენდანტმა რ. სტურუას უთხრა. ეს მსახიობი მართალია, გთხოვთ აღადგინოთ ეპიზოდი, ნუ დაუპირისპირდებით პროფესიონის. სტურუამ კატეგორიული უარი განაცხადა. ინტენდანტმა, მეორედ, უფრო დაბეჯითებით გაუმეორა თხოვნა, ცოტა უფრო მკაცრი ინტონაციით. რ. სტურუა: „იცით თუ არა თქვენ, რომ მე სტალინის ქვეყნიდან ვარ? - ეპიზოდის აღვადგენ!“ ერთხანს შეცდუნებულ და გაოგნებულ მასპინძელს ხმა არ გაუღია, მერე გასცინებია და გასცლია იქაურობას.

საერთოდ, სტურუა თავის, უკეთ დამთავრებულ, სპექტაკლებს ხშირად ჰკვეცავს, თუკი ხედავს, რომ ეპიზოდი არღვევს კომპოზიციურ მთლიანობას ანდა განელილია დროში. მაგალითად, „კავკა-სიური ცარცის“ წრიდან ამოილო ვრცელი ეპიზოდი: „მოსამართლის არჩევა“, სადაც რ. ჩხიოვაძის აზდაკი სრულიად სხვაგვარად გვევლინებოდა - შავ პალტოში ჩაცმული, შავი სათვალით, თეთრი ნილბითა და შლიაპით. ლაპარაკობდა შეცვლილი ხმით და ბლასტიკურადაც სხვა კაცი იყო. ეს ეპიზოდი გროტესკულად წარმოსახავდა საბჭოთა არჩევნების მთელ სიყალბეს და დეკორატიულობას (ცხადია, მინიშენებით და ქვეტექსტებით). და, საერთოდაც ეპიზოდი ძალზე კარგად იყო გათამაშებული რ. ჩხიოვაძისა და რ. ჩხიოძის მიერ, რეჟისორმა მაინც „განირა“ იგი.

### „ცისფერი“ და „ვარდისფერი“

ავადსახსენებელი ლავრენტი ბერიას საბრალდებო დასკვნაში, სადაც მის მიერ ჩადენილი დანაშაულები და საზიზღარი კაპიტალისტური ქვეყნების სასარგებლოდ მისი „შპიონობა“ იყო მხილებული, ერთ-ერთი ბრალდება ეხებოდა მის დაუცხრომელ ლტოლვას ლამაზი ქალებისადმი. საბრალდებო დასკვნაში გვარ-სახელებით მოხსენებული იყვნენ ის „პუტანები“, რომლებიც, მისმა დამქაშმა, ა. სარქისოვმა, ვერაგულად გააბა დაგებულ მახეში თავისი დიდი შეფისათვის. ამ ქალების უმრავლესობას დამთავრებული ჰქონდა უცხო ენათა ინსტიტუტი, ზოგი „ინტურისტში“ მუშაობდა და ზოგი, მაღალი კლასის სას-

ტუმროებსა და რესტორნებში. ისინი უშიშროების ორგანოებს, ანუ, ბერიას უწყებას, ძალზე ძვირფას და მისთვის საინტერესო ინფორმაციას აწვდიდნენ. ამ საპრალდებო დასკვნას, ნ. ხრუშჩოვის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, საგანგებოდ მოწვეულ პარტიულ კრებებზე და სახალხო თავყრილობებზე იხილავდნენ, რასაც, ზოგჯერ, კურიოზული უხერხელობანი ახლდა. ვასილ კიკნაძეს თავის მოგონებებში მოთხოვბილი აქვს ერთი ამგვარი შემთხვევა, რომელსაც იგი ახალგაზრდობისას შეესწრო. კოლმეურნე გლეხობას ამ „დასკვნას“ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, საღამოს საათებში, „უკითხავდნენ. შრომისაგან ძალაგამოცლილი გლეხობა ძილისკენ იყო მიდრეკილი და ძილ-ბურანში ჩაფლული. როცა მომხსენებელმა ნაიკითხა ფრაზა: „ხალხის მტერს, ბერიას, სურდა კოლმეურნების გაუქმება“, როგორც ჩანს, სწორედ ნინადადების ბოლო ეს ორი სიტყვა მისწვდა მათ ცნობიერებას და უმაღ მხურვალე ტაში დასკცეს..

სხვათა შორის, ახალგაზრდა ქალებთან ურთიერთობის „დასკვნისეული“ კვალიფიკაცია, როგორც დანაშაულისა და სახელმწიფოს დააღმისა, ძალიან არადამაჯვრებული, ერთობ გაზვადებული იყო და თითიდან გამოწვილ ამბავს ჰგავდა, რის გამოც, ჩახედულ ადამიანებში, იგი მხოლოდ ირონიულ ლიმილს იწვევდა. ვინ არ იცის, რომ უხსოვარი დროიდან მოყილებული დადგემდე სახელმწიფოს გამგებელი - იმპერატორები, ხელმინიფები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები მსუბუქი ყოფაქცევის ლამაზ ქალებს შპიონაჟისთვის იყენებდნენ. ზოგიერთი მათგანი (მაგ. მატა ხარა და ოლგა ჩეხევა) საერთაშორისო მასტაბის ფიგურად იქცა და ლეგენდარული ქალის სახელით შევიდა ისტორიაში. აგერ, სულ ახლახანს, გამოვიდა როლანდ დიუმას, საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, მოგონებათა წიგნი, სადაც იგი ასეთ ამბებს ჩვეულებრივად, რაიმე საგანგებო აქცენტის გარეშე გადმოგვცემს. იგი წერს, რომ მას ინცორმაციის მრავალი წყარო გააჩნდა, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო კატია რიუხას (იგივე გოლდფაბი), პარიზში ძალზე ელიტალური, საროსკიპო, რომელიც უმაღლესი რანგის დიპლომატებს ემსახურებოდა. როგორც მოგონებების ავტორი გვაუწყებს, ევროპის მრავალი ქეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლაც არსებობს ე.წ. „ლამის კომფორტის სამსახური“, რომელიც სახელმწიფო ინტერესების არეალში მოხვედრილ დიპლომატებს სთავაზობს „მეორე ბალიშს“, რომლის ფერს „ცისფერს“ თუ „გარდისფერს“, თვით „კლიენტი“ ირჩევს საკუთარი ორიენტაციის მიხედვით.

ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი და მისი თანმხელები „ქაქუჩები“ და „კაკუტები“ ისეთ კოლოსალურ თანხას იხდიდნენ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების სასტუმროებში ცხოვრებისას, რომ მაქვს „გონივრული ეჭვი“, ისინი უარს არ ამბობდნენ „ლამის კომფორტის სამსახურზე“ („რატომაც არა?!“ როგორც იტყოდა პრეზიდენტების დილი). საბოლოო განვლობა და განვლების შესრულება: პიკასოს სახელგანთქმული „გერნიკას“ დაბრუნება ესპანეთში, რაც წარმატებით დააგვირგვინა კიდეც. მიუხედავად ხანდაზმულობისა, საინტერესო აზრებს გამოსთქვამს მსოფლიო პოლიტიკასთან დაკავშირებით. მაგ. მას მიაჩნია, რომ დღევანდელი ქაოსი და განუკითხაობა სირიაში, ერაყში, ლიბიაში, უკრაინაში და ა.შ. დასავლეთმა წარმოქმნა, „განა ლირდა დამხობა ყველა იმ ფსევდოდიქტატურისა, რომელიც ინარჩუნებდა წონასწორობას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში? მე მირჩევნია საქმე მქონდეს ამგვარ „დიქტატორებთან“ და არა სისხლიან ბანდებთან, რომელთა წყალობითაც გამეფდა ანარქია, დაინგრა ყველა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა“. წიგნში „დღიურუბი. 1984-2014“ მრავალი პიკანტური ამბავია მოთხოვბილი, აღნერილია პოლიტიკურად არაკორექტული შეხვედრები კულისებში და კურიოზული შემთხვევებიც. მაგ. ის თუ როგორ გაათენა ლამე უზომოდ გამომტყვრალმა, რუსეთის პირველმა პრეზიდენტმა, წარმოშობით გლეხმა, ბორის ელცინმა, მეფის სანოლში, ვერსალის ტრიანონის სასახლეში.

## ცოლით ცოლი

1980 წლის 20 აპრილს თბილისში ჩამოსული, ერთ დროს პოპულარული დრამატურგი, მიხეილ შატროვი დაესწრო თავისი პიესის „ლურჯი ცხენები წითელ ბალაზზე“ გენიალურ რეპეტიციას რუსთაველის თეატრში. იგი აღტაცებული დარჩა სპექტაკლით, განსაკუთრებით რობერტ სტურუსა რეჟისურით. ამბობდა — „მე თავს დამატყდა უდიდესი ტალანტის გამანადგურებელი ძალა“. იმავე საღამოს, ეს სიტყვები გაიმეორა სატელევიზიო პროგრამა „მოამბეში“. თუმცა ამას ხელი არ შეუძლია ჩაედინა ყოვლად სამარცხვინო საქციელი. მოსკოვში, რუსთაველის თეატრის გასტროლები-

სას, სწორედ მისი განცხადების საფუძველზე, ეს სპექტაკლი, პირველივე ჩვენების შემდეგ, მოიხსნა საგასტროლო რეპერტუარიდან. ამ პირველ ჩვენებაზე სპექტაკლზე მოწვეული იყვნენ ძველი პარტიელები და ვეტერანი რევოლუციონერები, რომლებიც აღმფოთდნენ ლენინის სახის სტურუასეული ინტერპრეტაციით და საპროტესტო წერილით მიმართეს სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საკავშირო კულტურის სამინისტროს. ამ დროს ეს პიესა, დადგმული მოსკოვის ლენინური კომკავშირის თეატრში, სახელმწიფო პრემიაზე იყო წარდგენილი. მ. შატროვი შეშინდა, ნამდვილად არ მომცემენო პრემიას და დაწერა განცხადება, არ ვიზიარებ ამ დადგმის იდეურ შინაარსს და სასურველის, რომ იგი აღარ იქნეს ნაჩვენები მოსკოვში...

მ. შატროვის დოკუმენტურ პიესათა მთელი სერია, ძირითადად, ეხებოდა ლენინსა და მის პარტიულ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.

თბილისში, მისი პიესის გენერალური რეპეტიციის შესვენებაზე, მ. შატროვმა გიგა ლორთქიფანიძეს და მე ერთი სახალისო ეპიზოდი გვიამბო. მოსკოვის სამხატვრო თეატრში ოლეგ ეფრემოვმა დადგა მისი პიესა „ასე გავიმარჯვებთ“ („Так победим“), რომელიც, რასაკვირველია, კვლავ ლენინს ეძღვნებოდა. ო. ეფრემოვმა პირადად სთხოვა კ.პ.-ის ც.კ.-ს გენერალურ მდივანს, ლეონიდ ბრეჟენევს, დასწრებიდა სპექტაკლს. მართლაც, მოვიდა იგი თავისი უმაღლესი კამარილიით. ცხადია, მოთავსდნენ სამთავრობო ლოჟაში. მ. შატროვი: „ლენინის როლს შესანიშნავად თამაშობდა ა.კალიაგინი. არაჩვეულებრივი გრიმი ჰქონდა გაეკეთებული და ზედმინევნით ჰგავდა ლენინს. და, აი, შემოვიდა სცენაზე კალიაგინი. ბრეჟენევმა გადაულაპარაკა ლოჟაში მსხდომ პოლიტბიუროს წევრებს, „ამხანაგებო, ლენინი შემოვიდა, უნდა მივესალმოთ!“ ადგა და ის იყო ტაში უნდა დაეკრა, რომ მ. სუსლოვმა დროულად ჩამოქაჩა „დაბრძანდით, ლეონიდ ილიჩ, ჩვენ თეატრში ვართ“. მე ეს ამბავი უფრო თეატრალური ანეკდოტი მეგონა ბრეჟენევზე, რომელიც იმ დროს უკვე კარგა მაგრად იყო გამოთაყვანებული და მასზე ბევრი ანეკდოტი ვრცელდებოდა. ცხადია, მოგონილი იყო, აბა, ვინ გაიგონა რა ითქვა სამთავრობო ლოჟაში და ვინ გამოიტანა გარეთ ეს ამბავი?! მაგრამ, ანეკდოტი კა არა, თურმე, ნამდვილი, განსაკვიფრებელი ამბავი ყოფილა. სამხატვრო თეატრის მსახიობი და რეჟისორი, ვესკოლოდ შილოვსკი, თავის ვრცელ, საყურადღებო პუბლიკაციაში „უნამუსობის კოდექსი“ („Кодекс бесчестия“), რომელიც, ძირითადად, სამხატვრო თეატრის ორად გაყოფას და ამასთან დაკავშირებულ დრამატულ-ტრაგიკულ ამბებს ეხება, მოგვითხრობს: „დიდი ხანი არ შევჩერდები მიხეილ შატროვისადმი ჩემს დამოკიდებულებაზე. მიმარინა, რომ მისი პიესები სავსეა ისტორიული ფაქტების ფალისიფიკით, მაგრამ ალექსანდრე კალიაგინმა, მართლაც კარგად შესრულა ლენინის როლი. ეს იყო არაჩვეულებრივი სანახაობა. ბრეჟენევის მოსვლისას სამთავრობო ლოჟას KГБ-ს მეცხრე განყოფილება ამზადებდა. მათ, რატომდაც, ისე აერიათ ერთმანეთში მავთულის სადენები, რომ ლოჟაში ნათქვამი ყოველი სიტყვა მშვენივრად ისმოდა დარბაზში. ასე, რომ იმ სალამოს მაყურებელმა ენით აუნერელი სიამოვნება მიიღო. პიესის სიუჟეტის მიხედვით, ლენინი მოდიოდა მომაკვდავი სვერდლოვის სანახავად. რეჟისორის ჩანაფიქრით, საწოლი, რომლის წინ ლენინი იდგა, ცარიელი იყო. კალიაგინი იწყებდა: „აი, ამხანაგო იაკობ მიხაილოვიჩ, განა ასე შეიძლება?..“

— სვერდლოვი სადღაა? — დაინტერესდა ლეონიდ ილიჩი.

— ის აქ არ არის, ეს რეჟისორის ხერხია! — აუხსნა გვერდით მჯდომმა ანდრეი გრომიკომ, პოლიტბიუროს წევრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა.

— ა-ა-ა!

შემდეგ ლენინი ვიღაცას ძალზედ უწყერებოდა, ყვიროდა. კალიაგინის მძაფრი მონოლოგი, რეპიკამ განვიტა:

— კი მაგრამ რა აყვირებს?

— იბრძვის, — ეუბნება გრიმიკო.

— ბელადები არ უნდა ყვიროდნენ — დამრიგებლური კილოთი წარმოსთქვა ბრეჟენევმა, — აი, მე შენ ხომ არასოდეს გიყვირი?<sup>2</sup>

ამას მოსდევს ლენინის საუბარი მუშასთან, რომელსაც გეორგი (ჟორა) ბურკოვი თამაშობდა. ჟორას მეტყველებაში (დიქციაში) პრობლემები ჰქონდა. იგი, მიზანსცენის მიხედვით, მთავრობის ლოჟასთან ზურგით იდგა. ამ დროს გაისმა ხმა.

— არაფერი არ მესმის.

ჟორამ დეციბელი მოუმატა.

— მაინც არაფერი მესმის — დაიჩივლა ლეონიდ ილიჩმა.

მაშინ ჟორამ ზურგი შეაქცია ლენინს და მიმართა ბრეჟენევს. კალიაგინი კი რეპლიკებს ჟორას ზურგს აწვდიდა.

— აი, ახლა კარგად ისმის, — განაცხადა ბრექნევმა.

ამ სცენის შემდეგ, ბრექნევი უცებ წამოდგა და გავიდა ლოჟიდან. ეფრემოვსა და შატროვს კინალამ სისხლი ჩაეჭათ ტვინში. მცირე ხნის შემდეგ გენერალური მდივანი დაბრუნდება და დარბაზს შეატყობინა: „ნოლით ნოლია!“

თურმე ტელევიზიაში უჩვენებდნენ ხოკეის მატჩს (ილიჩი კი ამ სპორტის თავგადაკლული გულშემატკივარი იყო. ნ.გ.) და ანგარიში აინტერესებდა“.

## დიდი რივერა და გარევნა

მექსიკის დიდი, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის, „სერვანტინოს“, გული — გუანახუატო, ერთ-ერთი ულამაზესი და უძველესი ქალაქია, განთქმული თავისი უნივერსიტეტით (ძველებური იეზუიტური ცენტრი), საკონცერტო ამფითეატრებით, თეატრებით, მუზეუმით, დეკორატიული მცენარეებით, ყვავილებით, ავოკადოს მარადმწვანე ხებით და აუზრული ღობით შემოსაზღვრული, მარმარილოს ფილებით დაფარული ვეება მოედნებით და აქ გამართული კარნავალებით. შესანიშნავი მწერალი, კარლოს ფუენტესი, ნერდა: „გუანახუატო მექსიკაში დაახლოებით იგივეა, რაც ევროპაში ფლანდრეა, გული, კვინტესენცა სტილისა და ეროვნული თავისებურებისა“, ხოლო „სერვანტინოს“ ფესტივალთან დაკავშირებით დასტაბბულ დიდტანიან პროსპექტში „მემორია – 82“ მხარის გუბერნატორი მრავალრიცხოვან ხელოვანთ ასე წარუდგენდა ამ მშვენიერ ქალაქს: „ხალხის ყოველდღიურმა მცდელობამ და გონიერმა ხელმა დაამგვანა ჩვენი ქალაქი „თეატრს ცის ქვეშ“, გაიყვანა ქუჩები და შექმნა მოედნები არა მხოლოდ უტილიტარული მიზნით, არამედ, როგორც ცოცხალი გამოხატულება ადამიანური გარემოსი, რომელიც, თავის მხრივ, შემოქმედებითი და კულტურული სულის განსახიერებაა, ქალაქი, რომელსაც განუზრახავს იყოს კულტურის განსახიერება და არა ადამიანთა მცირე ჯგუფის გასართობი ადგილი, უძველად გადაიქცევა ყველა ხალხის ცხოვრების გამომხატველად“.

რუსთაველის თეატრთან ერთად, მე აქ ორგზის (1975 და 1982 წ.წ.) მომიწია ყოფნა და იმ მრავალფეროვანი და საკვირველი მთაბეჭდილებებიდან, რაც აქ მივიღე, საგანგებოდ ალვნიშნაც სახელგანთქმული მხატვარ-მონუმენტალისტის, მექსიკის საამაზო შვილის, დიეგო რივერას სახლ-მუზეუმს, რომელმაც მრავალი ფიქრი აღმიძრა და ბევრიც გამახსენა ნარსულიდან. ეს სახლ-მუზეუმი ვიქტორიანული სტილის პატარა, ორსართულიანი შენობაა, თავისი ამწვანებული პატიოთი. საერთოდ, ასეთი სტილის სახლები პრევალირებენ მექსიკის პატარა ქალაქებში — პუებლა, ლეონე, ტულუკა, აგუას-კალინტეგესი... რეპროდუქციების, ალბომების და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში ექსპონირებული ნამუშევრებით, ასე თუ ისე, ვიცნობდი დიეგო რივერას შემოქმედებას, მაგრამ, რაც ვნახე მეხიკოში, ეს იყო თავზარდამცემი თავისი მასშტაბით და ძალმოსილებით. ისე მოხდა, რომ ორივეჯერ იმ სასტუმროში მოგვათავსეს „რეფორმის პროსპექტზე“ (მისი სიგრძე 18 კილომ-ეტრი იყო 1982 წელს), რომლის თვალშეუდგამი ინტერიერის უზარმაზარი კედლები დიეგოს მიერ იყო მოხატული (ერთი, შედარებით პატარა, კედლები ტამაიოს მოუხატავს).

ეს იყო მექსიკის რევოლუციის მდელვარე დღეების ამსახველი პანო, საიდანაც გვიმზერდნენ რევოლუციის პირქში ბელადები. თავისუფალი ესპანელი კონკისტადორები, მზით გარუჯული გლეხები, სიამაყით სავსე გლეხის ქალები, მრისახნებით სავსე თვალებით (ოქტავიო პაზი ნერდა რომ: „მექსიკელები მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გახდნენ კაცობრიობის თანადროულნი“). მაგრამ, ეს უზარმაზარი პანო მინიატურასავით გამოიყურება აცევეტების სტადიონის მოხატულობასთან შედარებით. სტადიონის მთელ გარსშემონერილ პერიმეტრზე გამოსახული მონუმენტური ფიგურები, ხვეულები, ორნამენტები, მოცულობები ნარუშლელი შთაბეჭდილებით აღავსებს მნახველს. რასაკვირველია, მთელი ამ დიადი ფერწერის შექმნელი და მხატვარ-შემსრულებელთა მთელი კოლექტივია, მაგრამ იდეა, ესკიზები, კომპოზიციები ხომ რივერას ეკუთვნის და მხოლოდ მის სახელთან ასოცირდება ეს ყოველივე?! ამიტომ, ხილულს მხოლოდ მას მიაწერ და გიკვირს, ნუთუ ჩვეულებრივი ადამიანია ამის შექმნელი, რომელსაც მოსდგამს ჰერკულესის ძალმოსილება და მიზანდასახულობა (ასეთი განცდა დამეუფლა მიქელანჯელოს სიქსტის კაპელას მოხატულობის ცქერისას). მართალია, თვითონ დიეგო რივერა დევიზით კაცი იყო, მუდამ წვერმოშვებული, გადმოკარგულული სისხლიანი თვალებით, ნინ ნამიზრდილი მუცლით, დიდი თავით და ძლიერი მკერდით (ყოველ შემთხვევაში ასეთია იგი, ამადეო მოდელიანის მიერ შექმნილ პორტრეტში), მაგრამ, მაინც, ძნელია ნარმოსახვის და შთაგონების ასეთი მასშტაბები ერთ მხატვარს დაუკავშირო. თუმცა, ვისაც უნახავს მეხიკოს განსაცვიფრებელი „ანტროპოლოგიური მუზეუმი“, აქ წარმოდგენილი უზარმაზარი ქვის „მზის საათები“, „კალენდრები“, სარიტუალო ატრიბუტები, სალოცავები,

პირამიდები და სხვადასხვა კულტთან (მზე, მთვარე) დაკავშირებული საგნები, მიხვდება, რომ სამყაროს სწორედ ამგვარმა ფილოსოფიურმა და ესთეტიკურმა აღქმაში განაპირობა დიდი სამეულის - ალფერო დავიდ სიკერიოსის, დიეგო რივერას და რუფინო ტამაიოს მონუმენტური, გრანდიოზული ციკელები, ისტორიულ-ფილოსოფიური სიმბოლოები, აბსტრაქტულ-დეკორატიული ეფექტი, კონტრასტები, ფორმათა დინამიკა და, ბოლოს, საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალული პათოსურობა. მაგრამ, გუანახუატოს სახლ-მუზეუმში სხვა დიეგო ვიხილე, გრაფიკოსი, უანრისტი, ლირიკოსი, პარიზის ქუჩებისა თუ კაფეების ცხოვრებაზე ეტიუდების ავტორი. ამ კონტრასტება გამაოცა. აქვე იყო გამოფენილი მისი პარიზელი მეგობრების - მოდელიანის, პიკასოს, სუტინის, უაკობის, მარევნას მიერ ნაჩუქარი ფერწერული და თუ გრაფიკული სურათები. ამ საქვეყნოდ ცნობილი მხატვრებიდან, ჩვენი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილია სახელი მარევნასი, რომელიც დიეგოსათვის გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მეგობარი.

მარია ბრონესლავის ასული ვორობიოვ-სტებელსკაია (მარევნა) იყო თვალნარმტაცი, ეგზოტიკური გარეგნობის ქალი, ძალიან თამამი, გამომწვევად თავისუფალი ქცევების, მხატვრების ე.ნ. „პარიზული სკოლის“ თვალსაჩინო ნარმობადგენელი, იმპრესიონისტი და პუანტელისტური სტილის მიმდევარი. დაიბადა რუსეთის პროვინციაში (ჩუვაშეთი), დედამისი მოხეტიალე დასის პრიმადონა იყო და ერთობ უხვალთიანი დიაცი, ძლიერი სქესის ნარმობადგენლების მიმართ. ორი წლის მარია იმვილა (რაღა იმვილა, ნამდვილი მამა იყო) მდიდარმა პოლონელმა არისტოკრატმა, ბრონესლავ სტებელსკიმ. უცნაური კაცი იყო ეს სტებელსკი, თავგადაკლული მონადირე, დუელიანტი, პოკერისტი, ხელგაშლილი. მარიას ბიჭურად ზრდიდა, ასწავლა სროლა, ჯირითი, ცივი იარაღის ხმარება. უკვე მოსწრებულ გოგონას შთააგონებდა: „მე მინდა შენ გამოხვიდე არწივის მართვე და არა დედალი ქათამი“. მალე ბრონისლავი თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ და საცხოვრებლად. მარია თბილისის გიმანაზიაში სწავლობდა, ქართულად ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ ბუნებით თამამი ქალიშვილი, არ უფრთხოდა შეცდომებს და რუსულ აქცენტს. გიმნაზიაში ხატვასაც ასწავლიდნენ და მარია ძალიან მუყაითად შეუდგა ხატვის ხელოვნების კანონების ათვისებას. ეს ქალა-ბიჭი, რატომდაც, უცნაურ ფიგურებს ხატვდა, ქიმერებს, ეშმაკეულებს, ალქაჯებს, ურჩხულებს. ყველა ამ ნახატში ამოიცნობოდა მისი პედაგოგები, მაგრამ ვინ იყო ისეთი სულელი, ელიარებინა, მე მგავსო. პირიქით, უქებდნენ ნიჭს, სამყაროს უცნაურ ხილვებს და დიდ მომავალს უზინასწარმეტყველებდნენ. ბ.სტებელსკიმ ქალიშვილი სასწავლებლად მოსკოვის, სტროგანოვების განთქმულ სასწავლებელში გაგზავნა, შემდეგ რომში. იტალიაში ყოფინისას ხმირად სტუმრობდა კუნძულ კაპრზე მცხოვრებ მაქსიმ გორგას და „რუსულ კოლონიას“. გორგის ვაჟიშვილს, იური შელიაბუჟესკის, უმალ შეუკარდა ეს ლალი ქალიშვილი და რომანის გაბამაც სცადა, მაგრამ ამ დროისთვის - 1911 წელია - არც მაქსიმ გორგი იყო ჯაბანი და თავის მხრივ, ვნებაალდრული, ცდილობდა მარიას მოხელთებას. მაგრამ, თუ მარიას მოგონებებს დავუკერებთ, მამა-შვილს ხელი მოეცარათ. „რუსული კოლონიის“ ხმიარულების, ზეიმის, სიყვარული და ვნების მორევში გადაეშვა მომზაბლავი მარია, მაგრამ კაპრის მშვენიერი პეზიაჟების ეტიუდებისთვისაც პოულობდა დრო. მ. გორგიმ ურჩია, არტისტულ ფსევდონიმად აეღო — მარევნა. კაპრის შემდეგ პარიზს გაემგზავრა, უმალვე მოდერნისტული მხატვრების გარემოცვები აღმოჩნდა, გაიცნო და დაუახლოვდა ყველა ახალგაზრდა გენიოსს, ბინა დაიდო მათ „ბუნაგმი“ — მდინარე სენის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სახლში - La Ruche. პირველხანებშივე დაუხლოვდა პოლონელ კისლინგს, რუსეთი-დან გამოქცეულ ხამი სუტინს, ფუტურისტი ილია ერენბურგს, სკულპტორსა და პოეტს მაქსიმ ვოლოშინს (მასთან რომანი ჰქონდა). ერენბურგი ეუბნებოდა „თქვენ ერთდროულად გევზართ დაცემულ ანგელოზს და ეშმაკეულს, შლეგს, მოუთვინიერებელ ძე ვეფხვს“. „იგი ძალზე ეგზოტიკურად გამოიყურებოდა, მაგრამ იყო გულუბრყვილო, მიმნდობი, სიმართლის მოყვარული, პირდაპირი და პატიოსანი (იხილე მისი „ადამიანები, წლები, ცხოვრება“). პირველი მსოფლიო ომის წინ, „ბოჰემა“ გადავიდა მონპარნასზე, კაფე როტონდაში, სადაც თავს იყრიდნენ, როგორც „რუსი პარიზელები“ - ბ.სავინიკოვი, ბალმონტი, შაგალი, ვოლოშინი, ტროცკი (ჭადრაკს ეთამაშებოდა კანდინსკის) - ასევე „პარიზული სკოლის“ რჩეული - პიკასო, ბრაკი, სუტინ, მოდელიანი, ცადკინი (უკვე მარევნას საყვარელი), პოეტები - აპოლინერი, მაკს უაკობი, უან კოკტე. ერთხელ „როტონდას“ ჩარლი ჩაპლინი ეწვია და „ბოჰემაშ“ მხერვალე ოვაცია გაუმართა მას... მოვიდა ლენინიც... „ბოჰემა“ სდუმდა. მშიერ-მწყურვალი მოდერნისტები კარნავალური თავაშვებულობით ცხოვრობდნენ და თავდავიწყებით ხატავდნენ. მარევნა ამ კარნავალის მგზნებარე მონაწილე იყო, „მე ვიყავი თავზე ხელალებული ყაჩაღანა, მეჯლისებზე თუ შეხვედრებზე მივდიოდი კაცურად ჩაცმული, მაღალსაყელოიან შავ ჩექებში, გალიფეში, თბილისიდან წამოლებულ ფაფახში გამონებილი. ბევრს მოგზნდა, ხმირად, ძალიან ბევრს. არ ვერიდებოდი სკანდალებს, ხმირად გადამიბრუნებისა მაგიდა, მასპინძლების ვაიუშველებელზე გულიანად ვხარსარებდი“. მარევნა საყვალითაო ყურადღების ცენტრში იყო როგორც მშვენიერი ქალი, მაგრამ ჩრდილში იდგა როგორც მხატვარი. 1919 წელს მარევნა აბსოლუტურად უსახსროდ დარჩა. მისმა მონადირე მამამ, პაროქსიზმის შემოტევის დროს, პირში ჩაიდო

ორლულიანი თოფი და... ქალი იძულებული გახდა ეცხოვრა ისე, როგორც ყველაზე ლარიბ-დატაკი ემი-გრანტი მხატვრები ცხოვრობდნენ, ანუ „როტონდას“ მფლობელის, „მამილო ლიბიონის“ ხარჯზე. მარევნა ხანდახან, „მოწყალების სახლში“ იკვებებოდა, ვიდრე გულმოწყალე იტალიელმა ქალბატონმა, როზა ლია ტობიმ (ისიც მხატვრობისა და მხატვრების თაყვანის მცემელი იყო. გონებას ჰკარგავდა ულამაზეს ამადეო მოდელიანზე და მისი ხათრით მზად იყო ყველა მისი მეგობარი დაეცურებინა) არ შეიფარა. სწორედ როზა-ლიას დუქანი მოხდა მარევნას საბედისნერო შეხვედრა დიეგო რივერასთან.

მარევნას მოგონებებიდან: „აი, შემოვიდა უზარმაზარი ტანის დიეგო, ლიპიანი, მსუქანი ვნები-ანი ტუჩებით, წყლიანი თვალებით, ეცვა საღებავებით მოთხვრილი ტილოს ლურჯი შარვალი, იგი ნამდვილ მავრს ჰყავდა და წარმოუდგენლად მომხიბლავი იყო“. ამ დროისთვის დიეგო უკვე სახელ-მოხვეჭილი მექალთან იყო, მის დანახვაზე ქალებს გული ულონდებოდათ, მეყსეულად აფეთქებული ვნებისა და ნდომისაგან. იგი უკვე ცოლიანი იყო. მაგრამ, იგი უყვარდა არა მარტო ქალებს, არამედ პოეტებსა და მხატვრებს. დიეგო სიკეთისა და სიყვარულის ვულკანი იყო, ხელგაშლილი, მოქეიფე, ამბების არაჩვეულებრივად მომთხოვნობ. მას შემდეგ რაც მექსიკის ქალაქ სან-კარლო-სის სამხატვრო აკადემიაში ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის გრანტი მიიღო, ბრიუსელში გაიცნო რუსი მხატვარი ანგელინა ბელოვა, მასთან ერთად ჩამოვიდა პარიზში და 1914 წელს, ბერტა ვალის გალერეაში გამართა პერსონალური გამოფენა. ანგელინაც უაღრესად კეთილი ქალი აღმოჩნდა და ამიტომაც ახალგაზრდა მხატვრების „ბანდა“ ხშირად სტუმრობდა დიეგოს სახელოსნოს, სადაც ღვინო და პურმარილი ელოდებოდათ.

ერთხელ დიეგომ მარევნა სახლში დაპატიჟა, მაგრამ ქალმა რაღაც ენით აუხსნელი უხერხულობა იგრძნო და გადაწყვიტა, რომ ხშირად არ შეხვედროდა. მიუხედავად იმისა, რომ „ჩემს ირგვლივ მორიალე მამაკაცებიდან ყველაზე მეტად მომწონდა დიეგო. ყურადღებას არ ვაქცევდი არც მის ბრტყელტერფიანობას, არც მის ლიპს და არც მის ფეთხუმობას. აღტაცებული ვიყავი მისი დიდებული, თითქოს, სარაცინის, თავით, წინ წამონეული თვალებით, რომელიც ხანდახან ცეცხლივით გიზგიზებდა, მომწონდა, როცა მისი სახე ფითორდებოდა და მერე აბრიალდებოდა. როცა ის ლაპარაკს იწყებდა, ყველა ჩუმდებოდა, იმის გამო კი არა, თუ რას ლაპარაკობდა, არამედ როგორ ლაპარაკობდა“. შემდეგ, მარევნას სულში სიყვარულთან ერთად გაიღვიძა სიბრალულის გრძნობამ, როცა შეესწრო ამ ვეება კაცის წარმოებას ავი ზნის შემოტევის შემდეგ... საინტერესო ამბავს ჰყვებოდა, უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და მოთლად გაფითორდა, სახე გაეყინა, თვალის გუგები გადმოუტრიალდა, გონება დაკარგა და ძლივს მოასულიერეს. მთელი ათი წელი კეთილი ანგელინა უდრიტვინველად უვლიდა ავზნიან მეუღლეს. იცოდა მისი დაუცხრომელი ცხოვრების ამბები, მაგრამ მშვიდად იყო, იმედი ჰერცენდა, დიეგო მაინც მიუბრუნდებოდა. ანგელინა გრძნობდა, რომ დიეგოს ვნება უკვე მარევნა-სადმი იყო მიმართული. ერთხელ, ერენბურგი, პიკასო და მარევნა სახელოსნოში ენვივნენ დიეგოს. წასას ვლელად რომ მოემზადნენ, რივერამ თქვა: „მარევნა ძალიან გაციიებულია, მისი სახელოსნო კი ნამდვილი საყინულეა, ამაღამ დარჩეს ჩემთან, ასე აჯობებს“. ღამით, ძილბურანში, მარევნას ასეთი დიალოგი ჩაესა: „მე მიყვარს მარევნა და უძლური ვარ ამ სიყვარულის წინაშე. ანგელინა, ეს ამბავი შენ უნდა უთხრა, მე ამას ვერასოდეს შევძლებ“. „კარგი, კარგი დაწყნარდი - წყნარად წარმოსთქვა ანგელინამ — ნუ ღელავ, მოვაგვარებ ყველაფერს, ახლა კი დაიძინე, თორემ გააღვიძებ და შეშინდება“. დილაუთენია მარევნა გამოიპარა დიეგოს სახელოსნოდან. ანგელინა ამ დროს ფეხმძიმედ იყო. მარევნა გაურბოდა დიეგოს, მაგრამ ერთხელ, წვეულებაზე მოიხელთა ძლევამოსილმა მამრმა. ცარიელ ოთახში გაიყვანა, შამპანიურით გაავსო თრი თასი, შემდეგ თრივეს სისხლის წვეთები შეურია სასმელს და შესვეს. „ეს ინდური რიტუალია, რომელიც ჩვენ შეგვაერთებს მრავალი, მრავალი წლის მანძილზე. სამუდამოდ“. ანგელინა ავადმყოფობდა. ბედნიერი წყვილი კი ლაპად დასეირნობდა პარიზის ქუჩებში და ლუვრის დარბაზებში. დიეგომ გააცნო მატისი, აახლოვებდა გალერიისტებს, მოდიოდა ქალის სახელოსნოში, აძლევდა რჩევებს, უყვებოდა მექსიკურ მითებზე და ცხოვრებაზე. მარევნა თანდათან ეფლობოდა მისი ზეგავლენის მორევში. ამ დროს მისი ყოფილი საყვარელი ვოლოშინი გამოეცხადა „რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა. ახლა იქ თავისუფლებაა. მე მივდივარ! ნამოდი შენც!“ მარევნამ, მოულოდნებლად, გამოსავალი იპოვა და დაეთანხმა, მაგრამ აქ საქმეში ჩაერია პიკასო: „არ წახვიდე, ჩვენ შენგან შევექმნით ნამდვილ მხატვარს და არაფრით ნაკლები არ იქნები მარი ლორანსზე“. ამ სიტყვებმა გადააწყვეტინა ქალს პარიზში დარჩენა. მალე ილია ერენბურგი ენვია: „ყური დამიგდე მარევნა! გუშინ, საღამოს, გამომეცხადა დიეგო. ეს კაცი სულ მოთლად გადავიდა ჭურიდან. კინაღამ მომკლა. ხმამაღლა მოსთქვამდა. შენ უნდიხარ თავდავინებით, გეფიცები. გიუდება შენზე. გამაგებინე, რა ხდება თქვენს შორის? აქა მაქს მაგის წერილი, მომისმინე: „დვირფასო ილია! მე მიყვარს მარევნა და ეს ანგელინამაც იცის. მეტი აღარ შემიძლია ჩემ ცოლთან ცხოვრება, ის ჩემი ცოლი აღარ არის. ახლა იგი ფეხმძიმედა. ეს მან სპეციალურად

გააკეთა, რათა მასთან დავრჩენილიყავი. მე მისი ძალიან მადლიერი ვარ. იგი ყოველთვის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. მაგრამ ახლა, ყველაფერი დამთავრდა. არ შეიძლება ეს კიდევ დიდებანს გაგრძელდეს. მარევნა ან აქედან უნდა გაემგზავროს, ან დარჩეს ჩემთან. ანგელინა გაყრაზე თანახმა“. ერენბურგი: „გამხსნევდი მარევნა, ასეთ სიყვარულს შენ ვეღარასიდეს ვერ ეღირსები. ისე, გულწრფელად რომ ვთქვა, ამ დიეგოს კარგი გემოვნება ჰქონია“... შეყვარებულებს ბეჭნიერი თაფლობის თვე დაუდგათ, სიყვარულთან ერთად, ორივეს დიდი შემოქმედებითი აღმაფრენა ეწვიათ, ერთად მუშაობდნენ სახელოსნოში, ერთად იფინებოდნენ, მაგრამ ძნელზე ძნელი აღმოჩნდა ამ კაცთან ცხოვრება. გაშმაგებული ტემპერამენტი, სიგიჟის შემოტევები, მძვინვარე ეჭვიანობა (ეჭვიანობდა პიკასოზე და ერენბურგზე) სტანჯავდა ქალს. ერთხელ ცოლ-ქმარი ქუჩაში შეხვდა პიკასოს. ცბიერმა პიკასომ, ვითომ შემთხვევით, ხელი შევალო მარევნას ძუძუს. სახელოსნოში დაბრუნებულთა შორის გაიმართა სკანდალური სცენა. ქალმა გადარეულ დიეგოს უთხრა: „მე მასთან არ ვყოფილვარ, სამწუხაროდ“. ისედაც გადარეული, სულ მთლად გადაირია, დაკარგა გონება, სტაცა ხელი დანას და ყელში გამოუსვა... ქალი სისხლში ცურავდა. გადარჩა... მონანიება, კვლავ ჩხუბი, ერთმანეთის ლაბძლვა-გინება, სიყვარული; ცემა-ტყეპას ენაცვლებოდა კოცნა-ალერს. ერთი ასეთი გააფორებული შეხლა-შემოხლა ლოგიბში გაგრძელდა დაუოკებელი სექსით. კულმინაციურ მომენტში მარევნამ საგულდაგულოდ გადამალული დანა ზურგში ჩასცა დიეგოს (გამოადგა მამამისის გაკვეთილები). ასე რომ, ამ სიყვარულის კვალი შრამად დარჩათ ორივეს - ქალს ყელზე, კაცს ზურგში. გაუჩნდათ ქალიშვილი, მარიკა. მეორე მსოფლიო ომის დროს საშინელ სიდუხფირეს განიცდიდნენ, მიეძალენ ალკოჰოლს და ნარკოტიკებს. ერთხელ გათრიაქებული მარევნა მეორე სართულიდან გადახტა, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა. დიეგოს მობეზრდა მარიკასთან და მარევნასთან ცხოვრება და მალე მიატოვა ისინი. დაბრუნდა მექსიკაში, შეირთო ულამაზესი ქალი, მალე ისიც მიატოვა და სხვა, კიდევ უფრო მშვენიერ ქალზე დაქორწინდა. როგორც ჩანს, დიეგოს, ქალის სიყვარულის გარეშე ცხოვრება და შემოქმედება არ შეეძლო, მაგრამ ვინც უყვარდა, ყველას უღალატა. უყვარდა კომუნიზმი, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, მასაც უღალატა, მხოლოდ მხატვრობისთვის არ უღალატია. გარდაიცვალა 1957 წელს. დატოვა უზარმაზარი მემკვიდრეობა. დასაფლავებულია მექსიკელი გენიოსების გვერდით, როტონდაში, სამოქალაქო პანთეონ „დოლარესში“.

მარევნა? მისი ფერწერა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, მონანილეობდა პარიზის პრესტიულ გამოფენებში „შემოდგომის სალონი“. მისი ქალიშვილი მარიკა, რომელსაც დიეგომ, ბოლოს და ბოლოს, მისცა თავისი გვარი, ჯერ ცეკვავდა აისიდორა დუნკანის დასში, შემდეგ (ცნობილი ბალერინა და კინოვარსკვლავი გახდა. მისი ძალისხმევით, 1971 წელს, გაიმართა მარევნას დიდი გამოფენა უენევაში, 2004 წელს კი მოსკოვში, „ტრეტიაკოვის გალერეაში“, მანვე გამოსცა დედამისის „მემუარები“ (2005წ.). მარევნა გარდაიცვალა 1984 წელს, ინგლისში, სადაც იგი ბოლო წლები ცხოვრობდა. დიეგო რივერა, მიუხედავად ყველაფრისა, სამუდამოდ დარჩა მის გულში, ჩვენ კი დავამთავროთ ეს ეტიუდი ისე, როგორც მთავრდება მარევნას „მემუარები“: „ეს იყო დიდებული დრო. ახალგაზრდობით ალძრული გრძნობა აღტკინებისა... სიხარული, გამოწვეული იმის გამო, რომ ეკუთვნი საყოველთაოდ აღიარებულ მხატვართა ჯგუფს, რომელთაც ერთი მიზანი და ერთიანი ამოცანები ამოძრავებთ. მხოლოდ ჩვენი გამოჩენაც კი პარიზის ქუჩებში ყველას ყურადღებას იპყრობდა. როგორც წესი, წინ, მტკიცე ნაბიჯით, მექსიკური ხელჯოხის ქნევით, მიდიოდა უზარმაზარი, წვერმომვებული დიეგო რივერა. შემდეგ მე — ვარდისფერი იტალიური თავსარქმელით, ველოსიპედისტის ბრიჯებით და მამისეული წამოსასხამით, წელზე შემორტყმული ფართო ქამრით, თეთრ წინდებში და შავ ფეხსაცმელებში. შემდეგ, მოდილიანი, აღორძინების ეპოქის თვალისმომქრელი კულულებით, ბილომდე ჩახსნილი პერანგით და წიგნით ხელში. მას მოსდევდა ხაიმ სუტინი, თვალებამდე ჩამოშვებული შავი თმით, შემდეგ ცხენისთავიანი ერენბურგი და ლომისთავიანი ვოლოშინი, პიკასო, მაქს ჟაკობი“.

# გიგა ჯაფარიძის ვარსკვლავი ოცნები

რაჭა. საქართველოს ამ მადლიან კუთხეში არაერთი ღირსეული შვილი შობილა, არა ერთ რაჭველ კაცს გაუწევია დიდი სამსახური თავისი კუთხისათვის. გიგა ჯაფარიძე იმ ღირსეულ მოღვაწეთა რიგს განეკუთვნება, რომლებმაც რაჭის ცხოვრებას დიდი ამაგი დასდეს. ამ ჩინებულმა შემოქმედმა მთელი თავისი ნიჭი, უშრეტი ენერგია მშობლიურ რაჭველებს მოახმარა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს თეატრალურ რუკაზე ონის თეატრიც ფიგურირებდა. თუმც სახალხო თეატრი იყო, მაგრამ მის სპექტაკლებს არც მაყურებელი აკლდა, არც პროფესიონალ კრიტიკოსთა შეფასება. ამიტომ წარუშლელია გიგა ჯაფარიძის კვალი რაჭის ცხოვრებაში — ეს ის შემოქმედი გახლდათ, რომელიც თავის კუთხეს ამშვენებდა და ასახელებდა.



სწორედ ამით გახლდათ განპირობებული ის, რომ 17 ოქტომბერს ონის სახალხო თეატრთან გიგა ჯაფარიძის ვარსკვლავი გაიხსნა. ცერემონიალზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, არა მხოლოდ მათ, ვისაც უგემნია გიგა ჯაფარიძის მიერ განეული შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, ისინიც მოუიდნენ, ვინც ამ ქვეყნად გიგა ჯაფარიძის წასელის შემდეგ გაჩნდა, მაგრამ სმენიათ თუ რაოდენ ამაგდარი კაცი დააბიჯებდა რაჭის მიწაზე.

გიგა ჯაფარიძის ღვანილზე, მის დამსახურებაზე მშობლიური კუთხის წინაშე ისაუბრეს ონის თეატრის რეჟისორმა რევაზ შერაზადიშვილმა, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ შუქურა ჯაფარიძემ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრმა გოგი ქავთარაძემ, მსახიობმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა გია ჯაფარიძემ და სხვ.

# საუბარი ქართულ თეატრალურ პრიტიპაზე

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „თ და ც“ №3, 4. 2015)



## ანდრო ენშეიძე:

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახ. დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

1. ვუწევ, ოღონდ მათზე ფიქრს ვიწყებ მას შემდეგ, რაც პრე-მიერა უკვე გამოშვებულია.

2. დასადგმელ ნაწარმოებზე რომ ვიწყებ ფიქრს, ვცდილობ გავითვალისწინო ის ზოგადი ტენდენციები, რასაც თეატრმ-ცოდნეობა კარგად ფლობს.

3. არა, რა თქმა უნდა. ამას არ მივესალმები. არ იწერება და ეს არის ცუდი, მაგრამ, ვფიქრობ, ამასაც თავისი მიზეზი აქვს. კრიტიკას, ისევე როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის ნები-სმიერ სფეროს საქართველოში, თავისი პრობლემები აქვს. თეა-ტრალური კრიტიკა არის განუყოფელი ნაწილი ქართული თეა-ტრისა. ამდენად, ნაკლოვანებები სარკისებურად გადადის ცოცხალი თეატრიდან კრიტიკაში და პირიქით. რაც შეეხება უარყოფით რეცენზიებს, მხოლოდ და მხოლოდ თეორეტიკოსის დიპლომი არ კმარა საიმისოდ, რომ კრიტიკოსმა მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცეს იმ ცოცხალ პრო-ცესებს, რაც ქართულ თეატრში ხდება. საერთოდ, თეატრსაც და კრიტიკოსსაც მეტი ზრდილობა მართებთ. ეტყობა, ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ქართული კრიტიკა უარყოფითი შეფასებისას მოკრძალებულობას იჩენს, თუმცალა, შეიძლება საკითხი ამგვარადაც დავაყენოთ — დავწეროთ და ვაქოთ, რაც ქებისა და ანალიზის ღირსაბა, ხოლო უარყოფითი იმდენად დიდია და ბევრი, რომ მისი მორება ამ ეტაპზე, პრაქტიკულად, ნარმოუდგენელია.

4. ძალინა საინტერესო ანალიზით გამოიჩინება, ჩემი მოკრძალებული აზრით, ირინა ლოლობერ-იძისა და ლევან ხეთაგურის რეცენზიები ბათუმის თეატრის „მაკბეტის“ შესახებ.

## ნანა კვასევაძე:

### „შიშველი თეატრის“ ხელმძღვანელი

1. დღევანდელ თეატრალურ კრიტიკას, იმას, რასაც ჰქვია თეატრალური კრიტიკა, პრესაში, პერიოდიკაში ვერ წავანებდი. ის, რაც იწერება, არის გარეგნული აღწერა იმ ნამუშევრისა, რაც რეჟისორმა და მსახიობებმა გასწიეს. დღევანდელი კრიტიკოსი, ფაქტიურად, მიყვება სპექტაკლის შინაარსს. მე კი მისგან ამ სპექტაკლის ანალიზი, მისი შეფასება, თეატრალურ სივრცეში მისი ადგილის და მნიშვნელობის გარკვევა მაინტერესებს.



კრიტიკას ანგარიში უნდა გაეწიოს. უნდა გაეწიოს თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ არ მოღუნდე, როგორც პროფესიონალი. პირადად ჩემთვის, თეატრის ნებისმიერი მუშაკის — კაპელდინ-ერის, რეკვიზიტორის, ყველა თანამშრომლის, რომლებიც შემოვლებ რეპეტიციაზე, აზრი საინტერესოა და რა თქმა უნდა, მით უფრო, პროფესიონალი თეატრმცოდნის მოსაზრება. ისეთ თეატრმცოდნეთა შრომები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ბოიაჯიევი, კენეტ ტაინენი, დლესაც აქტუალურია. ჩემთვის ქარ-თულ თეატრალურ კრიტიკაში ვახტანგ ქართველიშვილის, მერაბ გეგიას თეატრალური სტატიები თავად წარმოადგენენ ხელოვნების ნიმუშებს.

2. ყოველი ჩემთაგანისთვის საჭირო კრიტიკული აზრის, მოსაზრების გაზიარება. მაგრამ ამ ბოლო დროს მრავალ ჩემებანს ამძიმებს აზროვნებს, ფიქრი. რატომ ამძიმებთ? ალბათ, იმიტომ, რომ სათანადო არ ფლობენ პროფესიულ ცოდნას. პროფილის ცოდნა არის აუცილებელი. რეკვიზიტორის აზრი თუ მაინტერესებს, კრიტიკოსის უფრო არ მაინტერესებს? მაგრამ მან რეკვიზიტორზე

მეტი ხომ უნდა მითხოს? კრიტიკა აზრს და სურვილს უნდა ბადებდეს, წებისმიერი, დადებითი იქნება ის, თუ უარყოფითი. თუ ის არაფერს ბადებს, მაშინ ფასეულიც არ არის. როდესაც სცენაზე მუშაობას ვასრულებთ და უწყვეტად გავდივართ რეპეტიციას, მერაბ გეგიას ვთხოვ ხოლმე, ნახოს ჩემი ნამუშევარი. მეტად როგორ გამოხატო ჩემი დამოკიდებულება ამ სფეროს მიმართ?

3. არ ინერება. რადგან არ კეთდება ანალიზი, რადგან არ არსებობს კრიტერიუმები, მაშასადა-ამე, არც ინერება. კრიტიკა თუ ანალიტიკური არ არის, ის სრულფასოვნად არ ჩაითვლება. როცა ხელოვანი ქმნის ნაწარმოებს, ეს არის რეალობა. მე მაინტერესებს ის მითხრა, რაც ვერ დავინახე პიესაში, ან რაც არასწორად ან სწორად გავიაზრე. კრიტერიუმებით არავინ აზროვნებს არც თე-ატრში, არც ლიტერატურაში და არც სხვა სახელოვნებო სფეროში. ვახტანგ ქართველიშვილის რეცენზიას რომ ნაიტხავდი, ნანახი რომ არ გქონდა სპექტაკლი, აუცილებლად ნახვიდოდი მის სანახავად. ახლა ასე აღარ წერენ.

4. ათი წელია არსებობს „შიშველი თეატრი“. გვაქვს აფიშები, ფეისბუქში დევს ინფორმაციები ჩვენი პრემიერებისა და გასტროლების შესახებ. ვთამაშობთ წებისმიერ სივრცეში — ექსტერიერშიც, ინტერიერშიც. არ უნდა დანატერესდეს თეატრმცოდნე, რომ მიპატიუების გარეშე, საკუთარი ინიციატივით გაეცნოს თეატრის სპექტაკლებს, მის შემოქმედებით კოლექტივს? დედაქალაქშიც და რეგიონებშიც მიმდინარეობს თეატრალური პროცესები, რომელთა გარკვეული ნაწილი ქართველი თეატრმცოდნების ინტერესის მიღმა რჩება. რეზულტატი ამაზე მეტყველებს. ფაქტიურად, ისეთი მნიშვნელოვანი თეატრალური სფერო, როგორიც არის თეატრალური კრიტიკა, ამორფული გახდა. იმისათვის, რომ კრიტიკოსმა შექმნას აზრი (რაც არის ამ დარგის პირდაპირი ფუნქცია), ამისთვის უნდა იყო იბიექტური და პროფესიონალი. ამით უნდა დაიმკვიდროს თეატრმცოდნები თავისი ნიშა.

რეჟისორების დამსახურებაა, რომ მათ თეატრში ამხელა ფუნქცია მიინიჭეს. მათ გაზარდეს სათქმელი თეატრში თავიანთი მხატვრული აზროვნებით. თუ თეატრალურმა კრიტიკამ არ გაზარდა თავისი ფუნქცია, (რომელსაც მას არავინ გაუზრდის თავისი წებით, მედალსაც არავინ ჩამოკიდებს, პრემიასაც არავინ მისცემს), მაშინ მას ყოველთვის მეორეხარისხოვანი როლი ექნება. როდესაც რეჟისორნებში კერძებისა და სასმელების შესამონებლად მიდიან, ეს უდიდესი მოვლენაა მთელი მომუშავე პერსონალისთვის, რადგან მათი ნამუშევრის შეფასებაზე დამოკიდებული ამ რესტრონების მომავალი მუშაობა — ისინი ან იძენენ ვარსკვლავებს, ან კარგავენ. ჩვენ, თეატრები, ველარ გავხდით კრიტიკოსების შეფასების ლირსნი?


## აკაკი ხიდაშელი:

### მსახიობი

1-2. პირველ და მეორე შეკითხვაზე ერთ პასუხს გაგცემთ. ქართულ თეატრალურ კრიტიკას ანგარიშს გავუწევ და თეატრალური კრიტიკოსის მოსაზრება მომებმარება კიდეც (სხვა პროფესიის ადამიანის გონივრული მოსაზრებაც), მაგრამ ჯერ დამდგმელ რეჟისორთან შევათანხმება. რეჟისორმა მანდო როლი, მისგან ნამოვიდა პირველადი იმპულსი და ჯერ მისი შეკვეთა შევასრულება. ამიტომ კრიტიკოსის (თუ არაკრიტიკოსის) რაგინდარა მომხიბელულ მოსაზრებას არ ავიტაცებ მანამდე, ვიდრე ჩემი როლის თანამემქნელობან არ შევათანხმება. ვიმსჯელებთ, ავწონ-დავწონით და საბოლოო გადაწყვეტილებამდე ერთად მივალთ.

3. რა ხდება, არ ვიცი. მე მგონი, საბჭოეთიდან ბოლომდე ვერ გავთავისუფლდით. ამას მიუმატეთ ისიც, რომ ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვიცხობთ და ვიცით, რომ არაფრის თქმას აღარ აქვს აზრი. ისეთი ფეოდალური გარემო გვაქვს, რომ ყველა ფრთხილობს, დღეს თუ არა ხვალ კბილი არ გამერანო.

ასეთი აზრი ჩამომიყალიბდა — არასოდეს უურჩევდი არც ერთ ჩემს ახლობელს, რომ ჩაებარებინათ თეატრმცოდნებისაზე. ამის მიზეზი გახლავთ ის შენაგანი დრამა, რასაც ამ პროფესიის ადამიანები ატარებენ და რის შესახებაც, ჩემდა გასაკირად, არავისგან არაფერი მსმენია. ჩემი აზრით, ქართველი თეატრმცოდნების პროფესიული დრამა იწყება მაშინ, როცა ისინი ეჯახებიან თეატრალური ცხოვრების სინამდვილეს. ისინი ისე მოდიან ამ პროფესიაში, როგორც ბავშვობაში მიდიოდნენ ხოლმე ნაძვის ხის ზემზე. უკვე ნამოზრდილები, ფიქრობენ, რომ უფრო დიდი და უფრო ბრჭყვიალა ნაძვის ხის ზემზე დაესწრებიან და ნაცვლად ამისა, სავალალო მდგომარეობაში ვარდებიან. ქართველი თეატრმცოდნე ეჯახება წლების წინ ქართულ თეატრში ფეხმოკიდებულ ფეოდალიზმს, რისგანაც მხოლოდ ხელის თითებზე ჩამოსათვლელი რეჟისორები იყვნენ და არიან თავისუფალნი. დღეს ყოველივე ამას ემატება ის ეკონომიკური წნევი, რომელშიც რაიმეს გამბედავი თეატრმცოდნე შეიძლება მოხვდეს. ხშირ შემთხვევაში შედეგად ვიღებთ თეატრმცოდნებს, რომელთა შინაგანი ბუნება ერთი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს — სლიკინა. აი, ეს არის ქართვე-



ლი თეატრმცოდნის პროფესიული დრამა.

საბედნიეროდ, როგორც წინა თაობის, ასევე ახალი თაობის თეატრმცოდნებში ჯანსაღი სულის ადამიანები იყვნენ და დღესაც არიან. საქმარისის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდეს, შეიცვალოს ამჟამად არსებული „კანონი თეატრების შესახებ“, რომ ქართველი თეატრმცოდნების პროფესიულ ცხოვრებას სიტყვა „დრამა“ აღარ მივუსადაგოთ.

4. რომელი დამამახსოვრდა? არა მგონია მართებული იყოს ასეთი შეკითხვა. უსამართლობა იქნება ჩვენი თეატრმცოდნებისგან მოვითხოვორამე „დასამახსოვრებელი“ რამის შექმნა, რადგან ქართულ თეატრალურ სამყაროში თეატრმცოდნების არის გერი, ხოლო ქვეყანა, რომელიც ამ პროფესიის საჭიროებას აღიარებს, მაგრამ მისთვის არ ზრუნავს — დედინაცვალი. დასამახსოვრებელს არასოდეს მოვთხოვ მას, ვისაც არა აქვს შემოსავლის წყარო, ვისაც არა აქვს ჭერი, ვისაც არა აქვს დამოუკიდებლობა. ამას არ ვიტყოდი, ჩვენი თეატრების უმრავლესობას ხალხი რომ არ არჩენდეს; რომ ვყოფილიყავით მდგომარეობაში „спасайтесь, кто как можете“, მაგრამ ჩვენ ხომ ხელფასიც და შენობებიც ხალხმა მოვცა? თეატრმცოდნებს? ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, თეატრის მოღვაწეთა კავშირის შენობას მყისიერ გადაცემდი თეატრმცოდნებს. გადაცემდი თუნდაც იმ მწირი დაფინანსებიანად, რომელიც ამ კავშირს აქვს და შეეუნარჩუნებდი კავშირის შენობაში არსებული გასაქირავებელი ფართობისაგან მიღებული თანხის განკარგვის საშუალებას. ვისგან არ გაიგებ: „ჩემი თეატრის კედლები, „ამ კედლებში“, „ეს კედლები“. თეატრმცოდნებს? თუკი თეატრში მოღვაწეთათვის მთელ საქართველოშია უამრავი შენობა, თეატრმცოდნებს რატომ არ უნდა პქონდეთ საკუთარი ჭერი? ჭერის მიცემის საშუალება გვქონდეს და არ ვაძლევდეთ? არა მგონია ეს ქრისტიანული იყოს. თუკი ევროპული ცივილიზაციის ნაწილად მიგვაჩნია თავი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ევროპული ცივილიზაცია ქრისტიანობამ შექმნა და არა ბალდურმა ან ვოტანმა. ქრისტიანობა კი თანასწორობასაც ქადაგებს და არა სხვებზე მაღლა დგომას. ამის სიმბოლოც არის ფეხთა ბანვის რიტუალი.

აბა, მოუხმეთ ფანტაზიას და წარმოიდგინეთ, რომ დღისით როცა გაიღვიძეთ, უხელფასო ხართ... არადა, თეატრმცოდნე ხართ: ხვალ იქნება თუ ზეგ, „დასამახსოვრებელ“ რეცენზიასა და კიდევ უამრავს მოითხოვენ თქვენგან, მაგრამ თქვენ ხელფასი არ გაქვთ. როგორ უნდა მოიპოვოთ შემოსავლის წყარო? აი, ამ აზრს, ამ წარმოსახვას გაყევით და ნახავთ, რომ გამონაკლისის თუ რაღაც ბედნიერი შემთხვევის გარდა, თქვენ მიხვალთ ან შიშილით სიკვდილამდე ან მორალურ სიკვდილამდე, იგივე — სლიკინა ადამიანად ჩამოყალიბებამდე.

თუმცა, იქნებ მე არ უნდა ვვიშვშებდე იმ ადამიანზე, ვისაც პირში წყალი აქვს ჩაგუბებული? იქნებ ის აქეთ მომიტრიალდეს და მითხრას — რა შენი საქმეაო? ამიტომ, იქნებ მეც უნდა ჩავიგუბო წყალი?

ერთს დავამატებ: ვფიქრობ, სასურველი იქნება, თუკი სასწავლებლად მოსულ ახალგაზრდა ადამიანს გავათროთხილებთ და ვეტყვით, რომ დღეგანდელ საქართველოში თეატრმცოდნის პროფესია მხოლოდ იმ შემთხვევაში აირჩიოს, თუკი ეს პროფესია მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისევე, როგორც პარტია და წყალი. თუკი, მიუხედავად გაფრთხილებისა, მაინც გადაწყვეტს თეატრმცოდნეობაზე ჩაბარებას, მაშინ მზად უნდა იყოს, რომ შეიძლება მისი „მონაგარიც“ პარტია აღმოჩნდეს და წყალი.

თუმცა, იქნებ ასეთმა ხერხმა ივარგოს: თუკი მავანი ახალგაზრდისთვის თეატრმცოდნეობაა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, მაშინ, ჯერ სხვა პროფესია შეისწავლოს და შემდეგ — თეატრმცოდნეობა. რადგან, ნახეთ, რა ხდება? „ელიტაში გასულთაგან“ ზოგი ვისი „კარის პოეტი“ ხდება და ზოგი — ვისი. ზოგი ვისი „მემატიანე“ ხდება და ზოგი — ვისი. და ეს მხოლოდ მაშინ, როცა „ელიტაში“ ხარ. არავის არაფერში ვადანაშაულებ. თანაგრძნობა მაღლაპარაკებს. იმასაც ვხედავ, რომ თეატრმცოდნეობაზე ჩაბარებას მაღლა დამოკიდებული დონეზე უფრო მაღლა იყო. ძალიან ძნელია გააეთო თეატრალური ნაწარმოების ანალიზი. ვფიქრობ, დღევანდელ ახალგაზრდა თეატრმცოდნებს ეს უჭირთ. ისინი უფრო შინაარსს გვიყვებიან. ბევრი რამ არის დამოკიდებული მათ გემოვნებაზე და მსოფლმშედველობაზე.



#### ნიმუში და მიზანი:

ზესტატონის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

- რა თქმა უნდა. კრიტიკა ძალიან მნიშვნელოვანია ქართული თეატრის განვითარებისათვის, მაგრამ დღეგანდელი, თანამედროვე თეატრმცოდნების კრიტიკა, ნაკლებად. თიოქოს არ ვენდობი მათ პროფესიის მინიჭებულებების შესახებ. ჩემი აზრით, ადრე თეატრალური კრიტიკის პროფესიული დონე უფრო მაღლა იყო. ძალიან ძნელია გააეთო თეატრალური ნაწარმოების ანალიზი. ვფიქრობ, დღევანდელ ახალგაზრდა თეატრმცოდნებს ეს უჭირთ. ისინი უფრო შინაარსს გვიყვებიან. ბევრი რამ არის დამოკიდებული მათ გემოვნებაზე და მსოფლმშედველობაზე.

ამას კი, გვინდა არ გვინდა, სუბიექტურობისკენ მივყავართ. ურთიერთგამომრიცხავი შეფასებებიც ხშირად მომისმენია.

ისიც პრობლემაა, რომ ბევრი არათეატრმცოდნე წერს თეატრის შესახებ. თეატრი კი ძალიან სპეციფიკური სფეროა. მისი ანალიზი მეტ სიღრმესა და შესაბამის განათლებას, პროფესიონალიზმს მოითხოვს.

ჩვენი თეატრმცოდნების თვითმიზანი ხშირად მხოლოდ კრიტიკა და უმეტესად არაკორექტულიც. როდესაც სპექტაკლს აანალიზებ, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი შეფასება აუცილებლად არგუმენტირებული უნდა იყოს. ასეთი ანალიზი უკვე თავისთავად ამხელს თეატრმცოდნის პროფესიულ დონეს. ვფიქრობ, იმისათვის, რომ კრიტიკოსმა თეატრალური ნამუშევრის შეფასება შეძლოს, თვითონაც უნდა აზროვნებდეს შემოქმედებითად.

2. აბსოლუტურად არ არის კავშირში თეატრმცოდნის მოსაზრება მუშაობის პროცესთან. თეატრმცოდნები დასრულებული პროდუქტი უნდა შეაფასოს, რომელსაც შემოქმედი ან გაიზიარებს, ან — არა. მე, პირადად, არ მაგონდება ასეთი შემთხვევა, რომ რომელიმე თეატრმცოდნის აზრი გამეთვალისწინებინა. თუკი მუშაობის პროცესში გამიჩნდება რეპეტიციაზე ვინმეს დასწრების და აზრის კითხვის სურვილი, ის ალბათ, უფრო რეჟისორი იქნება, ვიდრე თეორეტიკოსი, მაგრამ ასეთი შემთხვევა ჯერ არ მქონია.

3. მე არ მიმართია, რომ არ ინტერება უარყოფითი რეცენზიები, მაგრამ ეს თუ ასეა, ვფიქრობ, მიზეზი იმაშია, რომ ჩვენი თეატრალური სივრცე ძალიან პატარაა — ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ და ერთმანეთის მეგობრები ვართ. ასეთ დროს კი თეატრმცოდნებს უჭირთ ახლობელი ადამიანების კრიტიკა.

4. სამწუხაროდ, ასეთ კონკრეტულ, მნიშვნელოვან კრიტიკულ ნამუშევარს, რომელმაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, ვერ ვიხსენებ. ასეთი შთაბეჭდილება ნლების წინ დატოვა ჩემზე ნოდარ გურაბანიძის „რეცენზიამ ჩემს სპექტაკლზე — თ. დოსტოევსკის „დამცირებულინი და შეურაცხყოფილი“. ეს რეცენზია იმდენად სიღრმეს ულად აანალიზებდა დადგმას, რომ ჩემთვის პროფესიონალიზმის ნიმუში გახდა. მას შემდეგ ასეთი საინტერესო რეცენზია არ წამიკითხავს.

## ნეო კასრაძე:

### მსახიობი

1. როცა კრიტიკა არის ჭეშმარიტად კრიტიკისათვის და ის თავის ფუნქციას ასრულებს, ასეთ კრიტიკას, რა თქმა უნდა, ანგარიშს ვუწევ და ამისათვისაც ინტერება ის. დიახ, ვუწევ და ვფიქრობ, რომ რჩევით, რომელსაც ის მე მიზიარებს, მისი გათვალისწინებით თუ მე რაიმე სასიკეთოდ შემიძლია შევცვალო, აუცილებლად გამოვიყენებ ამ შესაძლებლობას.

2. ვისურვებდი, რომ კიდევ უფრო მეხმარებოდეს როლის დახვენაში. როდესაც კრიტიკოსი ნახულობს მოსამზადებელ სპექტაკლს მუშაობის დასაწყისში (რეპეტიციას), მაშინ მსახიობს კიდევ რჩება დრო თავისი მონახვის შესაცვლელად. რა თქმა უნდა, მიზანს ვერა ვერ შეცვლის, მაგრამ სწორი მიმართულების გაზიარება შეიძლება.

3. მე არ ვთვლი, რომ უარყოფითი რეცენზიები არ ინტერება. მე ვიტყოდი, რომ ბევრად რთული მდგომარეობაა ამ მხრივ. ჩვენთან ყველაფერი, რაც ინტერება, არის ამ რადიკალური ქება და ხოტბა, ან გადაჭარბებული ლანძღვა-გინება. საერთო ჯამში კი კრიტიკოსი ამ გადაჭარბებულობაში იკარგება. კრიტიკოსის მსჯელობაში რაღაც მომწონებია, მაგრამ არასდროს მიფიქრია, რომ ის შეგნებულად აქებს, ან აძაგებს განსახილველ ობიექტს. კრიტიკოსის შენიშვნები პირად წყენაზე არ უნდა დაიყვანებოდეს. მან უნდა წეროს საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულებით და მისი ნამუშევარიც საინტერესო იქნება. მე არ ვთვლი, რომ ის ქებით, ან ლანდღვით უნდა გამოხატავდეს თავის აზრის. ეს მისი მოვალეობა არ არის. ის ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით უნდა ეკიდებოდეს თავის საქმეს, უნდა ხედავდეს განსახილველ ობიექტს და აყალიბებდეს მოსაზრებას, რა მოვლენასთან გვაქს საქმე. თუ სუსტია სპექტაკლი, ის უნდა ასაბუთებდეს ამას თავისი ცოდნითა და ერულიცით. ის უნდა არკვევდეს, რა მიმართულებას ეკუთვნის ნაწარმოები, რომელ მხატვრულ გეზს ადგას თეატრი. ჩვენთვის, მსახიობებისათვის, არ არის სავალდებულო, ვიცოდეთ ყველა ლიტერატურული, ფილოსოფიური მიმართულება. არ არის აუცილებელი ვიცოდეთ, პოსტმოდერნიზმს ეკუთვნის ნამუშევარი თუ პოსტპოსტმოდერნიზმს. კრიტიკოსებმა უნდა მომაძებინონ ჩემი ადგილი, სტილი, დაინახონ და აღმაქმევინონ ჩემი სული ერთი მთლიანის ნაწილად. ისე წერას არავითარი აზრი არ აქვს. კრიტიკოსის მეშვეობით უნდა ვარჩევდეთ, საით მივდივართ, რა სამუალებები



გვაქვს თთოვეულ ჩვენგანს ამისათვის. კრიტიკოსს ყველაფერ ამის გაანალიზებაში დიდი როლი აქვს. ყველაზე მეტად ეს მაფიქრებს, რომ მათ თავად დაპატარავეს თავიანთი ფუნქცია და დაინტენს ნარმდებენის ანალიზის ნაცვლად, მისი შინაარსის მოყოლა და შემოიფარგლენ ამით. კრიტიკას კი, უპირველესად, თეატრის გაჯანსალების ფუნქცია აკსრია. მან უნდა დაგვანახოს, წინ მივდივართ, თუ ერთ ადგილს ვტკეპნით და რაღაც ახალია საჭირო.

მე მხოლოდ ქართულ კრიტიკაზე არ ვსაუბრობ. მსოფლიო მნიშვნელობის რეჟისორების გარკვეული ნაწილი კრიტიკას არ უნდა და არ უნდეს ანგარიშს, მაგრამ კრიტიკა თავის საქმეს მაინც აკეთებდა და საჭირო იყო მათვისაც კი.

ჩვენ და კრიტიკა ხელიხელჩაკიდებულები უნდა ვემსახურებოდეთ ერთ საქმეს — ქართული თეატრის წინსვლას. ასე არ არის, რომ მე მინდა ვითამაშო და ვთამაშობ, შენ გინდა დადგა და დგამ, იმას წერა უნდა და წერს. ეს ყველაფერი ურთიერთკავშირში უნდა იყოს და ყველანი ერთად ვალდებული ვართ დიდი ხელოვნების წინაშე. კრიტიკოსი ამას უნდა ხედავდეს — ჩვენს დანიშნულებას. ჩვენ კი აუცილებლად ვიცით მისი დანიშნულება. რაც უნდა ამტკიცონ რეჟისორებმა თუ მსახიობებმა, არ გვანტერესებს კრიტიკული მოსაზრებაო, ისინი მაინც კითხულობენ ყველაფერს, რასაც მათზე წერენ.

4. მე კრიტიკულ წერილებს ნაკლებად ვკითხულობ. ასე წარმოგვიდგენია ჩვენს უმრავლესობას, რომ რაც მათ ეხებათ, მხოლოდ ის უნდა იკითხონ. ამიტომ მე ვერ ვიქნები პბიქტური. ვიქნები სუბიექტური. პლო წლებში დამამახსოვრდა კინომცოდნე გოგი გვახარისა სტატია ფილმზე „კრიტიკის ლიმიტი“. რაღაცაში შეიძლება არ დაეთანხმო მის ნათქვამს, მაგრამ ეს უდავოდ არის ძალიან სერიოზული დამოკიდებულება და ნამდვილი პროფესიონალის ხედვა ხელოვნების პროდუქტისადმი.

### ვასილ ჩიგრმაბეგი:



**ოზურგეთის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი**

1. შეუძლებელია, შემოქმედი, რა რანგისა და დონისაც არ უნდა იყოს, გულის სიღრმეში არ დაფიქრდეს გონივრულ, ობიექტურ კრიტიკაზე. იყო შემთხვევები და ალბათ, დღესაც არის, როცა საერთოდ შეიძლება ყურად არ იღო გამოთქმული მოსაზრება, მაგრამ ძირითადად, კრიტიკა რეჟისორისათვის, მსახიობისათვის არის აუცილებელზე აუცილებელი. ობიექტური, გულწრფელი კრიტიკა არის „ანი“ და „ჰავა“ ჩვენს პროფესიაში. ამიტომ, მე ყოველთვის გულისყურით ვეკიდებოდი ყველა მოსაზრებას. არ ვიზიარებდი რაღაცას, მაგრამ ობიექტურად ვცდილობდი მიმელო შენიშვნა, შეფასება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს საქმეში როგორი დამოკიდებულებით არის ეს მონოდებული. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება კრიტიკა იყოს წინასწარ გამიზნული გულის სატკენად ანდა ძალიან გულლო... თუ დიალოგში, კამათში არ შედისარ, ძნელია ზუსტი ფორმულირება. გულწრფელი, პროფესიული კრიტიკა გვზრდის, გვამხნევებს და სტიმულს გვაძლევს უკეთესი ხვალის, სპექტაკლის თუ როლის შექმნისათვის.

2. მსახიობს, რეჟისორს ეხმარება კი არა, სწორედ ჯანსაღი კრიტიკა განსაზღვრავს ჩვენს ხვალინ-დელ დღეს, განსაზღვრავს ჩვენ პროფესიულ ზრდას. პირველი ნაბიჯები, რომელიც თეატრში დაბრუნების შემდეგ გადავდგი, ეს იყო თხოვნა სამინისტროს, სარეკომენდაციო საბჭოს წინაშე, რომელიც მთლიანად თეატრმცოდნებით არის დაკომპლექტებული, რაც თავისითავად კარგია: ჩამოდით, გვანახეთ, გაგვაკრიტიკეთ, გზები დაგვანახეთ, გვითხარით. თხოვნა გათვალისწინებული იქნა. ყინული გალღვა. არ შემიძლია ვისაუბრო იმ პერიოდზე, როცა საქართველოში არ ვიყავი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ კრიტიკის გარეშე თეატრი მიტოვებულად გრძნობს თავს.

3. ძალიან დამაფიქრებელი კითხვაა. ერთი შემიძლია ვთქვა: თეატრალური კრიტიკა კლანური არ უნდა იყოს. ბედნიერებაა, როცა თეატრის კრიტიკოსს შეუძლია ნანახით ალფროთოვანება, როცა საუბარია მაღალ შემოქმედებაზე. გახარება, კონკრეტული თეატრის პროგრესისაკენ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯის გულწრფელად აღიარება, აუცილებელია თეატრებისათვის, განსაკუთრებით რეგიონული თეატრებისათვის, იმ თეატრებისათვის, რომელიც მოწყურებული არიან კრიტიკას. ასევე გადაუდებელი აუცილებლობა გამართული, არგუმენტირებული კრიტიკა. აუცილებელია იმიტომ, რომ ეს გაფხიზლებს, ჩაგაფიქრებს. რაც არ უნდა ზედაპირულად მიიღო ან არ მიიღო რეცენზია. ბევრი გამომიცდია და ვიცი, რომ შემდგომ, როცა შენს თავთან, შენს ბალიშთან მარტო დარჩები, არ არსებობს არ დაფიქრდე, არ გააანალიზო, არ ჩაუღრმავდე და, თუკი გონიერი ხარ, არ დაინახო ნათლად, გულწრფელად, საქმის სასიკეთოდ დაწერილი ან ნათქვამი, ძალიან მძიმე მოსასმენი, ძალიან მკაცრი კრიტიკა.

ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაშიც და ცხოვრებაშიც უამრავი იყო ასეთი ადამიანი, რომელიც იყო ძალიან მკაცრი, კრიტიკული, კეთილგანწყობილი და ამას ჩემთვის სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია. იყო ისეც, ერთეული კრიტიკოსის, სამწუხაროდ, არც სიკეთე მინდოდა და არც ლანძღვა. უფრო სწორად, რეაგირებას არ ვაკეთებდი. შეიძლება ვცდებოდი, შეიძლება ახლაც ვცდები, მაგრამ ადამიანები ვართ და ვისაც ცხოვრების გარკვეული გზა გაგვივლია, ასეთები, ალბათ, შეგვხვედრია სხვებსაც, ახალგაზრდებსაც შეხვდება ალბათ. მაგრამ კრიტიკა არ შეიძლება გაგტებოს.

კრიტიკა დაგაფიქრებს და კრიტიკა სტიმულს მოგცემს. გურულად ამბობენ, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, ჩემს თავზე წისქვილის ქვაც დატრიალებულა, მაგრამ არასოდეს გავტეხილვარ. შექებას არ გაცუყყოყოჩივარ. იმიტომ, რომ რეალურად ვუყურებდი კარგსაც და რეალურად ვუყურებდი მნარე, კრიტიკულ შეფასებას. როცა პირად საუბრებში გეუბნებიან, ხოლო ნაბეჭდ პროდუქციაში სხარტად მოქნეული ფრაზით შემოიფარგლებიან, ეს არის კეთილგანწყობა.

4. ამას სჭირდება ჩაღრმავება. ასე უცებ შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან კრაიტიკილი ვარ ჩვენს თეატრზე რაც ითქვა ნიკა წულუკიძისა და ლაშა ჩხარტიშვილის გადაცემებში, სარეკომენდაციო საბჭოს წევრებიც არიან მათ შორის, ქალბატონი მაკა ვასაძე, ირინა ლოლობერიძე. საინტერესოა მათი მსჯელობა, განსჯა თეატრის დღევანდელობაზე, რეგიონულ თეატრებზე. მადლობა ეკუთვნის ამ გოგონებსა და ბიჭებს, ქალბატონებსა და ბატონებს, რომლებიც არ ტოვებენ უყურადღებოდ რეგიონულ თეატრებს.

ჩემთვის საინტერესოა ყველა გადაცემა, რომლებსაც ინტერნეტ გვერდებსა, რადიოსა და ტელევიზიით ვეცნობით. ძალიან კარგ საქმეს აკეთებს სარეკომენდაციო საბჭო. მე დარწმუნებული ვარ, რომ გია ცეკიტიშვილიც და ჩვენი მეტრებიც, ბატონები ვასო კიკნაძე, ნოდარ გურაბანიძე აქტიურად არიან ამაში ჩართულები. ახალი თაობა ძალიან აქტიურია და შესაძლებლობების ფარგლებში გულისყრით ვადევნებ ამას თვალს. სამწუხაროდ, ჯერ გამოწერითაც ვერ მოდის ჩვენამდე უურნალი „თეატრი და ცხოვრება“, მისი მესამე-შეოთხე ნომერი დღემდე ვერ მივიღე. ძალიან დიდ საქმეს აკეთებს პირველი რადიო, ტელე იმედი და კვლევები, რომლებსაც ასე თავდადებულად აკეთებს ლაშა ჩხარტიშვილი და ის გუნდი, რომელიც მის გვერდით დგას... მოხარული და მადლობელი ვარ.

აუცილებელია კიდევ უფრო გააქტიურდეს თეატრმცოდნებისა და რეგიონული თეატრების კონტაქტები. ალბათ, სამინისტრო სათანადო მივლინებებსა თუ თანადგომას გამოუცხადებს თეატრებს რეგიონებში, რადგან მათი თვალსაწირის გარეშე ნაჭუჭში შეიძლება ჩავიკეტოთ მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფესტივალში ვლებულობთ მონაწილეობას, უცხოეთშიც გავდივართ. სულ სხვაა იმ კრიტიკოსის შეფასება, რომელიც სიღრმისეულად ფლობს სიტუაციას რეგიონული თეატრების შესახებ.

შეიძლება ამ კითხვას არ პასუხობს, მაგრამ ძალიან ხმამალლა ვითხოვთ და თუ შეიძლება ითქვას, დავიწყეთ ბრძოლა მეტყველების კულტურის განვითარებისათვის, სპეციალისტები და კრიტიკოსები რაც შეიძლება ხმირად მოვიდნენ რეგიონის თეატრებში და არა მარტო. სამწუხაროდ, მეტყველების პრობლემა დგას ქართულ თეატრში, მასმედიაშიც. ძალიან დამახინჯდა სათეატრო მეტყველება. საგანგაშო და სასწრაფოდ მისახედი მდგომარეობაა კრიტიკისა და პროფესიონალების მხარდაჭერით.

მადლობა უურნალს „თეატრი და ცხოვრება“, მის რედაქტორს, რომელიც ასე წვალებით ცდილობს უურნალი არ დაეკარგოს ქართულ თეატრს.

## რუსულან პოლევაძე:

### მსახიობი

1. სამწუხაროდ არა, თუმცა ყოველთვის მქონდა სურვილი მომესმინა (ან წამეკითხა) საინტერესო, მიუკერძობელი, პროფესიული შეფასება ჩემი, ან სხვისი ნამუშევრისა.

2. ძალიანაც მეხმარება... შეიძლება ყველა შენიშვნა არ გაითვალისწინო, მაგრამ, ყოველთვის საინტერესო პროფესიონალის შეფასება. მე არ მაქვს ისტერიული დამოკიდებულება კრიტიკის მიმართ — „ვინ, არ მოვეწონე, „როგორ გამისტედა“, „მტრები მყავს“ და ა.შ. ყველას აქვს უფლება თავისი აზრი ჰქონდეს. ჩვენ ხომ საჯაროდ გამოვგაქვს ჩვენი ნამუშევარი, ამიტომ კრიტიკისთვისაც მზად უნდა ვიყოთ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა „არა-დაღებითად“ განწყობილი პირი გაძლევს შენიშვნას; ხშირად, ის უფრო გასათვალისწინებელია, რადგან უფრო კრიტიკულად გიყურებს, „გიკრიტიკებს“, უფრო მონდომებულია შენი მინუსები დაინახოს და შეიძლება ისეთ ნაკლს მიაგნოს, კეთილისმსურველს რომ გამოეპარება, რადგან მას უყვარსარ, მოწონხარ და ვერ ხედავს



ან ხედავს და „გპატიობს“.

3. „უარყოფით რეცენზიას“ და კრიტიკას შორის დიდი განსხვავებაა.. „კრიტიკა“ შეფასებას ნიშნავს. შეფასება კი შეიძლება იყოს დადგბითიც და უარყოფითიც.. ილია ჭავჭავაძე ამბობს, - კრიტიკა სანათურიაო... მთავარია, ორივე მხარეს ჰქონდეს ჯანსაღა დამოკიდებულება კრიტიკის მიმართ. ჩვენი თეატრალური საზოგადოება ერთი პატარა ოჯახია, ვიწრო წრეა, სადაც ყველა ყველას მეგობარია, ახლობელი. ერთმანეთის წყენა არ უნდათ - კრიტიკოსიც ხომ ადამიანია! ამიტომ წერენ კარგს, ან არ წერენ საერთოდ. ხშირია ასევე, „შეკვეთილი წერილები“.. ისე დამკვიდრდა ურთიერთობის ეს ფორმა, რომ ზოგი იქეთ სთავაზობს - „შემიკვეთე და დავწერო“. ჰოდა, აბა, პრემიერაზე რომ დაპატიუებს, გასტროლზე რომ წაიყვანს, რომ დააფინანსებს და უურნალშიც დაუბეჭდავს, იმაზე ცუდს ხომ არ დაწერს?

4. ბოლო დროს ერთი წერილი წავიკითხე (არ დავასახელებ), რომელმაც თავისი არაკომპეტენტურობით და არაპროფესიონალიზმით გამაოცა .. იმის მერე ყოველგვარი სურვილი გამიქრა რამის წაკითხვის.

ნუ ეწყინებათ მართლა კარგი წერილების ავტორებს... სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ჩვენი თეატრმცოდნები უფრო უურნალისტებად გადაიქცენენ.. ან მშრალად აღწერენ ფაქტებს და მიზანუცენებს - ვინ სად რა დადგა, ვინ თამაშობს.. ან თეორიულ მსჯელობაში შედიან პიესის, ეპოქის, თეატრალური მიმდინარეობების გარშემო.. ჭარბად ხმარობენ უცხო სიტყვებს და გამოთქმებს.. მათაც უნდა ესმოდეთ, რომ მათი კრიტიკული წერილები ისეთივე შემოქმედებაა, როგორიც ჩვენი, მათი მოსაზრებები ჩვენთვის საინტერესო და რაღაცის მომცემი უნდა იყოს, თოოორეეეემ.. თუ მათ აქვთ უფლება ჩვენს შემოქმედებაზე კრიტიკული აზრი იქნიონ, ჩვენც იგივე უფლებები გაგვიჩნია მათი წაშრომების მიმართ. ამიტომ ვთხოვ მათ, იყვნენ ჩვენი „სანათურები“ და ერთად ვემსახუროთ თეატრს, ვისაც როგორ შეგვიძლია.

### გადრი ცერედიანი:

**ზუგდიდის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი**



1. ჩვენ თვითონ ვართ ქართული თეატრალური კულტურით დაკავებულები, ვცდილობთ ვიყოთ მისი მნიშვნელოვანი წარმატება, ამით ყველაფერი წარმატება.

2. რამდენი ადამიანიცაა, იმდენი მოსაზრებაა. ინდივიდუალურია მსოფლმხედველობა და გემოვნება. თავისითავად, თითოეული თეატრმცოდნის მოსაზრება საინტერესო, მნიშვნელოვანია და დამხმარე პროფესიონალი რეჟისორისათვის, თუ ის ჯანსაღია და ზუსტი პროფესიული ხედვის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ ამა თუ იმ თეატრმცოდნის მიერ გამოთქმული მოსაზრება მკვეთრად ეყრდნობოდეს პროფესიულ საზომს და ნაკლებად იყოს აგებული მის სუბიექტურ ემოციებზე, ინდივიდუალურ გემოვნებასა თუ ზოგად მოსაზრებებზე. თუმცა კიდევ ერთხელ აღნიშვნა. რომ ძალიან მნიშვნელოვანია თეატრმცოდნების პროფესიული საქმიანობა.

3. ვერ ვიტყოდი, რომ არ იწერება.. იწერება, მაგრამ აქ იმავე თემას შეიძლება დავუბრუნდეთ — ძალიან მნიშვნელოვანია შეფასების პროფესიული კრიტერიუმების მეტად დამკვიდრება და განვითარება, რეცენზიები არ უნდა იყოფოდეს, ზოგადად, დადგებითად ან უარყოფითად, კონკრეტული ნამუშევრის მაქებრად ან მაძაგებლად. სპექტაკლის პროფესიული კუთხით გარჩევა მოიცავს სპექტაკლში არსებული შემოქმედებითად სუსტი და ძლიერი მხარეების ეტაპობრივ გაანალიზებასა და მათ პროფესიულ განხილვას. ალბათ, ეს უფრო მნიშვნელოვანია ბევრი რეჟისორისათვის, ვიდრე, უბრალოდ, ვინმეს მიერ მისი ძაგება ან ქება.

4. გამიჭირდება კონკრეტული პასუხის გაცემა, თუმცა ვისურვებდი, რომ იწერებოდეს გაცილებით მეტი პროფესიული რეცენზიები, ვიდრე დღეს იწერება. საჭიროა ამ პროცესების მეტად ხელშეწყობა. სამწუხაროდ, დღეს თითზე ჩამოსათვლელია იმ თეატრმცოდნების სახელები და გვარები, რომლებიც აქტიურად წერენ ქართულ თეატრში მიმდინარე მოვლენებზე და ამ პირობებში ძალიან ძნელია სრულად მოიცვა ყველა თეატრში მიმდინარე პროცესები. ამავე დროს არიან ადამიანები, რომლებსაც ასევე აქვთ კარგი პროფესიული განათლება ამ სფეროში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო არ ჩანან რეალურ სივრცეში, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია. თითოეული მათგანის ჩართულობა საერთო პროცესებში ხელს შეუწყობდა მის მეტად გააქტიურებასა და განვითარებას.

## სპექტაკლები

# ტკივილის მოწოდებია

თავა კახეთი



„ტკივილი ქსოვილთა ჭეშმარიტ ან პოტენციურ დაზიანებაზე აღმოცენებული უსიამოვნო სენსორული და ემოციური განცდაა. თანმხედებული უსიამოვნებათა მიუხედავად, მას უდიდესი ფიზიოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ის ორგანიზმის თავდაცვის სისტემის უმთავრესი კომპონენტია“ - ტკივილის შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის (!) ეს განმარტება, ვფიქრობ, საუკეთესო დასაწყისია დათა თავაძის რეჟისურით დადგმული სპექტაკლის „ტკივილი არის ახალგაზრდობა“ მიმოხილვისათვის. უფრო სწორად, დაგვიანებული მიმოხილვისათვის, რომელსაც კარგა ხანია, პროფესიულ ვალდებულებად მივიჩნივ. ცნება ტკივილის აღნიშვნული განმარტება ჩემთვის, პირველ რიგში, საინტერესო აღმოჩნდა მისი წარმომქმნელი ორგანიზაციის გამო, რომელშიც ნამდვილად ჩანს თანამედროვე ეპოქის ხასიათი, თანამედროვე სამყაროს წარმოუდგენელი კონცენტრაციის უნარი, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელოზე, რაც შეუძლებელია არსებულიყო გასულ საუკუნეებში და რაშიც მისი თამაშობრივი ხასიათის გამოვლინებაც შეგვიძლია დაკინახოთ.

სამეფო უწნის თეატრში დადგმული ფერდინანდ ბრუკნერის 1929 წლით დათარიღებული პიესის სახელწოდების რუსული და ინგლისური

ვერსია „ახალგაზრდობის დაავადებებია“. დათო გაბუნიას თარგმანისა სათაურს ოდნავ არქაული ტონალობა და განსხვავებული აქცენტი შესძინა. სათაურის მიხედვით, კითხვა აღარ მდგომარეობს იმაში, თუ რა ანუსებს თანამედროვე ახალგაზრდას, რომლის მგრძნობელობა გარემომცველი სამყაროს მიმართ ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე სხვა, ნებისმიერ ასაკში. შემოქმედებითი ჯგუფი გვთავაზობს ნარატივს, რომლის მიხედვითაც ტკივილი, თავისი არსით, ახალ თაობას უთანაბრდება. ახალგაზრდობის დიდ, მოურჩენელ ტკივილად და ამავდროულად მოსალოდნელი საშიშროებების ინდიკატორად გადაქცევის პროცესება უფრო საინტერესო ხდება, როცა მასზე თავად ახალგაზრდები საუბრობენ.

სადადგმო ჯგუფი მთლიანად ახალგაზრდულია, დათა თავაძით სათავეში. გაგიჭირდებათ იპოვოთ მეორე ასეთი ილბლიანი ახალგაზრდა რეჟისორი საქართველოში, რომელსაც უკვე საკუთარი თეატრი აქვს და რომელიც, მავანისთვის, ბრწყინვალე თეატრალური ისტორიის მქონე ოჯახის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რაც უპირობოდ უხსნის ყველა საჭირო კარს, მათ შორის კრიტიკოსთა გულები-საკენ. ეს არის წინაპირობა, რომელიც ჩემთვის

ამ მიუღებელი, ვიწრო-სნობური დამოკიდებულების ოპოზიციონერობის და ამავდროულად ამ ინტელექტუალური გარეგნობის მქონე ახალგაზრდა ადამიანის შემოქმედებით პოტენციალზე დაკვირვების სურვილს აჩენს. უკვე პარტულარული რეჟისორის სპექტაკლებში ჩემთვის ყველაზე ძირიფასი განვითარების დინამიკა იყო. „მახინჯიძა“ „ტროელ ქალებამდე“. ამ უკანასკნელში ჩანდა რეჟისორული აზრისა და სცენური მოქმედების გარდაქმნა ენერგიის გამოსხივებამდე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს სპექტაკლი აღნიშნული რეჟისორის შემოქმედების მნერვალად არ ჩამოითვლა. მქონდა მოლოდინი, რომ ის გათავისუფლდებოდა შემოქმედების საწყის ეტაპისთვის დასაშვები გავლენებისგან და შეძლებდა ეჩვენების წმინდად საკუთარი სახე. „ტროელი ქალების“ შემდეგ დადგმული სპექტაკლი, „ტკივილი არის ახალგაზრდობა“, ჩემთვის მრავლისმთქმელი აღმოჩნდა, მაგრამ არა მისი მხატვრული ღირებულების გამო. დადგმამ გაამათვრა ეჭვები, რეჟისორების შემოქმედებითი ინსტრუქციების უცხოური წარმომავლობის შესახებ. დაინტერესებულ პირს არ გაუჭირდება 2014 წელს, სამეფო უბინის თეატრში დათა თავაძის და 2009 წელს, ლონდონის ნაციონალურ თეატრში კეიტ მიტჩელის მიერ დადგმულ სპექტაკლებს შორის მსგავსების აღმოჩნდა. ქართული სპექტაკლის სცენოგრაფიული გადაწყვეტა, კოსტიუმები უცერემონიოდ იმეორებს ინგლისურ პირველწყაროს. კარადის გარედან დაყიდებული სალამოს კაბის მომხიბვლელი, მაგრამ წასესხები დეტალურობაც დაუდევრად ამჟღავნებს საკუთარ თავს. დიდი ალბათობით, მავანი ამ შემთხვევაშიც, კმაყოფილი დარჩება, რომ თანამედროვე ქართულ თეატრში კარგ, მისაბად მაგალითებს ირჩევე. ამ მიმართულებით თუ უფრო მორს წავალთ, ვინ იცის კიდევ რამდენ სიკეთეს მოგვიტანს წარმატებული უცხოელი რეჟისორების ნააზრევის დახერგვა ქართულ სცენაზე. ისევ ბრუნერს სჯობს დავესესხო: რა კარგია, რომ ყველანი „პასაუდან“ ვართ, სხვა შემთხვევაში ხომ ვერავისგან და ვერსად ვიპოვიდით გამართლებას.

„პასაუდა“ რომ არ იყოს, თეატრის მიერ შემოთავაზებულ პრიდუქციას, როგორც დამოუკიდებულ ნანარმოებს თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ამ თითქოს ძალიან კულტურული ნანარმოების უკან სიცარიელე დგას. ალბათ, სწორედ ამ ნანარმოებს სჭირდებოდა ყველაზე მეტად ის, რის გარეშეც მიხეილ თუმანიშვილი რეჟისურაში ახალგაზრდა ადამიანების მოსვლას გაუმართლებლად მიიჩნევდა. ცხოვრებისეული გამოცდილების გარეშე, ნებისმიერი როლი, ნებისმიერი მხატვრული და მით უმეტეს თეატრალური ნანარმოები, არც მეტი არც ნაკლები, ყალბი ან სქემატური გამოდის. ცხოვრებისეული გამოცდილების ნაკლებობამ მასტები და ემოციური მუხტი დაუკარგა პიესაში არსე-

ბულ უნივერსალურ თემებს. რადიკალური მეამბოხეობის შესახებ ძნელია მხოლოდ თეორიულ მსჯელობას დასჯერდე.

უნდა ალგონიშნო, რომ კონკრეტული სპექტაკლის მიმართ არც ჩემი იმედგაცრუებაა მთავარი და არც რეჟისორისთვის მცდარი ნაბიჯია გადამწყვეტი, მაგრამ მარტო იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ მე ჩემს იმედგაცრუებას, ხოლო რეჟისორი საკუთარ წარუმატებლობას ვალი-არებთ და მიზეზებს მოვძებით.

პიესისა და სპექტაკლის მოქმედება სამედიცინი უნივერსიტეტის პანსიონში მიმდინარეობს. პერსონაჟები ახალგაზრდა ექიმები არიან, მაგრამ ისინი ამ პროფესიას სხვებისათვის ტკივილის შესამსუბუქებლად არ ეუფლებიან. ისინი ომგამოვლილი, მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი, ცნობისმოყვარე „პავშვები“ არიან, რომლებიც ულმობელ და დაუსრულებელ ექსპერიმენტებს ატარებენ საკუთარ თავსა და ერთმანეთზე. ბრუნერის პიესაში არსებული ომისშემდგომი რეციდივები ქართულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა ჩვენს რეალობაში არსებული სისასტიკის პირველმიზეზად მიიჩნია. ტოლობის ნიშანი დასვა მოგამოვლილ თაობებს შორის. მაგრამ განსხვავებების აღნიშვნა უდავოდ გამოირჩია. ყურადღების მიღმა დარჩა მთავარი, რომ მას შემდეგ კიდევ არაერთხელ მომზდარმა მსოფლიო თუ ლოკალურმა იმებმა, კაპიტალის გადანაწილებს ულმობელმა მარათონმა, ადამიანების თითქმის „გაციფრებულ“ ცნობიერებაში შეუქცევადი პროცესები წარმართა. ამიტომ ფერდინანდ ბრუნერის პიესაში არსებული კონფლიქტიც და პერსონაჟებიც თანამედროვე ინტერპრეტაციას ითხოვს. სამეფო უბინის თეატრის სცენური ვერსია არ შორდება პიესას და სისასტიკეს ზეობრივი ხასიათის მოვლენად წარმოგვიდგენს, რაშიც, ვფიქრობ, დიდი ხანია აღარ თავსდება თანამედროვე ცნობიერების ნაკადი. უხეშად რომ ვთქვათ, პიესასა და სპექტაკლში არსებული „პანელი“ ჩვენსას აღარ ემთხვევა. ალბათ, ამ მიზეზითაც დაკარგა სპექტაკლმა ემოციური კონტაქტი მაყურებელთან, განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში. წერილის დასახისში აღნიშული თანამედროვე სამყაროს თამაშობრივი ბუნებისთვის ნებისმიერი თემა დაუსრულებელი ინტერპრეტაციის და მოულოდნელი ასოციაციებით თამაშის წყარო ხდება. ფერდინანდ ბრუნერის ტექსტი განსაკუთრებით იძლევა საამისო საფუძველს, რადგან მისი გმირები ახალგაზრდები და ექსპერიმენტატორები არიან, თუმცა რეჟისორმა თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ სიმსუბუქეს აკადემიური სერიოზულობა არჩია. ამ არჩევანმა კი სპექტაკლი გაუსაძლისად პრეტენზიული და მისი განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომების მიმართ უაღრესად მერძნობიარე გახადა. რეჟისორის მიერ შემოთავაზებული ფორმა სამსახიობო სტატობის



უმაღლეს ხარისხს ითხოვს, რაც თანამედროვე ქართულ სცენაზე, ხშირ შემთხვევაში, არცთუ მარტივი მისაღწევია. ქართველ არტისტებს როლის ფსიქოლოგიური დამუშავება რთულად გამოსდით. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ რუსული თეატრალური სკოლის ტრადიცია ქართული ტემპერამენტისთვის რთულად შესათვისებელია და წარმატების მისაღწევად უფრო მეტ ძალის სხმებს მოითხოვს, ვიდრე ამას სამეფო უბნის თეატრის სპექტაკლში ვხედავთ. რეჟისორი მთელი სერიოზულობით ცდილობს მაყურებლის ყურადღებას შეაჩეროს მოქმედი გმირების არცთუ მარტივ ურთიერთობებზე, რომელთაც ისვევ აკოიათ ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა, როგორც იმ კონფლიქტს, მთელი სპექტაკლის მამოძრავებელ ძალად რომ უნდა ქცეულყოფ. სპექტაკლის პერსონაჟების კონფლიქტი საკუთარ ასაკთან ანუ დროსთან, იმ ანშეოსთან, რომელშიც ცხოვრობენ, თვითგანადგურებამდე მიდის. თუმცა ეს კონცეფცია მხოლოდ თეორიულად არის გამართული, ხოლო სცენაზე ვხედავთ სასიყვარული ურთიერთობების განუწყვეტელ რევენულ ჩაძირულ პერსონაჟებს, რომელთა მიერ წარმოთქმული სიტყვები ხშირად სიტყვებადვე რჩება და რომელებიც ხშირად კარგავენ მოქმედების ლოგიკას. მოქმედი გმირების ხასიათებს აკლიათ დეტალიზაცია. არ არის გამოკვეთილი მათი პირადი ტკივილები, რომელიც ყოველთვის უფრო ნამდვილი და სარწმუნოა, სხვისი კი — ყოველთვის ამორფული და გაუგებარი.

რეჟისორი შეეცადა გაეერთიანებინა არტოს იეროგლიფი და სტანისლავსკის ადამიანის სულის მოძრაობა, რაც, სამწუხაროდ, არ გამოვიდა. ამიტომაც ძალიან ხელოვნურად გამოიყერება ალტის (პაატა ინაური) მიერ ფეხსაცმელების

გახდა და პირში ჩადებული ნაცვამი წინდებით „მარშირება“. ფსიქოლოგიურად გამართული დიალოგის აწყობასაც არაფრით მოუხდა პერსონაჟის, პეტრელის (გიორგი შარვაშიძე) სპონტანური შეხტომები ჰაერში. ზოგადად, გაუმართლებელია სხვადასხვა სპექტაკლში ერთი და იგივე ხერხების გამოყენება. მსახიობების სთვის მიცემულ და არაერთხელ გამეორებულ ამოცანებს, განასახიერონ კონცერტსიური, სპონტანურ-მეყსეული მექანიკური მოქმედებები, მივყავართ შტამპებამდე, ჩარჩოებამდე, საიდანაც გამოსვლა დროთა განმავლობაში უფრო რთული ხდება. სამეფო უბნის თეატრის მსახიობებს ჩამოუყალიბდა დამახასიათებელი გამომსახველობა, რაც ცალკეულ შემთხვევებში თუ ესთეტიკად აღიმება, მთლიანობაში ერთხელ ნაპოვნი მოგებიანი ფორმის ვერდათომბის ნიშანია. ეს ეხება მეტყველების სპეციფიკასაც. მსახიობების უმეტესობა, მიუხედავად იმისა, სჭირდება თუ არ ეს განსასახიერებელ როლს, საუბრობს სტილზებულად, გაბმით ან წყვეტილად, მოულოდნელი აქცენტების გამოყენებით. და ეს დაწყებულია მიხეილ მარმარინოს სპექტაკლიდან „რომეო და ჯულიეტა.“ ალბათ დროა, ვთქვათ, რომ ეს ერთფეროვნება კარგი არ არის, ცალსახად!

დავუბრუნდეთ სპექტაკლს, სცენაზე წარმოდგენილი პირადი ურთიერთობების რევენასა და ექსპერიმენტებში ჩაფლული ადამიანების გრძნობათა ბუნება დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სულერთია, ეს სახლიდან გამოქცეული გრაფის ქალაშვილია თუ სტუდენტური საცხოვრებლის მოხსელე (მაგდა ლებანიძე). ხასიათთა ეს ერთგვაროვნება აუფერულებს მთელ სპექტაკლს, გაურკვეველს ხდის

პერსონაჟთა კოლიზიებისა და კონფლიქტების მოტივებს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ფრედერთან (თორნიკე გოგონიჭიანი) მიმართებაში. გაუგებარია, თუ რატომ ეშიანიათ ამ ადამიანებს ფრედერის, ისინი მასზე არანაკლებ სასტიკები და გარყვნილები არიან. ამ პერსონაჟებს შორის რეზისორის მიერ წაშლილი განსხვავებები ვფიქროს, სპექტაკლის წარმატებისთვის კიდევ ერთი ხელისშემძლელი ფაქტორი გახდა.

ვიტყოდი, რომ ქართული სპექტაკლის სახელწოდების იდნავ არქაულ ტონასლობაში მთარგმნელისა და რეჟისორის გაუცნობიერებელი გულახდილობა ჩანს, რადგან მიუხედავად პიესაში არსებული ზოგადსაკაცობრივი თემებისა და პრობლემებისა, წარმოდგენილი ნამუშევრის ენა ოდნავ მოძეველებულად გამოიყურება, პირველ რიგში მასში არსებული კლასობრივი განსხვავებების გამო. თანამედროვე ახალგაზრდა მაყურებლისთვის რთული გასაგებია სახლიდან გამოქცეული გრაფის ასულის, მოახლის და წითელი ტუჩსაცხას, ასევე საზოგადოების საშუალო ფენის წარმომადგენელი სტუდენტების რთული ურთიერთქმედება, მათი ფსიქოლოგიური განპირობებულობა. ჩვენთვის უცნაურია სტუდენტურ პანსიონში მოახლის არსებობის ფაქტიც კი, ხოლო, 1923 წლის ვენაში, ეს ჩვეულებრივი და სავარაუდოდ, ბევრი მიზეზ-შედეგობრიობის მატარებელი სოციალური მოვლენა იყო. როდესაც პიესის ექსპოზიციაში დეზირე ცდილობს ახსნას თუ რატომ გამოიქცა სახლიდან, ახსენებს დედას, რომელიც ცრემლებს ყრიდა, როცა შეიღი არ უჯერებდა და ამავდროულად, მარგალიტის მძივს იბნევდა, წვეულებაზე რომ არ დაგვიანებოდა. მგონია, რომ ამ ძალიან კონკრეტულ წინადადებაში, ავტორმა მაღალი სოციალური ფენის მდგომარეობა ასახა პირველი მსოფლიო ომის დროს. აგსტრია, რომელმაც პირველი, ყველაზე სასტიკი მო წამოიწყო კაცობრიობის ისტორიაში და რომელსაც „მარგალიტის მძივის“ დაბნევა სურდა, სასტიკად დამარცხდა. 9 ზილიონი ადამიანი განადგურდა, ხოლო მსოფლიო ახალი, კიდევ უფრო დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. დეზირეს (ქეთა შათირიშვილი) პროტესტი ოჯახის მიმართ მთლიანად მსოფლიო ომის საშინელების წინააღმდეგ არსებულ პროტესტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მისი კულმინაცია, თვითმკვლელობა კი - კათარზისის სურვილად, მაგრამ სპექტაკლში სამწუხაროდ, დეზირეს ამოცანა ამოუხსნელი რჩება. ის განებივრებულ, თითქმის უზნეო ახალგაზრდა ქალის ხასიათის სტერეოტიპულ ჩარჩოს ვერ სცდება.

ბუნდოვანია, რეალურად სად ხდება კვანძის შეკვრა. სპექტაკლის ცქერისას გექმნება შთაბეჭდილება, რომ ჯადოსნური ზლაპრის კლასიკური აგებულების მიხედვით, კვანძის შეკვრა კონკრეტული ზიანის მიყენებით იწყება. შეკვებული შინაგანი დაძაბულობით გათამაშებული ეპიზო-

დი, საიდანაც ირკვევა, რომ ფრედერმა ღუსის ბეჭდების მოპარვისკენ უბიძგა, ცნობისმოყვარებას ალვიძებს და გამოკვანძვის ილუზიას ქმნის. მაგრამ ალმოჩნდება, რომ ეს ეპიზოდი არა კონკრეტული ნივთების დაკარგვის დეტექტიური სიუჟეტური ხაზის დასაწყისს, არამედ ადამიანის ნებისყოფის გამოცდას ეძღვნება. ემსახურება იმის ჩვენებას, რომ ერთმა ადამიანმა მეორეს შეიძლება ნებისმიერი რამ, მათ შორის კრიმინალურიც ჩაადგენინოს. ლუსი, ფრედერის ძალისხმევით, მოახლეობიდან მსუბუქი ყოფაცევის ქალად ყალიბდება. პიესაში სასიყვარულური ურთიერთობების მრავალუთხედებში მანიკ მარიონისა (ნატუკა კახიძე) და დეზირეს ლესბოსური კავშირია ძირითადი. სპექტაკლის კვანძიც, ვფიქრობ, ამ ურთიერთობის დასაწყისს ემთხვევა, არც არასაკმარისად არის გამოკვეთილი. პარტნიორში იმედგაცრუებული მარიონი ნუგეშს დეზირესთან იპოვის. მათი სასიყვარულო ურთიერთობა და შემდეგ ამავე ურთიერთობის კრიზისი სულ რამდენიმე, მნირი დიალოგით შემოიფარგლება, რომელსაც მოქმედება ვერ მიყავს ტრაგიკულ კულმინაციამდე. თუმცა უნდა აღვინიშვნო, რომ მეორე მოქმედება ბევრად უფრო დრამატული და მეტყველია, ვიდრე პირველი. პირველ აქტში რეჟისორის მიერ მოფიქრებული მიზანსცენები ხმირდება მოქმედების ლოგიკას და თვითმიზნურია, მაგალითად ეპიზოდი, როდესაც ირენე (სალომე მაისაშვილი) კარადის თავზე შემოდებული სახელმძღვანელოების ჩამოსალებად სკამზე შედგება, არ საჭიროებს განმეორებას, რადგან ამ მოქმედებას მხოლოდ პირველად აქტს აზრი და განმეორების შემდეგ უხერხულობამ აგდებს მსახიობს, რომელიც ვერ ამართლებს მიცემულ ამოცანას.


როგორც აღვინიშნეთ, მეორე მოქმედება უფრო დრამატულია. მარიონის ხაზიც, ნატუკა კახიძის შესრულებით, მეტად გააზრებულად გამოიყურება. პერსონაჟი თავშეკვებული, სოციალურად ადაპტური ადამიანიდან თანდათან გარდაიქმნება ღრმად სასონარკვეთილ, თავზეხელალებულ, მაგრამ სასიცოცხლო ინსტინქტის ქონე არსებად.

საერთოების სწორედ ასეთ, ქვეცნობიერი სექსუალური და კიდევ უფრო ღრმად არსებული ცხოველური ინსტინქტებით მცხოვრებ ახალ თაობას უწოდეს ტყივილი. მაგრამ ვფიქრობ, რომ წერილში აღნიშვნული მთელი რიგი ფაქტორების გამო, წარმოდგენის პრობლემატიკა გაუზიარებელი დარჩა, ტკივილი კი ისევ ისეთი მკაფრად პირადული, როგორც ადრე.

წარმოდგენის სატკივარმა ვერაფერზე გაგვაფრთხილა გარდა ერთისა, რომ თანამედროვე თეატრალურ კრიტიკას დრო სრულიად ახალ მოთხოვნებს უყვენებს და სპექტაკლის შეფასებამდე საძიებო სისტემების გამოყენების აუცილებლობაზე მიგვითოთებს. დაგუგლეთ!

# პილიფილების ორი მექატრალური ვერსიის თაობაზე

ლაშა ჩხარტიშვილი



გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში ახალი, საიტილეო 170-ე სათეატრო სეზონი გახსნება. ამ თეატრში ინტენსიურად მიმდინარეობს შემოქმედებითი პროცესი, თეატრის ორ სხვადასხვა სივრცეში (დიდი და მცირე სცენა) სპექტაკლებს დგამენ განსხვავებული ესთეტიკის და მსოფლმხედველობის რეჟისორები, თეატრში ემზადებინ კიდევ ერთი ახალი - ექსპერიმენტული სცენის გასახსნელად, ინტენსიურად წარმოადგენენ სარეპერტუარო სპექტაკლებს და მართავენ პრემიერებს, თეატრს სტაბილური და თანმიმდევრული ცხოვრების გამო არ აკლია მაყურებელი, რადგან გორში მიერჩივნენ, რომ კვირის კონკრეტულ დღეებში საღამოს საინტერესოდ და შინაარსიანად გატარება თეატრშია შესაძლებელი. გორის თეატრის ორგანიზებით იმართება კომედიის ფესტივალი, რომლის მსვლელობისას ქალაქში სადღესასწაულო განწყობა სუფესი, იგსება სტუმრებით და გორი საფესტივალო ქალაქის იმიჯს ირგებს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო, გორის დრამატული თეატრი ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ, სტაბილურ, თანმიმდევრულ და საინტერესო თეატრად იქცა, სადაც არსებობს სარეპერტუარო პოლიტიკა და მუდმივად ხდება დასის განახლება ახალგაზრდა კადრებით, რომელთა ხილგა მაყურებელს არა მხოლოდ სცენაზე, მსახიობის ამბლუაში შეუძლია, არამედ დრამატურგიაში (აյ რამდენიმე დამწყები დრამატურგის პიესა დაიდგა), რე-

ჟისორულ და სცენოგრაფიულ ნამუშევრებში (გორის თეატრის სპექტაკლების პროგრამაში აღმოაჩინ ახალ სახელებს).

170-ე საიტილეო სეზონი გორის თეატრმა სამსატვრო ხელმძღვანელის, სოსო ნემსაძის სპექტაკლით „სეილსმენი“ გახსნა. არტურ მილერის ორმოქმედებიანი ფსიქოლოგიური დრამის „კომოვიაჟერის სიკვდილი“ (Death of a Salesman), რომელიც ამერიკული ლიტერატურისა და თეატრის კლასიკად არის მიჩნეული, სცენური ადაპტაცია თავად რეჟისორს ეკუთვნის. პრობლემა, რომელიც არტურ მილერმა გასული საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს დასვა, დღემდე აქტუალურია. უილბლო მოგზაურის, გაყიდვების მენეჯერის, ვილის ტრაგიკულ ისტორიას რეჟისორმა სოსო ნემსაძემ ახლებური ქუდერადობა მიანიჭა და ოკეანის გაღმა დატრიალებული სევდიანი ისტორია საქართველოში გაათავაშა. რეჟისორმა ამბავი და სიუჟეტი კი არ შეცვალა და გადმოაქართულა, არამედ ქართველი მაყურებლისთვის ახლობელი და ორგანული გახადა, განსხვავებული აქცენტების დასმით ხაზი გაუსახ ხელმოცარული ადამიანების პრობლემას, კომუნიკაციის დეფიციტს ოჯახის წევრებს შორის, თაობებს შორის განსხვავებული მსოფლმხედველობით გამოწვეულ კონფლიქტს.

სოსო ნემსაძემ მაყურებელსა და ახალგაზრდა მსახიობებით დაკომპლექტებულ დასს დიდი გამოცდა მოუწყო. მან სიუჟეტის თხრობის რთული კონსტრუქცია და დროში გადახლართული დრამატურგიული არქიტექტონიკა აირ-



ჩია. მაყურებელიც და მსახიობებიც დროსა და სივრცეში მოგზაურობს ისე, რომ ყველაფერი დაკავშირებული სიუჟეტთან და ამბის თხრობასთან ნათელი და გასაგებია. ეს გზა ურთიულესი უფრო მსახიობებისთვისაა, რადგანაც მათ თავიანთი გმირების ხასიათის გადმოსაცემად ტრადიციულად, კლასიკურად თხრობა კი არ უნევთ, როცა გმირის ხასიათი თანმიმდევრულად ვითარდება, არამედ დროსა და სივრცეშია გაბნეული და მაყურებელს ამ განწყობის თავმოყრა უწევს. ამის გამოა, რომ სპექტაკლი საინტერესო სანახავია. სიუჟეტის რთული კონსტრუქცია თხრობას ოდნავ აფერხებს მხოლოდ პირველ მოქმედებაში, როცა საექსპოზიციო ნაწილის ეპიზოდები თამაშდება, რაც ბოლომდე ანაზღაურდება მეორე მოქმედებაში.

სპექტაკლში ძირითადად, გორის თეატრის ახალი თაობა მონაწილეობს, რომელიც იმედისმომცემი და ძლიერი ძალაა არა მხოლოდ გორის, არამედ ზოგადად, ქართული თეატრისთვის. ამ სპექტაკლში კარგად ჩანს ბევრი მათგანის პოტენცია, შესაძლებლობები და პროცესი, თუ როგორ იხვეწებიან, ვითარდებიან და შემოქმედებითად იზრდებიან ისინი. მათ გვერდით დგანან გორის თეატრის საშუალო თაობის წარმომადგენლებიც, რომელთა შორის ლიდერი მსახიობი კახა ბერიძეა. სპექტაკლიდან კარგად ჩანს, რომ დასი ერთ ენზე საუბრობს, მათ შორის სწორი საკომუნიკაციო სამუალებები არის გამონახული, რაც მაყურებელში ქმნის ანსამბლურობის განცდასაც.

სპექტაკლის ცენტრში მოგზაური, ოჯახის უფროსი და ტრაგიული პერსონა, ვილი დგას, რომელსაც ახალგაზრდა მსახიობი შოთა ხანჯალიაშვილი ასრულებს. მსახიობი ძალ-ღონესა არ იშურებს პერსონაჟის ხასიათის სწორად და თანმიმდევრულად გადმოსაცემად, თუმცა მას ამ ეტაპზე მაინც აკლია არტისტული გამოცდილება, ოსტატობა, რათა მის მიერ წარმოდგენილი გმირი იყოს უფრო მეტად დამაჯერებელი, ვიდრე არის. გარკვეულ ეპიზოდებში მსახიობს არ ჰყოფნის ხმის განაწილებასთან დაკავშირებული ტექნიკა, როცა მისი გმირი დრომატული პერსონა ხდება, მას არ ჰყოფნის გამოცდილება დრომატულობის სიმძაფრით გადმოსაცემად. როცა მოხუცის ამპლუაში ის ემოციას უმატებს, ვილი კარიკატურულ პერსონაჟს უხსლოვდება, რასაც ვერ ვიტყვი ამ გმირის ახალგაზრდობის პერიოდზე. შოთა ხანჯალიაშვილის გმირი სრულ ილუზიაში ცხოვრობს, ახალგაზრდობაში შვილების გაზრდისას დაშვებული შეცდომების შედეგებს სიბერეში იმკის. გულნრფელი და ბუნებრივია მსახიობი ახალგაზრდობის პერიოდში, ხოლო სიბერეში მის გმირს შინაგანად ოდნავ ხელოვნური, ხოლო გარეგნულად ორგანული შტრიხები აქსებს. მთლიანობაში ახალგაზრდა მსახიობი ახერხებს ვილის ტრაგიული პერსონის სახის გახსნას და თანაგანცდის გამოვევას მაყურებელთა შორის. ვილის კონფლიქტი რეალობასთან, ახალ დროებასა და შვილებთან არასწორ კომუნიკაციასა და ურთიერთობის დეფიციტურობაში ვლინდება. განსაკუთრებით გულნრფელია მსახიობი ახალგაზრდა მამის ამპლუაში, მისი

ურთიერთობის სცენები „პატარა“ ბიჭებთან მაყურებელში დადგებით ემოციებს აღძრავს. რეალობას მოწყვეტილ გმირს უჭირს გაიგოს და მიიღოს პარალელური რეალობა, უბრალოდ არ შეუძლია, მისი მხოლოდ ცოლს ლინდას ესმის, რომელიც ხშირ შემთხვევაში მას არ ეთანხმება, მაგრამ მისი ნამდვილად ესმის.

ახალგაზრდა მსახიობს ლირსეულ პარტიითობას უნევენ ცოლების როლში სოფო მაიერი (ლინდა) და ანა ჩოგოვაძე (ლინდა ახალგაზრდობისას), ორივე მსახიობი რეალისტურია, გულწრფელი და ადეკვატური კონკრეტულ სიტუაციებში, თუმცა, ხასათებით — ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული. სოფო მაიერის გმირი ლრმა შინაგან სევდას დაატარებს და მსახიობი ზედმეტი გამომსახველობითი სამუალებების გამოყენების გარეშე ხატავს ტრაგიკული ქალის პერსონას, რომელსაც ისევე ტკივა და უხარია, როგორც ჭეშმარიტ, მეორე ნახევარზე უზომოდ შეყვარებულ, ერთგულ მეუღლეს. განსაკუთრებით ემოციურია მისი საფინალო მონოლოგი, რომელიც დატვირთულია ცხოვრების ტრაგიზმით. რაც შეეხება ანა ჩოგოვაძის ლინდას, მსახიობი ახალგაზრდული ტემპერამენტით სავსე და ოჯახზე უზომოდ შეყვარებული, ოდნავ ეგოისტი ქალის მხატვრულ სახეს ქერნავს ხისტად, ზედმეტი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენების გარეშე. საინტერესოდ და თანმიმდევრულად

ხატავენ ბიფის და ჰეფის მხატვრულ სახეებს ზაზა თედელური და გიორგი ელიზბარაშვილი. ისინი ერთდროულად, სპექტაკლის მსვლელობის სხვადასხვა ეპიზოდში ბავშვობისა და ახალგაზრდობის პერსონაჟებს თამაშობენ. მათ შორის ზღვარი მკვეთრია და დამაჯერებელი. ისინი არიან გულწრფელები და ორგანულები. მათ არ აქვთ არც ერთი ყალბი ეპიზოდი სპექტაკლში. ხასიათებით იდნავ განსხვავებული პერსონაჟები არიან ბიფი და ჰეფი, მაგრამ მათ ერთი საერთო აქვთ: უნიათოები და უპერსპექტივოები არიან, რომელებმაც დიდი დრო დაკარგეს საკუთარი ადგილის ძიებაში. ამ ტრაგიზმს განსაკუთრებული პროფესიონალიზმით და დახვეწილობით ზაზა თედელური გვიჩვენებს. ბუნებრივია მისი გალიზიანებაც. თბილი და მოსიყვარულე შვილის ამპლუას ირგებს გიორგი ელიზბარაშვილი, რომელიც, მიუხედავად გმირის უარყოფითი თვისებებისა, მაინც პოზიტიურ ემოციებს აღძრავს მაყურებელში. სამსახიობო ოსტატობის სიმაღლეზე დგას კახა ბერიძე, რომელიც სპექტაკლში ვილის მეზობლის, ჩარლის როლს ასრულებს. მას მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი აქვს სპექტაკლში, ამის მიუხედავად, თვალნათლივ წარმოაჩენს მსახიობი გმირის ხასიათს მთლიანობაში, ამ პერსონაჟის შინაგანი განცდების დრამატურგიას. მისი გარეგნობა მატყუარაა (კოსტიუმითა და გრიმითაც მსახიობი დაშორდა თავის რეალურ ამპლუას),



ბუზღლუნა და მდიდარი მოხუცი სინამდვილეში სიკეთით სავსე პერსონაჟია, რომელიც მთელი ცხოვრება ეხმარება ვილის და უხანგრძლივებს პარალელური სამყაროს არსებობის შეგრძნებას. საინტერესო სახეები შექმნეს სპექტაკლში მერაბ ჭანკოტაძემ, ზვიად მალალაშვილმა, ლევან ჯამბორიშვილმა, თეკლა მარჯანიშვილმა, ნათა ინინაშვილმა.

სპექტაკლის სცენოგრაფია თამარ გურგენიძემ დეკორაცია ერთდროულად პირობითად და რეალისტურად გადაწყვიტა. სცენაზე რამდენიმე ოთახის კარია, მათ შორის კედლები არ არის აღმართული, ამიტომ მაყურებელი წარმოსახვით იოლად ხვდება, რომ მოქმედება სხვადასხვა სივრცეში მიმდინარეობს. ამ პრინციპს არც მსახიობები არღვევენ და დიალიგისას ოთახიდან ოთახში შესაბამისად, ოდნავ აწეული ხმის ტონით წარმართავენ. ფერადი და დაზიანით განსხვავებული ითახთა კარები ამ სახლის მაცხოვრებელთა განსხვავებულ მსოფლმხედველობას გამოხატავს. ხასიათების შესაბამისად შერჩეული კოსტიუმები მსატვრის სათეატრო აზროვნების მასშტაბსა და ღრმა ცოდნას უსვამს ხაზს.

სოსო ნემსაძე მეტაფორული ენით მოსაუბრე რეჟისორადაც გვევლინება. ამ მხრივ გამორჩეულია ორი მეტაფორა - დარაბა და მანქანა, რომელიც, როგორც დეკორაციის წანილი სოფიტებს ზემოთ არის ჩამოყიდებული. სპექტაკლის მსვლელობისას ისინი სცენოგრაფიის ყველაზე სტატიკურ წანილს წარმოადგენენ, ხოლო ფინალში ისინი მხატვრულ დატვირთვას იძენენ, როგორც მთავარი გმირის ცხოვრების და სულიერი მდგომარეობის წანილი. ვილის გარდაცვალებისას დარაბა, როგორც ფანჯარა, მისი ცხოვრებისა იკეტება და ასევე ფინალში ინთება მანქანის შუქებიც, როგორც ვილის სიკვდილთან მიახლოების მეტაფორა, რომელიც გმირს გზას უკვე საიქიოში უნათებს.

სოსო ნემსაძის სპექტაკლში ერთი კონკრეტული ოჯახის მაგალითზე თამაშდება ის ოთული, წინააღმდეგობებით, გაუგებრობებით, არაკომუნიკაციურობით გამოწვეული რეალობა, რომელიც, ზოგადად, დგას ოჯახსა და სახელმწიფოში. თუკი ვილის ოჯახს მოვიაზრებთ, როგორც სახელმწიფოს პატარა მოდელს და გავანალიზებთ, მივხვდებით, რომ ზოგჯერ მთავარი პრობლემა ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაციის დეფიციტია. ვილის მიერ ერთხელ დაშვებული შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდება ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის დეფიციტის გასაჩინად, იმედების გასაცრუებლად და სასონარსაკვეთად. ამ დროს კი გამოსავალი რეალობის მძაფრი შეგრძნებაა და არა მისგან გაქცევა, როგორც ვილის შემთხვევაში, რომელიც თვითმევლელობით ასრულებს ცხოვრებას. რეჟისორიც ყველა კარს კეტავს და მიგვანიშნებს, რომ ასეთ შემთხვევაში გამოსავალი აღარ არსებობს! ამიტომაც დროზე

უნდა ვეცადოთ სიტუაციაში კარგად გარკვევას, სანამ ყველა კარი და დარაბა ჩაირაზება.

\* \* \*

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თავისუფალი თეატრი ერთად-ერთი კერძო, დამოუკიდებელი თეატრია საქართველოში, რომელსაც აქტიური ფუნქციონირება დაარსების დღიდან დღემდე არც ერთი წეუთით არ შეუწყვიტავს. თავისუფალი თეატრი სარეპერტუალი სპექტაკლებში დასმული პრობლემათა სიმწვავის, პირდაპირობის, სიმართლის შეულამაზებლად ასახვისა და გადაცემის, არცთუ მომგებიანი ცხოვრების წესის მიუხედავად, უძლებს დროს, მთავრობებს, ეკონომიკურ კრიზისს და აქტიურად განაგრძობს ცხოვრებას ქართული საზოგადოებისთვის, მაცხოვებლისთვის, რომელიც მას არას-დროს აკლდა.

მეთექვსმეტე სათეატრო სეზონი თავისუფალმა თეატრმა ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლით „ხომ ხოცავენ ქანცგანწყვეტილ ცხენებს“ გახსნა. მაკავი ხორასის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით შექმნილი სპექტაკლის ინსცენირების ავტორი თავად რეჟისორია, თუმცა ავთო ვარსიმაშვილი ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ინსცენირების, არამედ გადმოქართულების ავტორადაც მოგვევლინა. ამ მხრივ მას საკამაო გამოცდილება დაუგროვდა და ამ მიმართულებით მის შემოქმედებით ანგარიშზე რამდენიმე წარმატებული სპექტაკლია (გახსოვთ ალბათ, მისივე „კომედიანტები“, რომელიც ბოლო პერიოდის ქართულ თეატრში ჯონ ოს-ბორნის ამავე სახელწოდების წანარმოების გადმოქართულების საუკეთესო მაგალითია). უნდა ითქვას, რომ ავთანდილ ვარსიმაშვილმა გადმოქართულების მხოლოდ მოქმედი გმირების სახელები და მოქმედების ადგილი კი არ შეცვალა (როგორც ამას ბოლო პერიოდში მთარგმნელები, მათ შორის სახელგანთქმულები, აკეთებენ), არამედ შექმნა ახალი ქართული გარემო და რეალობა, რომელიც როგანულად შეერწყაჩვენს თანამედროვეობას გმირთა ხასიათებითა და სიტუაციებით. ზედმეტ ფიქრსა და აზროვნებას გადაჩვეულ ფართო საზოგადოებრიობას რეჟისორმა ამ გზით გაუადვილა სპექტაკლში დასმული პრობლემების აღქმის ამოცანა. ლოკალურ ჭრილში დასმული აქტუალური საკითხისთვის კი დაუტოვა ანალიზისა და დაფიქრების საშუალება, რათა მარტივად გავარკვიოთ, სად ვართ, რანი ვართ და როგორ შეიძლება დაგადნიოთ თავი იმ უფსკრულს, რომელშიც დიდი ხანია გადავიჩეხეთ. ავთო ვარსიმაშვილმა ტექსტი მოქნილი, სიტყვა - ქმედითი, ეპიზოდები კი თეატრალური გახადა. პერსონაჟთა სამეტყველო ენა თანამედროვეა. რეჟისორი არ გაურბის სლენგს, უარგონს, ენაში დამკვიდრებულ ფორმებს, შესაბამისად, რეალობას (თეატრიც



ხომ ჩვენი ცხოვრების სარკე უნდა იყოს). ამ გზით კი სპექტაკლის ავტორი კიდევ უფრო აახლოებს მაყურებელს პერსონაჟებთან და ზრდის სპექტაკლის მსვლელობაში მაყურებლის ჩართულობის ხარისხს.

მხოლოდ დროს და სიტუაციას მორგებული ტექსტის წარმატებული ადაპტაცია არ არის ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლის ხიბლი. ის კარგად იცნობს მაყურებელს და ფლობს მისი მონუსხვის ხერხებსაც, რაც მიზანსცენათა თანმიმდევრულ (განვითარებად) წყობაში, სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებასა (ემოციის გასაძლიერებლად) და პრობლემის ზუსტად მიგნებულ და რაც მთავარია, ზომიერად გაუღრებაში გამოიხატება. რეჟისორი ამჯერადაც არ ინდობს, არ ერიდება არავის და არაფერს, არც შეფარვით გზებს ეძებს სიმართლის სათემელად, რეალური სურათის დასახატად. აქ ყველაფერი ხელისგულზე გათამაშებული, რადგან მეტაფორების თეატრი წარსულს ჩაბარდა და დრო ამ მეტაფორათა ამოსახსნელად აღარც მაყურებელს აქვს. ამ ფორმით რეჟისორი ცდილობს პირდაპირ იქნიოს ზეგავლენა მაყურებელზე, რასაც აღწევს კიდეც.

ავთო ვარსიმაშვილი სატელევიზიო რეალური შოუს მონაწილე ოთხი წევილის მაგალითზე გვიჩვენებს ჩვენს საზოგადოებას, სოციუმს თავისი პრობლემებით, რეალობით, ცხოვრების წესით, ხასიათით, დადებითი და უარყოფითი თვისებებით. რეჟისორი მხოლოდ სოციალურ

პრობლემებზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ ამ ერთი ძირითადი და უაღრესად მტკიცნეული პრობლემის კვალდაკვალ იკვეთება უამრავი ხაზი, რომელიც თვალნათლივ გვარვენებს იმ მიზეზებს რეალობისა, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ. „ხომ ხოცავენ ქანცგანყვეტილ ცხენებს“ მძაფრი სოციალური თემატიკისა და აქტუალურ პრობლემათა ერთობლიობის სპექტაკლია, რომელიც უნდა ნახოს არა მხოლოდ ფართო მაყურებელმა, არამედ ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებმა, რომლებიც საკუთარ პროტოტიპებს იოლად აღმოაჩენენ თავისიუფალი თეატრის სცენაზე გათამაშებულ ერთ კონკრეტულ ამბავში. სპექტაკლში არეკლილია ჩვენი ცხოვრების ეპიზოდები, ბოლო წლებში ქვეყანაში მომხდარი და მიმდინარე მოვლენები - გზას აცდენილი ახალგაზრდები, ტოტალური უმუშევრობის და მიგრაციის პრობლემა, ომებით გამოწვეული მოუშუშებელი ტრაგედია და ტკივილები, საზოგადოების საშუალო ფენის შიმშილი...

ვარსიმაშვილის სპექტაკლი, ისე როგორც სპექტაკლში მიმდინარე სატელევიზიო რეალური შოუ, ჩვენი დღევანდელობის სარკეა. სცენაზე მხატვრულად სარკისებურად აისხება ჩვენი ყოფა (სცენოგრაფები შოთა გაბალიშვილი, თეო უზენანიძე). სცენაზე გათამაშებულ ისტორიებს დიდი მანძილი არ აშორებს მაყურებლისგან, ამიტომაც მოვლენებს მთელი სიმძაფრით, რეალობის შეგ-

რძნებით აღიქვამს მაყურებელი, რომელიც ისევე განიცდის სცენაზე მომხდარს, როგორც თავად გმირები. სცენოგრაფებმა შექმნეს ზუსტი და მეტა-ფილული სამყარო - საჯინიბო, თავისი მოდერნ-იზებული ატრიბუტიკით. მსახობობა კოსტიუმებშიც შეიტანეს დეტალები, რომლითაც სპექტაკლის გმირები ცხენოსტობის მარათობის მონაწილეებს მიუახლოვს. შთამბეჭდავის დერბის სცენა, როცა რეალური შოუს გმირები ცხენებივით ერთვებიან მარათონში. მაყურებლის თვალნინ ცოცხლდება რეალური სურათი, რომელიც არა მხოლოდ ამ კონკრეტულ ეპიზოდს გადმისცემს თეატრის ენით, არამედ ზოგადად, ადამიანთა ცხოვრებისეულ მარათონს. გარეგნულად მოქმედება ცხენაშენის ინტერიერში, თავლაში წარმოებს, სინამდვილეში კი ეს რეალური ტელეშოუა, რომელშიც განსხვავებული ინტერესების ადამიანები ნებაყოფლობით მონაწილეობენ. სცენიგრაფებმა ორიგინალურად გაიაზრეს სივრცე, ცხენებივით შოუს მონაწილეები მათი განსხვავებული ხასიათებისა და ინტერესების მიუხედავად, ერთნაირ სტანდარტულ სიბრტყეზე მოათავსეს. სივრცე, სადაც მოქმედება ხდება, რომელიც არაერთი სცენური მხატვრული მეტაფორის შემცველია, სარკისებურად ირეკლამს პერსონაჟებს, მაყურებელს, მოქმედებებს, სცენურ რეალობასა და შინაგან განცდებასაც კი, რომელიც გაორმაგებული სიმძაფრით მოქმედებს მაყურებელზე.

რეალურ შოუში მონაწილეებს ერთი ინტერესი აქვთ, მოიგონ 100 000 ლარი, მაგრამ მათ

განსხვავებული ხასიათები, ცხოვრების წესი და განვლილი გზა აქვთ. მათი შესაძლებლობებიც და წარსულიც განსხვავებულია, თუმცა ისინი საერთო ენას მაინც პოულობენ. ამ რეალურ შოუში, ისე როგორც ცხოვრებაში, უყვარდებათ და ერთმანეთს შორდებიან, ებრძვიან და ერთმანეთის გვერდით დგანან, აკეთებენ აღმოჩენებს და უმკლავდებიან მოულოდნელ, არც-თუ სასიამოვნო სიურპრიზებს. ისინი სავსე არიან ანგარებით, ფარისევლობით, ერთგულებით, ერთმანეთის პატივისცემით. მათ ორმაგი სახე აქვთ, რეთი — რეალური და მეორე — პარალელური — მხოლოდ კამერებისთვის განკუთვნილი (იძულებით ღიმილიანი). მათ აქვთ მიზნები და ოცნებები, რომლისკენაც ისწრაფვიან. მიზნების მისაღწევად და ოცნებების ასახდენად კი მათ რთული, სამკვდრო-სასიცოცხლო გზის გავლა უწევთ, ზოგიერთი მათგანი ვერც უძლებს და მარათონს ეთიმება. მხოლოდ ერთი წყვილი (ნინი - ქეთა ლორთქიფანიქე და ოთა - გიორგი ჯიქია) აღწევს სანადელს და იმარჯვებს. სპექტაკლში მონაწილე მსახიობები: გიორგი ზანგური, მარიამ ნადირაძე, ქეთა ლორთქიფანიქე, ანა ალადაშვილი, ლაშა გურგენიძე, მამუკა მუმლაძე, სალომე ჭულუხაძე და გიორგი ჯიქია შოუს მონაწილეებს განასახიერებენ. ამავდროულად ისინი ქმნიან ზოგად მხატვრულ სახეებს, საზოგადოების ტიპებს, რომლებსაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით. ეპიზოდურ, მაგრამ დასამახსოვრებელ მხ-



BEN TSIREKIDZE

ატვრულ სახეს ქმნის თინათონ კორძაძე (ფატი), რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების კრებითი სახეა სპექტაკლში. თინათონ კორძაძის გმირი მოულოდნელად პარტერიდან ავარდება სცენაზე და აპროტესტებს რეალურ შოუს. მსახიობი ქმნის დაპროგრამებული, გონიერივად ოდნავ დაქვეითებული გმირის ტიპაჟს, რომელსაც აბსურდული მიზეზების გამო მიაჩინა, რომ შოუ უნდა დაიხუროს. მისი არგუმენტები რეალობას აცდენილია და მარცხისთვის განწირული. მით უმეტეს, როგორც მომდევნო ეპიზოდებში ირკვევა მისი გაუჩინარებს მიზეზი: გაჩუმების სანაცვლოდ მან რეალური შოუს მესვეურებიდან გარკვეული თანხა მიიღო პროტესტის შესანწყობად.

სპექტაკლში განსხვავებულ და მოულოდნელ ამპლუაში — შოუს წამყვანის როლში მოგვევლინა მსახიობი ჯაბა კილაძე, რომლის საუბრის მანერა და ინტონაცია გარკვეულ მომენტებში დავით აქუბარდიას გვაგონებს. მსახიობი ახერხებს შექმნას საზოგადოებრივი მონსტრის - ტელევიზიის კრებითი სახე, რომელიც მხოლოდ რეიტინგზე ფიქრობს და არ ადარდებს ადამიანების ფიქროლოგიური, სულიერი, ფიზიკური მდგრმარეობა. რომელსაც დაკარგული აქვს თანაგანცდის გრძნობა და ქცეულია რობოტად, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — შექმნას რეიტინგული შოუ. ჯაბა კილაძის გმირი არ არის ცალსახა და ერთფეროვანი. მის ხასიათში წარსულიდან სულ სხვა ცხოვრებისეული გამოცდილება ვლინდება, რომელიც ასასარებასავით წამოცდება მას, თუმცა ეს მას სრულებითაც არ ამართლებს. მის გმირს სახელმწიფოებრივი აზროვნება, მოქალაქეობრივი შეგნება და მოტივაცია არ აქვს. შესაბამისად, მაყურებელს გამოაქვს დასკვნა, რასაც რეზიუმეს სახით ამბობენ კიდევ სპექტაკლში, რომ „ჩვენი ტელევიზიები არის ყველაზე დიდი მარაზმი, რომელთაც უხარისათ საშინელებათა ტირაჟირება“. ჯაბა კილაძე წარმატებულად ქმნის ქართული ტელევიზიის ზოგად სახეს, ხშირად ცვლის ნაცნობ ინტონაციას, თუმცა ტოვებს მთავარს - დაულოკებელ წყურვილს დიდი რეიტინგის დასაწერად, ამიტომაც მის გმირს სინდისზე ხელი აღებული აქვს და ბევრი გრძნობაც შეგნებულად გამორთული აქვს.

მოქმედების პარალელურად, პირდაპირი ეთერის პრონციპით სცენის ზემოთ სახელდახელო ეკრანზე გადის კადრები პროექციის საშუალებით, რომელიც დეტალებზე მუშაობს და მიმიკის გაძლიერების ეფექტით ჩვენ ეხედავთ გმირთა შინაგან განცდებს, თუმცა მსახიობები იმდენად ძლიერად გამოხატავენ გმირთა განცდებს, რომ ეკრანზე მათი პორტრეტების

ჩვენება ემოციის გაძლიერების მიზნით ზედმეტიც კი არის.

სპექტაკლის ქორეოგრაფიული გადაწყვეტა მარიამ ალექსიძეს ეკუთვნის. საცეკვაო შოუში მონაწილები ბევრს „ცეკვავენ“. სპექტაკლში ქორეოგრაფია ესკიზების სახით გახდება, აქვე შეხვდებით დასრულებულ საცეკვაო ნომერს, ერთი და იგივე ქორეოგრაფიული რეალობას აცდენილია და მარცხისთვის განწირული. მით უმეტეს, როგორც მომდევნო ეპიზოდებში ირკვევა მისი გაუჩინარებს მიზეზი: გაჩუმების სანაცვლოდ მან რეალური შოუს მესვეურებიდან გარკვეული თანხა მიიღო პროტესტის შესანწყობად.

სპექტაკლში განსხვავებულ და მოულოდნელ ამპლუაში — შოუს წამყვანის როლში მოგვევლინა მსახიობი ჯაბა კილაძე, რომლის საუბრის მანერა და ინტონაცია გარკვეულ მომენტებში დავით აქუბარდიას გვაგონებს. მსახიობი ახერხებს შექმნას საზოგადოებრივი მონსტრის - ტელევიზიის კრებითი სახე, რომელიც მხოლოდ რეიტინგზე ფიქრობს და არ ადარდებს ადამიანების ფიქროლოგიური, სულიერი, ფიზიკური მდგრმარეობა. რომელსაც დაკარგული აქვს თანაგანცდის გრძნობა და ქცეულია რობოტად, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — შექმნას რეიტინგული შოუ. ჯაბა კილაძის გმირი არ არის ცალსახა და ერთფეროვანი. მის ხასიათში წარსულიდან სულ სხვა ცხოვრებისეული გამოცდილება ვლინდება, რომელიც ასასარებასავით წამოცდება მას, თუმცა ეს მას სრულებითაც არ ამართლებს. მის გმირს სახელმწიფოებრივი აზროვნება, მოქალაქეობრივი შეგნება და მოტივაცია არ აქვს. შესაბამისად, მაყურებელს გამოაქვს დასკვნა, რასაც რეზიუმეს სახით ამბობენ კიდევ სპექტაკლში, რომ „ჩვენი ტელევიზიები არის ყველაზე დიდი მარაზმი, რომელთაც უხარისათ საშინელებათა ტირაჟირება“. ჯაბა კილაძე წარმატებულად ქმნის ქართული ტელევიზიის ზოგად სახეს, ხშირად ცვლის ნაცნობ ინტონაციას, თუმცა ტოვებს მთავარს - დაულოკებელ წყურვილს დიდი რეიტინგის დასაწერად, ამიტომაც მის გმირს სინდისზე ხელი აღებული აქვს და ბევრი გრძნობაც შეგნებულად გამორთული აქვს.

ვარსიმაშვილის სპექტაკლში სატელევიზიო რეალური შოუ პატარა მიოდელია იმისა, რაც ჩვენს გამშემო ხდება, რომ ცხოვრებაც ისეთივე მარათონია, როგორც თავად შოუ და ჩვენ ამ შოუს მონაწილები ვართ. ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლი ჩვენზეა, რიგით მოქალაქეებზე, ხელმოცარულ და გზასაცდენილ ახალგაზრდებზე, ნიჭიერ მომავალ თაობაზე, რომელსაც სურს იცხოვროს ნორმალურ და სტაბილურ ქვეყანაში, იმ თაობაზე, რომელიც ომში იბრძოდა, იმ ძლიერ ქალებზე, რომლებიც კაცებს ზურგით მიათრევდნენ, იმ ცხენად გადაქცეულ ადამიანებზე, რომელსაც ქანცგანვეტილობის უამს ხოცავენ, იმ თავაზე, რომელშიც ცხენებივით ვცხოვრობთ და გადმოგდებულ ლუკმაბურს ველოდებით, იმ წინააღმდეგობებზე, რომელიც ცხოვრებაში გვხდება და იმაზეც, როგორ მარცხდებიან და იმაჯვებენ მიზანდასახული ადამიანები. ეს არის სპექტაკლი ძლიერი და სუსტი ნებისყოფის ადამიანებზე — ყველაზე, ვანც ჩვენს დროში ცხოვრობს და არსებობს. ეს მძაფრი და ტკივილებით დამძიმებული სპექტაკლი იმ მარათონზეა, რომელშიც რამდენმე ათეული წელია ვმონაწილეობთ და ფინალური ბევრი გვიკლია. სპექტაკლიდან კარგად ჩანს, რომ რეჟისორი ჯეროვნად იცხობს ეპოქას და გარემოს, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს, აქ ადამიანები დანევროზებული არიან. ისინი ჩაკეტილ სივრცეში თავისივე ნებით ცხოვრობენ და ისტერიულად იბრძვიან გამარჯვებისთვის. ეს ავთო ვარსიმაშვილის თეატრია, რომელიც თავისი სპექტაკლებით ყველა დროში ახერხებს იყოს უკომპრომისო, ობიექტური, მწვავე, კრიტიკული, კონიუნქტურის გარეშე და ყოველთვის იბიექტური სიმართლის მხარეს.

# დმანისის თეატრი პვლავ აღორძინდა



გუბაზ მეგრელიძე

ის ფაქტი, რომ დმანისში აღსდგა ზინა კვერენჩილაძის სახელობის თეატრი, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ის გარემოებაც, რომ ჩვენმა დიდებულმა მსახიობმა, ქალბატონმა ზინა კვერენჩილაძემ, სწორედ იმ რაიონში დააარსა თეატრი, სადაც ქართული სიტყვა ყოველთვის უნდა ისმოდეს, რა თქმა უნდა, ისტორიული ფაქტია. ეს თეატრი ქართული კულტურის კერა უნდა გახდეს, აյ ახალგაზრდობა უნდა მოვიდეს, ეს თეატრი ქართული პატრიოტული სულის სამჭედლოდ უნდა იქცეს... ანუ თეატრმა თავისი დანიშნულება უნდა შეასრულოს! ეროვნულ მუხტს ისიც ამძაფრებს, რომ კულტურის სახლის დარბაზში გამოფენილია დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ისტორიული ნივთები. მათ შორის - პირველ ევროპელთა, მზიასა და ზეზვას, თავის ქალები. გაინმინდა და თავის პირველსახეს დაუბრუნდა დმანისის სიონის მიმდებარე ტერიტორია. ამ არქეოლოგიური მონაპოვრის დიდი მოამაგე და ხელმძღვანელი, ბატონი ჯუმბერ კობალიანი თეატრის დირექტორიც გახლავთ. სასიხარულოა, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი და ნიჭიერი მსახიობი კოტე მუავა, რომელიც არ შეუშინდა როულ შემოქმედებით პირობებს, შეკრიბა თანამოაზრეთა გუნდი და მცირე მატერიალური სახსრებით (ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნელინადში 10 ათასი ლარია გამოყოფილი) მოამზადა

სპექტაკლი, რომელიც ფოთის საერთაშორისო რეგიონულ პირველ ფესტივალზე წარმატებით გამოვიდა და მაყურებლის დიდი მონონება და სიყვარული დაიმსახურა.

საინტერესოა ისიც, რომ ვიხილეთ ნოდარ დუმბაძის ნანარმოებების „სისხლი“ და „ძალლი“-ს მიხედვით დადგმული სპექტაკლი. ეს გახლავთ არა კომედიური ჟანრის, არამედ პატრიოტული ჟლერადობის სპექტაკლი, რეჟისორმა გეგა ქურციკიძემ ამ ორი დამოუკიდებელი ნოველისგან სპექტაკლის მთლიანი სიუჟეტი შექმნა. მოგეხსენებათ, „სისხლი“ ორი ეპიზოდისგან შედგება, როდესაც ბაბუა სპირიდონს ბებია იულიასგან ნოდარა გურიაში მიჰყავს და როდესაც იუკან, ხონში, აბრუნებს შვილოშვილს. მათ შორის გურიაში ცხოვრების ამბავს „ძალლის“ სიუჟეტი აგრძელებს, რაც ორგანული აღმოჩნდა სპექტაკლისთვის. რეჟისორული კონცეფციით სპექტაკლი მოუწოდებს მაყურებელს პატრიოტიზმისკენ, ადამიანმა არ უნდა დაკარგოს თავისი მამული, შეინარჩუნოს წინაპართა ტრადიციები, არ უდალატოს „სისხლის ყივილს“, არ ჩააქროს ის ფუძე, სადაც გაიზარდა და მომავალ თაობებს გადასცეს კერის - სამშობლოს დიდი სიყვარული. სპექტაკლი, მხატვრული ლირებულების გარდა, ეროვნულ ჟღერადობასაც იძენს, ვინაიდან დმანისის რაიონში ქართული მოსახლეობა მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს და, ამ მხრივ, მშობლიურ სიტყვას გან-

საკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მოქმედება იწყება კოტე მჟავიას გამოსვლით, რომელიც სიყვარულითა და ნოსტალგიური განწყობით შეავლებს ღობეს ხელს, შეათვალიერებს ბავშვობაში გატარებულ გარემოს, ზურგჩანთას მოიხსნის და, სცენის კუთხეში დადგომის შემდეგ, ბავშვობის მოგონებები შეასენებენ თავს. იგი წამყვანისა და ავტორის ფუნქციას ითავსებს და მაყურებელი წარმოსახვის სამყაროში შეჰყავს, სადაც ხან მოქმედ პირად, ხანაც მოვლენების ემოციურ შემფასებლად გვევლინება. მასში აირევლება ბავშვობის წლების განუმეორებელი ხიბლი, ადგილის დედის დიდი სიყვარული, რომლის მონატრებამაც იგი მშობლიურ კუთხეში ჩამოიყვანა. მართალია, მისი წინაპრები ფიზიკურად აღარ არიან, მაგრამ, ქვად, ხედ, ცად, მინად ქცეულნი, თან სდევენ. ამ ემოციის გამოხატვას ცდილობს მსახიობი მოქმედების მსვლელობისას და მაყურებლისთვის სათქმელ აზრს წათლად გამოხატავს. ამიტომაც ფინალში თოფს კედელზე კიდებს, მონგრეულ ღობეს ასწორებს და სოფელში რჩება წინაპართა საქმის გასაგრძელებლად... არის სცენები, სადაც წამყვანი სცენებს შორის სიუჟეტს ყვება სიტუაციების ასახსნელად. აღბათ აჯობებდა ეს თხრობა გათამაშებულიყო, რაც მოქმედებას უფრო ქმედითს გახდიდა.

აღსანიშნავია მაია სხირტლაძის სცენოგრაფია, სადაც რამდენიმე შტრიხითაა მოცემული გურული სოფლისთვის დამახასიათებელი გარემო, რასაც გმირებისთვის შერჩეული კოსტიუმებიც თავისებურ კოლორიტს მატებს მოქმედებას.

სპექტაკლს თავისებურ ხიბლს სძენს, ცნობილი მსახიობის ზურაბ ცინცქილაძის მიერ განსახიერებული ბაბუა სპირიდონის სახე. მართალია, მას ჯერ ბაბუას როლი არ უთამაშია, მაგრამ ბავშვობაში გურიაში გატარებულმა წლებმა, მის გმირს გურული კოლორიტი და იუმორის გრძნობა შესძინა. ამას დაემატა მსახიობის დრამატული განცდა, სამსახიობო ოსტატობა და პოპულარობა, რამაც სხვებთან ერთად სპექტაკლის წარმატება განაპირობა. ამიტომაც, სპექტაკლის შემდეგ ემოციას ვერ მაღავდა: „ჩემი მეგობრების დამოკიდებულებამ გადაწყვიტა ჩვენი ერთად შეკრება და ვისურვე მათთან ერთად მონანილეობა. ხაზგასმით უნდა განვაცხადო, რომ ამ სტრატეგიულ რეგიონში ეროვნული სპექტაკლის განხორციელება ერთობ საშური საქმეა. ხმას ვერ ამოვილებდი, ეროვნებაზე, პატრიოტიზმზე, სამშობლოს სიყვარულზე, ამ პროექტში მონაწილეობა რომ არ მიმღლო“.

მოქმედება სპირიდონისა და იულიას დიალოგით იწყება. ზ. ცინცქილაძის ბაბუა გაკვირვებულია ბებიას მიერ იმ ბიჭის ცელქობის

აღნერით, რომელიც უხმოდ დგას. ამავე დროს, გულიც შესტკივა იმაზე, რომ ბიჭისთვის იგი უცხოა და ფიქრობს, როგორ დაიახლოვოს პირველად ნანაში შვილიშვილი. სპირიდონი გრძნობს მის სამყაროს და ცდილობს თბილი დამოკიდებულება აგრძნობინოს. ზ. ცინცქილაძის გმირის ოცნება ახდა, როცა იულიამ შემოუთვალა, ბავშვი წაიყვანეო. იგი გახარებულია და უნდა ბიჭი გურიაში მაღლ წაიყვანოს. ამიტომაც მისი მუქარა, რომ ბავშვს „ჭლიკით დაკიდებს და ოთხში ამოიღებს“ სიყვარულით, ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშეა ნათქვამი. ეს მუქარა იულიას გასაგონია მხოლოდ, რომ ბებიას დაანახოს, რომ შეძლებს ნოდარას გამოსწორებას. გზაში სპირიდონის დამოკიდებულება იცვლება. იგი ცდილობს ბიჭში პიროვნული საწყისი წარმოაჩინოს და ცხოვრებისეულ საკითხებზე ფიქრს შეაჩინოს. მისთვის შვილიშვილი გვარის გაგრძელების ერთადერთი საშუალებაა და უფრთხილება მას. ისინი ერთი თვალთახედვით ცხოვრობენ ბუნებასთან, ადამიანებთან და საერთოდ ყოფასთან მიმართებით. მხოლოდ ცალკეული მოვლენები არღვევენ ამ განწყობას.

სპირიდონის დამოკიდებულება იცვლება ბადრიასთან ურთიერთობისას. არ სთხოვნის თოფს. თოფის გასროლა მისთვის დადებით ემოციებთანაა დაკავშირებული: კალანდასთან, ომის დამთავრებასთან, შვილის ფრონტიდან დაბრუნებასთან; ამიტომაც უარს ეუბნება თოფის თხოვებაზე. ზ. ცინცქილაძის ხანდაზმული გმირი არ ეპუება ბადრიას ძალადობასა და მუქარას და უშიშრად პირდება სამაგიეროს გადახდას. ამ ეპიზოდში მსახიობი ავლენს გმირის შინაგანი ბუნების სიძლიერეს, რაც მის ფიზიკურ მდგომარეობასთან მიმართებით კონტრასტულად გამოიყურება და ამდაფრებს სპირიდონის ემოციებს. მისი მკაცრი გამოხედვითა და აღელვებით ჩანს, რომ, მოხუცებულობის მიუხედავად, იგი არ დათმობს კაცურ თავმოყვარეობას, უსამართლოდ არავის დააჩაგვრინებს თავს. სპირიდონის ემოციური განხობა იცვლება, როდესაც ბიჭს თოფს აწვდის ძალის მოსაკლავად. ამ შემთხვევაში მასში, მისი ნების საწინააღმდეგოდ, სოფლისადმი პასუხისმგებლობა იღვიძებს, იცის, რომ მორალურად არ მოქმედებს მართებულად, მაგრამ შვილიშვილს სოფელთან თანაცხოვრების სამომავლო პერსპექტივას უქმნის, ასწავლის, რომ სოფლის „გადადგომა“, გაუჭირდება. ამ შემთხვევაში სპირიდონი სწორად აცნობიერებს ბრბოდეცეული, სახედაკარგული სოფლის ძალას და მისგან თავდაცვას ასწავლის ბიჭს. მერე კი, დინების საწინააღმდეგოდ მცურავს, დაფიქრებით ეუბნება: „ასე თუ ქენი, ბაბუ, შენ გაგიჭირდება ცხოვრება“. ამ სცენაში ზ. ცინცქილაძე სახიერად გამოჰკვეთს სპირიდონის ში-

ნაგან დაძაბულობას, რაც სამართლიანობისა და უსამართლობის განცდას ამძაფრებს, რაც მის პიროვნულ მრნამსთან, ფაქტობრივად, შეუსაბამოა.

სრულიად იცვლება სპირიდონი, როდესაც ბავშვის წასაყვანად იულია მოდის. მათ დაალოგს შეჯიბრების სახე აქვს, როცა სპირიდონი „უმტკიცებს“ ბავშვი არ შეცვლილა და ისეთივე ცელქიაო. იგი მარტო დარჩენას განიცდის, მაგრამ მასში მაინც რჩება დიდი სიკეთე — იულიას შეცოდებით თავადვე ისაცოდავებს თავს. ამიტომაც ამბობს: „ქმელია კაცობა, ნამეტანი ძნელი“. სპირიდონი მორალურად იმდენად სრულყოფილია, რომ იგი იულიას მდგომარეობაში შედის და თავის ერთადერთ იმედს ატანს. ეს სევდიანი განწყობა მალევე ეცვლება გამოქცეული ბიჭის ზურგზე მოხუტებით. სპირიდონი ჯერ შეერთება, მერე გაუხარდება, გულში ჩაიხუტებს და ცდილობს შეაგნებინოს დაბრუნების მიზეზი: „სისხლმა დაგაბრუნა, ბაბუ“ და ამ მიზიდულობის ძალის გამოხატულება უნაპირო სიყვარულია.

ემოციურია სპირიდონის სიკვდილისინინა მონოლები. მსახიობი საოცარი ოსტატობით ახერხებს შვილიშვილს სიკვდილი დასასრულად კი არა, გარდაცვალება - გარდასახვად აღაქმევინოს, გააძლიეროს და უკვე კაცი, პიროვნება, დატოვოს. ალბათ, ამიტომაც, სპექტაკლის შემდეგ მითხრა ზ. ცინცქილააძემ: „ბაბუა ჯერ არ განმისახიერებია და თუკი სრულყოფილ სახეს შევქმნი, მინდა სესილია თაყაიშვილის დონის ბებიას გვერდით, სამომავლოდ ასეთივე მხატვრული ლირებულების ბაბუას სახე შევქმნა, რომლის განხორციელებაშიც ასაკიცა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც ხელს მიწყობს“. ალბათ, ამიტომაც სპექტაკლი მაყურებლის ემოციასაც იწვევს, რაც რეჟისორისა და მსახიობების მიღწევაა.

იულია, მსახიობ ნაირა გელაძის შესრულებით, ემოციით აღსავსე ბებია. იგი ჯერ სპირიდონს ატანს შვილიშვილს, რადგან ვერ ალაგმა მისი ცელქიობა და უნდა უფრო მკაცრი აღზრდის პიორბებში გამოსწორების გზაზე დააყენოს. მის მიზანს ბავშვის თავიდან მოცილება არ წარმოაგენს. სპექტაკლის ბოლოს, ბავშვის წასაყვანად მოსულ იულიას გათვითცნობიერებული აქვს უბავშოდ დარჩენილი მოხუცის მორალური მდგომარეობა, ამიტომაც სინაწყლით ეხვენება სპირიდონს მის უკან დაბრუნებას და მზად არის

მისი ცელქიობაც აიტანოს. ნოდარას გარეშე მისი სახლ-კარის გარემო გაუცხოებულია და შინაგან სიცარიელეს გრძნობს. ამიტომაც ცდილობს რადაც არ უნდა დაუჯდეს, შვილიშვილი დაიბრუნოს.

ნოდარა, სკოლის მოსწავლის ზურიკო ფუტკარაძის შესრულებით, ბავშვური ემოციით აღსავსე ბიჭია, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი „დანამაული“ და თავჩაღუნილი ისმენს ბებიას საყვედურებს. ბაბუასთან ერთად ოდნავ გამოდის ბავშვური გარემოდან, რადგანაც ოჯახისადმი პასუხისმგებლობას გრძნობს. მისი დამოკიდებულება მებუფეტესადმი, ბადრიასა და კირილე მამალაძისადმი (ბექა თურმანიძე) პრინციპულია და უარყოფითად აფასებს მათ საქციელს. მართალია, ახალგაზრდა შემსრულებელს ვერ მოვთხოვთ მეტ პროფესიონალიზმს, მაგრამ თავისი გულწრფელი, მართალი დამოკიდებულებით სპექტაკლის საერთო ირსახეში ბუნებრივად გამოიყურება.

ვალერიან მანზულშვილის მებუფეტე თავისი სიფლიდით ცდილობს ბავშვის მოტყუებას, ძალისადმი ცინცქილი დამოკიდებულებით თავის დაუნდობელ ხასიათს ამჟღავნებს, თუმცა ბავშვის მცირეოდენი წინააღმდეგობის განვისას შიშის გრძნობა უჩნდება, ღირსება აღარ ახსენდება. ბადრია, ჯება ხუსკივაძის შესრულებით, საკუთარი ქმედების სიმართლეში დარწმუნებულია და ცდილობს თავისი აზრი სხვებსაც მოახვიოს, თუნდაც შეშინების ფასადაც. მის აგრესიულ დამოკიდებულებას სპირიდონისადმი სათანადო შედეგი ვერ მოაქვს. ბადრიას გათვითცნობიერებული არა აქვს თავისი საქციელი და ამიტომაც მიდის სპირიდონის პანშვიდზე, საიდანაც შვილიშვილი სამარცხვინოდ აგდებს სახლიდან. მაყურებელი ხედავს, რომ ბადრიაში რაღაც გარდატეხა იწყება.

დმანისის თეატრის განახლება და ეს სპექტაკლი იმით ეხმიანება ერთმანეთს, რომ ორივე შემთხვევაში „სისხლის ყივილი“ იმარჯვებს, რომ ამ რეგიონში ქართული სიტყვის გაუდერება მომავალ თაობებს გაუკვალავს ცხოვრების გზას. ამიტომაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, აუცილებლად უნდა მოიძიონ მუდმივმოქმედი თეატრის არსებობისთვის აუცილებელი სახსრები.

# ზუგდიდის თეატრი გაცოცელებული კაშას მოთხოვბა

მაკა ვასაძე



შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სეზონი პრემიერით გაიხსნა. ნიკა საბაშვილმა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით თოჯინური ნარმოდგენა „შელის ნუერის ნაამბობი“ დადგა. სანამ უშუალოდ სპექტაკლის შესახებ ჩემს აზრს გაგიზიარებთ, კიდევ ერთხელ გულისტყაივილით მინდა აღვნიშნო, რომ ზუგდიდის თეატრმა სეზონი ისევ ავარიულ შენობაში გახსნა. 2012 წლიდან, მას შემდეგ, რაც ზუგდიდის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ბადრი ნერედიანი დაინიშნა და თეატრში ახალმისული შენობის დათვალიერებისას, მეორე სართულიდან, ჭერის ჩამონგრევის გამო უცრად პირველ სართულზე აღმოჩნდა, ეს ადამიანი, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც ატიურად „იბრძის“, სათეატრო ხელოვნების უზომიდ მოყვარული ზუგდიდებებისთვის, თეატრის შესანარჩუნებლად. მაყურებელთა დარბაზში შესვლისას, პარველი შეგრძნება, გაუსაძლისა ნესტის სუნია (შენობის საძირკველი წყალია ჩამდგარი), ზამთარში ვერ რთავენ გათბობას და ა. შ. იმისდა მიუხედავად, რომ შენობა ინგრევა, ზუგდიდები მაინც ერთგულად დადიან თეატრში. ალბათ, რეგიონის თეატრებს შორის, სპექტაკლებზე მაყურებელთა დასწრების თვალსაზრისით, ზუგდიდი ერთ-ერთი ლიდერია. ბოლო სამი წლის განმავლობაში, პრესით თუ ტელევიზიით, არაერთხელ გაშუქდა ეს პრობლემა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ყოფილ თუ ახლანდელ დირექტორთან ერთად, მცდელობას არ აკლებენ ამ საქმის გამოსასწორებლად, მაგრამ მათი ქმედებები რეალურად უშედეგო, მხოლოდ დაპირებების დონეზე რჩება. დღემდე არ არის გადაწყვეტილი შენობის რეაბილიტაციის საკითხი. კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო, ამ პრობლემის

მიუხედავად, სამი წლის განმავლობაში, ზუგდიდის თეატრის შემოქმედებითი, მხატვრული დონე განვითარდა და ამაღლდა. სხვასთან ერთად, ეს უპირველეს ყოვლისა, ბადრი ნერედიანის მიერ რეპერტუარის სწორად დაგეგმვას და განხორციელებას ეხება. ზუგდიდის თეატრში სხვადასხვა უანრისა, სტილისტიკისა, ეპოქის პიესები იდგმება განსხვავებული სათეატრო ფორმებით: თანამედროვე და კლასიკური ქართული თუ უცხოური დრამატურგია, დრამატული, მხატვრულ-დოკუმენტური ვერბატიმი, თოჯინური სპექტაკლები. ვიმედოვნებ, ზუგდიდის თეატრის შენობის საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება და თეატრის მოყვარული ზუგდიდები მაღალი ხარისხის სპექტაკლებს გამაგრებულ, გარემონტებულ, გამთბარ შენობაში ნახავენ.

ახალგაზრდა რეჟისორს ნიკა საბაშვილს უკვე კარგად იცნობს ქართველი და უცხოელი მაყურებელი. მისი შერეული ტიპის სპექტაკლი „1945“ (მოზარდ მაყურებელთა თეატრი), რომელიც უფრო მოძრაობის თეატრისკენ იხრება და პლასტიკურ ნახაზს უდიდესი დატვირთვა აქვს მინიჭებული, წლევანდელ პრემია „დურუჯზე“ ნარდეგნილ მონაცილეთა შორის, ახალგაზრდა რეჟისორთა საუკეთესო ხუთეულში მოხვდა. რამდენიმე წლის წინ, იმავე ნომინაციაში, სპექტაკლისთვის „ქლაბლდის წვიმა“, პრემია „დურუჯზის“ მფლობელი გახდა. ბოლო პრიოდში, თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრში, მან ორი თოჯინური სპექტაკლი დადგა: „იავნანამ რა ჰქმნა“ (ი. გოგებაშვილის მიხედვით) და „საქართველო“. აშშ-ში, ზოუ ორეში - „იავნანამ რა ჰქმნა“ - (თოჯინების თეატრის გასტროლებზე ყოფნისას) იმდენად მოეწონათ, რომ რეჟისორს ბროდვეიზე მიუზიკლის დადგმა შეს-

თავაზეს.

ბადრი წერედიანმა ახალგაზრდა რეჟისორი თო-ჯინური სპექტაკლის დასაღველად მიიწვია. ნიკა საბაშვილმა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გადაწყვიტა ვაჟა-ფშაველას მოთხოვნის „შვლის ნუკრის ნაამბობის“ გასცენიურება. ინსცენირებაში რეჟისორმა, ამ გენიალურ ნანარმოებთან, რამდენიმე მოთხოვნის („ია“, „ქუჩი“, „ხმელი წიფელი“) ნაწყვეტი გააერთიანა. 45-წუთიანი სპექტაკლი ერთი ამოსუნთქვით მიდის. ილია საჯაიას არაჩვეულებრივი თოჯინები, რიტმი, პლასტიკური ნახაზი, რეჟისორის გამომგონებლობა და ფანტაზიის უნარი, სწორად შერჩეული მუსიკალური გაფორმება მაყურებელზე მომნუსხველ გავლენას ახდენს. 45 წუთი ისე ჩაივლის, რომ ვერც იგებ და გული გწყდება, რომ ეს საოცარი, თუმცა, სევდიანი, გულისამაჩუებელი, დამაფიქრებელი სანახაობა დასრულდა. სპექტაკლი უფრო მოზრდილი ასაკის ბავშვებისთვის (ალბათ, სკოლის მე-3, მე-4 კლასელთათვის) და უფროსებისთვის შექმნილი სანახაობაა. მოთხოვნისაც არ არის განკუთვნილი პატარა ბავშვებისთვის, ისინი უბრალოდ ვერც გაიგებენ და ამასთან ერთად, ალბათ, არც ლირს პატარებისთვის მისი წაკითხვა, იმდენად გულის დამთუთქველია ვაჟას გენიალური ნანარმოები. დღემდე მისი ხელახლი წაკითხვისას ცრემლებს ვერ ვიკავებ და ადამიანთა მოდგმის სისასტიკეზე, უგულობაზე, ულმობლობაზე, უმეცრებაზე ფიქრი ძალიან დიდხანს მიმყება და არ მასვენებს ხოლმე.

სპექტაკლის უმთავრეს დამსახურებად, ვაჟას მოთხოვნების სულის, განწყობის, ატმოსფეროს

შექმნაა. რეჟისორთან ერთად, ეს, ახალგაზრდა მხატვრის, ილია საჯაიას დამსახურებაა, რომელმაც თოჯინურ სპექტაკლზე პირველად იმუშავა და არაჩვეულებრივად გაართვა თავი. გარდა იმისა, რომ მან მოქნილი, მოძრავი, მეტყველი თოჯინები შექმნა, ამასთანავე, მარტივი, მაგრამ ულამაზესი, შთამბეჭდავი დეკორაცია და რეკვიზიტი გააკეთა თეატრებში ჩასმული სპექტაკლისთვის. ნიკა საბაშვილი უკვე მესამე თოჯინურ სპექტაკლს დგამს, მაგრამ არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს ფორმით, ქანრით, სტილისტიკით თუ გადაწყვეტით. აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდის თეატრის მსახიობებმა პირველად ითამაშეს ასეთი ტიპის სპექტაკლში და პირველად ატარეს, ათამაშეს თოჯინები. თოჯინების სწორად ტარების გარდა, თითოეულმა მსახიობმა თავის განსასახიერებელ პერსონაჟ-თოჯინას, ის ემოციური მუხტი გადასცა, რასაც თავად მსახიობები განიცდიდნენ. ამის გამო, თოჯინები საოცრად მეტყველი იყვნენ. ეს, მსახიობების: გოგი გუგუჩიას, ირაკლი სამუშაიას, მარინა დარასელიას, მზევინარ ჩარგაზიას, კობა მატკავასა, ლაშა ხიზანეიშვილის და ილია საჯაიას ნიჭიერების გარდა, რა თქმა უნდა, რეჟისორის უდიდესი დამსახურებაცაა.

„შვლის ნუკრის ნაამბიბის“ ინსცენირებისას ნიკა საბაშვილმა ვაჟას ტექსტის მონტაჟი გააკეთა. შვლის ნუკრის ამბავში, ფაბულაში სხვა მოთხოვნების ნანარმების ჩასმის გარდა, რეჟისორმა შექმნა დიალოგები, ვაჟას მოთხოვნის პროლოგი კი ეპილოგად აქცია. რეჟისორული ინტერპრეტაციით ამბავი შვლის ნუკრის დაბადებით



ინტება - შეველს კალათაში ჩასმულ წუკრს თეთრი წერო მიართმევს. ნიკა საბაშვილმა სხვა ზღაპრებში არსებული, შობის სხვადასხვა სახის მითებიდან, ერთ-ერთი გამოიყენა. რეჟისორმა და მხატვარმა სცენებად და ეპიზოდებად დაყვეს წუკრის მიერ სამყაროს აღქმა და შეცნობა. ტყე, კლდე, ქუჩი, ია, კოდალა, ჩხიკვი, წყარო, მდინარე, ხმელი ნიფელი, მზე, მთვარე, ცა, ვარსკვლავები, ძალლი, მგელი - ყველას და ყველაფრის შეცნობაში ეხმარება დედა პატარა წუკრს. ზოგი მეგობარია, ზოგი ჩხიკვით ვერაგი მტერია, მაგრამ ყველაზე საშიში, დაუნდობელი არსება ადამიანია. მისი უნდა ეშინოდეს წუკრს ყველაზე მეტად. ძალლი და მგელი მე ვერაფერს დამაცლებსო - ეუბნება დედა, მას მერე, რაც მონაცირის ძალლისგან თავის დასალწევად, მთელი დღის სირბილის შემდეგ, შეველი თავის შეშინებულ პატარა შვილს მონახავს. ოსტატურად ატარებენ მსახიობები შველის და წუკრის თოვლინებს, მაგრამ მარინა დარასელიას და მზევინარ ჩარგაზიას გახმოვანება ზუსტ ემოციურ დატვირთვას აძლევს ამ პერსონაჟებს. ისინი ხან ბედნიერები და მხიარულები, ხან შეშინებულები და ფრთხილები, ხან კი სასონარკვეთილები არიან. პაპანაქება სიცხეში ცივ მდინარები ჩადგომას და გაგრილებას ასწავლის დედა. რეჟისორმა და მხატვარმა მარტივად, მაგრამ ძალიან ლამაზად და ეფექტურად გადაწყვიტეს ეს ეპიზოდი. თეჯირებს მიღმა სივრცის გასწრივ ცისფერი ნაჭერი გაჭიმეს, ნყლის დგაფუნის, წვეთების ეფექტს განათების და ცისფერი პატარა ჯანტელების მეშვეობით აღნევენ. დღის ლამით ჩანაცვლების სცენაც ძალიან მარტივად და საინტერესოდ აქვთ მოფიქრებული - ნაჭრით გაკეთებულ ლურჯ ცაზე ჯერ ღრუბლები დანავარდობენ, მერე ერთ ღრუბელთან ერთად მზეც გამოიჩიდება, ხან გამოანათებს და ხან კი ღრუბელს მიეფარება,

ჩაიგლის ცის კაბადონს, უცაბად შემოატრიალებენ მზის გამოსახულებას და იგი მთვარედ იქცევა, იქვე ვარსკვლავებიც აკიაფებიან; ანდა, ქვის ლილები, უზარმაზარ კლდედ როგორ გარდაიქნებია.

ეპილოგი რეჟისორმა მონაცირის პერსონაჟი ცოცხალ მსახიობს განასახიერებინა. პატარა თეჯირებიან სივრცეში იგი რაღაც უზარმაზარ ველურ ურჩეულს მოგაგონებთ. ნიკა საბაშვილმა ამ ხერხით კიდევ უფრო გაამძაფრა სასტიკი, დაუნდობელი ადამიანის სახება. იგი მოდის და მოაღვევს, თითქოს დედა-შვილის დასაცავად გადაფარებულ ხებისა და ბუჩქების ტოტებს, გადმოიდებს დიდ თოფს და გაისვრის. უფრო მეტიც, ვაჟასთან წუკრი ხედავს, როგორ გამოუსვამს მოხადირე ალესილ დანას დედმისს კისერში, როგორ ნასკდება მას სისხლი, შემდეგ გამოფატრავს, ზურგზე მოიგდებს და გაუჩინარდება. სპექტაკლში კი მონაცირე თავს მოჰკვეთს შველს და გახარებული, ველური ყიუინით მოჭრილ თავს მალლა ასწევს - შემხედეთ, რა გმირობა ჩავიდინეო. ერთობ, სასტიკი და დაუნდობელი გამოუვიდა რეჟისორს ფინალი. სცენაზე ქარბუქი თოვლის ნამქერს ატრიალებს, სასონარკვეთილი წუკრი ვაჟას მოთხრობის პროლოგის ტექსტის ნარმოთქმას იწყებს „პანაზა ვარ ობოლი, ბედმა დამიბრიყვა, ცუდ დროს დავიბლდი... ჯერ ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, მერე ხმას უმატებს და ბოლოს განწირული ხავილი ისმის - დედა! დედა! დედა!!! სცენა ბნელდება და გასროლის ხმა გაისმის... რეჟისორმა სპექტაკლის მუსიკალური რიგი ქართულ ხალხურ მელლოდიებზე ააგო, რომელიც რიტმს უქმნის მთელ სპექტაკლს. ფინალში კი რეჟისორმა მხიარული მუსიკის და ტრაგიული ამბის დისონანსი შემოგვთავაზა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ისედაც გულაჩურებული და აქვითინებული მაყურებლის ემოციურ აღქმას.

## წარდგენილია პრემიაზე

მოსკოვში გამომცემლობა «Гамма пресс»-მა ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი კომუნიკაციების ფედერალური სააგენტოს მხარდაჭერით ფედერალური მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში „რუსეთის კულტურა (2012-2018) წლებში“ გამოსცა „Дали Мумладзе - Роберტ Сტურა“.

წიგნი წარდგენილია ბახრუშჩინის სახელობის თეატრის სახელმწიფო მუზეუმის ეგიდით მიმდინარე კონკურსზე ნომინაციაში „თეატრალური რომანი“.

„გაქვავებული“



## მარადიულისა და თანამაღლოვანის სიცოცხი თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე

ლელა ციცურია

შემოდგომის თბილისის აქტიური საფესტივალო ცხოვრება მეშვიდე წელია თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალით იწყება. იწყება მაღალმხატვრული ნარმოდგენებით, მსოფლიო დონის ვარსკვლავებით, გახმაურებული, ზოგჯერ სკანდალური დადგმებითაც. იწყება მოლოდინით, რომ ერთი მხრივ, აუცილებლად ვნახავთ მსოფლიოში მიმდინარე უახლეს თეატრალურ მოვლენებს და მეორე მხრივ, თავად ქართული თეატრი გახდება მსოფლიო სათეატრო პროცესის მონაწილე...

მეშვიდე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საერთაშორისო პროგრამასა და პროგრამაში „ნიუ“ თორმეტი სპექტაკლი იყო ნარმოდგენილი. აქედან სამი მუსიკალური სპექტაკლი გახდათ, სამი საცეკვაო ნარმოდგენა და ექსი დრამატული თეატრის სპექტაკლი.

საერთაშორისო პროგრამა იერუსალიმის თეატრ „ინკუბატორის“ მიუზიკილით გაიხსნა. „ქალაქი“-ასე ჰქვია რეპ ოპერას, სადაც უხვადაა ჰიპ-ჰოპის ელემენტებიც კი. მიუზიკლი ინგლისურ ენაზე იყო ნარმოდგენილი და ერთგვარად ამერიკული დეტექტივის პაროდიას ნარმოადგენდა. სპექტაკლის რეჟისორი, ნამყანი და კომპოზიტორი ომერ მორია. ნარმოდგენაში, რომელიც 70 წუთი გრძელდებოდა, ნამდვილად იყო უწყვეტი ქმედების ჯაჭვი, რომელიც მთელ სპექტაკლს სწრაფი ტემპო-რიტმით უაღრესად ხალისიან და იუმორით სავსე სანახაობად აქცევდა. უნდა აღინიშნოს ყველა შემსრულებლის მაღალი პროფესიონალიზმი - როგორც მათი სამსახიობო ოსტატობა, ასევე ვოკალური მონაცემები და პლასტიკა. ფესტივალის პირველი დღე საკმაოდ უჩვეულო და ძალზე საინტერესო ფორმისა და კონცეფციის მიუზიკილით დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტორია სრულიად ადეკვატურად

აღიქვამდა ინგლისურენოვან იუმორის, მისთვის უჩვეულო ფორმის სანახაობას, რამაც ფესტივალის ნარმატებული დასასწილი განაპირობა.

პროგრამა „ნიუს“ მუსიკალური ნარმოდგენა: პოლონეთის თეატრ „ქორეას“ მიერ ნაჩვენები უძველესი ეპოსი „გილგამეში“, ჩვენამდე მოღწეული პირველი ღიოტერატურული ნანარმოები. ძველი წელთაღრიცხვის XXIII-XXI საუკუნის თხზულება და თანამედროვე სამყარო... სპექტაკლის წინ კიდევ ერთხელ გადავხედე ტექსტს /უნდა აღინიშნოს, რომ ქართულად თარგმნამდე „გილგამეში“ მხოლოდ 3 ევროპულ ენაზე იყო ნათარგმნი, მიხაკო წერეთელმა თხზულება ორიგინალიდან თარგმნა (1924 წელს)/ და ემოცია, რომელიც კიდევ ერთხელ დამეუფლა, ისეთივე იყო როგორც ზოგადად შედევრების კითხვისას გვეუფლება - ტექსტს მივეჯაჭვე. პოლიტეისტური სიუჟეტები ორმაგად საინტერესოა: ადამიანები ურთიერთობაში შედიან სხვადასხვა რანგის ღმერთებთან თუ ურჩეულებთან და პერსონაჟების ურთიერთობათა სისტემა მისტიკური სამყაროს მოდელად გარდაიქმნება. „გილგამეში“ სწორედ ამგვარი მოდელია, სადაც უკვდავებისა და ქეშმარიტი ღირებულებების ძიებაში დამაშვრალი გმირი დასახულ მიზანს ვერ აღწევს და უკვდავი და მარადიული კი თავად მისი ამბავი ხდება. ქართული სულიერება მარადიულობისენ სწრაფვით ყოველთვის გამოიჩინდა და „გილგამეშისადმი“ დიდი ინტერესიც სრულიად ბუნებრივია.

შარმანდელ ფესტივალზე პოლონურმა დასმა „მეფე ლიონ“ ნარმოადგინა - უჩვეულო მუსიკალურ-პლასტიკური სანახაობა, რომელსაც ქართველი მაყურებლის დიდი მონონება ხდდა. ლობის თეატრ „ქორეას“ ნარმოდგენა შარმანდ-

ელი სპექტაკლის მსგავსი იყო - პოსტმოდერნისტული წარმოდგენა, რომელიც გუნდის, ჯაზისა და სიმბოლიანი კვარტეტის მეშვეობით, საკონცერტო შესრულებით მუსიკის საშუალებით გადმომოვცემს მარადიულ ისტორიას. სიმღერებს თრ ენაზე ასრულებდნენ - აქადურზე და პოლონურზე. შავ გრძელ ქვედაბოლოებსა და მაისურებში მოსილი მომღერლები უალრესად სადა ფორმით გადმოგცემენ გილაგამების ამპავს. უზად მუსიკალური ტექნიკით შესრულებულ წარმოდგენაში მომღერლებით და მაყურებლებიც თითქოს მისტიკური რიტუალის მონაწილეობის გახდნენ.

„მარია დიდი ქალაქიდნ“ - საკონცერტო-თეატრალური წარმოდგენა, რომელიც ანა მარია ლანგის და არფონტ უსიცანს რიდუცტიონის დადგმა. სპექტაკლი ასტორას პაცოლას ტანგოს მოტივებზეა შექმნილი და აერთიანებს მის სიმღერებსა და ოპერას. კოჭლი მეძავის ისტორია ბუნების აირესში, დიდ და დამთრგუნავ ქალაქში, სადაც შესაძლოა სწორედ ტანგოა ყველაზე ღირებული მოვლენა. ტანგოს მელოდიერი ისმის ყველგან - ქუჩაში, სახლში, ბაზარში. კვინტეტი „ფეხშიშველა მუსიკოსები“ მართლაც უზადოდ ასრულებს ამ მელოდიებს. ანა მარია ლანგის შექმნილი სახეც დალზე საინტერესო იყო. კარგი ვიკალური მონაცემების და პლასტიკის წყალობით მსახიობი მუსიკოსებთან ერთად სრულად წარმოაჩენს ტანგოს, როგორც მელოდიის, ასევე ცეკვის მშვენიერებას. და რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მეჩვენა ანა მარია ლანგის შესრულებაში, იყო ის გარემოება, რომ მსახიობმა პერსონაჟის არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური პორტრეტი შექმნა...

თანამედროვე სათეატრო ხელოვნებაში საცეკვაო წარმოდგენებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. ზოგადად ქორეოგრაფია ყოველთვის ყველასთვის გასაგები უნივერსალური ენა იყო, არის და იქნება. რაც შეეხება თანამედროვე ცეკვას, ხშირ შემთხვევაში მას ცეკვა მხოლოდ პირობითად შეიძლება უწევოდოთ. უმეტესად ეს პლასტიკური ქმედების ჯაჭვია, რომელიც სხეულის მეშვეობით გადმოსცემს გათამაშებულ ამბაეს თუ პერსონაჟთა შინაგან მდგომარეობას.

გერმანიის ქალაქ რეგენსბურგში, ქართველმა ხელოვანებმა თეა და გიორგი სოსანიშვილებმა ცეკვის თეატრი „სოსანი“ დააარსეს. თეა სოსანი პანტომიმის თეატრში მოღვაწეობდა და ამირან შალიკაშვილის სკოლა აქვს გავლილი. ამჟამად ცეკვის თეატრის ყველა მოცეკვავეს გავლილი აქვს „სოსანი“ არტზონასთან არსებული ცეკვისა და ხელოვნების ორნლიანი სკოლა. ხუთ მსახიობს, რომელებიც სცენაზე სპექტაკლს წარმოადგენდნენ, ნამდვილად ჰქონდათ იმგვარი პლასტიკა და მოძრაობები, რომელიც გამოარჩევდა მათ ნებისმიერი საცეკვაო დასისგან. და რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მეჩვენება: „გაქვავებული“ არ იყო მხოლოდ პლასტიკური ქმედებების ჯაჭვი, ეს მართლაც ღრმა და დამაფიქრებელი

წარმოდგენა იყო. ამბავი სამი გაუთხოვარი ქალის შესახებ მოგვითხრობს. მოგვითხრობს მათი იმედგაცრუებების, სიყვარულის დეფიციტის, ერთმანეთთან კონკურენციის შესახებ. სცენის უკანა კედელზე პერიოდულად ჩნდება დების ბავშვობის ამსახველი ვიდეოინისტალაცია. ეს კადრები, თავისითავად მშვენიერი, მაინც მშვიოთვარების მომტანია - ერთგვარი ფსიქოანალიზი, რომელიც დების უილბლო ცხოვრების მიზეზებს იკვლევს თითქოს... თბილისელი მაყურებლის წინაშე წარმატებული ქართველი ქორეოგრაფების სკოლა და წარმოდგენა წარდგა. ჩემი ემოცია ერთიშისადია - სიამავე მეუფლება, მკითხველიც ალპათ, დაგვეთანხმება.

ნორვეგიული დასის „არი ოას“ მიერ წარმოდგენილი „სასონარეკვეთილების ზღვარზე“ მამაკაცურ ისტორიებს მოგვითხრობს თანამედროვე ცეკვის ფორმით. ცეკვა აქაც მრავალ სხვა ელემენტს შეიცავს, მათ შორის აკრობატიკასაც. რეჟისორ კარი ჰოსის მიზანი მის სიტყვებშიცა გაცხადებული: „ეს საცეკვაო სპექტაკლი ცდილობს აჩვენოს რა არის მამაკაცური სიძლიერე, სიმამაცე და გულადობა. სპექტაკლში წარმოდგენება ძალადობა და სისუსტე, ძალაუფლება და უძლურება, ზოგადად კი - მამაკაცური ბუნება.“

„ამ ცეკვით შევეცადე მეჩვენებინა კოლექტიურობისა და თანამშრომლობის იდეა, ურთიერთობა, სადაც რიტუალები, ორთაბრძობლა და კონკურენცია დიდ როლს თამაშობს. მინდოდა გამეგო სად გადის ბუნდოვანი ზღვარი მეგობრობასა და დაპირისპირებას შორის, ძმობასა და მტრობას შორის, კოლექტივსა და ცალკეულ პირობას შორის“. აქვე დავძებნდი, რომ ის, რაც კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრში ვიხილეთ, ხამდვილად იყო თეატრი, რომელიც მოძრაობით იქმნება და მსახიობების შესანიშნავი პლასტიკისა და ქმედების მეშვეობით გაიაზრებს მამაკაცის ფუნქციასა და როლს თანამედროვე სამყაროში.

აერამ ჰანის კომპანია დიდი ბრიტანეთიდან ყველაზე ცნობილი საცეკვაო დასი იყო წლევანდელ ფესტივალზე. თავად აერამ ქანი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი და აღიარებული მიკეკვავეა და თანამედროვე მსოფლიოს ქორეოგრაფიის წოვატორად ითვლება. მისი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი და ცნობილ მოქანდაკესთან და სპექტაკლის სცენოგრაფიის ავტორთან, ანიშ კაპურთან თანამშრომლობის შედეგია კომპოზიტორ ნითინ სავჭინის მუსიკაზე შექმნილი სანახაობა. ეს სანახაობა ცეკვის ცნების ტრადიციულ აღქმასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ფესტივალზე წარმოდგენილი წინა ორი სპექტაკლი. პერიოდულად ცეკვები მხოლოდ კაკუნის ხმაზე, ან სულაც სრულიად უზმოდაც მიდიოდა. წარმოდგენაში გაცოცხლებული ქანდაკებების სინქრონული მოძრაობების ვიზუალური ხატის შექმნით ნამდვილად ემოციური სახილველი შეიქმნა.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საცეკვაონ წარმოდგენებმა, ერთი მხრივ, მართლაც ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა აუდიტორიას, და მეორე მხრივ, მაყურებელი თანამედროვე მსოფლიო ქორეოგრაფიაში მიმდინარე პროცესების თვითმხილველი გახდა.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საერთაშორისო პროგრამასა და პროგრამაში „ნიუ“ ექვსი დრამატული თეატრის სპექტაკლი იყო წარმოდგენილი: ოთხი დრამა, ერთი ტრაგიკომედია და მსოფლიოს ყველაზე სრულყოფილი ტრაგედია „ჰამლეტი“, თანაც შექსპირის თეატრ „გლობუსის“ დადგმა... სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის ნახვა და შეფასება ვერ შევძელი, ვინაიდან ის „ექიმ სტოკმანს“ ემთხვეოდა. ვისურვები სამომავლოდ ამგვარი დამთხვევების არარსებობას...

„დრამების სეზონი“ მოსკოვის დრამის თეატრ „სფეროს“ წარმოდგენით გაიხსნა: „მამის გარეშე“, ასე ერქვა ანტონ ჩეხოვის ადრეული პიესის, „პლატონიუსი“ მიხედვით დადგმულ წარმოდგენს. ეს პიესა არცთუ ხშირად იდგმება და მისი ინტერპრეტაციებიც არ არის მრავალგვარი. პირველი, რაც „პლატონიუთან“ მიმართებაში გვასენდება, ნიკიტა მიხალკოვის შესანიშნავი ფილმია - „ჰატარა პიესა მექანიკური პიანინოსათვის“. სამწუხაროდ, ამ ფილმის დიდი გავლენა იგრძნობოდა რეჟისორ ვლადიმერ სმირნოვის დადგმაში. სპექტაკლის პერსონაჟების მსგავსად მუდმივად თითქოს წრეზე დადანან ერთმანეთის დევნაში. ხასიათებიც ფილმის გმირების მსგავსია... შესაძლოა ეს გავლენა არც იყოს გასაკვირი: „მამის

გარეშე“ რეჟისორის სადებიუტო ნამუშევარია. სპექტაკლში მნიშვნელოვნად არის შემცირებული ჩეხოვისეული ტექსტი და პერსონაჟთა რაოდენობა. საინტერესოდ მეჩვენება შუშის ქილებით სავსე სარდაფში პერსონაჟების „ჩასახლება“ (მხატვარი დიმიტრი რაზუმოვი). სულიერი სიცარიელის და უსიყვარულობის განცდას მიყავს სპექტაკლის თითქმის ყველა პერსონაჟი იმ გარემოებამდე, რომ შუბლზე პისტოლეტს იდებენ, თუმცა, ეს ქმედებაც უფრო პერსონაჟების გარკვეულწილად პოზადაც აღიქმება და არა რეალურად თვითმკვლელობის სურვილად...

ჩაკეტილი სამყაროს განმეორებადობის თემა უაღრესად საინტერესოდ იქნა გააზრებული სელმა დიმიტრევიჩის სპექტაკლში „ღმერთები და ეცნებ, ვინდა დაგვიცავს“. რეჟისორი პიესის ავტორადაც გვევლინება. სპექტაკლი ვასილ ყუშიტაშვილის სახელის სარეპეტიციო დარბაზში იყო წარმოდგენილი და სულ ორმოცდაათ წუთს გრძელდებოდა. მართლაც, ძალიან ძნელია ესოდენ მცირე სივრცეში და ესოდენ ახლოს მაყურებელთან წარმოდგენის გამართვა - სულ მცირედი სიყალეც კი არ დარჩება შეუმჩნეველი. მით უფრო ძნელია, როდესაც დედის დაქალაშვილის როლებს მამაკაცები თამაშობენ და კიდევ უფრო მეტად რთულია ოთხჯერ გაითამაშო ერთი და იგივე ტექსტი, თუნდაც სხვადასხვა აქცენტებით... ის, რითაც სელმა დიმიტრევიჩის წარმოდგენამ მოხიბლა მაყურებელა, ეფუძნებოდა ჭეშმარიტ ადამიანურ ღირებულებებს და უაღრესად მართალი და სიღრმისეული აქტიორული შესრულებით იყო წარმოსახული.

ოსკარას კორშუნოვასი იმ რეჟისორთა რიცხვს

„ქარიშხალი“



Foto: Florin Chirea

მიეკუთვნება, რომლის ყოველი ნამუშევარი უცილობლად იწვევს როგორც მაყურებლის, ასევე სპეციალისტების ინტერესს. რეჟისორის შემოქმედებას მისი ადრეული წლებიდან იცნობს თბილისელი მაყურებელი. მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში თბილისში საკავშირო ახალგაზრდული თეატრალური ფესტივალი იმართებოდა, სადაც საბჭოთა რესაუბლივების და მათ შორის ლიტვის სათეატრო წარმოდგენებს შორის უდავოდ გამოიჩინოდა ოსკარას კორშუნოვასის დადგმული ჩეხოვის „ძია ვანია“. რეჟისორის შემოქმედებაში რამდენიმე ასპექტი იქცევს ყურადღებას: მისი ინტერპერატურული ყოველთვის როგორინალური და სიღრმისეულია. ამავდროულად, რეჟისორი ყოველთვის ძალიან საინტერესოდ და ღრმად ხსნის პერსონაჟების ბუნებას და სპექტაკლში ამას კონკრეტული სამსახიობი დავალებებით წარმოსახავს და ყოველთვის ქმნის წარმოდგენის იმგვარ ვიზუალურ ფორმას, რომელიც ერთნაირად საინტერესოა მაყურებლისათვის სპეციალისტებისათვის. ამდენად სხვადასხვა წლების თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამაში ოსკარას კორშუნოვასის შემოქმედების წარმოდგენა ფესტივალზე წარმოჩენა უთუულ მისალმებელია.

არ ვიცი როგორია მაქსიმ გორკის პიესის რეიტინგი (ახლა ხომ ყველაფერს ამით აფასებენ). პირადად ჩემთვის „ფსკერზე“ მსოფლიო დრამატურგის ერთ-ერთი საუკეთესო ნიშუშია. უნდა ალინიშნოს, რომ ქართულ თეატრში ეს პიესა არაერთგზის განხორციელდა და მათ შორის საუკეთესო გოგი ქავთარაძის მიერ სოხუმის თეატრში დადგმული სპექტაკლი და დავით დოიაშვილის შარმანდელი პრემიერა იყო. მუსიკალური კომედიის და დრამის თეატრის სპექტაკლშა, მართლაც, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და კორშუნოვასის დადგმისადმი ინტერესი უთუულ გაამდავრა.

„სპექტაკლი „ფსკერზე“ არის ის ლაპორატორია, სადაც ცდებს საკუთარ თავზე ვატარებთ... „ფსკერზე“ ის სპექტაკლია, რომელშიც არ ვართ ორიენტირებული შედეგზე, არამედ ვცდილობთ ალმოვაჩინოთ საკუთარი თავი. მსახიობებმა არა მხოლოდ გმირი უნდა განასახიერონ, არამედ უნდა შეინარჩუნონ რეალობა და დარჩნენ ისეთებად, როგორებიც რეალურ ცხოვრებაში არიან. მაქსიმ გორკის ტექსტი მაშინ არის შესაბამისი, როდესაც მსახიობი პიესის გმირს საკუთარ ნიადაგში ჩანერგავს და საკუთარ გამოცდილებაზე დააფუძნებს. სწორედ, ეს არის ამ ლაპორატორიის მიზანი. მსახიობის პირვენება უნდა შეერწყას იმ გმირის ხასიათს, რომელსაც განასახიერებს და შექმნას ახალი პერსონაჟი.“ ეს ოსკარას კორშუნოვასის სიტყვებია, რომელიც საფესტივალო კატალოგში დაიბეჭდა. ჩემი აზრით, სპექტაკლი ზედმინებით პასუხობს რეჟისორის მიერ დასახულ ამოცანას. სპექტაკლი მარჯანიშვილის

თეატრის სცენაზე გაიმართა. მაყურებელს ფაქტობრივად მსახიობებისგან არავითარი მანძილი არ აშორებდა და სპექტაკლის მსვლელობისას გარჩნდა განცდა, რომ ყველანი ჩვენ „ფსკერის“ პერსონაჟები ვიყავით. ამას ინტერაქციის წარუმატებელი მცდელობაც დაემატა... წარმოდგენაში გათამაშებულია პიესის მეოთხე აქტი, ისიც მნიშვნელოვანი კუპაიურებით. მოქმედება ხდება საწყობში, სადაც უამრავი ცარიელი ყუთი თუ ბოთლია. ამ გარემოში სახლობენ მარგინალები, რომლებიც ერთ სიბრტყეზე განლაგებული გრძელ მაგიდასთან ლეიონარდოს საიდუმლო სერობის პერსონაჟებივთ არიან განლაგებული. და თითოეული პერსონაჟი, რომელიც არის და არც არის გორკისეული, ღრმად და საინტერესოდ არის შექმნილი. უმიზნო და უშინაარსო ყოფა, საყველთაო სმის გამანადგურებელი ატმოსფერო, უალრესად დამთრგუნველი და ტრაგიული... და ასევე პესიმისტური ფინალი: გორკის პერსონაჟებისგან განსხვავებით კორშუნოვასის პერსონაჟები არ ტოვებენ სარდაფის და მზის სინათლეზე არ ამოდან, ისინი თითქოს სამუდამოდ არიან მიჯაჭვული თავიანთ უსასო ყოფას.

ფესტივალის საერთაშორისო პროგრამიში ტრადიციულად მხოლოდ მაღალი რანგის წარმოდგენები იმკვიდრებენ ადგილს. მაგრამ ყოველთვის არის ხოლმე მოლოდინი რომელიმე განსაკუთრებით გახმაურებული დადგმის, მსოფლიოში აღიარებული ხელოვანის... წლევანდელ ფესტივალზე ამგვარი მოლოდინი უილიამ შექსპირის „ქარიშხლის“ სილვიო პურკარეტეს დადგმის მიმართ იყო. მსოფლიოში სახელგანთქმული რეუმინელი რეჟისორის სპექტაკლები ორი წლის წინ პირველად იხილა თბილისელმა მაყურებელმა. მაშინ თრი დადგმა იყო წარმოდგენილი: სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინი“ და ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“. სწორედ ეს უკანასკნელი იყო სრულიად შოკის მომგვრელი, ტრაგიზმით სავსე და ულამაზესი წარმოდგენა, რომელმაც ქართველი თეატრალები დიდი რუმინელი რეჟისორის თაყვანის მცემლებად აქცია.

სილვიო პურკარეტესგან არავინ ელოდა იმ-გვარ დადგმას, სადაც სტანდარტული ხედვა ან გადაწყვეტა იქნებოდა წარმოდგენილი. რეჟისორსვე ეკუთვნის შექსპირის პიესის ადაპტაცია. ის, რაც სცენაზე ვიხილეთ, იყო ან-ტიშექსპირიც და უალრესად შექსპირისეულიც ერთდროულად. სახელგანთქმულ კრაიოვას მარინ სორესკუს ეროვნულ თეატრში განხორციელებული შექსპირის ერთ-ერთი ბოლო პიესა ტრაგიკომედიის უანრს განეკუთვნება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სპექტაკლში კომიკური ძალზე ცოტა იყო. სამყარო, რომელიც მხატვარმა და კოსტიუმების ავტორმა დრაგოშ ბუპაგიარმა შექმნა, ერთდროულად გაგონებდა გემის ტრიუმსაც და მუქ ნაცრისფერ-მოყავისფრო ტონებში წარ-

მოსახულ მოჯადოებულ სამყაროსაც წარმოადგნდა. დეკორაციას ასრულებდა ოთხუთხედი ფილებით შექმნილი ტრიუმის ჭერი, რომელიც სივრცის დახუთულობის ასოციაციას ბადებდა, საიდანაც გამოსავლის მოძებნა ერთობ რთული იყო. დეკორაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების დეტალი - უჟულმა დამაგრებული ჭაღი ავტორების კონცეფციას თვალსაჩინოს ხდიდა - ამ სამყაროში ყველაფერი თავდაირია მოხდებოდა. რაგოშ ბუპაგიარის სცენოგრაფია ბაროკალურ ფერწერას გვაგონებად სცენაზე: მძიმე, უხეში ფრიმბერი და მასიური მრავალფიცურიანი კომპოზიციებით. სპექტაკლის ვიზუალური გადაწყვეტისას უმთავრესი რეჟისორისა და მხატვრის მეურ ქარიშხლის გათამაშებაა - ქარიშხლის, რომელიც შექსპირის პიესის სათაურია და რომლის მეშვეობითაც ხდება ყველაფერი. წარმოდგენაში პერიოდულად სცენის სილომეში განთავსებული კარებიდან პარის ძლიერი ნაკადი იჭრებოდა. ნაკადს თან მოყვებოდა უამრავი ქალალდი და მტვერი. ქარიშხლის ნაკადი ათა-მაშება სცენის სივრცეში პროსპეროს წიგნებს - იგი ხომ სწორედ ამ ჯადოსნური წიგნების წყალობით გახდა გრძნეული. ქალალდის ფაქტურა დომინირებდა პერსონაჟების კოსტიუმების გადაწყვეტაშიც. ქარიშხლი, წიგნები და ფურცლები - ამ სამ ელემენტზე იგებოდა უპირატესად წარმოდგენის ვიზუალური ეფექტები. ქალალდის ფაქტურის იყო წარმოდგენაში კოსტიუმების ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, მორანდას კაბა. სპექტაკლის ფინალში ქალალდის გროვების ძრენა ყოვლისწამლეკაობის მეტაფორად აღიმებდა. მეტაფორა, რომელიც სცენაზე ქალალდის ფაქტურით იქმნებოდა ცოდნისა და გონებისმიერის გრძნეულობაში გარდატეხის შედეგებზეც მიგვანიშნებდა.

სპექტაკლში ძირითადი ანტიშექსპირული სვლა მშვენირი მირანდასა და ველური კანიბალის სიმბიოზია ერთ სხეულში; ძალზე საკამათო გადაწყვეტა, რომელმაც არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოიწვია მაყურებელშიც და სპეციალისტებშიც. ამ ფონზე პრინც ფერდინანდის როლის შესრულება ქალის მიერ არცთუ ისე გასაკეირად გვეჩენება. პურკარეტესეულ გადაწყვეტაში კომიკური ფაქტობრივად აღარაფერია - წარმოდგენა უაღრესად მუქი ფერებით ხატავს მოჯადოებულ ზღაპრულ სამყაროს. და მაინც, სპექტაკლში არის ის, რაც წარმოდგენას ნამდვილ შექსპირულ დადგმად წარმოგვიდგენს და მას ხელოვნების მაღალ ნიმუშად აქცევს - ეს შექსპირული ვნებების უდიდესი ძალით და დამაჯერებლობით წარმოსახვაა. ნამდვილი შექსპირული ვნებათაღელვა რეჟისორის და მხატვრის ესთეტიკურ ხედვასთან შეფარდებით მსოფლიო თეატრის ღირსეულ ნიმუშად აქცევს პურკარეტეს „ქარიშხალს“.

წლევანდელ ფესტივალზე თეატრალები კიდევ ერთ გახმაურებულ სპექტაკლს ელოდნენ: ჰენრიკ

იბსენის „ხალხის მტერი“, რეჟისორ ტომას ოსტერმაიერის მიერ დადგმული. ამთავითვე უზიდა ითქვას, რომ ამ სპექტაკლის მიმართ სპეციალისტების დამოკიდებულება ერთიანისად უაღრესად დადებითი რეცენზიებით გამოიხატა პურკარეტეს „ქარიშხლისგან“ განსხვავებით. ტომას ოსტერმაიერი ბერლინის თეატრს Schaubühne 1999 წლიდან ხელმისაწვდომობს. „თეატრი მუდამ თანამედროვე ექსპერიმენტული თეატრის ფორმების ძრინაშია და ყურადღებას ამახვილებს თხრობასა და ტექსტის (როგორც თანამედროვე, ასევე კლასიკურის) ზედმინევნით ალებაზე, რაც პიესის შეკვრის ელემენტია. რეცერტუარი მიიცავს როგორც მსოფლიო კლასიკას, ასევე საყოველაოდ ცნობილი თანამედროვე ავტორების პიესებს.“ ამგვარ ინფორმაციას გვაწვდის თეატრის შესახებ საფუძვლივალო კატალოგი. თავად ოსტერმაიერის შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, უაღრესად აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით და ამ პოზიციის მუდმივად აქტუალური, მწვავე და ცოტა სკანდალური ტრასფორმაციითაც გამოირჩევა. სპექტაკლის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე რეჟისორი ქართული საზოგადოებრიობის წინაშე წარდგარობოც არა მხოლოდ ხელოვანი, არამედ როგორც აქტიური საზოგადო მოღვნე, რომლის შემოქმედებაც წამდვილად აღელვებს მაყურებელთა სულებს. ინტერაქციაც ამ სპექტაკლის აუცილებელი და განუყოფელი წანილია და თბილისური ინტერაქცია მართლა ყოველგვარი სიყალის გარეშე და ვიტყოდი, დიდი წარმატებითაც წარიმართვისთან და ასევე წარმატებულა სხვა ქვეყნებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერაქციის იდეა სტოკანის როლის შემსრულებელს კრისტოფერ გავენდას ეკუთვნის. მოსკოვში ინტერაქციის დროს ორასი კაცი ავიდა სცენაზე, ბუნების არეშეში წარმოდგენაზე სამთავრობი დონის სკანდალი მოხდა... როგორც ირკვევა, მთელს მსოფლიოში იდენტური პრობლემები ტრიალებს, პრობლემები, რომელიც 1882 წელს ნორვეგიის საზოგადოებას აფორიაქებდა და დღესაც ამფოთებს ცივილიზაციულ სამყაროს. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ პიესის მარადიული აქტუალობის მიზნი არ არის მხოლოდ ეკოლოგიური პრობლემების სიმწვავე თანამედროვე სამყაროში, მიუხედავად იმისა, რომ „ხალხის მტერი“, იბსენის ყველაზე „სიკალური“ პიესაა. ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტი ღირებულებების შემცველ მხატვრულ ნაწარმოებიც, ამ პიესაშიც ზენობრივი პრობლემება და მორალის ასპექტში გადატანილი კონფლიქტია წარმმართველი. რას წინავას ხალხის მტრობა? საყოველთაო სიცრუისა და შედეგად დანაშაულებრივი ქმედების შეცნობას და მხილებას თუ მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვას და ამის გამო ადამიანების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას? ვინ არის მართალი საზოგადოების და ინდივიდის დაპირისპირებაში? და ბოლოს რა არჩევანს გაკეთებს თავად სტოკანი, განაგრძობს ბრძოლას თუ რეჟისორის შეთხული სიმარის ნაჩუქარი დაბინძურებული

„კაში“



კურორტის აქციებით საზოგადოების იმ ნაწილს შეუერთდება, რომელიც მოგებას მორალზე მაღლა აყენებს? რეჟისორი ამ კითხვას უპასუხოდ ტოვებს - ტოვებს სტოკმანსა და მის ცოლს მაყურებლის პირის პირ, ყოფით ვითარებაში, უბრალოდ ტახტზე დამსხდართ.

დიახ, ტომას ოსტერმაიერის სპექტაკლი უაღრესად აქტუალური და ვიტყოდი, სამოქალაქო აქტივობის სინთეზით შექმნილი წარმოდგენაა. მაგრამ, დამეთანხმებით, მხოლოდ პოზიცია ვერ გახდის ვერც ერთ სპექტაკლს წარმატებულს, ეს მხოლოდ დადგმის მხატვრული ხარისხით მიიღწევა. რეჟისორი იძსენის დრამატურგიის მიმართ შესაშუალებასა ავლენს - დადგმული აქვს „ჰედა გაბლერი“, „ნორა“. ტომას ოსტერმაიერის მიერ იძსენის სამყაროს გააზრება უაღრესად სიღრმისეულია. თუმცა გაჭირდება ავტორის ერთგულების შეფასება იმ უამრავი ცვლილების გამო, რომელიც რეჟისორს შეტანილი აქვს სიუჟეტში თუ პერსონაჟების ურთიერთობების სქემაში. წერილის ფორმატის გამო ამ ცვლილებათა დაწვრილებით შედარებით ანალიზს თავს ავარიდებ. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რეჟისორი იძსენის სხვადასხვა პიესას და მის პერსონაჟებს წარმოსახავს ერთი მთლიანი თანამედროვე სამყაროს ნაწილად. ოსტერმაიერის დადგმული იძსენის ყველა პიესა ერთ დეკორაციაში თამაშდება - სცენოგრაფი იან პაპელბაუმის მიერ შექმნილი იძსენის სამყაროს თანამედროვე მოდელში. ეს მოდელი თავისთა-

ვად უაღრესად ორიგინალურია - შავ კედლებზე ცარციო არის მიხატული სხვადასხვა ყოფითი ნივთები თუ ამა თუ იმ ადგილმდებარების და კუთვნილების აღმნიშვნელი აბრები. ეს მარტივი ხერხი იმთავითვე უშუალო დამოკიდებულებას აჩვენს თანამედროვე სტოკმანის საცხოვრისის მიმართ. კრისტოფ გავენდას სტოკმანი უაღრესად თანამედროვე ახალგაზრდა კაცია, რომელიც ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლში უკრავს და მშვენივრად ერთობა მეგობრებთან ერთად... სპექტაკლში ბევრი იუმორია, არის მაღალი საშემსრულებლო სამსახიობო დონე. და რაც მთავარია, არის მაღალი რანგის და უაღრესად მნიშვნელოვანი სათემელის იმგვარი ტრანსფორმაცია, როგორიც დიდი ნორვეგიელი მწერალის ნანარმოების უკვდავებაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს.

ამგვარი იყო თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის წლევანდელი საერთაშორისო პროგრამა და პროგრამა „ნიუ“. მიუზილით დაწყებული და შესანიშნავი საცეკვაო წარმოდგენებით გაჯერებული პროგრამა ფაქტობრივად სამოქალაქო აქტის ეკვივალენტად აღიარებული მაღალმხატვრული დადგმით დასრულდა. და რაც მთავარია, ფესტივალზე ამ პროგრამებში ნაჩვენები ყველა სპექტაკლები, როგორც ყოველთვის, ფესტივალის დევიზის შესაბამისად იყო განხორციელებული - რეალობის ნატიფი გრძნობით.

# მითები გადასული თეატრის 220 წელი

ვასილ პიპაძე

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, 1958 წელს, თბილისის დაარსების 1500 წლისთავთან დაკავშირებით გაზრდა „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნებილი „ისინი იცავდნენ თბილისას“. სტატია ეხებოდა კრწანისში აღამაშიად ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართული თეატრის მსახიობთა გმირობას.

წერილის გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ თეატრალური საზოგადოებიდან დამირექსე, შალვა დადიანი გიბარებსა. მივედი. როგორც კი ოთახში შევედი, მავიდიდან წამოდგა ბატონი შალვა და შემეგება, ხელი მომხვია, დამსვა... დიდად შემაქოჩინების სტატიის გამო. თქვენი წერილი პატრიოტული საქმეა, რადგან ქართული თეატრის მოღვაწეთა გმირობაზე წერთო.

ძალიან გამეხარდა დიდი მოღვაწისა და მწერლის შექება. მუშაობის სტიმული მომეცა.

არ მასვენებდა ფიქრი მსახიობთა გმირობაზე. დიდ პოეტს ლადო ასათიანს ნახენები ჰყავს კრწანისის გმირი მსახიობი „...მაჩაბელი რომ მღეროდა ფიცხელ ომში“...

1980 წლის ნოემბერში „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნები პატარა „წერილი რედაქტორის“, სადაც ვწერდი: „დიდების ლირისნი“. საკითხი ეხებოდა კრწანისთან აღა-მაშმად ხანის წინააღმდეგ დალუპულ მსახიობთა ხსოვნისთვის მემორიალის გაკეთებას: „ჩვენი წინაპრები პარაკლისს უზდიდნენ ხოლმე გმირულად დალუპულ მსახიობებს. თაობიდან თაობებში ლეგენდასავით გადადიოდა ქართველ მსახიობთა დიდი უაუკაცობის ამბავი. მსოფლიო თეატრის ისტორიაში ბევრი არ არის მსგავსი გმირობის მაგალითები“.

გავიდა წლები და თეატრალური საზოგადოების, კერძოდ კი სანდრო მრევლიშვილის ინიციატივით კრწანისში გაკეთდა გმირთა პატივსაცემი მემორიალი.

თეატრის ისტორია თავისი ბუნებით მითოსურია. მსახიობის ხელოვნება ერთადერთი ცოცხ-

ალი ხელოვნებაა, რომელიც მისი შემქმნელის სიკვდილთან ერთად კვდება. შემდეგ იწყება კვლევა-ძიება რა როგორ იყო. ამ პროცესს ფრანგი მკვლევარი გოში შეთხვის პერიოდს უწიდებს, რაც არსებითად მითოსური მოვლენაა. თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ფიქსაცია დიდი საქმეა, მაგრამ ცოცხალი ხელოვნების ფირზე გადატანის დროს მაინც იკარგება ისეთი „რაღაც“, რომელიც მაყურებლის თვალწინ, მაყურებლის თანამონაზი ილეობით იჩადება. მას ზუსტ სახელსაც კი ვერ მოუძებნით.

თითქმის წარმოუდგენელია სასცენო ხელოვნების პირველებინოლი სახით გაცოცხლება. მიუხედავად ამისა, ნ. ურუშავემ, რომელიც კარგად იცნობდა მსახიობის შემოქმედებას, საინტერესო წიგნი დაწერა „მსახიობის ხელოვნება“. თეატრმცოდნეობაში არსებობს სხვადასხვა ფორმები, რათა რეალური წარმოდგენა შეიქმნას თეატრის ისტორიაზე. თუმცა ეს სხვა პრობლემაა.

დავუბრუნდეთ თემას. როგორც ცნობილია, ერევლე მეორე განათლებული და ფართო ინტერესების მოღვაწე იყო. მისი კარის თეატრის შესახებ ბევრი რამ დაიკარგა აღა-მაშმად ხანის შემოსევის დროს, მაგრამ ცნობილია, რომ გაბრიელ მაიორი იყო მისი კარის თეატრის ხელმძღვანელი. გაბრიელს „კომედიების გამმართველს“ უწიდებდნენ, მაგრამ ზუსტად არ ვიციოთ რა კომედიები იდგმებოდა. ცნობილია, რომ ფასინ ბილეთებს ჰყიდდა. ისტორიას შემორჩა ბილეთი წარწერით: „შაური არი, გაბრიელ მაიორი“.

გაბრიელი კარგი არტილერისტი ყოფილა. საამისო განათლება მოუდია რუსეთში, საიდანაც იგი მაიორის ჩინით დაბრუნებულა. როცა აღა-მაშმად ხანი საქართველოს ასაკლებად წამოვიდა. ამ ბრძოლაში მონანილებდა გაბრიელ მაიორიც, მთელი თავისი დასით. იოანე ბატონიშვილის თქმით, „გაბრიელმა კარგად იცოდა არტილერია და ასე ძმითურთ თვისით მეფისა ირაკლისა დაიხ-

ოცნენ აღა-მაჰმად ხანისა ბრძოლასა შინა“.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, გაპრიელი „მხურვალე მონაწილეობას იღებდა 1795 წლის ომში. გაცხარებული ომის დროს იგი ხალხს ამხნევებდა.. პირისპირი იქმნა მტერთაგან მოკლული და მერე ნაჭერნაჭერა აკუნული“.

გმირულად დაიღუპა კრწანისის ველზე გაპრიელ მაიორი.

კრწანისის ბრძოლის ისტორიაში გამორჩეული მნიშვნელობა აქვს თეომურაზ ბატონიშვილის ცნობას. იგი წერს: „მცხოვრებთაგან თბილისისათა გამორჩეულ იქნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაცა აღმოაჩინეს წინამდვრად თავისიად კაცი ვინმე მსახიობი, რომელსა საზადოდრად უხმობდნენ. ეს იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკი და კომედიანტი და ეს იყო უფროსი მსახიობთა და ცნობილ იყო სამეფოსა სახლსა შინა. ეს იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაც ქართველი, რომელსაც სახელს სდებდნენ მაჩაბელად. ეს მიუძღვა გუნდსა მას თბილისელთასა მტერთა მიმართ და ეპყრა ხელთა ბარბითი. ე.ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შადიანსა, ე.ი. ხმასა შას, რომელსაც ლენინსა შინა დაუკრავენ უამსა შინა სიხარულისასა, ვინაიდან ხმაი ესე განამხიარულებს მსმენელთა.

ხოლო მებრძოლნი ესე იყვნენ მკვირცხლნი და მიმართეს ქვეითთა ამათ და ბრძოდეს მტერთა ფირცხელად და შეუერთდა გუნდიცა ესე გუნდსა მას ფშავებენსურთა, არაგველთა და ქიზიყელთასა და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მიინივნეს ვიდრევე დროშებამდე აღა-მაჰმად ხანისა და მოსტაცნეს დროშანი რაოდენიმე მხედრობათა აღა-მაჰმად ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანი მოსწყვიტეს წინაშე მისა.

იხილა რა აღა-მაჰმად ხანმა სიმხნე ესე ვითარი ქართველთა მხედრობისა, განკვირდა ფრიად და იტყოდა: „სიყმეთაგან ჩემით, ვიდრე აქომამდე დამიყოფიერ ბრძოლასა შინა და არსადა მიხილავს

მე წინააღმდეგნი ვითარ ესე კაცნი ჩემთა მომართ ჰყოფდენ ბრძოლას“. მაჩაბელის გუნდი შეენირა მსხვერპლად საყვარელსა მამულსა თვისსა.. სახელოვნად დასხივნებს სახლინი თვისნი“.

აյ გაცოცხლებულია დიდი ბატალიური სურათი, ამაღლევებულად არის მოთხოვნილი ქართველი მსახიობის გმირული თავგადასავალი. მაღლალი პატრიოტული შეგნება, რომელიც მაჩაბელმა გამოამჟღავნა, ნარმოადგენს ქართველი მსახიობის ნიშანდობლივ თვისებას.

კრწანისის ტრაგედია ქართული თეატრის ტრაგედიაც იყო. დაინვა სამეფო კარი, განადგურდა მისი თეატრი, მაგრამ მტერმა ვერ მოკლა ქართველი კაცის სული, ასევე ვერ ამოძირება ჩვენი თეატრი. სულ მაღლ თბილისში ისევ დაიწყო სათეატრო მოძრაობა. ისტორიული ხსოვნა ხალხში ყოველთვის ცოცხლობს სხვადასხვა ფორმით. გარკვეულ ისტორიულ პირობებში ყოველთვის იღვიძეს მებრძოლი სული.

ასე იყო ქართულ თეატრშიც. მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო რუსთაველის თეატრიდან 80-ზე მეტი თანამშრომელი წავიდა ჯარში. ჯარში წავიდნენ სხვადასხვა თეატრიდანაც. მსახიობები (ა. ხორავა, ვ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე, ს. ზაქარიაძე, ვ. გოძიაშვილი, თ. ჭავჭავაძე, გ. საღარაძე, პ. კობახიძე, შ. ღამბაშიძე და სხვა) ხმირად გამოიდიოდნენ ფრონტის წინა ხაზზე კონცერტებით. ისინი მებრძოლებს ამხელებდნენ საგმირო ლექსების კითხვითა და სხვა საკონცერტო შესრულებით.

ქართული თეატრი გარდაიქმნა ომის პირობების ადგეკვატურად.

220 წელი გვაშორებს კრწანისის ბრძოლაში დაღუპულ მსახიობებს, მაგრამ არ კვდება მათი ხსოვნა. კრწანისში მტრის წინააღმდეგ მებრძოლი მსახიობები თავიანთი გმირობის მაგალითებით ყოველთვის მოგვაგონებენ მოვალეობას სამშობლოს წინაშე!...

## „არ დავიღება მოყვრისა...“

თეატრის ისტორია ძალიან სპეციფიკურია, თითქოს ქართული ზღაპრების დასაწყისს ჰგავს: იყო და არა იყო რა - იყო ერთი მსახიობი...

გარდაიცვალა მსახიობი, მოკვდა მისი ქმნილება, ასევე მისი მაყურებელი თაობა, ყველაფერი სათეატრო მითებად იქცა...

მითივით შემორჩა ჩემს ხსოვნას, რაც ამ 40-50 თუ სამოცი წლის წინათ ვნახე. მასოვს, რა ამბავი ატყდა, როცა არჩილ ჩხარტიშვილმა მიხეილ მრევლიშვილის „ხარატანთ კერა“ დადგა 1949-50 წლის სეზონში (მხატვ. ი. სუმბათაშვილი, კომპ. არჩ. კერესელიძე). მაშინ მე პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი.

რაზე კამათობდნენ?

ჯარისკაცის ქვრივს სხვა კაცის მიმართ არ უნდა გასჩენოდა სიყვარულის გრძნობა...

როგორ შეიცვალა ზნეობრივი კრიტერიუმები!...

დიდი იყო ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ ტრადიციის ინერცია. ხალხი ადვილად ვერ ეგუებოდა ტრადიციებს მოშლას. დრო კი ყველაფერს ცვლის. „ხარატაანთ კერის“ დადგმიდან გავიდა ერთ ათწლეულზე ცოტა მეტი და რუსთაველის თეატრში დაიდგა ოტია იოსელიანის პიესა „ადამიანი იბადება ერთხელ“ (25.XI.62.), სადაც ფრონტზე დაღუპული ჯარისკაცის მამა, სერგო ზაქარიაძის გმირი, ძალით ათხვევებს სარძლოს,



რაღგან შვილის დაბრუნების იმედი დაკარგა, „ადამიანი იპადება ერთხელ“ და მან უნდა შეასრულოს თავისი ადამიანური ფუნქცია!...

მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“ არჩ. ჩხარტიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი იყო, რომელმაც, როგორც ვთქვი, ფართო საზოგადოების ვნებათალელვა გამოიწვია. მწერალს ჰქონდა სიახლის გრძნობა და სცენიდან იმპულსს აძლევდა საზოგადოებრივ ცვლილებებს ანუ ცხოვრების მაჯისცემაზე ედო ხელი და გრძნობდა მის გულისცემას.

ასეა, როცა მწერალი თავისი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს!...

არჩილ ჩხარტიშვილის დაბადებიდან 110 წლი შეუსრულდა. მე კარგად მახსოვს არჩილის მოღვაწეობა და ვიცნობ მის მიერ განვლილ სახელოვან გზას, რომელიც კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სახელებთან არის დაკავშირებული. სანდრო ახმეტელს გვერდით ედგა, ასისტენტის ფუნქციას ასრულებდა. საოცარი გულმოგინებით იწერდა ახმეტელის რეპეტიციებს. მისი წყალობით, ბევრი რამ საინტერესო შემოგვინახა ისტორიაში. ერთხანს ახმეტელმა ჩეჩინეთ-ინგუშეთის თეატრში გაგზავნა, ჩხარტიშვილმა დიდი როლი შეასრულა ჩეჩინეთ-ინგუშეთის თეატრის ცხოვრებაში. განსაკუთრებულია არჩ. ჩხარტიშვილის დვანლი ბათუმის თეატრის ცხოვრებაში. ხაზგასმით ვამბობ ამ ფაქტებს, რადგან მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად ქართული თეატრის კულტურის ნარმოჩენაში.

საქართველო არ არის ერთი ქალაქის (თბილი-

სი) ქვეყანა. ეროვნული ენერგია ყოველი მხრიდან მოედინება. ყოველთვის სიამაყით ვიხსენებ. როცა აშშ-ის დიდმა მწერალმა ჯონ სტეინბერგმა ბათუმში შემთხვევით ნახა არჩ. ჩხარტიშვილის სპექტაკლი – სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და აღტაცებული სტრიქონები უძღვნა. ამერიკელი მწერალი გააოცა პატარა ქალაქში ნანახმა დიდმა ხელოვნებამ. ასეთი სპექტაკლი სოფოკლეს სამშობლოშიც კი არ არისო!....

როგორი შეფასებაა!!....

- უმაღლესი!...

მე რაღა უნდა დაგამატო!...

ასე რომ, არჩილ ჩხარტიშვილი განსაკუთრებული მოვლენა იყო მეოცე საუკუნის ქართული თეატრის, - რეჟისურის თეატრის საუკუნის ისტორიაში, მაგრამ მასაც შეეხმ ჩვენი ეროვნული უბედურება – ქართული უმაღლერობა...

ეს ამბავი ნახევარი საუკუნის წინ მოხდა. არჩ. ჩხარტიშვილი გ. შატერებშვილის უაღრესად საინტერესო პიესის („მკვდარი მზე“) დადგმაზე მუშაობდა. რეპეტიციებიდან გამოიძახეს და თეატრის ხელმძღვანელობდან გაანთავისუფლეს.

ჩემთვის დღვემდე გაგვებარი დარჩა, რა მოხდა?.... ამ ფაქტმა გაგვაოცა და აღვაშფოთა არჩილის პატივისმცემლები. ჩვენ, სამინისტროს თანამშრომლებმა: ანტონ ნულუკიძემ, ნოდარ გურაბანიძემ და მე არჩილი ნაგვყვანეთ საქიფოდ. მახსოვს არჩილის მაშინდელი ნათევამი: ადამიანი წლობით მუშაობს იმისათვის, რათა სიბერეში გარანტირებული იყოს, რომ ხელს ადვილად ვერ წამოკრავენ, მე კა გამაგდესო...

როცა არჩილ ჩხარტიშვილის დამსახურებას ვიხსენებ, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილის“ დადგმა.

„მოკვეთილი“ 1956-57 წლის სეზონში დაიდგა. როგორც იტყვიან, საათივით აწყობილი სპექტაკლი იყო. ზეანტული გრძნობების და მამაკაცური ენერგიის სპექტაკლი. საქმარისია ითქვას, რომ აქ დაიბადა დიდი მასაბიობი ოთარ მელინეთუშუცესი ჩინთას როლში. არჩილ ჩხარტიშვილის „მოკვეთილი“ გამორჩეული ნარმოდგენა არის ვაჟა-ფშაველას თეატრის ისტორიაში.

მეოცე საუკუნის ყველა რეჟისორმა განიცადა პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენა.

თეატრი ყველაზე თანამედროვე ხელოვნებაა. ის დღევანდელი დღით ცოცხლობს, რაღგან ემსახურება დღევანდელ აუდიტორიასა და საერთოდ, თავის თანამედროვეობას. სხვა მაგალითებს არ დავასახელებ, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის მაგალითებიც კმარა, მაგრამ მთავარია როგორ აისახება დრო რეჟისორის შემოქმედებაში.

არჩილ ჩხარტიშვილმაც დადგა ტიპიური კონიუნქტურული ნარმოდგენა – ილო მოსაშვილის „მისი ვარსკელავი“. თემა ახალი დღიდღიმინი ცხვრის ჯიშის გამოყვანას ეხებოდა. არასაინტერესო თემაა, მაგრამ სპექტაკლში იყო შესანიშნავი აქტიორული სახეები და ამის გამო მაყურებელი

ესწრებოდა.

არჩ. ჩხარტიშვილის შემოქმედებაში ორიგინალური მოვლენა იყო ნოველების დადგმის ფაქტი. ნოველის დადგმას ჩვენს თეატრში ტრადიცია არ ჰქონდა, მაგრამ არჩილ ჩხარტიშვილა სინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა. ერთ საღამოს დადგა ო. იოსელიანის, არჩ. სულაკაურის და ო. გობრინიძის ნოველები.

ეს იყო 1961 წლის პირველი თებერვალი.

არჩილ ჩხარტიშვილი ეძებდა თავის თეატრს, გატაცებით ქმნიდა მის მოდელს.

\* \* \*

დაბადებიდან 100 წლი შეუსრულდა ქართული არტისტიზმის გენის ერთ-ერთ დიდ ვარსკვლავს ვასო გოძიაშვილს. მართლაც, განსაკუთრებული არტისტული მოვლენა იყო სცენაზეც და ცხოვრებაშიც, ყველგან გამოირჩეოდა არტისტიზმით. აკაკი ვასაძემ, თავად გენიალურმა მსახიობმა, უმაღლესი შეფასება მისცა ჩემთან საუბარში ვასო გოძიაშვილის არტისტულ მონაცემებს, თუმცა, იმავდროულად დანაწებით შენიშვნა, რომ მისი ინტელექტი ადეკვატური არ იყო შემოქმედებითი მონაცემებისათ...

აკაკი ვასაძე მეოცე საუკუნის მსახიობებიდან გამოირჩეოდა ფართო ერუდიციით და ანალიტიკური აზროვნებით. მის პირვენებაში ორგანულად იყო შერწყმული არტისტისა და რეჟისორის თვისებები.

...თელავში თეატრმა შეხვედრა მოუწყო მარინე თბილელს, მომხსენებელი ვიყავი. ფართის განსაზღვრული კულისებში ვიდექი. მოვიდა ვასო (რომელიც მარინე თბილელს ახლდა „ძველი ვოდევილების“ სათამაშოდ) და მითხრა:

- იცი, როგორ ვუყვარვარ თელაველებს?!...

- ვიცი, ბატონონ ვასო!...

- არა, არ იცი, მომხსენებაში დაასახელე ჩემი გვარი და ნახავ, როგორი ტაში იქნება!...


შევფიქრიანდი, შეხვედრა თბილელთან არის და ჩემგან უტაქობა იქნებოდა მოხსენებაში მასზე უფრო დიდი და პოპულარული მსახიობის დაპირისპირება, მაგრამ რა უნდა მექნა?

ვიცოდი, ჩემს სეხნის ექცენტრიკული ხასიათის ამბავი და სიტყვაში მოვისხენი, მართლაც დიდი ტაში იყო. ვასო თავს ბედნიერად გრძნობდა.

დიდ ხელოვანთ პატარა ბავშვის ახირება და გულები აქვთ!...

შეხვედრის შემდეგ დიდი პურმარილი გაიმართა სასტუმროს ნომერში, მე და ვასო გოძიაშვილი ერთად ვიყავით. მთელი ლამე არ დამაძინა, მომავალ როლებზე მელაპარაკებოდა და თან იმპროექტაციულად ალაგ-ალაგ თამაშობდა კიდეც. თელაველ მეგობრებს გადაურეკა, ჩამოვედიო, პურმარილით გააგსეს სასტუმრო.

ბაზარში წავიდეთო, მითხრა ბატონმა ვასომ. წავედით. ჩემს თვალნინ თეატრად აქცია მთელი ბაზარი. ხან ვისთან დალია ღვინო, ხან ვისთან მოტეხა დედას პური, ვისთან - ყველი. ერთი სიტყვით,



გასო გოძიაშვილი

მთელი ბაზრის ცენტრი იყო. გამყიდველებიც და მყიდველებიც მხოლოდ მას უყურებდნენ. უხაროდა, რომ მე, „მერელი ბიჭი“ (როგორც ხშირად მეუბნებოდა), მონებე ვიყავი მისი პოპულარობისა.

ვასო გოძიაშვილი იყო ხასიათების შექმნის გამორჩეული ოსტატი. მისი მარტო ერთი პატარა, თითქმის უსიტყვო როლი კორნეიჩიუკის პიესაში („ხსოვნა გულისა“) რომ გენახათ, ნათელი გახდებოდა, რა დიდი არტისტი იყო. სცენაზე თითქმის არაფერი არ ხდებოდა, აცეკვებდა ქალს და ცეკვის დროს გვაჩვენებდა, როგორი მუსუსი იყო მისი გმირი. ცეკვის დროს, ვითომ შემთხვევით, ჩამოუვარდებოდა დაბლა ხელი და ქალს მოუთათუნებდა.

აცეკვებდა ქალს და გვაჩვენებდა მუსუსი კაცის სახეს.

\* \* \*

90 წელი შეუსრულდა ქართული თეატრმცოდნების გამოჩენილ მოღვაწეს ეთერ გუგუშვილს. ეთერი რომ ცოცხალი იყოს, უფლებას არ მომცემდა მისი ასაკი მეხსენებინა.

ერთხელ, დაბადების დღეს დაურეკა ე. შევარდნაძის თანაშემწემ და მიულოცა. ეთერი პირდაპირ გადაირია, აღშფოთდა, ვინ გითხარათ, რომ დაბადების დღეაო, ვერ იტანდა ასაკის ხსენებას, გასაოცად ებრძოდა თავის წლებს. ეთერის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თეატრალური ინსტიტუტის ისტორიაში. მრავალი წელი იყო პრორექტორი, ასევე დიდხანს რექტორი — ერთ დღეს ე. გუგუშვილმა დამირეკა:

- ვასო, რატომ არ მოდიხარ სამსახურში? - თან იცინის, კარგ ხასიათზეა, უკვე თეატრალური ინსტიტუტის რექტორია, მანამდე კარგა ხანს იმუშავა პრორექტორად.

უცეპ გავლიზიანდი, ვიფიქრე, ეთერის ვინ ეკითხება, როდის მივაღ სამსახურში.

- რა მოხდა, ჩემთან გაქცს საქმე?..

- საქმის მეტი რა არის, დროზე გამოდი... დროზე... უკვე შენი უფროსი ვარ — იცინის გულიანად.

ალბათ სამინისტროში გადმოიყანეს, ვფიქრობ და ვეკითხები: რა, დაგანიხაურეს?!

- ვასო, ახლა გაიგე, რომ რექტორი ვარ?..

- ვიცი, მაგრამ ვერ გავიგე ჩემგან რა გინდა?..

- არ იცი, ჩემს მოადგილედ რომ გადმოიყანეს?

... - კვლავ გულიანად იცინის.

- მე არაფერი არ ვიცი, ვინ გადაწყვიტა ჩემი საქმე, არ უნდა მეითხონ?! „ტი ზნაეშ!..“ უცეპ გადაწყდა ზევით... ცეკაში... მდივანთან ვ. სირაძესთან ვიყავი. იქ იყო უმაღლესების განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძეც. შემომთავაზეს პრორექტორის კანდიდატურა, მე მისი წინააღმდეგი წავედი. ვთქვი, რომ მე მინდა მშრომელი კაცი და არა პრეზიდენტში გამოსაჩენი პიროვნება. შენი კანდიდატურა დავასახელე.

დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება, ახალი იმედები, ახალი საქმე, ახალი ადამიანები.

რა არ გადავიტანე წელთა მანძილზე, მაგრამ ჩემი ცხოვრების ბეჭნიერი წლები იყო. უკვე 50 წელი შემისრულდა ინსტიტუტში (დღეს უკვე უნივერსიტეტი) მოღვაწეობიდან.

ყველაფერი თითქოს ახლახანს იყო.

ქართველებს (სხვების არ ვიცი) გენიალური სიტყვა გვაქვს „წუთისოფელი“.

როცა პრორექტორად დავინიშნე, ე. გუგუშვილმა გამაფრთხილა: ზემოთ, მათვრობაში, ყველგან მენვალ, შენ მიხედე ინსტიტუტის საშინაო საქმეებს, სრულ თავისუფლებას გაძლევ. მიუხედავად ამისა, კარგად ვიცოდი, რას ნიშანავდა პირველი მოადგილება. იგი რექტორის საიმედო დასაყრდენიც არის და იმავე დროს პოტენციურ შემცვლელად მოიაზრება. ამიტომ ჩემგან განსაკუთრებული ტაქტიც და სიფრთხილე იყო საჭირო. ყოველ დაწესებულებაში „წყლის ამღვრევებს“ რა გამოლევს. ისინი ადამიანურ ამბიციებზე და თავმოყვარეობაზე თამაშობენ, მაგრამ საბედნიეროდ, არც ჩემთან და არც რექტორებთან, არავის არაფერი არ გამოუვიდა. ვერც ერთ რექტორთან „წყალი ვერ ამიმღვირეს“...

გულია, გახსნილი ურთიერთობა მქონდა ყველა რექტორთან. საერთო პროფესიული ინტერესების გარდა, და არ წმუნებ ული იყვნენ, რომ მათ ზურგს უკან არაფერს უკადრისა არ ჩავიდენდი. ზოგჯერ ჩემი ინიციატივით გაკეთებულ საქმესაც კი



მათ მივანერდი ხოლმე. ჩემი ამოცანა იყო ინსტიტუტში ყოფილიყო მშვიდი, სტაბილური და საქმიანი არ ატმოსფერო. ნდობა და დამოუკიდებლობა არ დამეკარგა. ერთგულებით ვალნევდი მიზანს. ვინც კარგად იცნობს ხელოვნების სამყაროს, მათთვის ძნელი ხარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა რთულია დიდი ინდივიდუალობის მოღვაწეთა გვერდით მუშაობა. ყოველ მათგანთან განსაკუთრებული ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო. ზოგჯერ ერთი გადაბრუნებული ფრაზის გამოც კი იქმნება კონფლიქტური სიტუაცია. შემოქმედი ამბიციური ადამიანია.

ეთერ გუგუშვილი იმპულსური ხასიათის იყო, თანაც სიმართლის მოყვარული, პირში მთქმელი, უფრთხილედებოდა რექტორის პრესტიჟს, ვაგლახად ვერავნ შეხედავდა ვერც მას და ვერც მის ინსტიტუტს. როცა განინისხდებოდა, ზოგჯერ წონასაწორობას კარგავდა, მაგრამ ბუნებით ეკითილი იყო და მალე გადაუვლიდა მრისხანება. ამას მოსდევდა სინაულის პერიოდი. ჩემი ამოცანა იყო განაწყენებულთან ისე შემერიგებინა, არც რექტორის პრესტიჟი შელაცულიყო და არც ოპონენტი დარჩენილიყო გულზაკლული.

\*\*\*

ბევრჯერ ვთქვი (ილიას გლახა ჭრიაშვილივით) და დავწერ ქართული უმადურობის ფერომენზე. რამდენი ათეული წელი ვინმეს გახსენებია ალექსანდრე თაყაიშვილი?

„არსაიდან ხმა!“...

ალექსანდრე თაყაიშვილს 120 წელი შეუსრულდა დაბადებიდან. იგი იყო მრავალმხრივ საინტერესო რეჟისორი და მოღვაწე. სრულიდან განსაკუთრებულია მისი ღვანწლი საბავშვო თეატრის ისტორიაში. ა. თაყაიშვილი გ. მიქაელესთან ერთად ერთ-ერთი დამტურებელი იყო მოზარდ მაყურებელთა თეატრისა.

ჩემი პირველი თეატრალური შთაბეჭდილება დაკავშირებულია მის სპექტაკლთან დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“. მოზარდთა თეატრი გასტროლებზე ჩამოვიდა ხონში. ჩემი სოფლიდან ორი თუ სამი ბიჭი წავედით ხონში სპექტაკლზე დასასწრებად. ხონამდე ექვსი კილომეტრია. მაშინ ამ გზაზე მანქანა ათასში ერთხელ თუ გამოივლიდა, ფეხით გავიარეთ საქმაოდ დდიდ მანძილი და სახლში გვიან დავბრუნდით. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა გ. კუპრაშვილმა.

ალექსანდრე თაყაიშვილის სპექტაკლებიდან არტისტული მრავალსახეობით გამოირჩეოდა ნ. გოგოლის „რევიზორი“, რომელიც მარჯვნიშვილის თეატრში დადგა. პირდაპირ აქტიორული ოსტატობის ზემინი იყო.

\*\*\*

120 წელი გავიდა დრამატურგისა და პროზაიკოსის, დიდი დავით კლდიაშვილის გაუის, სერგო კლდიაშვილის დაბადებიდან.

სერგო კლდიაშვილს დავუახლოვდი რუსთაველის თეატრში მუშაობის წლებში. თითქოს უც-



ნაურია, რომ ჩინქებული მოსაუბრე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ენას უკიდებდა...

რუსთაველის თეატრში დაიდგა მზი პიესები: „გმირთა თაობა“, „გრაფის ქვრივი“, განსაჯუთრებით დამამახსოვრდა „დღესასაული საკრაულში“, რადგან ჩემს პიორგრაფიასაც დაუკავშირდა.

„დღესასწაული“ აკაკი დვალიშვილმა დადგა. მაშინ გმირულ-რომანტიკულ თეატრში ვოდევილის დადგმა არასწორად მიმართდა, ამიტომ დავწერე კრიტიკული წერილი, რომელიც წავუკითხე სპექტაკლის რეჟისორს აკ. დვალიშვილს. მიკვირს, რომ ჩემს ამ უტაქტობას მშვიდად შეხვდა აკაკი დვალიშვილი. მირჩა, სერგო კლდიაშვილის კრიტიკას მოეტვი და მე გამაკრიტიკეო. დღემდე ვუმადლი აკაკის ამ რჩევისთვის, რადგან შემდეგ იმდენად დავუახლოვდი სერგო კლდიაშვილს, რომ ოჯახში დავდიოდი. ჩემს სადისერტაციო შრომაზე, რომელიც ფსიქოლოგიური დრამის პრობლემას ეხებოდა და მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი დავით კლდიაშვილს, კარგი რეცენზია დაწერა.

როცა სერგო კლდიაშვილს ვახსენებ, ყოველთვის ვიმეორებ გასაოცარ ფაქტს: რუსთაველის თეატრში ჩემი მუშაობის დროს, ერთ დღეს საოცრად დანაღვლიანებული და აფორიაქებული შემოვიდა ჩემს კაბინტში:

- რა მოხდა ბატონონ სერგო?  
- იქიდან მოვდივარ! – თქვა და ხელი გაიშვირა ძერუინსკის ქუჩისაკენ, სადაც „სუკი“ იყო.

- მანახეს, თუ რომელ დღეს დამხვრიტეს.. თურმე ჩემს დასაჭერად მოსულან, სახლში არ დავხვდი, სოფელში ვიყავი წასული. დახვრეტის გეგმის შესასრულებლად ქუჩაში ერთ გამვლელს სტაცეს ხელი და სერგო კლდიაშვილის გვარით დახვრიტეს... რა ვქანა, როგორ მოვქებნო მისი

ოჯახი, რომ დავეხმარო...

ასეთი ტეატრის განცდა მხოლოდ ნამდვილ ჰუმანისტ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ შევასენებ ხოლმე მკითხველს.

\*\*\*

ქართულ თეატრში ასობით მსახიობი მოღვაწეობდა, რომელიც დღეს აღარავის ახსოვს, ან აქაიე თუ შემორჩა მოგონებელი. ვინ უნდა შეხსენოს თანამედროვეობას მათი ღვაწლი და ამაგი, თუ არა, უპირველესად თეატრმცოდნებმა. ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, უპრეტენდიო და ფუტკარივით მშრომელმა კოტე წინიკაშვილმა თეატრალურ საზოგადოებაში ხსოვნის საღამოები წამოიწყო.

მსახიობის სახლის დარბაზი ხალხით იყო გადაჭრილი.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. პოლიტიკურმა ცხოვრებამ და ტელეშოუებმა ფასეულობათა კრიტიკოუმები შეცვალა. ყველაფერი გამარტივდა, გაუბრალოვდა. მასობრივი კულტურის ტენდენციებმა იძლავრეს. შეიქმნა დღევანდელი დღით ცხოვრების კულტი. თითქოს ასრულდა ქართული ანდაზა - „დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსო“. ასე მგონია, რომ ასეთი ანდაზა ვერ შეიქმნებოდა სხვა ქვეყნებში, ანდაზაში ქართული ხასიათია გამოკვეთილი!...


კოტე წინიკაშვილის მიერ მოწყობილ საღამოები გამოირჩეოდა რაიონებისა და ქალაქების თეატრების მსახიობთა საღამოები, რადგან თბილის აუდიტორიისათვის ბევრი რამ ახალი იყო. პირველად შეხვდა ე.ნ. რეგიონებში მოღვაწე მსახიობებს. პირველად გაიხსენეს რეგიონები: ნამდვილმა შემოქმედებამ ხომ არ იცის ცენტრი თუ რეგიონი. ვაუ-ფაშაველა მივარდნილ მთაში ქმნიდა თავის შედევრებს, არც „ცეცხისტყაოსახი“ დაწერილა თბილისში!...

ანბანურ ჭეშმარიტებაზე ვსაუბრობ, რათა საზღამით ვთქვა, რომ ქართული თეატრის ისტორიაში ყოველთვის დიდი ადგილი ეკავთ საქალაქო თუ რაიონულ თეატრებს. საქართველოში ცნობილი იყო თბილისის გარეთ მოღვაწე რეესისორთა და მსახიობთა სახელები. ყველას ვიცნობდი, ვინც ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე იმოღვაწევა.

სევდისმომგვრელია მათი სახელების გახსენება. ზოგს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. არ შემიძლია არ გავიხსენ ზოგიერთები, მათ შორის ფოთში მოღვაწე სინო კალანდარიშვილი.

სინო კალანდარიშვილი დრამატული როლებით იყო გატაცებული. ფიზიკური მონაცემები საშუალებას აძლევდა წარმატებით განეხორციელებზებია ძლიერი ტემპერამენტის ხასიათები. საქმარისია როლების დასახელებაც. ს. კალანდარიშვილმა წარმატებით შესარულა: არსენა (ა. ყაზბეგი „არსენა“), ოდაპოსა (სოფოკლე „ოიდიპოს მეფე“), ჯემალი (ი. მოსაშვილი „ჩაბირული ქვები“) და სხვა როლები, რომლებსაც თავისი მაყურებელი ჰყავდა.

მაყურებელი სიხარულით ხვდებოდა ქალაქში



გამორჩეული მოღვაწის სცენაზე წარმატებას.

\*\*\*

მსახიობი და თეატრის დირექტორი, პლატონ ახვლედიანი იყო მრავალმხრივი პიროვნება. გამორჩეული არტისტული ტემპერამენტით, წარმოსადეგობით, ძლიერი ხასიათების შექმნის ოსტატობით. სამასამდე როლი შესარულა. უამთაპერის როლს ასრულებდა - მ. ჯაფარიძის პიესაში „უამთაპერის ასული“, ოთარქეგის როლს - ა. სუმბათაშვილის „დალატში“, არქენის - მ. ლერმონთვის „მასკარადში“, ონისეს - ა. ყაზბეგის „ხევისპერი გოჩა“, ლეონარდო - გარსია ლორკას „სისხლიანი ქორნილი“.

პ. ახვლედიანი ერთხანს კ. მარჯანიშვილის თეატრშიც მოღვაწეობდა, სადაც შექმნა: ბესარიონის (ნ. დუმბაძე „მე ვხედავ მზეს“), გიშუას (ავქს. ცაგარელი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“), ურიელის (გ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“) და სხვა როლები.

დასახელებული მაგალითებიდანაც გასაგებია, თუ რა ხსიათის მსახიობი იყო. მსახიობის რეპერტუარი მკითხველს მხოლოდ ზოგად თავისებურებაზე მიანიშნებს, ყოველი როლი კი ცალკე განხილვას და ანალიზს მოითხოვს, რომელიც, სამწუხაროდ, თავის დროზე ხშირად არ კეთდება. ამაში არის მსახიობის ხელოვნების ბუნების თავისებურება. ამიტომ ჰქონდათ ძველ ბერძნებს ტრადიცია - როცა მსახიობს მარხავდნენ ტაშით მიაცილებდნენ.

ეს ტრადიცია საქართველოშიც დამკვიდრდა, მეონი 80-იანი წლებიდან...

პ. ახვლედიანი თელავის თეატრის დირექტორადც მუშაობდა. მასხოვს, როგორი გამორჩეული ყურადღებით ცდილობდა თეატრის რეპერტუარის დაცვას.

ქართულ თეატრში ერთხანს თითქოს წესად იყო ქცეული - წამყვანი მსახიობებს მიერ დირექტორის ფუნქციის შეთავსება. აქ მარტო ლიდერი მსახიობის ჩვეული ამბიცია არ არის. საკითხს სოციალური ასპექტიც ჰქონდა. ცნობილი მსახიობები თეატრში მაყურებლის ყურადღების აბიექტებიც იყვნენ. ამას რაიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მსახიობ დირექტორთა შორის იყო სინო კალანდარიშვილიც, რომელიც წლების მანძილზე მოღვაწეობდა რაიონის თეატრებში. მათ

შორის გამოირჩეოდა ფოთში და გორში მოღვაწეობის წლები. ათი წელი მუშაობდა გორის თეატრში. რამდენიმე წელი იყო თეატრის დირექტორი.

\*\*\*

ჩვენს უნივერსიტეტში ხშირად ვხვდები მსახიობსა და პედაგოგს გალინა პატარიძეს. გალინა იმედის სხივივით შემომანათებს ხოლმე. მაგონდება მისი სტუდენტობა, რომელიც ჩემი ბიოგრაფიის ნაწილიც არის. მაშინ კულტურის სამინისტროში ვმუშაობდი. ახალციხეში

პროფესიული თეატრის გახსნის იდეა გვაღელვებდა, მაგრამ იდეის პრაქტიკულ განხორციელებას პატრიოტი და ენთუზიასტი მსახიობები სჭირდებოდა. მსახიობთა ჯვაფში, რომელსაც ლექციებს ვუკითხავდი, ერთადერთი დაოჯახებული სტუდენტები იყვნენ - გალინა პატარიძე და სოსო ბაკურაძე. ჟყავდათ ვაჟი - კახა ბაკურაძე, რომელმაც შემდეგ თავი გამოიჩინა ორგანიზაციორული ნიჭით და მუშტაიდის ბალში ორიგინალური თეატრი შექმნა.

გალინა და სოსო ბაკურაძეები წარუდგნენ წინ და ნანა დემეტრაძეების თავისაცობით მესხეთში აღორძინეს თეატრი.

ნახევარ საუკუნეზე მეტია თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში პედაგოგიურ მოღვაწეობას ვენევი. ვინც ამ წლებში დაამთავრა უნივერსიტეტი (ინსტიტუტი) თითქმის ყველა ჩემი ნასტუდენტარია. მიხარია ყოველ მათგანთან შეხვედრა, მაგრამ გალინასთან შეხვედრა განსაკუთრებით, რადგანაც გალინა პატარიძეს გამორჩეული ხიბლი აქვს.

ვულოცავ დაბადების დღეს. გალინა იმ ასაკისაა, როგორც გამოიყურება.

გამოიყურება კი შესანიშნავად.

ყოველ შეხვედრაზე თვალწინ ცოცხლდება მისი სტუდენტობის წლები.

დაილოცოს შენი კარგი ქალობა, ნამდვილი ოჯახიშვილობა ჩემო გალინა!





ნორ მაჟავარიანი

28 ოქტომბერს გრიბოედოვის სახელობის თეატრმა დიდი საიუბილეო ზემით გამართა. ის დაიწყო ჯერ კიდევ თეატრის ფორმში, სადაც თეორიით ფერებში ჩაცმულმა ორკესტრანტებმა თავიანთი მხიარული მარშებით აუმაღლეს განწყობა სტუმრებს. ამის შემდეგ ყურადღება მიიპყრო საიუბილეო გამოფენამ, რომელმაც თეატრის მნიშვნელოვანი სპექტაკლების ესკაზები, მაკეტები, დიპლომები, საგასტროლო ნარმატები, საიუბილეოდ გამოცემული წიგნები, თეატრის რელიკვიები გააცნო მაყურებელს. თეატრის ცნობილ მოღვაწეთა კედლებზე დაკიდებული სურათები ამჯერად უფრო ამეტყველდნენ და ჩაერთვნენ საგამოფენო სივრცეში.

დარბაზში ტევა არ იყო. აქ იყვნენ არა მხოლოდ თეატრის მუდმივი და ერთგული მაყურებლები, არამედ მსოფლიოს 24 ქვეყნიდან მონვეული საპატიო თეატრალები, რომლებმაც გრიბოედოვის თეატრთან ერთად აღნიშნეს მისი საიუბილეო თარიღი.

იუბილემ თეატრის სცენაზე გადაინაცვლა — იგი წარმოადგენდა ძველი თბილისის მთელ კოლორიტს — ხის ლამაზჩიურთმებიან აიგნებზე გადმოფენილი ნაირნაირი ხალიჩებით, ძველი დაკლაკნილი, ვინრო ქუჩა-ბანდებით, ხის ლამაზი კიბეებით. მაღლა კი, მთელი სცენის სიგანეზე გამოფენილი იყო აფიშები გრიბოედოველების საეტაპო სპექტაკლებისა...

გრიბოედოვის თეატრის მსახიობებმა თხრობა თეატრის შექმნის შესახებ ჯერ ძველი თბილისის ღირშესანიშნაობათა აღწერით დაიწყეს (რე-

ჟისორი ა. ვარსიმაშვილი, ლიტერატურული მონტაჟი ა. ვარსიმაშვილი, ნ. შადური) — გაიხსენეს ბაზრობები, მაიდნები, აშულები... შემდეგ კი ყურადღება თეატრის ისტორიაზე გადაიტანეს და დაწვრილებით, სეზონების მიხედვით, თეატრის დაარსების ისტორიიდან დღემდე ისტორიის ფურცლებითა და ცნობილ პიროვნებათა მოგონებებით ემოციურად გაგვაცნეს და თვალინინ დაგვიხატეს ეპოქა, რომელშიც დაიბადა რუსული დრამატული თეატრი. თეატრი, რომლის დასის შედგენაში თავად დიდებულმა მსახიობმა მ. შჩეკვინმა მიიღო მონაზილეობა. ახლადშექმნილ დასა კი სათავეში ა. იაბლოჩევინი (სარქ სახ. არტისტის ა. იაბლოჩევინას მამა) ჩაუდგა.

თბილისის თეატრალურ ცხოვრებაზე წერდნენ მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, მწერლები: ალ. დიუმა, ლევ ტოლსტიო, ა. ჭუშკინი და სხვ. ზამთრის სეზონებზე თბილისში სამუშაოდ ჩამოიდინენ რუსული სცენის ისეთი დიდოსტატები, როგორებიც იყვნენ: ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ა. სუმბათაშვილ-იუჟინი, ა. იაბლოჩევინა, ა. ლენსკი, მ. ერმოლოვა, მ. სავინა, ვ. კომისარუჟევსკაია, ვ. დავიდოვი, კ. ვარლამოვი, ნ. ორლენევი და სხვ. 1904-05 წლებში თეატრალურ სეზონს სათავეში მსახიობთა ამხანაგობა „Русская драма“ ჩაუდგა ვ. მეერხოლდის ხელმძღვანელობით. თბილისში შეიქმნა „ТАРТО“ (რუსეთის თეატრალური საზოგადოების მსახიობთა ამხანაგობა), პროლეტკულტელთა წითელი თეატრი, იმართებოდა ნარმოდგენები ზუბალოვების სახლში, ოპერის სტუდიაში, კინოთეატრ „აპოლოში“ და ცირკშიც

კი, სადაც წარმოუდგენიათ „მეფე იოდიპოსი“. სწორედ რუსული თეატრის მოწვევით ჩამოვიდა თბილისში კოტე მარჯანიშვილი. გრიბოედოვის თეატრში სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდნენ რეჟისორები: ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, ვ. მეიერხოლდი, კოტე მარჯანიშვილი, ალ. ტაიროვი, ალექსეი პოპოვი, ლეონიძ ვარპახოვსკი, გიორგი ტოვსტონოვი, სანდრო ტოვსტონოვი, მიხეილ თუმანიშვილი, ფოდო ალექსიძე, გიგა ლორთქიფანიძე, გიზო ქორდანია, ლევან მირცხულავა, კოტე სურმავა, პეტრე ფომენჯო... 1999 წლიდან დღემდე კი მას სათავეში უდგას რეჟისორი ავთანდილ ვარსი-მაშვილი.

გრიბოედოვის თეატრის სცენაზე დასამახსოვრებელი სცენური გმირები განასახიერეს მსახიობებმა: ე. სატინამ, ბ. ბელეცკაიამ, ლ. ვრუბლიოვსკაიამ, ბ. ალექსი-მესხიშვილმა, ვ. ფუნქციანამ, დ. ნეგინამ, მ. ბელოუსოვმა, ა. სემიონოვმა, ვ. ბრაგინმა, ნ. ბურმისტროვამ, მოგვიანებით: არჩილ გომიაშვილმა, ჯემალ სიხარულიძემ, ბორის კაზინეცმა, ნიკო გომელურმა და სხვ. მის სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდნენ კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი, იონა ტუსკია, კოტე მეღვინეოუბუცესი, კონსტანტინ ჰევზნერი, სცენოგრაფიულად ხევნდნენ მხატვრები: ირაკლი გამრეკელი, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, ირინა შტენბერგი, მირიან შველიძე, აივენგო ჭელიძე, იური გეგეშიძე და სხვ. ქორეოგრაფები: იური ზარეცკა, ილიკო სუხიშვილი, გია მარლანია...

თეატრალურ-ლიტერატურული წარმოდგენის შემდეგ იუბილარ თეატრს მიულოცეს და ადრესები გამოუგზავნეს: სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი

მარგველაშვილმა, საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა. ეს ადრესი გაგვაცნო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მ. გიორგაძემ, რომელმაც თავად მიულოცა თეატრს ღირშესანიშნავი თარიღი:

**„პატივცემულო სტუმრებო, ბატონებო და ქალბატონებო! საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სახელით, საქართველოს მთავრობის სახელით გილოცავთ იუბილეს, მაღლობას გიხდით ამ საზეიმო სალამოში მონაწილეობისათვის, ვუერთდები ყველა მილოცვას თეატრისადმი, რომლითაც ვამაყობთ.**

რუსული თეატრის დაარსებით არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელი კავკასიის რეგიონში საფუძველი ჩაეყარა რუსული კულტურის, რუსულ საგანმანათლებლო კერას. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა, ცნობილი თავისი ტოლერანტობით და თეატრი მის კულტურულ ცხოვრებაში ყოველთვის ცენტრალურ ადგილს იკავებდა.

გრიბოედოვის თეატრი თავისი რეპერტუარით, თავისი პროფესიონალი მსახიობებით და კომპლექტებული აქტიორული დასით, მდიდარი ისტორიითა და ტრადიციებით გადაიქცა მძლავრ თეატრალურ სივრცედ. მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო მის მაყურებელს და უპირველეს ყოვლისა, თეატრის კოლექტივს. გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს — ბედნიერებას, მომავალ შემოქმედებით წარმატებებს. ვაფასებთ თქვენს მიერ შეტანილ წვლილს რიგორც ქართველი თეატრალური ხელოვნების, ასევე ქართული კულტურის განვითარებაში“.

თეატრს ადრესი გამოუგზავნეს და წარმო-





მადგენლობით მიულოცეს ასევე: რუსეთის კულტურის მინისტრმა ვლადიმერ მედინსკიმ, რუსეთის ფედერაციის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ ალ. კალიაგინმა, „იტარ ტასმა“ (ს. მიხაილოვი, მ. გუსმანი), „ვითიბი“ ბანკის პრეზიდენტმა ა. კოსტინმა, რუსთაველის თეატრმა (რობერტ სტურუა) — თეატრს იუბილე მიულოცა ცნობილმა ქართველმა მსახიობმა კახი კავსაძემ, მუსიკალური კომედიის (დ. დოიაშვილი), მოზარდ მაყურებელთა (დ. ხვთისიაშვილი), ბათუმის (ა. ენუქიძე), ოზურგეთის (ვ. ჩიგოვიძე), მოძრაობის (კ. ბაკურაძე) თეატრებმა. გორგის სახელობის მოსკოვის სამხატვრო თეატრმა (ტ. დორონინა), ა. ჩეხოვის სახელობის სამხატვრო თეატრმა (ო. ტაბაკოვი), სანკტ-პეტერბურგის თეატრი-ფესტივალის, „ბალტის სახლის“ გენერალურმა დირექტორმა სერგეი შუბიმ, თეატრმა „სოვერემბენიკმა“ (გალინა ვოლჩეკი), ე. ვახტანგოვის თეატრმა (რიმას ტუმინასი, კირილ კროკი), ბათუმინის სახელობის სახელმწიფო ეროვნულმა თეატრალურმა მუზეუმმა (დ. როდიონოვი), მცირე თეატრმა (იური სოლომინი), აზერბაიჯანის კულტურის მინისტრმა აბულ-ფაზ ქარაევმა, აზერბაიჯანის სამედ ვურლუნის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა რუსულმა თეატრმა (ალ. შაროვსკი), ასტანას მ. გორგის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა რუსულმა თეატრმა (ერკინ კასენოვი), ლესია უკრაინას ეროვნულმა აკადემიურმა რუსულმა თეატრმა (მ. რეზნიკოვიჩი), ლიტვის რუსულმა დრამატულმა თეატრმა (იონას ვოიტკუსი), ხერსონის მ. კულიშის სახელობის მუსიკალურ-დრამატულმა

თეატრმა (ალ. კნიგა), ივან ფრანკოს სახელობის თეატრმა (სტ. მოისეევი), ბრესტის აკადემიური დრამის თეატრმა (ალ. კოზაკი), ბელორუსის მ. გორკის სახელობის ეროვნულმა აკადემიურმა დრამატულმა თეატრმა (ს. კოვალჩიკი), ტაჯიკეთის თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ სუხბრობ მირზოევმა, რუსეთის ფედერაციის ურნალმა „თეატრალმა“ (ვ. იაკოვი).

თეატრს იუბილე მიულოცეს ასევე საზოგარეთ მოღვაწე რუსულმა თეატრებმა: „Russian space theatre“ (დ. ტურჩანინოვი), „Art Master“ (ფინეთი. კ. მირუდენევი), „რუსული სცენა“ (ბერლინი, ი. სოკოლოვა), დანიურ-რუსული თეატრი „დიალოგი“ (ტ. დერბენივა-იაკობსონი), რუსული თეატრი (ვენა. ო. ბორისოვა), „გეშერი“ (ისრაელი. ე. არიე), რუსული თეატრი, თეატრი-სტუდია „8+“ (ვენა. ო. ბორისოვა), ვენის მოზარდ მაყურებელთა თეატრი (რ. პარონიანი) და სხვ.

ცნობილმა რუსმა მსახიობმა ოლეგ ბასილაშვილმა პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის სახელით მიულოცა თეატრს იუბილე. ის დიდ დრამატულ თეატრში მოღვაწეობს 1959 წლის 12 ივლისიდან და ბევრი აქვს გასახსენებელი, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ერთ მოვლენაზე გაამახვილა ყურადღება. მან აღნიშნა, რომ დიდი თეატრის გამოჩენილი კორიფეს, გიორგი ტოვესტონოვის მოღვაწეობა გრიბოედოვის თეატრთან იყო დაკავშირებული და მომავალ წელს დიდი რეჟისორის 100 წლისთავი სრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით თეატრის წინ სკვერს



მიენიჭება ტოვსტონოვის სახელი და იქ დაიდგმება მისი ძეგლი. წელს უკვე აღადგინეს მისი კაბინეტი, სადაც არა მხოლოდ მისი საყვარელი სპექტაკლების ესკიზები და მაკეტები, მისი სიგარეტი „მალბოროს“, საყვარელი ჭიქის და წამლის, კლოფელინის დადებაც არ დავიწყებიათ. ო. ბასილაშვილმა მოუთხრო მაყურებელს, რომ თეატრი ხშირად აწყობს ექსკურსიებს და ახალგაზრდა მსახიობებს აცნობს დიდი კორიფეუს შემოქმედებას. წელს დიდმა დრამატულმა თეატრმა გამოსცა ირინა შიმბარევიჩისა და ელენე გორფუნკელის ორტომეული. პირველი ტომში — „Георгий Товстоногов - собирательный портрет“ — თავმოყრილია მასალა ცველა ხელოვანზე, ვინც მუშაობდა გიორგი ტოვსტონოვთან. მეორე ტომში — „Товстоногов репетирует и учит“ განიხილავს მის მუშაობას სპექტაკლებზე, მის რეჟისორულ მეთოდს, გ. ტოვსტონოვის ოსტატობის თავისებურებებს. გამოვიდა თეატრმატოდნე ელენე გორფუნკელის წიგნი „Режиссура Георгия Товстоногова“ ოლეგ ბასილაშვილმა ეს წიგნები აჩვენა თეატრს. „თეატრში მრავალი ადამიანი მუშაობს და მე მათი სიხარული, შიში, ცრემლი, მძიმე შრომა და თეატრისადმი დიდი სიყვარული მინდა აღვნიშნო. დიდება არა მხლოდ დიდი შემოქმედებს, არამედ ცველას, ვინც თეატრს ემსახურება. „Живите в доме и не рухнет дом. Слава актеру“ — ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა სახელმისამა მსახიობმა.

მცირე თეატრის სახელით თეატრს იუბილე მიულოცა, მედალი, მცირე თეატრის სპექტაკლების კასეტები და წიგნი „XX საუკუნის ძცირე თეატრის მხატვრები“ გადასცა ცნობილმა მსახიობმა ირინა მურავიოვამ. შემდეგ ვახტანგოვის თეატრის სახელით სცენაზე ვასილი ლანავოი ავიდა: „ძვირფასო მეგობრებო! მოხარული ვარ, ბედნიერი ვარ, რომ ჩამოვფრინდი თბილისში. რამდენი საღამო გამიტარებია აქ, რამდენი გვის-

ვამს, რამდენი გვიმხიარულია, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ. კოსტია პიპინაშვილი იღებდა ქართულ კინოსტუდიაში ფილმს „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“. მე მაშინ III კურსის სტუდენტი ვიყავი. ხანდახან კვირაობით ვერ გამოვდიოდით სტუდიიდან და ასეთ მუშაობას ეჩვევი კიდეც. მე დღეს ვსუნთქავ იმ ჰაერს. რა ბედნიერები ხართ, რომ არ გაქვთ მრავალსართულიანი სახლები.

მსახიობმა თავისი წიგნი წარწერით „გრიბოედოველებს“ გადასცა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ავთანდილ ვარსიმაშვილს. ვასილი ლანავოიმ წაიკითხა წაწყვეტი და პუშკინის თხზულების მეშვეობით ახსენა გრიბოედოვი, რომლის დაკარგვა ასე განიცადა მთელმა საქართველომ. დასასრულს მან წაიღილინა რევაზ ლალიძის „თბილისო“, რომელიც იმდროინდელ თბილისში დაინერა და ეს მელოდია ამ დიდებულ მსახიობს დღემდე გამოყვა.

გრიბოედოვის თეატრის საიუბილეოდ საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა „Русский Клуб“ თეატრის დირექტორის, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მოღვაწის, ნიკოლოზ სვენტიცკის პროექტით გამოსცა ინა ბეზირგანვას წიგნი „Партитура судьбы“, რომელიც რეჟისორ ლეონიდ ვარპახოვსკის მიეღდვნა.

საიუბილეო სადამო მიყავდათ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ავთანდილ ვარსიმაშვილს და დირექტორს ნიკოლოზ სვენტიცკის. ზემომის დასასრულს ა. ვარსიმაშვილმა მაღლობა გადაუხადა თეატრის ერთგულ მაყურებელს და სტუძრებს მობრძანებისათვის.

\* \* \*

საიუბილეო დღეს თეატრის ფოიეში გაიხსნა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის და გამოჩენილი რუსი რეჟისორის ლეონიდ ვარპახოვსკის მემორიალური დაფები.

## „დურუჯის“ მისია

ლაშა პაპაშვილის მიერ დაარსებულ თეატრალურ პრემია „დურუჯის“ უკვე თავისი რეალური შედეგი მოაქვს — ქართული თეატრის მოღვაწეებისათვის გაჩნდა კიდევ ერთი ორიენტირი, რომლის მიღწევა შემოქმედებითი წარმატების დასტური გახლავთ. ეს კი განაპირობებს ამ პრემიის აუტორიტეტის ზრდას.

ეს დადასტურდა 24 ოქტომბერს „ივენთ ჰოლში“ გამართულ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე. საკონკურსოდ კი წარმოდგენილი გახლდათ 38 თეატრის სპექტაკლი. ამ დღეს — 24 ოქტომბერს, უიურის წევრებისათვის (თეატრმცოდნები მაკა ვასაძე, მაია გოშაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ნიკა წულუკიძე, დრამატურგი გურამ ბათაშვილი) გასრულდა ხუთთვიანი მარათონი. ამ ხნის განმვალობაში უიურის წევრებმა ნახეს საკონკურსოდ წარმოდგენილი ყველა სპექტაკლი, მოიარეს საქართველოს ამერ-იმერის თეატრები. ეს იყო ხანგრძლივი, მომქანცველი პროცესი, თუმც აღსავსე შემოქმედებითი მიგნებების, ამა თუ იმ სპექტაკლში ახალ პერსონალიათა აღმოჩენის, ზოგჯერ არცთუ იშვიათად კი იმედგაცრუების პერიოდი.

გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე დიდადალმა ხალხმა მოიყარა თავი — არა მხოლოდ საკონკურსო სპექტაკლების თეატრების რეფულისორებმა. მსახიობებმა, ქართული თეატრის მოყვარულმა ბიზნესმენებმაც, საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა. საღამო ერთობ ცოცხლად მიჰყავდა თეატრმცოდნესა და ტელენამყვანს ნიკა წულუკიძეს. პირველი სიტყვა წარმოსთვეა დრამატურგმა, „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორმა გურამ ბათიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა საქართველოში მეცენატობის ტრადიციის აღორძინების თაობაზე, „დურუჯის“ დაარსების თაოსანთა კეთილისმყოფელ გავლენაზე ქართული თეატრის შემოქმედებით პროცესებზე, უიურის მუშაობაზე და ისიც აღნიშნა, რომ შესაძლოა, უიურის ბევრი არ დაეთანხმოს (იქნებ, უიურის ესა თუ ის წევრიც კი), მაგრამ მისი გადაწყვეტილება განსაჯონ მაშინ, როცა თავად იქნებას უიურის წევრები და დაინახავენ, რომ ერთობ რთულია გადაწყვეტილების მიღება მაშინ, როცა მოკლე ნუსხაში წარმოდგენილი ხუთი სპექტაკლიდან უმტესნი დიდი შემოქმედებითი ღირსებებითაა აღქვეყნდილი.

საღამოზე საინტერესო შემოქმედებითი მუშაობისათვის დიპლომები გადაეცათ ზუგდიდისა და ხულოს პროფესიულ დრამატულ თეატრებს.

პრემიები კი ასე განაწილდა:

წლის საუკეთესო რეჟისორულ ნამუშევრად აღიარებული იქნა და მთავარი პრემია (14 000 ლარი) მიენიჭა რეჟისორ ლევან წულაძეს. გოგოლის „შეშლილის წერილების“ დადგმისათვის (კ. მარჯანიშვილისა და თეატრ „ემილა რომანას“ (იტალია) ერთობლივი სპექტაკლი);

წლის ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად აღიარებული იქნა მარინა კახიანი — რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „ასულნი“ შესრულებული როლისათვის;

წლის მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად აღიარებული იქნა ვანო იანტბელიძე თელავის თეატრის სპექტაკლში „ვინ გატეხა ქოთანი?“ შესრულებული როლისათვის;

წლის საუკეთესო პიესის ავტორებად გამოცხადდნენ პაატა ციკოლია და ოთარ ქათამაძე (პიესა „კალიგულა“ განხორციელდა ფოთის ვ. გუნიას სას თეატრში).

წლის საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორად გამოცხადდა ნიკა საბაშვილი, თბილისის ნ. დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის „1945“. ეს პრიზი დაწესებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ და რეჟისორს თავად მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა გადასცა.

„დურუჯის“ უმთავრესი მისია კი ქართულ თეატრებში შემოქმედებითი პროცესების წახალისება გახლავთ და როგორც ამ საღამომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, ეს მისია სრულდება.



სცენა სპექტაკლიდან  
„შეშლილის წერილები“

# ეროვნული დრამატურგის ფესტივალი



ახალციხის თეატრი რომ ეროვნული დრამატურგის ქომაგად და პოპულარიზაციორად იქცა, ამას არა მხოლოდ მისი რეპერტუარი ადასტურებს, არამედ ისიც, რომ ამ ქალაქში დამკვიდრდა ეროვნული დრამატურგის ფესტივალის ტრადიცია. წელს ფესტივალი მესამედ ჩატარდა — იგი გაიხსნა 7 სექტემბერს და ახალციხელებს ორი კვირის განმავლობაში სამუალება ჰქონდათ თავიანთ ქალაქში ეხილათ საქართველოს თითქმის ყველა პროფესიული თეატრის სპექტაკლები. ფესტივალის გახსნის დღეს აქ ჩამოვიდნენ ქართული კულტურის მოღვაწენი. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ახალციხის თეატრის სამხატვარის ხელმძღვანელმა, ჩინებულმა ქართველმა მსახიობმა ქალმა ლია სულუაშვილმა და ფესტივალი გახსნილად გამოაცხადა. სეფე სიტყვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ წარმოსთქვა — მან ისაუბრა სამინისტროს ძალისხმევაზე მოსახლეობის კულტურის სიყვარულით, მისადმი პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდის, მომსახურების თაობაზე, იმისათვის რომ ეს მიზანი მიღწეული იქნას, თეატრალური ხელოვნებას დიდი როლი ენიჭება. ამიტომ სამინისტრო არა მხოლოდ ამ ფესტივალს, სხვა ეროვნული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტებსაც აფინანსებს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი გოგი ქავთარაძე გულთბილად მიესალმა ახალციხის მოსახლეობას და ხაზი გაუსვა ეროვნული დრამატურგის მნიშვნელობას ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

მაყურებელს ფესტივალის გახსნა მიუღლოცეს და მის კეთილისმყოფელ გავლენაზე ისაუბრეს მ. თუმანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ, ამავე თეატრის ჩინებულმა მსახიობმა ქალმა, ფოთის რეგიონული თეატრალური ფესტივალის დამარსებელმა ნინელი ჭანკვეტაძემ, თეატრმცოდნებმ, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის თავმჯდომარემ ნიკა წულუკიძემ, ურნალ „თეატრი და ცხოვრების “რედაქტორმა, დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა.

პირველ სალამოს წარმოდგენილი იქნა თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“

ფესტივალის დღეებში ახალციხელმა მაყურებელმა ნახა გორის („სამეფოო ძველთაძეველი“), რუსთავის („მერე რაა, რომ სველია სველი იასამანი“), ჭიათურის („მუსუსი“), თბილისის კ. მარჯანიშვილის (ART - ხელოვნება“), პ. ადამიანის სახ. სომხური („დარისაპანის გასაჭირი“), ნ. დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა („ამიკო“), ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. („კუკარაჩა“), მესხეთის („სანამ დაგვიძახებენ“, თბილისის შ. რუსთაველის სახ. („სტუმარ-მასპინძელი“), ცხინვალის ივ. მაჩაბლის („ჯაყო“, ფოთის ვ. გურიას სახ. („Holand, Holland“), თბილისის ვ. აბაშიძის სახ. მუსიკისა და დრამის („გაყრა“) და თავისუფალი („ხომ ხოცავენ ქანცგანყვეტილ ცხენებს?!“) თეატრების სპექტაკლები.

## დიალოგი

# „თუ გსურს მისვლე, რა სწრაფად გადის დრო, მოღი თაატრიში“

მაკა ვასაძე



**მ. ვ.** უკვე დიდი დრო გავიდა ჩვენი ბოლო საუბრიდან. მგონი, ორი თუ სამი წლის წინ ვისაუბრეთ, არადა, თითქოს გუშინ იყო. კარგად მახსოვს ადგილიც (რუსთაველის თეატრის ადმინისტრაციისთვის განკუთხვილი ერთ-ერთი პატარა კაბინეტი) და საუბრის თემაც. მაშინ ჯერ კიდევ სადლეჭტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი - „რობერტ სტურუას სათეატრო ენის ფორმირებისათვის“ (რობერტ სტურუას ქართული შექსპირიანა). შარმან, 2014 წ. 24 ივნისს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გავხდი, უმაღლესი შეფასება მივიღე, არ დაგიმაღლავთ და მეამაყება კიდეც. თქვენს შემოქმედებას სტუდენტობიდან ვიკვლევ. სადიპლომო ნამუშევრის სათაური გახლდათ: „კლასიკა რობერტ სტურუას შემოქმედებაში“. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ დრო ძალიან სწრაფად გარბის... ქალბატონ დალი მუმღლაძის და თქვენი საუბრების შედეგად შექმნილი წიგნის - „ნადირობა გოდოზე“ - ყდის უკანა მხარეს თქვენი გამონათქვამია გამოტანილი, სადაც ასეთი ფრაზაცაა: „თუ გსურს მიხვდე, რა სწრაფად გადის დრო, მოდი თეატრში“. ჩემი პირველი შეეკითხვა, სწორედ დროის მდინარებას ეხება. მე-20 საუკუნის დასაწყისში მეორეპოლი წერდა: „სათეატრო დრო შეიცვალა“... ახლა, 21-ე საუკუნის ჯერ კიდევ დასაწყისია. დღეს, პოსტ პოლიტიკურ ეპოქაში, ათასგვარი სათეატრო მიმდინარეობა, ფორმა და სტრუქტურაა:

გაზეთ „კულტურაში“ და ჟურნალ-ში „სახელმოწებო მეცნიერებათა ძიებანი“ წლების განმავლობაში ვაქვეყნებდი ციკლს „საუბრები რობერტ სტურუას სათეატრო ენაზე“. გთავაზობთ ჩემს ბოლო საუბროს მაესტროსთან, რომელიც 2015 წ. ივლასში ჩავიწერე, მის მიერ რუსთაველის თეატრში უილიამ შექსპირის „იულიუს კეისრის“ დადგმის შემდეგ.

რობერტ სტურუა



ვერბალური, არავერბალური, მოძრაობის, ცეკვის, პანტომიმის, რიტუალური, მარიონეტების, თოჯინების, ვერბალტიმი, სოციალური, პლაკატური, საოპერო, შერეული, პერფორმანსული, თანამედროვე მულტიმედიური, დრამატული, სინთეზური და ა. შ. თქვენ რას ფიქრობთ „სათეატრო დროსა“ და ფორმებზე?

**რ. ს.** მეოცე საუკუნის მიწურულს გაჩნდა ილუზია, რომ ადამიანები (ჩვენ) შევდივართ რაღაც არაჩვეულებრივ ხანაში: იქნება მშვიდობა, ხელოვნების განვითარების პერიოდი. უცბად აღმოჩნდა, რომ უფრო საშინელ საუკუნეში შევძვრით, იმიტომ კი არა, რომ 11 სექტემბრიდან დაიწყო ეს ყველაფერი... აი, ახლა, დრო როგორ მიდის, აზრზე არა ვარ. ვფიქრობ, 20-იან წლებს რომ მივუახლოვდებით, მივხვდებით, რა არის 21-ე საუკუნე. როგორც შენ ჩამოთვალე სხვადასხვა თეატრალური ფორმა, ასევე არსებობს დროის სხვადასხვაგვარი შეგრძნება. უფრო მეტიც, ახლა მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დრო არ არსებობს. კარგად ვერ გავიგე, ინტერნეტში წავიკითხე ინფორმაცია - მეცნიერებმა კვლევებზე დამყარებული აზრი გამოთქვეს - დრო არ ყოფილა. იმდენი სხვადასხვანაირი დრო არის, რომ ნამდვილად არ ვიცი რა გიპასუხო ამ საკითხზე. რომელი გაიმარჯვებს? ახლა, იმის საშიშროება ძალიან სერიოზულია: რუ-

სეთის აგრესია ყირიმში, უკრაინაში. ვერ გაიგებ, რა ხდება. საერთოდ სამყარო, მე მონი, გაჩერებული პრობლემის წინაშე, რომ რაღაც ახალი ქრისტიანული შეიქმნას პოლიტიკაში. ის გამოცდილება, რაც ჰქონია კაცობრიობას: დემოკრატია იქნება, ტოტალიტარიზმი თუ სხვა, ეს ყველაფერი არ გამოდება. და, ამიტომ, რაღაც ახალი უნდა მოიძებოს. ხალხის გარკვეულ ჯგუფს, რომელიც არაფრით გამოიჩინება, მიჰყავს კაცობრიობა სადღაც და არავინ იცის, საითქენ. რა დამსახურება აქვთ მათ? მე-20 საუკუნეში კიდევ იყვნენ პერსონები: ბოროტი იყო, მოგწონდა თუ არ მოგწონდა, იცოდი, რომ ის არის პერსონა - სტალინი, ჰიტლერი, ჩერჩილი...

**მ. 3. რეიგანი, თუნდაც შევარდნაძე...**

**რ. ს. დიახ, პერსონები იყვნენ. აი, ახლა, ვინ არის საფრანგეთის პრეზიდენტი?**

**მ. 3. არ ვიცა? სახელი და გვარიც კი არ ვიცი...**

**რ. ს. ვინარის, ვინ... რატომ უნდა ხელმძღვანელობდეს ასეთ ერს, გარდა იმისა, რომ ექვსი წლის განმავლობაში თავის სურვილებს აისრულებს. ანდა, ობამა, ან გენდერის პიონერი ქალი - მერკელი, ან - ჟაფრინ. რა დამსახურებით დაუდგონ ერს საიდეაში? ხალხიც, რაღაც ნაირად გაურკვეველ, ხელჩაქნეულ მდგომარეობაშია. მე რომ მეოთხო, დრო არ არის, გაჩერებულია დრო, ბევრია და ამავე დროს დგას. თეატრშიც რაღაც მსგავსი სიტუაცია. შენ კარგად ჩამოიგალუ, ამ პისტოლს ტემორინა იმდენირაღაც მოიტანა ერთდროულად, რომ დაბნეული ხარ ამ ტყეში, ჯუნგლში და არ იცი, საით წახვიდე. და, ახალი დრამატურგიაც არ არის შექმნილი, რომელიც... პრინცეპი ჯერ სტუცა უნდა იყოს, ხო?**

**მ. 3. დიახ, მართალი ბრძანდებით. ახლა, შემდეგი შეკითხვა. თემურ ჩეიძე და თქვენ ერთ-დროულად მოხვედით ქართულ სათეატრო სამყაროში. თქვენ ერთი და იგივე პედაგოგები გყავდათ, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებულ სათეატრო სტილისტიკაში მუშაობთ. მაგალითად, თვალწინ მიდგას თემურ ჩეიძის არაჩეულებრივი „გუშინდელი“ რუსთაველის თეატრის სცენაზე. რას ფიქრობთ ამის შესახებ? რატომ მოხდა ასე? თქვენ მე მეიერპოლდს გადარებთ. თეატრში კინომონტაჟის ხერხი სწორედ მან შემოიტანა პირველმა მსოფლიო სათეატრო სივრცეში. მას მონტაჟი მუსიკალურ რიგზე ჰქონდა აგებული. უფრო მეტიც, ეზიზენტეინი, რომელიც კინომონტაჟის ე. ნ. „მამად“ ითვლება, სწორედ მისი მონაფე გახლდათ. რუსთავის რეალუციისადმი მიძღვნილი ცნობილი ფილმიც „ზამთრის სასახლის აღება“ მეიერპოლდის მიერ დადგმული ქუჩის სანახაობა იყო, რომელიც მერე მისმა მონაფემ ფილმად გააკეთა. „ავრორას“ გასროლა და ა. შ., ეს ყველაფერი სინამდვილეში „ბლეფია“. გენეტიკურად კი, ვფიქრობ, კოტე მარჯვანიშვილის შთამომავალი ხართ. იგი აზროვნებით კოსმოპოლიტი იყო. დღეს, მართალია, ზოგ-ზოგიერთს ამ სიტყვის, ცნების მნიშვნელობა არ ესმის და ცუდი, ბოროტი ჰგონია...**

მაგრამ კოსმოპოლიტი ვერ გახდები, თუ შენი საკუთარი არ გიყვარს (სამშობლო, ქვეყანა, ოჯახი, ადამიანი ზოგადად)... ვერ გახდები, თუ სიყვარულის განცდა არ გაგაჩნია... თქვენ სინთეზურის თეატრის საუკეთესო ფორმა შექმნით.

**რ. ს. იცი რა, ეს მოხდა აბსოლუტურად უნებლივედ, ჩემდა უნებურად, ჩემდა მოულოდნელად. ინსტიტუტის პერიოდში დავდგი ორი პიესა: ერთი რუმინელი დრამატურგის - კარაჯალეს „ბატონი ლეონიდე რეაქციის პირისპირ“. ეს იყო პოლიტიკური ფარსი, სატირა, მხოლოდ არა ბოლიტიკოსებზე, არამედ უბრალო „ობივატელზე“. ფაბულა ამ პიესის ასეთია: ცოლექმარი ინვენტ ლოგინში და ერვენებოდათ, რომ ქუჩაში ხდება რევოლუცია. ქმარი (ოთარ ზაუტაშვილი თამაშობდა) მემარცხენე ტიპი იყო და ძილის წინ, როდესაც დაწვებოდნენ, სულ რაღაც მონინავე ლოზუნგებს ამბობდა და თავის მეუღლეს როგორც აუდიტორიას, ისე მოუნოდებდა, თითქმის რევოლუციისკენ. ლოგინში როცა დაწვებოდნენ, ქუჩაში რაღაც სროლები, აურზაური ატყედებოდა. ესენი შეშინდებოდნენ, ეგონათ, დაინყო რევოლუცია, მთელი ლამე არ ეძინათ, ნივთებს ალაგებდნენ ჩემოდნებში. მერე, დილით, შემოვიდოდა მოსამსახურე და ეტყოდა, რომ მთვრალებმა წაიჩხუდეს ქუჩაში და არავთარი რევოლუცია არ არის... მეორე, ტურგენევის - „ძაფი იქ წყდება, სადაც ვიწროა“. ორივე ძალიან კარგი სპექტაკლი იყო, განსაკუთრებით ტურგენევი. აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტშივე ორი ძირითადი მიმართულებით მქონდა უკვე ნამუშევარი.**

მერე დავდგი აქ, რუსთაველში... ჩენი ამოცანა იყო - დამედგა რეალისტური სპექტაკლი. ავიღეთ როზოვის პიესა „ვახშმობის წინ“. ჯანსულ ჩარკვიანთან ერთად გადავამუშავეთ, ქართულ რეალობაში გადმოვიტანეთ და დავდგი, ასე ვთქვათ, ყველაზე ნატურალისტურს ვერ ვიტყვი, მაგრამ ყველაზე რეალისტური სპექტაკლი. მე ასეთი რეალისტური სპექტაკლი არსად მინახავს. თამაშობდნენ: გოგი ქავთარაძე, ბელა მირიანაშვილი, ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი, სალომე ყანჩელი, ზინა კვერენჩხილაძე - შემადგენლობა იყო ბრნყინვალე. მაყურებელსაც მოსხონდა სპექტაკლი, მაგრამ მივხვდი, რომ მე ეს არ მინდა. შემიძლია, მაგრამ არ მინდა და აღარასოდეს დავუბრუნდები ამას-მეთქი. ფიცი კი არ დავდე, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ძალიან რთულად გადავწვევით, რომ ეს ჩემი თეატრი არ არის. მე არ მიყვარს მოსანყენი თეატრი და ცრუინტელეტუალური თეატრი. და, აქედან უკვე დაიწყო ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა.

თემურმა... რეჟისორიც ინდივიდუალური ადამიანია და მას თავისი ბიოგრაფია აქვს. რეჟისორი ცდილობს, თავისი ცხოვრება ასახოს სპექტაკლებში, შემოქმედებაში... მთელი ის-

ტორიები: დედა, მამა, კოტე... ამან მაინც რალაცნაირად იმქმედა თემურზე და მან მიშასგან აიღო ის, რაც მიშასაც ჰქონდა თავისი სპექტაკლებში, მაგრამ მიშა უფრო ჩემკენ მეჩვენებოდა, ვიდრე იქით.

რაც შეეხება დოდო ალექსიძეს, მან შემაყვარა თეატრი, როგორც დღესასწაული. მარჯანიშვილის გავლენაც იქიდან მივიღე, თუ მაქეს. დანარჩენისგან მივიღე უფრო ახმეტელისეული. მამაჩემი და სანდროს შვილი კლასელები იყვნენ. იგი გვიყვებოდა ახმეტელზე მაშინ, როცა აკრძალული იყო მასზე საუბარიც კი.

დოდომ შემასწავლა სიხალისე, ეს თამაშის ეს-თეტიკა, ის იყო უფრო ლალი. მისი რეპეტიციები იყო უბრნყინვალესი, მაგრამ სპექტაკლები ბევრად ჩამოუვარდებოდა იმ ბედნიერებას, რომელსაც ჩვენ ვგრძნობდით რეპეტიციებზე. მერე დოდოს მიანერეს ეროვნული პოზიციები, რომელიც არ იყო მისი. ეს იყო „ბახტროინი“, „ამირანი“... ის ნიჭიერი ადამიანი იყო, და იქ იყო რაღაც ნიჭიერი ელემენტები. მერე მე და დოდო ძალიან დავმეგობრდით, გია ყანჩელიც დამეგობრდა მასთან, ძალიან მიყვარდა ეს კაცი. მიშა თუმანიშვილმა გვასწავლა ხელობა - როგორ უნდა დადგა სპექტაკლი. ჩვენმა კურსმა გამოვაცხადეთ ე. ნ. გაფიცვა, პროტესტი, მოთხოვნით, რომ ბატონი მიშა ყოფილიყო ჩვენი ბედაგოგი. ეს დალი მუმლაძის წიგნშიც არის, და, ადრე შენთანაც ვისაუბრე ამის შესახებ. ძალიან კარგად მასხოვს ჩვენი პირველი შეხვედრა, ფიზულტურის დარბაზში ჩაგვიტარდა პირველი ლექცია. ჩემთვის გახდა გასაგები, რა არის ხელობა, ბოლომდე არა, მაგრამ გაგვაგებინა, რა არის ჩვენი პროფესია. ბატონმა მიშამ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენს შემოქმედებით ჩამოყალიბებაში. მაინც მგონია, რომ განსხვავება ჩემსა და თემურს შორის არის ინდივიდუალების, პირვენებების განსხვავება.

**მ. ვ. გასაგებია, მსოფლმხედველობის...**

**რ. ს. ხო, ხო...** ის შედევრი მე არასდროს დამავიწყდება - „გუშინდელნი“. ჩემ დროს რუსთაველის თეატრში ორი შედევრი დაიდგა: ნანა ხატისკაცის და ედიშერ მაღალაშვილის „სიბრძნე-სიცრუისა“ და „გუშინდელნი“. სხვათა შორის, მაშინ ვიგრძენი პირველად შერი და მივხვდი, რომ შურს თუ არ შევებრძოლე, ვიღუპები... ერთხელ, მოსკოვში, რაღაც გადაცემაში მიმინვევის, მაშინ კალიაგინთან სპექტაკლები ჯერ არ მქონდა დადგმული. 90-იანი წლებში დასაწყისი იყო და კალიაგინი მეკითხება - თქვენ გშურთო? მაგალითად, პიტერ ბრუკის და ა. შ., ჩამოთვალა ცნობილი რეჟისორები. ვუპასუხე - არა, არ მშურს. მე მშურს, თუ ჩემი თაობის რეჟისორები ჩემზე უფრო კარგ სპექტაკლს დადგამენ-მეთქი. და, როგორ ებრძვი შურსო? - მკითხა. მე ვუთხარი, ახლა წარმოიდგინეთ, რომ ტანში მაქვს რამდენიმე ონკანი და ერთ-

ერთი შურის ონკანია - გავხსნი და შური იქიდან გაედინება-მეთქი. მე მივაგენი შურთან ბრძოლის ხერხს, წამალს - უსათუოდ უნდა აღიარო საჯაროდ, რომ ეს არის შედევრი. ამის შემდეგ შური თავისთავად ქრება, როგორც კი იწყება რაღაცის ბოდიალს, რაღაცის ძებნას შესანიშნავ სპექტაკლში, მორჩა, იქ უკვე მთავრდება ყველაფერი.

**მ. ვ. მახსოვს, ეს სტილისტიკა, რომელიც შემდეგ თქვენ განავითარეთ, ბატონ მიშა თუმანიშვილს ჰქონდა თავისი სპექტაკლებში, მაგრამ კინალამ ჩაქოლეს ამის გამო...**

**რ. ს. ბატონ მიშას ეს ჰქონდა, მაგრამ კრიტიკას ძალიან აქცევდა ყურადღებას, კრიტიკა თრგუნავდა, უშლიდა, რაც მე არა მასასიათებს, უბრალოდ ოჯახის გამო, ასე გამზარდეს. ის საშინლად განიცდიდა, დეპრესიაში ვარდებოდა, როცა გააკრიტიკებდნენ. მართალია, ზოგჯერ ძალიან უხეშად აკრიტიკებდნენ და დიდი ბრძოლებიც გადავიტანეთ მასთან ერთად. მაშინ სტუდენტები ვიყავით და ჩვენ ვიცავდით. მახსოვს, თეატრალურ საზოგადოებაში იმართებოდა პლენუმები, ეს იყო ხელჩართული ომები, ბრძოლები.**

შემდეგი კითხვა?

**მ. ვ. ახლა მსახიობებზე გადავიდეთ. საბედნიეროდ, იმ თაობას ვეკუთვნი, რომელიც - დიდი ქართველი მსახიობების და რეჟისორების ნამუშევრებზე აღიზარდა. სცენაზე მყავს ნანა ახო და მათი შექმნილი სახეები კარგად მასხოვს: აკაე ვასაქე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი, მარინე თბილელი, ლენა ყიფშიძე, რამაზ ჩინკვაძე, გოგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, ოთარ მელვინეთუხუცესი, კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, ბელა მირიანაშვილი და სხვები... იყო პერიოდი, როდესაც ვფიქრობდი, რომ ქართული თეატრი ნელ-ნელა კვდება, ვინაიდან მსახიობებს, რეჟისორებს ვერ ვხედავდი. დღეს, ჩემი აზრით, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, ძალიან კარგი, ნიჭიერი, ახალგაზრდა თაობა მოვიდა, როგორც სამსახიობო ხელოვნებაში, ასევე რეჟისურაში. თქვენ როგორ გვინათ, მართალი ვარ თუ არა? სხვებისგან განსხვავებით, ვფიქრობ, რომ თქვენ მსახიობის გამოძერვის ოსტატი ხართ. თავად რამაზ ჩინკვაძე ამბობდა, რომ სწორედ თქვენს სპექტაკლებში გახდა ის დიდი მსახიობი... შემდეგ თაობებში - იზა გიგოშვილი, შემდეგ ნინო კასრაძე, ზაზა პაპუაშვილი... დღეს ბესო ზანგურთან მუშაობთ. ახალკურსდამთავრებულებიც მიიღეთ თეატრში - ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი; ლაშა ჯუხარაშვილი და გეგა ჩხაიძე კი „იულიუს კეისარში“ უკვე ათამაშეთ - პერსონაჟები და ტიპაჟებიც შეაქმნევინეთ. ამის შესახებ ვისაუბროთ...**

**რ. ს. ისეთი მკაცრი და სასტიკი დრო დადგა,**

ვფიქრობ, მსახიობები ბუნებრივად უფრო ვაჟეკა- ური ტიპები არიან. ადრე, ჩვენ „ზოოპარკში“ ვცხოვრობდით, სადაც გვაჭმევდნენ, გვასმევდნენ (ახლა ჩემს თაობაზე ვლაპარაკობ) და მერე ჯუნგლში გაგვიშვეს. ჩვენ კარგად არ ვიცოდით, როგორ უნდა გვეშოვა „საკვები“ (სულიერ საკვებს ვგულისხმობ), ნადირობა არ ვიცოდით. ახლა, ამ თაობას ვატყობ, რომ უფრო კაცური ტიპები არიან (რასაკვირველია, მეორე მხარეც არის). ამ პროფესიას სჭირდება ფანატიური ვაჟურაცობა და ამავე დროს ის ცოდნა, რომელიც ნიჭიერმა მსახიობებმა შეიძლება შეიძინონ, ამ თაობას კი გამოცდილებით აქვს მიღებული. შეიძლება 90-იანი წლების მერე ან იმ პერიოდში არიან დაბადებულები, და ამიტომ მგონია, რომ უფრო მეტს ხედავენ. კარგ ფილმებს რომ უყურებ, რაღაცას აიღებ იქიდან, თუ არ აიღებ, მიხვდები, რომ შეცვლილია დრო და უკვე ისე თამაში, როგორც თამაშობდნენ, არ გამოდის. რაღაცის ძებნა არის საჭირო. ჩემი მაგისტრანტები აკავებდნენ ახალგაზრდა მსახიობებს და რომ ვუყურებდი, მიკვირდა, რამდენად წინ იყვნენ, ჩემი თაობის ხალხთან შედარებით. მე ასე ვხსნი ამას, შეიძლება ვცდები. საერთოდ, ქართველი კაცი ბუნებით არტისტულია. არტისტიზმი გენეტიკურად დევს ჩვენში, როცა ეს დაკავშირებულია ცხოვრებასთან, ბრძოლასთან... უფრო ვნებიანები არიან, რაღაცის არ რცხვენიათ. მორცხვობა უშლის მსახიობს, აე არ ვგულისხმობ სცენაზე გახდა-ჩაცმას. ბოლოს და ბოლოს, კაცი, მსახიობი გამოდის სცენაზე და თავზე ლაპარაკობს, რაღაცნირად მაინც შიშვლდება. ის თვისებები, რომელთაც ის ავლენს სცენაზე, მასში უნდა არსებოდდეს.

კონკურენციაც უფრო გაზრდილია. შენ თუ უცხად ვერ მოასწარი რამის გაკეთება, მერე დაგვიწყებენ. სულ ვეუბნები მსახიობებს: პატარა როლით დაგინახავს რეჟისორი. მაგალითად, კარლო საკანდელიძე მიხეილ თუმანიშვილის „ესპანელ მღვდელში“ სასამართლოს პრისტავის როლით დავიმახსოვრე - მარტო ერთი რეპლიკა ჰქონდა, ჩუმებდა დარბაზს. მოსამართლის არაობიერტურობის გამო აღელვებული მაყურებელი ხმაურობდა. საკანდელიძე-პრისტავი ამბობდა: ჩუმად, ჩუმად. ეს, 6-ჯერ ნათქვამი - ჩუმად-ჩუმად, კარლო საკანდელიძე პრისტავის ეპიზოდურ როლში, მერჩივნა მთავარი როლების შემსრულებლებს. ახალგაზრდები ცდილობენ. ახლა, ჯუხარას (ლევან ჯუხარშვილი) და ბექასაც ვეჩხუბე „იულიუსზე“ მუშაობის დროს - გეძლევათ საშუალება, რომ რაღაც გააკეთოთ - ტექსტებს როგორ ვერ იმახსოვრებოთ-მეთქი. რა იმხელა ტექსტები აქვთ, რომ ვერ დაიმახსოვრობ, შეეძლოთ უკეთესად გაეკეთებინათ - ნიჭიერი ხალხია.

**მ. ვ.** ახალი სპექტაკლია, სულ 2-3 ჯერ ითა- მაშეს, მერე ჩაჯდება, აღბათ. მე არ მიყვარს

პრემიერაზე სპექტაკლის ნახვა, რა თქმა უნდა, მოვდივარ და ვნახულობ, მაგრამ სპექტაკლი ჩამოყალიბებულ, სრულყოფილ სახეს მაინც 8-10 ჯერ ნათამაშები წარმოდგენის მერე იღებს.

**რ. ს.** თან ძალიან სწრაფად გავაკეთეთ. ბოლო პერიოდის მუშაობა სულ 2 კვირა გაგრძელდა. მანამდე პიესაზე ვმუშაობდით.

**მ. ვ.** „იულიუს კეისარზე“ მოგვიანებით ვი- საუბროთ. ახლა, არგენტინაში დადგმულ იუ- ჯინ ო'ნილის „ელექტრას უზდება ძაძებზე“ მო- მიყვეოთ. ვიცი, რომ ეს დიდი ტრილოგია თქვენ საათსა და 40 წუთში ჩაატიქეთ.

**რ. ს.** მართალი ხარ. იცი რა, ამ პიესის წაკ- ითხვაზე ერთი კვირა დაიხარჯებოდა. ამიტომ, იქ მყავს ერთი ქალბატონი - პატრიცია ზან- გარო, რომელიც ინგლისურის სპეციალისტა, შექსპირის პიესებს თარგმნის. ის მებმარებოდა ხოლმე და ძალან დავმეგობრდით. ახლაც, სან- ამ დავიზუებდით რეპეტიციებს, მოვითხოვე თრი კვირა და ერთად გავაკეთეთ მოკლე ვარიანტი. პრაქტიკულად, ჩვენ არ გამოვტოვეთ არც ერთი სცენა. უბრალოდ, არ ვითამაშეთ ბოლო ნაწილი - ერინიები. მის ნაცვლად პატარა სცენა მოვი- ფიქრე, ტრილოგიის ეს უზარმაზარი 6-აქტიანი მესამე ნაწილი შეცვალა ერთმა გავლამ. თეატ- რი „ET CETERA“ მიწვეული იყო საგასტროლოდ ბუენოს-აირესში, ჩემ მიერ დადგმული „ქარიშ- ლით“, ძალიან დიდი წარმატებით ჩაიარა და სპექტაკლის მერე მეუბნებიან - ქვემოთ ჩამოდ- ით, მსახიობებმა და თეატრალურმა საზოგა- დოებამ რაღაც მოგიძლვნესო. ჩავედი, დამხვდა უზარმაზარი ორი დიდი ბანერი ფოტოკოლა- ჟებით - ჩემი ბიოგრაფიით, ყველგან დადგ- მული სპექტაკლებით. არგენტინის კულტურის მინისტრი, თეატრის ყველა წარმომადგენელი, მსახიობები იყვნენ მოსულები და ძალიან კარ- გი საღამო გამიმართეს უზარმაზარ დარბაზში, მერე ბანერებიც იყო. რუსები გაგიუდნენ, ასეთი პოპულარული რომ ვიყავი იქ, არ ეგონათ.

სხვათა შორის, შეიძლება ჩამოვიდნენ, მოსკ- ოვში აპირებენ ჩამოსვლას საპასუხო ვიზიტით 2016 წლის სექტემბერში. მოლაპარაკება უკვე შედეგა. არგენტინამ ძალიან დიდი ფული დახარ- ჯა ამ გასტროლზე და ახლა საპასუხო გასტრო- ლი უნდა ჩატარდეს. და, მერე, ძალიან უნდათ თბილისში ჩამოსვლა - ერთი ან ორი სპექტაკ- ლით.

როგორი იყო ახლა ეს სპექტაკლი („ელექტრას უხდება ძაძები“)? ყველაზე დრამატულ სცენებზე ხალხი იცინოდა. ტრაგიკული ფარსი - ეს, ჩემი უსაყვარლესი უანრია. არ მოველოდი, ძალიან მაგარი, კარგი დეკორაცია გამიკეთა მხატვარმა - გაბრიელ კაბუტომ. არგენტინელი ახალგაზრდა ბიჭია. ადრეც გვიმუშავია ერ- თად. მან დეკორაცია მინიმალისტური ხერხე- ბით გააკეთა. „სან მარტინის თეატრის“ სცენა,

სადაც დავდგი სპექტაკლი, ჰყავს ბერძნულ ამ-ფიტეატრს. მხატვარმა სკენე გადაჭრა ძალიან ლამაზად. ო'ნილის პიესაში, ტროას ომის ნაცვლად, მოქმედება ამერიკის სამოქალაქო იმის პერიოდის შემდგომ ხდება. სპექტაკლში ძირითადი აქცენტი იყო მსახიობებზე. მინიმალური დეკორაცია, პრაქტიკულად, იქ არაფერს ეხმარებოდა, ის არ ქმნიდა ატმოსფეროს. არავითარი ეფექტები არ გამოიიოდა და არც გამიკეთებია, გარდა ქოროსი, რომელიც კარგად მოვითიქრე, და მსახიობებიც ძალიან კარგად თამაშობდნენ. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეს სპექტაკლი, მიიღო 5 ეროვნული პრემია. მართალია, ნინა სპექტაკლმა - ბრეხტის „არტურ უის კარიერამ“ უფრო მეტი მიიღო. ნუ, მეტი რა უნდა მოგიყვეთ სპექტაკლზე, უანრი ტრაგიფარსია. ალბათ, ჩამოვლენ არგენტინულები და ნახავთ, თუ არ ნახავთ, მერე მოგიყვებით...

**მ. 3.** როდესაც პაატა გულიაშვილმა შემოგთავაზათ, რომ რაღაც პიესა აგერჩიათ და დაგედგათ თელავის თეატრში, კლასტი რატომ აირჩიეთ? მე ჩემი მოსაზრება მაქვს, და ეს ჩემს რეცენზიაში დავწერე კიდეც. მაგრამ, სანამ იდგმებოდა სპექტაკლი, იყო ასეთი საუბარიც - რა დროს კლასტია? მე მელიმებოდა, ვინაიდან, თეატრალურში სწავლის დროს, მყავდა არაჩეულებრივი პედაგოგი, ქალბატონი ელენე თოფურიძე...

**რ. ს.** ვიცი, არაჩეულებრივი ქალბატონი იყო. თქვენ ძალიან კარგი საქმე გააკეთეთ, მისი წიგნები რომ დაბეჭდები.

**მ. 3.** მან წაგვაკითხა - დრამატურგიის არსებობის საწყისებიდან მოყოლებული, თანამედროვე პიესებით დამთავრებული, თითქმის ყველაფერი, ისიც, რაც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი, თავად თარგმნიდა და მოქეონდა. წაგვაკითხა ყველაფერი ის, რასაც ტექსტები ჰქვია, თითქმის ყველაფერი.

დავუბრუნდეთ კლასტის. რატომ აირჩიეთ ეს პიესა დასადგმელად? თქვენ რას მეტყველ?

**რ. ს.** კლასტი გერმანიაში უნდა დამედგა. დიუსელდორფის თეატრის ინტენდანტმა შემომთავაზა, - ვთხოვე, მოეცა რამე კარგი გერმანული პიესა. მან მითხვა, რომ არის ასეთი, რომელსაც გერმანელები იდეალურად მიიჩნევენ, ყველაფერს მოიცავს - სოციალურ, პოლიტიკურ მოვლენებს და აგებულებაც უნიკალურიაო. წამაკითხა, ძალიან ცუდი რუსული თარგმანი იყო და მაინცდამანიც არ მომენონა.

**მ. 3.** გერმანელებს ოქროს ფონდში აქვთ შეტანილი.

**რ. ს.** დიახ. მერე, წავიკითხეთ მე და ნიკუშა შველიძემ, მიგხვდით, რომ რაღაცნაირად მნიშვნელოვანია დღეს ჩვენთვის ეს პიესა და გაულერდება კიდეც. თანაც გაძლევს თავისუფლებას, არ იქნება პირდაპირი და ავირჩიეთ. მართალი გითხვა, ვდელავდი, რომ შეიძლება ვერ

ითამაშონ და არ გამოვიდეს, მაგრამ არაჩეულებრივად გაართვეს თავი მსახიობებმა. მირიანმაც (მეელიძე) ძალიან კარგად მოიფიქრა დეკორაცია.

**მ. 3.** მე აღფრთოვანებული დავრჩი. მსახიობებიც ზუსტად მიხვდნენ თქვენ მიერ მიცემულ ამოცანებს და ასრულებენ კიდეც. სხვათა შორის, კლასტის რაც შეეხება, თომას მანი, რომელიც გიუდებონდა გოეთეზე, თავის წერილებში „საყვედურობს“ მას კიდეც, რომ მან ვერ დაინახა, ვერ დააფასა, ვერ ამოიცნო კლასტში დიდი მწერალი.

**რ. ს.** გერმანიში, ჰამბურგში მისი პიესა-ზღაპრის მიხედვით ვნახე სპექტაკლი - „კეტხენი ჰეილბორნიდან, ანუ ცეცხლით გამოცდა?“ - არაჩეულებრივი დადგმა იყო, რომანტიკული. ამ პიესაში კი რომანტიკულობა ნაკლებად არის.

**მ. 3.** დიახ, ამ პიესაში რომანტიკა საერთოდ არ არის, ეს თქვენ გააკეთეთ არაჩეულებრივად რომანტიკული სცენები.

**რ. ს.** საოცრება ვნახე იქ, გერმანიაში. ხოლო, „პრინცი ჰომბურგი“ ზღაპრული პიესაა.

**მ. 3.** დავუბრუნდეთ შექსპირის, ამ უდიდეს გენიოსს. ვთვლი, რომ დრამატურგიაში არსებული ყველა მიმდინარეობა, მიმართულება, რაც შექსპირის შემდგომ შექმნილა, მის შემოქმედებაში უკვე არსებობდა... ფსიქოლოგიური დრამა, ეგზისტენციალური, აბსურდი, დღეს ასე მოდური სოციალური, დოკუმენტური და ა.შ. მისი ყოველი პიესა შეგიძლია აიღო და ნებისმიერი თეატრალური ფორმით გააკეთო. „იულიუს კეიისარი“ - საქართველოში დადგმული თქვენი მეექვსე შექსპირია: „რიჩარდ მესამე“, „მეფე ლიორი“, „მაკბეტი“, „შობის მეთორმეტე ლამე“, „ჰამლეტი“ და „იულიუს კეიისარი - ფრაგმენტები“. საზღვარგარეთ დადგმული შექსპირებიდან, მე მხოლოდ „ქარიშხალი“ მაქვს ნანახი. თვლა ამერია, 37 პიესიდან უკვე რამდენი დადგით? ბოლო ჩვენი შეხვედრის დროს თქვენ მითხარით, რომ - 17. ორი წლის წინ, თუ არ ვცდები, თქვენ „ET CETERA“-ში დადგით „შეცდომათა კომედია“, სულ ახლახანს კი რუსთაველის თეატრში ფრაგმენტები „იულიუს კეიისრიდან“. ლალატი, არჩევანის გაკეთება... ადამიანი თუ სახელმწიფო - რა არის მთავარი? შექსპიროლოგების აზრით, ეს პიესა შექსპირმა თავისი ცხოვრების უმძიმეს პერიოდში დაწერა, „ჰამლეტის“ შემდეგ. ფასეულობათა გადაფასება ხდებოდა მის ცნობიერებაში...

**რ. ს.** მეც უკვე დავიბენი ამ რიცხვში, მგონი შექსპირის უკვე 21 პიესა დავდგი.

**მ. 3.** ეს ახალი დადგმა სამჯერ ვნახე. პირველი ნახვისთანავე მიგხვდი, რისი თქმა გინდოდათ და დასხაც, ეს 2,5 მოქმედება, რეჟისორის სათქმელის გადმოსაცემად აბსოლუტურად საკმარისი იყო. მაყურებელთა დარბაზში შემოსვლისთანავე, როდესაც ჩამოშვებული

ფარდის ნინ, ავანსცენის შუაგულში ბუშტზე გამოსახული შექსპირის „პორტრეტი“ დავინახე, თავზე გვირგვინით, აქეთ-იქთ დეკორაციის ნაწილები - ჩამონგრეული ლუჟის ნატეხი, კასრი ნარწერით - Roma, და ა.შ. იმწუთშივე მივხვდი, რა სტილისტიკაში იქნებოდა გაკეთებული სპექტაკლი, რომ ეს იქნებოდა ბუფონადა, მე ასე აღვიქვი.

### რ. ს. სწორად აღიქვი.

**მ. ვ.** არაჩვეულებრივი განათება გაქვთ გაკეთებული. „ქარიშხალი“ როდესაც ჩამოიტანეთ, იქ აპარატურაც ჩამოჰყება მოსკოველების სპექტაკლს, არა? და მე ვიცი, რომ რუსთაველის თეატრს ასეთი განათების აპარატურა, მგონი, არა აქვს.

**რ. ს.** კი, მართალი ხარ. მაგრამ ის ტექნიკა, რაც იმ სპექტაკლში არის გამოყენებული, ძალიან მარტივია. იქაც, არგენტინაში გვეკითხებოდნენ - რა ტექნიკა გაქვთ ასეთი. ვეუბნებოდი, რომ არაფერი რთული ტექნიკა არ არის. არის კომპიუტერი თავისი საპროექციოთი და ერთხელ ლაზერია გამოყენებული, როდესაც პროსპერო წერეს ხაზავს. დანარჩენი ძალიან მარტივად არის გაკეთებული.

**მ. ვ.** მართლა? რადაც მომენტში, სპექტაკლში ზღვის ეფექტი ისეა გაკეთებული, გეგონება, შენზე, მაყურებელზე, ახლა ზღვა გადმოვა... 3D-ს ეფექტის მსგავსად.

**რ. ს.** კი არის ერთ ადგილას მსგავსი ეფექტი. მე, ახლა, ასე დაკვირვებით უკვე აღარ ვუყურებ, დაჩლუნგებული ვარ...

**მ. ვ.** რას ამბობთ, დაჩლუნგებული კი არა, „ფილმებზე“ დავწერე კიდეც, „იულიუსის“ პრემიერის შემდეგ, რომ ასეთი ფანტაზიის უნარი ბევრ ახალგაზრდასაც კი შეშურდება-მეთქი. რატომ აიღეთ ეს პიესა დასადგმელად? უკვე დიდი ხანია ამ პიესის დადგმაზე ფიქრობთ. ადრე მითხარით, რომ დათო დოიაშვილასაც შესთავაზეთ ერთად მუშაობა, თითქოს რალაც მოლაპარაკებაც გქონდათ. ვგონებ, უკვე 2 ნელია ფიქრობთ ამ პიესაზე.

**რ. ს.** ხო, იცი, მიშას პექონდა დადგმული ეს პიესა აქ, რუსთაველის თეატრში.

**მ. ვ.** მაგრამ, ვგონებ, არ გამოუვიდა, ყოველ შემთხვევაში, ასე წერდნენ.

**რ. ს.** არა, არ გამოვდა ის სპექტაკლი, მე ვიტყოდი - ცუდიც იყო. ბრძოლები იყო, რაღაც საშინელი, ბუტაფორიული და მერე მეორე ნახევარი...

იცი, უბრალოდ მგონია, რომ შექსპირმა შეიძლება პირველმა თქვა - ბოროტება დაისჯება. უცნაურია შექსპირისთვის ამისი თქმა. და, რადგანაც პირველმა თქვა, შემდგომმა დრამატურგია, მწერლობამ ამ თემას მიუძღვნეს გენიალური ნაწარმოებები, მაგალითად, დოსტოევსკიმ... მაგალითად, ამერიკული ფილმები, იქ მკვლელი აუცილებლად ისჯება, ისე ცენზურა

არ გაუშვებს და თვითონაც არ უნდათ. და, ამიტომ, ის მხარე, 2,5 აქტი მოვაცილე, სადაც ინყება ლაპარაკი - როგორ დაისაჯა ყველა.

**მ. ვ.** ახლა, შექსპიროლოგები ბევრს მსჯელობენ შექსპირის იდენტობაზე. ჩემთვის, მაგალითად, სულერთია, ვინ იყო შექსპირი, იყო ვიღაც ადამიანი, რომელიც ქმნიდა ასეთ გენიალურ პიესებს, სონეტებს. შექსპიროლოგების მიხედვით, „იულიუს კეისარი“ დაიწერა მისი ცხოვრების ურთულეს, ფასეულობათა გადაფასების პერიოდში. ამის სამ თუ ოთხ მიზეზს ასახელებენ - ელისაბედ დედოფლის წინააღმდეგ შეთქმული, მისი ესექსელი და საუთპამპონელი მეგობრების გამოაშკარავებას, ე. წ. „შავი ქალბატონისადმი“ უილბლო სიყვარულს, მამის, შვილის გარდაცვალებას. ღალატის, შეთქმულების თემების წინ წამონევა არის „პამლეტშიც“ და „იულიუს კეისარშიც“. რისთვის ღრმა ცხოვრება და რა არის საერთოდ ადამიანური ცხოვრება, ეს ფილოსოფიური მიდგომა ცხოვრებისადმი არის ასახული „იულიუსში“ და მანამდე „პამლეტში“. თქვენი სპექტაკლიც, პრინციპში არის ღალატზე. მართალია, იულიუსი იბრძვის ძალაუფლებისთვის, მაგრამ ძალაუფლებით, სამეფო გვირგვინით, ნინო არსენიშვილის მერლინ მონროს ტიპურად გამოყვანილი კალფურნია უფრო ტკბება. მეუღლის მოსალოდნელი გამეფება მას იულიუსზე მეტად სურს და უხარია. ღირს კი სახელმწიფო წყობისთვის, რომელიც უკვე ისედაც განწირულია დასანგრევად, ადამიანის განწირვა? ღირს კი უღალატო იმ ადამიანს (ბრუტუსს ვგულისხმობ), ვინც შენ გაგზარდა, ბევრი მოგცა...

**რ. ს.** შესაძლოა, შენი მამაც იყო, შექსპირს ეს ხაზი რბილად, მაგრამ აქვს. მე მეჩვენება, რომ... შექსპირს მაგ პერიოდში გარდაცვალა შვილი, ბიჭი, რომელსაც ერქვა სახელის - ჰამლეტი - ნაირსახეობა - ჰამნეტი... ღლიერი ტრავმა გადაიტანა შექსპირმა. 1957-58 წ.წ. სტალინი ახალი მკვდარი იყო და ბატონ მიმას თავის დადგმაში გამოუვიდა, რომ ჯობია იყოს სტალინი, ვიდრე ებრძოლო ასეთ ადამიანს. ჰამლეტის ტრავედია იმაშია, რომ მან თუ დაიწყო შურისძიება და მოკლა კაცი, ის უკვე ბოროტების ბანაკში გადადის.

**მ. ვ.** და, თავადაც ისჯება ამ ბოროტებისთვის.

**რ. ს.** დიახ, და ის აღარ არის ჰამლეტი, რომელიც იბრძვის ჰატიონსნებისთვის, რაღაც იდეალებისთვის... და, ამიტომ უჭირს იქ გადასვლა. კარგად აქვს შექსპირს ეს მოფიქრებული, ჯერ კლასი პოლონიუსა - შეყვარებულის მამას, მერე კლასის თავის ორ უახლოეს მეგობარს - როზენკრანცს და გილდერნსატერნს, მერე მიხვდა, რომ ძალიან შეტოვილია ამ ბოროტებაში და შეჩერება გადაწყვიტა, უნდა მოახერხოს და დაუბრუნდეს თავის ნორმალურ ცხოვრებას. ვერ უბრუნდება და ბოროტება. თუმცა, ობიექტურად, დასაჯა მკვლელი - თავისი ბიძა, ნათესავი.

იცი, „იულიუსი“ რაზე დავდგი? როცა მუშაობ, პიესა თავისით წაგათორებს სხვაგან. ისე, რომ შენი ჩანაფიქრი გავინყდება, იმიტომ რომ ვლინდება კანონები - პიესის და სპექტაკლის. და შენ ემორჩილები როგორც მარიონეტი. მაგალითად, „იულიუსის“ პერსონაჟთა კოსტიუმები. ეს მეტაფორა, ჯერ ბრეხტის მიერ დაწყებული „სამგროშიანში“ და მერე კოპოლას ფილმში „ნათლია“, უკვე კარგად დაამუშავა კაცობრიობამ. პრიმიტიულად რომ ვთქვა, პარალელი - პოლიტიკოსების და ბანდიტების. მაგრამ, ამ ბანდიტებსაც სჭირდებათ ერთი წესიერი კაცი, რომ თავი იმართლონ. შეიძლება ნერვებიც ეშლებათ, რომ ეს წესიერი ადამიანი დასვრილი არ არის და უნდათ, რომ გასვარონ. და, ამ კაცსაც ილუზია ექმნება, რომ ეს რაღაცას მოუტანს, მაგრამ როგორც რევოლუციებს არ მოაქვთ სიკეთე, ასევე აქაც, შეთქმულებას და ოღატს არავისთვის არ მოაქვს სიკეთე.

**მ. 3.** ბრუტუსი სულ ჭოჭმანობს. ეს დიდი დაშნით მიზანსცენა ფაზტასტიკურად გაქვთ პლასტიკაში გადაწყვეტილი. სასიყვარულო სცენაც ძალიან ლამაზად გაქვთ გაკეთებული. ის განირავს ყველას - ცოლს, შვილს... და რისთვის წირავს? საბოლოოდ არაფრისთვის, ეს წყობა მაინც ინგრევა...

თქვენ წინასწარმეტყველების უცნაური ნიჭი გაქვთ, ეს, ალბათ, გენიოსებს ახასიათებთ. 1 ივნისს პრემიერა იყო და 13-ში წაილეკა ნახევარი თბილისი... და ლომის მომენტი, რომელიც ასე ხაზგასმული გაქვთ სპექტაკლში... იმ პერიოდში, თბილისში ასეთი ამბავი მოხდა, თქვენ მაშინ აქ არ იყავით. ერთი ვეჯები, რომელმაც დაგლიჯა ადამიანი, მოკლეს. მერე ატყდა პანიკა, რომ თბილისში რაღაც მითიური ვეფხვი დაიარება.

**რ. ს.** ცოტა მოგვიანებით, რუსთაველის თეატრში იყო შევარდნაძეზე დოკუმენტური ფილმის ჩერენება. წამოვიდა წვიმა. წვიმა რომ დაიწყო, გარეთ გამოვედი, ვნახავ, რა ხდება ქალაქში-მეტე. ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა სახლებში, წვიმა საქმაოდ ძლიერი წამოვიდა, მაგრამ ხანმოკლე. მთელი დარბაზი გადაჭედილი იყო, წვიმის დაწყების შემდეგ კი თითქმის დაიცალა, შეშინებული ხალხი სახლებში გავარდა...

**მ. 3.** ჭექა-ქუხილი რეფრენად გასდევს მთელ სპექტაკლს, რაღაც გადამწყვეტ მომენტებში ჭექა-ქუხილის ხმა ისმის... იულიუსი კი, მომენტებში თითქმის ბავშვიც არის...

**რ. ს.** კი, ბავშვიც არის...

**მ. 3.** მე ასე აღვიქვი.

**რ. ს.** კი, კი...

**მ. 3.** არ მესმის, ხალხის ნაწილმა რატომ ვერ აღიქვა... იცით, კარგად მახსოვს, „კაცებასიური ცარცის წრე“ 1975 წ. დადგით. მაშინაც აზრი ორად გაიყო. შეიძლება ითქვას, რადიკალურად ორად გაიყო - ზოგს ძალიან მოეწონა და ზოგს კი

კატეგორიულად არ მოეწონა. მე მაშინ 11 წლის ვიყავი და მერეც, რამდენჯერ მაქვს ეს სპექტაკლი ნანახი, ვინ მოთვლის. ჩემთვის კი „კაცებასიური“ არის ის საექტაკლი და ის თეატრი, რომელიც მე ძალიან მიყვარს.

**რ. ს.** მეტს გეტუვი, „ყვარყვარეს“ შემდეგ არ დავდგი? „ყვარყვარესთან“ დაკავშირებული სკანდალები ხომ იცი. ვიკა სირაძე იცი? - მამიდაჩემი, მამაჩემის დეიდაშვილი, ძალიან ახლო ნათესავი. ხოდა, ნახა სპექტაკლი, წავიდა ცუ-ში და ბიუროზე შევარდნაძე ეკითხება - როგორი სპექტაკლია „კაცებასიური“? მამიდაჩემმა კი უპასუხა - ისევ ჩვენ წინააღმდეგ დადგა სტურუამ სპექტაკლი... შევარდნაძეს ასე გაუქნევია თავი... მერე მოვიდა, ნახა, და მითხრა: რას გერჩის ეს მამიდაშენი... არის იქ რაღაც მინიშნებები, მაგრამ არა პირდაპირი. „ყვარყვარეში“ პირდაპირი იყო, „ყვარყვარეს“ შეიძლება პლაკატიც ვუნიდოთ. იმდენად პირდაპირ იყო ყველაფერი ნათევამი, მაგრამ გადამარჩინა ქრისტეს პარალელმა - ანტიქრისტემ, რომელიც სპეციალურად იმეორებს ქრისტეს გზას, რომ ხალხი მიიზიდოს...

**მ. 3.** „კაცებასიური“ იცით, რატომ მიყვარს გამორჩეულად? იმიტომ რომ სიკეთეზე, სიყვარულზეა, კი, იქაც არის ეს მომენტები...

**რ. ს.** მაგრამ მთავარი არ არის.

**მ. 3.** არ არის არა, იქ მთავარია, რომ ხალხმა სიკეთე უნდა თესოს და იცხოვროს სიყვარულით.

ორიდლისნინდამთავრდა კონკურსიახალგაზრდა დრამატურგთა გამოსავლენად. ეს პროექტი განახორციელეთ ქალბატონ მანანა ანთაძესთან, არაჩეულებროვ მთარგმნელთან, თუმანიშვილის ფონდის დამფუძნებელთან ერთად. იგი ყოველწლიურად ატარებს ახალი ქართული პიესის გამოსავლენად კონკურსს. ძალიან კარგ საქმეს აკეთებს ქართული დრამატურგის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის. მასთან უკვე ნამუშევარი ხართ, თქვენ მისი თარგმნილი მაკნელის „მარია კალასი მასტერკულასი“ დადგით. ახლა, გამოავლინეთ სამი საუკეთესო პიესა და მათ სამი ახალგაზრდა რეჟისორი დადგამს თქვენი ხელმძღვანელობით. რა პრინციპით აარჩიეთ ეს სამი პიესა და რა არის თქვენთვის მთავარი დრამატურგიაში? ერთხელ მითხარით, დეტექტიურობის მომენტი აუცილებლად უნდა იყოს. პრესკონფერენციაზე თქვენ ისაუბრეთ იმის შესახებაც, რომ რატომღადაც ქართული დრამატურგია არ განვითარდა და ახსენით იმით, რომ დრამატურგის განვითარებისთვის საჭიროა, რაღაც თვალსაზრისით მაინც, ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდეს. ახლა, ძალიან ბევრი ახალი პიესა იწერება, ახალგაზრდებმა დაინტერესორა. ათასი მიმდინარეობა დღეს. ვთვლი, რომ თანამედროვე ევროპული დრამატურგია, ყოველ შემთხვევაში, რაც წაკითხული მაქვს, ძალიან საინტერესოა. თუნდაც, ერთ მთლიან ტექსტად გაკეთებული პიესები. ჩვენთან, მაინც, ჯერ სქემატურ

დონეზეა, ვერ ჩადიან სილმეებში, რაც უცხოელ დრამატურგებს, განსაკუთრებით ფრანგებს აქვთ, სხვათა შორის - ქალებსაც.

**რ. ს.** პირველად, ერთ ტექსტად დაწერილი, პინერ მიულერის პიესა წავიკითხე. მერე ვნახე, მისივე ძალიან კარგი პიესა - „კვარტეტი“. შოდერლო და ლაკლოს „საშიში კვაშირების“ მიხედვით. ფრანგული ლიტერატურა მე-18 საუკუნის, რომანია ნერილებმი. ინსტიტუტში რუსული ლიტერატურის პედაგოგი მყავდა, რუსულან მიქელაძე, ბიბლიოთეკის გამგეც იყო, იმან წამაკითხა, გიუდებოდა ამ რომანზე. ამ ნანარმოების მიხედვით ორი ფილმია გადაღებული, ერთი ჩეხმა - მილოშ ფორმანმა გადაიღო.

**მ. ვ.** თქვენ პრესკონფერენციაზე თქვით, რომ კონკურსში გამარჯვებული სამი ახალგაზრდა დრამატურგის პიესას დადგამს სამი ახალგაზრდა რეჟისორი, თქვენ უხელმძღვანელებთ ამ დადგმებს?

**რ. ს.** ჯერ იქნება პიესების კითხვა, 5 პიესას წავიკითხავთ. მოისმინონ იმათაც, შეიტანონ რაღაც გარკვეული კორექტივები, მე ვთხოვე, რომ მანამდეც შეეტანათ შესწორებები. ერთი, სარა კეინის ტიპის პიესაა, მხოლოდ პომოსექსუალზე. ცოტა მიჩქმალულია, ეშინია მაინც ბიჭს, აი, რომ ეშინია, ამის გამო არ გამოუვიდა, მაგრამ ჩვენ მაინც წასაკითხად ავირჩიოთ. ყველაზე ძალიან მომენტია ლილე შენგელიას პიესა ნორვეგიელ მწერალ ქალზე - დაგნი იულზე, პოლონელი ფშიბიშევსკის ცოლი და მუნკის მუზა რომ იყო, ბევრ ცნობილ ადამიანს უყვარდა და აქ, თბილისში, მოკლა ქართველმა. პიესა იწყება პოლონეთში და მერე გრძელდება თბილისში. მართალია, ძალიან რეალისტურადაა დაწერილი, ფსიქოლოგიურად. მაინც არა უშავდა. კიდევ ერთ პიესას არა უშავდა, ნანუკა სეფაშვილის - „გენმოდიფიკაცია“ და მესამე, კონსტანტინე ლორთქიფანიძის - „მე ლუკა მქივა“, ორი წლის წინ დაუწერია, გუშინ გამოტყდა. კარგია, მაგრამ მე მგონია, რომ არა აქვთ თემები, აი, რაზე ნერონ, კარგად არ იციან, ვფიქრობ, ეს არ ეხება მარტო ქართველებს. იქაც, უცხოეთშიც რაღაცა პრობლემა აქვთ, ვერ ნერენ ისეთ პიესებს, რომ შენ შეიძლება გაგიუდე, რაღაც ახალი გზა დაინახო, ვინაიდან, მაინც უფრო დრამატურგია ქმნის თეატრს, ვიდრე რეჟისორა. რეჟისორებმაც დაინეს დრამატურგობა, იღებენ პიესებს და ამუშავებენ, როგორც ამუშავებენ, დაუშვათ, ბერძნულ მითებს. ახლა, როგორ „პამლეტზე“ მიდიხარ, შენ უნდა იცოდე, რომ ეს არ იქნება შექსპირის „პამლეტი“, ეს იქნება ამ კაცის, ამ რეჟისორის ვერსია.

**მ. ვ.** დიახ, მაგალითად, კორშუნოვასის „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება პიცერიაში იყო გადმოტანილი, მაია კლეჩივსკას „მაგბეტში“ მოქმედება მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მიმდინარეობდა, გარემოცვას კი იტალიელი მაფიოზე-

ბის კლანი წარმოადგენდა და ა. შ.

კიდევ ერთი შეკითხვა, ერთხელ თქვენ გყავდათ სამაგისტრო ჯგუფი, იმ დღეს ამბობდით, რომ ახალგაზრდებთან ურთიერთობა გავსებთ ახალი იდეებით... რატომ აღარ აგყავთ ან სამაგისტრო, ან სადოქტორო ჯგუფი, რომ თქვენი ცოდნა გადასცეთ, გაზარდოთ, თუნდაც თქვენ რეპეტიციებზე დაასწროთ უბრალოდ... გასაგებია, რომ ბაკალავრებთან მუშაობა შეიძლება გეზარებათ, ანუ, ანა-ბანადან დაწყება. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, ეს ხომ, თავის დროზე, 20-იან წლებში, ჯერ კიდევ მარჯანიშვილის დროს დაარსებული სტუდიის ბაზაზე შექმნილი?

**რ. ს.** იცი, რაშია საქმე? ჯერ ერთი, მოთმინების ნიჭი არა მაქეს - ანუ, ძირითადი თვისება პედაგოგის. ხარჯავ ენერგიას, რომელიც დამეხარჯებოდა 10 სპექტაკლზე მუშაობისას, და გადავწყვიტე, რომ... ბატონი მიშა პედაგოგი იყო თავისი მონოდებით, უყვარდა ეს საქმე-გარკვეულნილად ჩემს ხელობაშიც შედის პედაგოგის ელემენტები, მეც ხომ ვმუშაობ მსახიობებთან. როგორც, პრესკონფერენციაზე ვთქვი, მე ცდუნება მაქვს, რომ მყავდეს თუნდაც მაგისტრანტები, რომ ბავშვებში, ახალგაზრდებში არსებულ იდეებს არ ჩამოვრჩე. ისინი შეიძლება სიტყვიერად ვერ გადმოსცემენ თავის შეხედულებას ცხოვრებაზე. პედაგოგი გასწავლის, მაგრამ შენგან შეიძლება მეტს იღებს. ბევრი რამ, მერე მივხვდი, ბატონმა მიშამ ჩვენგანაც აიღო. და, კიდევ ერთი რამ, როდესაც ასწავლი, უნდა გქონდეს სისტემილოგიური ნიღაბი, რომ შენ ყველაფერი იცი. თუ ეს არა გაქვს, მაშინ მონაფე და ეჭვდება შენს ცოდნაში. ამას, ყველაფერის მცოდნეობას, ჯერ თამაშობ, მაგრამ ბერე ეს ნიღაბი ხდება შენი არსი, და, შენ უკვე მართლა გონია, რომ უკვე ყველაფერი იცი და წყვეტ განვითარებას. მარსელ მარსოს ცნობილი ეტიუდი იყო: „ნიღაბი“ - სახეზე ხელის ჩამოსმით სხვადასხვა ნიღაბს ირგებდა. ძალიან ჩქარა ცვლიდა ნიღაბებს და უეცრად, რაღაც საშინელი ბოროტების ნიღაბს მიიღებს და ვეღარ იცილებს. აი, ასე ვეღარ იცილებენ რეჟისორები, რომლებიც ასწავლიან, ამბიციებს კი არა, როგორ გითხრა - დარწმუნებულები არიან, რომ ყველაფერი იციან და თითქოს წყდება მათი განვითარება. ეს ვიგორძენი, რომ ვტყუოდი, ყველაფერი ხომ არ ვიცი, არა? მერე ვთამაშობ, რომ ვიცი და რაღაც ეცებს ვუხსნი. ერთხელ ინგლისში, „სამ დას“ რომ ვდგამდი, იქ ამ გოგოების გარდა ცვლილი მამაა „ბრიგადის გენერალი“ (Бригадныи генерал), შეკითხვა დამისვეს - რა არის „ბრიგადის გენერალი“, აზრზე არა ვარ და დავინცყ ფანტაზიები, ესენი მისმენენ, მისმენენ, რაღაცები ავტესნი, მოვუყევი, მერე აღმოჩნდა, რომ თითქმის მართალი იყო. აქ რომ ჩამოვედი, ვიკითხე. ცოტას შეიძლება ვამეტებ... იმიტომ რომ, შინაგანად მაინც ვამჩნევ - ში-

ნაგანი თვითდაჯერებულობა, კმაყოფილება დამეუფლა, ეს ცუდია. დედაჩემის და მამაჩემის ნაჩუქარი თვისებები არ მინდა დავკარგო, მოვიშორო. სულ ეჭვის ქვეშ უნდა იყო საკუთარი თავის მიმართ. ერთხელ, მერვე თუ მეცხრე კლასში ვიყავი, ჩუმად მოვწიე პაპიროსი და დედაჩემი მეუბნება, დედაჩემიც ეწეოდა, გამოდი ახლა ტუალეტიდან, მანდ ნუ ეწევიო. მე ვუთხარი - უხერხულია შენთან მოწევა. - ბიჭო, მე მეორე კლასიდან დავიწყე მოწევაო. თურმე მართლა ისეთი ხულიგანი ყოფილა. დედაჩემი და ბიჭიკო ჩხეიძე ერთ კლასში იყვნენ. ფოტოები გვაქვს, სხედან სოლოლაკში, ერთ-ერთ საფეხურზე და დედაჩემს, ბიჭურად ჩაცმულს, პირში პაპიროსი აქვს გაჩრილი.

**მ. ვ.** როგორც მივხვდი, პედაგოგობა მაინც არ გინდათ.

**რ. ს.** იცი რა, მაშინ მე უნდა ავირჩიო.

**მ. ვ.** არჩევანი გააკეთოთ, გასაგებია...

**რ. ს.** აი, ახლა, თემურმა ხო გააკეთა სახელოსნო ...

**მ. ვ.** დიახ, ადრეც ჰყავდა ბატონ თემურს ამგვარი ჯგუფი, როგორც მახსოვეს...

**რ. ს.** კი, კი - ჰყავდა.

**მ. ვ.** და, ბოლო შეკითხვა. ამდენი წელია რუსთაველის თეატრში ხართ... არ მოგბეზრდათ ეს სივრცე, ატმოსფერო? ეძებთ თქვენს შემცველს და ვის მოიაზრებთ... ამ ბოლო ხანს სხვადასხვა ჭორი გავრცელდა... რომ ეძებთ ვიღაცას, ვისაც მოიყვანთ და ის თქვენი შემცვლელი იქნება. ეს ჭორი ორი წელია აქტიურად მუსირებს. ხან ამბობენ სუყოზე (დავით საყვარელიძე), ხან - დოიზე (დავით დოიაშვილი). პირდაპირ გეკითხებით: მართლა ეძებთ ვიღაცას, ვინც თქვენ შეგცვლით?! მე მაინც მგნია, რომ თქვენ უკვე იმდენი ხანია ამ სივრცეში ხართ, რაღაც თვალსაზრისით უკვე მობეზრებულიც გაქვთ, ამიტომაც გინდათ სხვაგან წახვიდეთ, იქ დადგათ, გაინტერესებთ სიახლე, ახალ მსახიობებთან მუშაობა, ახალ ატმოსფეროში, ახალ სივრცეში სპექტაკლის გაკეთება და ვინმე რომ იყოს, აქ, თქვენ გვერდით, როცა თქვენ არგენტინაში იქნებით, მოსკოვში, ლონდონშია თუ გერმანიაში და ა. შ. როცა თქვენ არ იქნებით, თეატრს წარუდვება შემოქმედებითი, მხატვრული

თვალსაზრისით, დადგამს სპექტაკლებს... როდესაც დაბრუნდით რუსთაველის თეატრში, რატომ არ გაატარეთ რადიკალური ცვლილებები შემოქმედებითი თუ ადმინისტრაციული გუნდის განახლების თვალსაზრისით? თქვენ გინდოდათ ეს, თქვენ ამას წერდით, ამბობდით.

**რ. ს.** დიახ, მაგრამ ალბათ ძალა არ მეყო. რაღაც იდეები მაქვს.

**მ. ვ.** ჯერ არ გაგვანდობთ?

**რ. ს.** ჯერ არა, მაგრამ წლის ბოლომდე მინდა განვახორციელო. სპექტაკლის დადგმა ერთია, მაგრამ თვითონ თეატრს - რაღაც დამყაყებულობა ეტყობა. აი, გუშინ ვნახე სპექტაკლის ესკიზები, რომელიც იდგმება მცირე სცენაზე. ხვალ, ალბათ, შევალ, ძალიან კარგი მსახიობები თამაშობენ და რაღაც უნდა მოვახერხო, იმიტომ რომ ამდენი იმუშავეს და ცოდოა, ასე, რომ მოვხსნა და გადავაგდო.

რასაკვირველია, აქ უნდა იყოს, პირველ რიგში, კარგი რეჟისორი. მე მოსკოვში ვიყავი, როდესაც დამაბრუნეს რუსთაველის თეატრში. იმ პერიოდში სუყოც (დავით საყვარელიძე) იქ იყო. მე მაშინ მას შევთავაზე რუსთაველის თეატრის დირექტორობა. მაგრამ გარკვეულ მიზნება გამო უარი მითხრა... მაშინ მოხსნეს ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორობიდან. ვუთხარი, გადმოდი ჩვენთან-მეთქი. არა, ახლა არ გამოვაო... უახლოეს მომავალში სუყო აპირებს ჩვენთან სპექტაკლის დადგმას, უკვე მუშაობს. მერე კიდევ მოვიყან ვიღაცებს და დავადგმევინებ. მინდა უცხოეთიდანაც დავპატიჟო, აი, იცი, ვინ მინდა, ბულგარელი რომ არის - მოწოვი, რუსეთშიც მოღვანეობდა. მისმა „დღო უუანმა“ აიღო „ოქროს ნილაბი“. ბულგარეთშიც ვიყავი და ვნახე მისი სპექტაკლები, ძალიან საინტერესო რეჟისორია, ისიც დახეტიალობს მთელ მსოფლიოში. და, კიდევ მინდა ვინმე ავანგარდისტი რეჟისორი მოვიწვიო დასადგმელად, ვთქვათ, ინგლისელი.

მგონი, ძალიან მოსაწყენი რესპოდენტი ვიყავი...


**მ. ვ.** არა, რას ამბობთ, მე მგონია, პირიქით, ძალიან საინტერესო საუბარი გამოგვივიდა. ულრემესი მადლობა და ვიმედოვნებ, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ, ისევ შევხდებით სასაუბროდ.

## თანამედროვე დამოუკიდებელი ტელევიზიის სტრუქტურა, წარმოება და პრეატივი

### მარა კიკაშიძე

თანამედროვე საზოგადოებისთვის ტელევიზია ის ნათელი მოვლენაა, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობისთვის ინფორმაციის მიღების ერთერთ უძლიერეს გლობალურ საშუალებას. პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო-მეცნიერებითი, საგანმანათლებლო და სხვა სფეროებით. სატელევიზიო სივრცის არსებობიდან დაახლოებით ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, ტექნიკური განვითარების პროგრესის დაგვანდელი მედიის ფორმები და ხარისხი დაუჯერებლად, მაგრამ რეალურად შეიცვალა. პირველი თანამებავრის გამვებიდან შესამჩნევად გასულ დროში დღევანდელი ტელევიზია ტელემაყურებელს გამზადებულ ინფორმაციას აწვდის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან, რაც ბადებს ახალ აზროვნებას, აყალიბებს ტელემაყურებელს და სატელევიზიო სივრცეს შორის ურთიერთობების ახალ ფორმებს. მას გააჩნია უნარი მოახერხოს მომხმარებლის ცენტრალიზება სოციალურ-საგარანტიო ბლოკების, საზოგადოებრივ-ბლოკების, საინფორმაციო, კულტურული, მხატვრული, სპორტული, საგანმანათლებლო, საბავშვო, სარეკლამო ბლოკების საშუალებით. თანამედროვე ტელევიზიამ პირდაპირი ეთერის საშუალებით მიაღწია კაცობრიობისთვის ზუსტი დროით მიენიდებინა მომქმედი მოვლენა სამყაროს ნებისმიერი ადგილიდან, რაც გახდა პროფესიონალური კომფორტი მისი თანამედროვე სახის ჩამოყალიბებისთვის.

სატელიტური ტელევიზიის მოქმედების დროის ათველა 1969 წლის 20 ივნისიდან, სწორედ იმ მოენტიდან იწყება, როდესაც ადამიანმა პირველად მთვარეზე ფეხი დადგა. ამ მოვლენას დაახლოებით 530 მილიონი ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს. დამტკიცდა, რომ სატელიტური თანამებავრის საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის მიწოდება მთვარიდან დედამინის ნებისმიერ წერტილში. შესაძლებელი გახდა ასევე გაკონტროლება, თუ რამდენი ტელემაყურებელი ჰყავს ამა თუ იმ სატელევიზიო არხს და გადაცემას, ტელემაყურებლის რაოდენობის აღნიშვის შედეგით კი გამარტივდა მათზე დადებითი თუ უარყოფითი ზეგავლენის საუკეთესო ფორმების ძიება. არსებობს სხვადასხვა დაუდასტურებელი ვერსია, რომ ფაქტი ადამიანის მთვარეზე ყოფინისა მოხდა მოდელირებული დაფგნის შედეგად, მაგრამ ფაქტი იმისა, რომ ტელემაყურებლის რაოდენობამ ამ მოვლენის ნახვისას უზარმაზარ პროცენტულობას მიაღწია ნამდვილად რეალობაა. იყო თუ არა ეს ინფორმაცია, კვლევა ტელემაყურებლის რაოდენობის დადგენის სატელიტური თანამებავრის მეშვეობით, მის მათზე ზეგავლენისთვის გამოყენების მიზნის ვარგისიანობისთვის და იმყოფებოდა თუ არა ადამიანი მთვარეზე ამ შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანი აღარ არის, რადგან თავიდანვე უკვე დადასტურდა სატელიტური ტელევიზიის შესაძლებლობები ტელემაყურებლის სიმრავლის ათვლისთვის.



პირდაპირი ტრანსლიაციის დროს სატელევიზიო გამოსახულების დეკოდირებული მოწყობილობით გამართვის შემდეგ კადრი მაყურებლამდე მაინც რამდენიმე წამის დაგვიანებით ფიქსირდებოდა, მაგრამ რამდენიმე ათწლეულში პროგრესი ისეთი წინსწრაფვით განვითარდა, თითქოს მთელმა ეპოქამ წაინა წინ. 70-იან წლებში სატელევიზიო თანამებავრები ზომით ძალიან პატარა იყო, დღეს ისინი 5-7 ტონას იწონიან, ერთ თანამებავრს შეუძლია დაიჭიროს 500-ზე მეტი არხი ერთდროულად. ასეთი თანამებავრი კოსმოსში დაახლოებით 300-მდე გაშვებული და მათ ერთდროულად 25 000 სატელევიზიო გადაცემის გადმოცემის უნარი გააჩნიათ. მედია სამყარო გამოსახულების ფორმას ყოველთვის უუმჯობესებს და ტელემაყურებელს ახალ ტექნოლოგიებს თავაზობს, რომელიც აუცილებლად იქნება გამოყენებული მათზე მანიპულაციის მიზნით. არასწორი იქნება ტელევიზიის ზეგავლენა მხოლოდ უარყოფით ფორმაში რომ განვიხილოთ, მას შესაძლებლობა გავლენისა დადებითი ფორმითაც ახასიათებს, პროცენტულობა რომელი უფრო მეტია უკვე ჩამოყალიბებულ და სატელევიზიო სივრცეზე დამოკიდებულ ტელემაყურებებზე ფართო კვლევით იქნება შესაძლებელი. ტელევიზია, როგორც გლობალური სისტემა და ფართო აუდიტორიისთვის ცხოვრების წესის მატარებელი ფენომენი ზემოქმედების შედეგზე. შედეგი დადგინდითია თუ უარყოფითი ჩამოყალიბებულ სახეს უყალიბებს არა მხოლოდ ინდივიდს ან ჯგუფს, არამედ

მთლიანად საზოგადოებას. თუ გადავხედავთ საქართველოს ტელევიზიის პროგრამულ წყობას, გადმოცემის მანერას, საინფორმაციო ბლოკებს 90-იანი წლებიდან, თავისუფლად დავრჩნებით თუ რა ლირებულებები შემცირდა და რომელი გაიზარდა ან დამკვიდრდა. ადამიანი, რა თქმა უნდა, ფრონის თანხვედრით ვითარდება და მისი შეხედულებები იცვლება ლირებულებებთან ერთად, მაგრამ მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდ როლს ტელევიზია ასრულებს. 1971 წელს საბჭოთა კინოდოკუმენტალისტმა ფელიქს სობოლევმა გადაიღო ფილმი ექსპერიმენტი „მე და სხვები“, რომელიც გადმოსცემდა ადამიანზე მანიპულაციის შედეგად ჩატარებულ ექსპერიმენტს სტუდენტებზე. ფილმში ასახული ექსპერიმენტის დასკვნა მდგომარეობდა ექსპერიმენტატორის მიერ მსუბუქად გადმოცემულ ინფორმაციას ექსპერიმენტის მონანილესთვის და მის დამორჩილებას მანიპულაციის საშუალებით. 2010 წელს სობოლევის ექსპერიმენტი შეუცვლელად გაიმეორა რეჟისორმა ვსევოლოდ ბროდსკიმ, 39 წლის სხვაობის შემდეგ, ადამიანის ყოფილების უამრავი ცვლილებების და თაობების შეცვლის მიუხედავად, პირველი ექსპერიმენტის მონანილების აზრი, შეხედულება და საქციელი, რომელიც ექსპერიმენტატორისგან კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებით განიცდან ზეგავლენას, ერთაირი შედეგით მთავრდება, აც ადასტურებს სწორედ, რომ ინფორმაციის წყაროდან, სატელევიზიო სივრციდან, „შექმნილი საზოგადოების“ ღირებულებებს და შეხედულებას მკაფიოდ და სამუდამოდ დარეგისტრირებას ქვეცნობიერში. ესეგი საბჭოთა ტელევიზიის იდელოლოგიური ფორმა, რომელიც თავიდანვე აყალიბებდა საბჭოთა ადამიანს, იმდენად შორს წავიდა საზოგადოების მომავალში, რომ ტელემაყურებულებში დარეგისტრირებული ზეგავლენის შედეგით გამოწვეული მოქმედება და შეხედულებები ფართოდ აისახა წლების შემდეგ პოლიტიკური თვალსაზრისით ერთმანეთთასგან განსხვავებულ ქვეყანში, ერთი დიქტატორულში, მეორე კი დემოკრატიულში. საღი „ყოფიერების“ შემთხვევაში მით უმეტეს ქვეყნიდან, რომელშიც ჩაკეტილობის რეჟიმია უფრო მეტად უნდა მომხდარიყო საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალ თაობაში აზროვნების თავისუფლების შედეგი, მაგრამ ეს ორი ექსპერიმენტი საუკეთესო მაგალითია საზოგადოებაზე ინფორმაციის ზეგავლენისა მომავალში შედეგის იმ ფორმით გამოვლინების, რომელიც ადრე მიღებულ დაგეგმილ ინფორმაციაში იმყოფება.

ტექნოლოგიური ხოვაციების ფონზე მომხმარებლის გაზრდილი ინტერესი ტელევიზიის მიმართ მეტად იკვეთება ტელევიზიორების დიზაინისა და გამოსახულების ხარისხის მიხედვით. ამ პროდუქტის გაყიდვების პროცენტულობა ძალზედ დიდია მისი ზომის, ფერის, ფორმის და გაუმჯობესებული შესაძლებლობების კომფორტული მახასიათებლების ხარჯზე. ძირითადად მომხმარებელი ტექნოლოგიური წევაციების შედეგებით გემოვნებიდან და ინტერიერის დიზაინის ტენდენციებიდან გამომდინარე სარგებლობს. ინტერესი იმ მიღწევების მიმართ, რომელიც სატელევიზიო სივრცის განვითარების ტენდენციებში მომწოდებლის მიზანს და ტელემაყურებლის ზეგავლენის მიზანს წარმოადგენს მომხმარებლისთვის ნაკლებად საინტერესოა. ეს შეიძლება ჩაითვალოს ტელემაყურებლის ბუნებრივ თვისებად, მაგრამ სატელევიზიო სივრცის, როგორც ტექნოლოგიურად ასევე ინფორმაციის მიწოდების ახალი ფორმების გახვითარების პროცესით უფრო ღრმა დაინტერესების შემთხვევაში შესაძლოა მისი ზეგავლენა ხაკლებად ეფექტური ყოფილიყო. ტელემაყურებლის ეს ბუნებრივი თვისება სწორედ, რომ მასზე ზეგავლენის დაშვების მთავარი ფორმულაა, რა თქმა უნდა, იმ ინდივიდების გარდა, რომელსაც საკუთარი დამოკიდებული ხასიათის და თვისებების ხარჯზე, ქვეცნობიერში დამცავი მექანიზმის მყარი იმუნიტეტი გააჩინათ.

**XXI** საუკუნე შეიძლება ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების საუკუნედ ჩაითვალოს, პროდუქციის სწრაფი გაყიდვების შედეგად, რაც გამოწვეულია ხელმისაწვდომი ფასების რეგულაციით და რეკლამების აქტივაციით. სამგანზომილებიანი გამოსახულების მიერ დამოკიდებულებას მაყურებელი თითქმის ორი საუკუნის პრაქტიკის ხარჯზე მომზადებული შეხვდა.

1833 წელს ლონდონის სამეფო კოლეჯის პროფესიონალი ინგლისელმა ფიზიკოსმა და მრავალი გამოგონებების ავტორმა ჩარლზ უიტსტონმა შექმნა სარკისებული სტერეოსკოპი, რომელიც ფორუსიდან გასულ ორ ნახატს, რომელსაც თვითონ ხატავდა, ერთ მოცულობაში აჩვენებდა. 1844 წელს კი პირველი სტერეოსკოპიული ფოტოპარატი გამოვიდა. „სტერეოსკოპი“ იმ დროს გამოიყენებოდა ოპტიკურ ხელსაწყოდ მოცულობით პატარა ფოტოგრაფიების დასათვალიერებლად. მისი გამოყენების პრინციპი განისაზღვრებოდა ფოტოს დასანახად, უფრო მოცულობით ფორმაში. ამ ეფექტის მისაღწევად ორივე თვალისთვის მოცულული კომპოზიციისთვის ფოტოს გადაღება ცალკე ხდებოდა თავიდანვე გათვალისწინებული სხვადასხვა მანძილებიდან, მაგალითად რა მანძილიც არსებობს ადამიანის სახეზე თვალებს შორის.

1922 წელს უკვე ცნობილი იყო სისტემა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სამგანზომილებიანი გამოსახულების პირველ ვერსიად. პირველი სამგანზომილებიანი მუნჯი ფილმი „სიყვარულის ძალუფლება“ ლოს-ანჟელესის კინოთეატრებში 1922 წლის 27 სექტემბერს წარსდგა, სადაც პირველ კინო სეანსის დროს მოხდა სპეციალური სტერეოსკოპიული სათვალის გამოყენება. ფილმში ვერ მოიპოვა მასობრივი მონონება. შესაძლოა მაყურებელი არ იყო ჯერ მზად სივრცობრივ სიღრმეში მოცულობითი გამოსახულების მისაღებად ან სტერეოსკოპიული სათვალე დისკომფორტს

ნარმადგენდა.

ავსტრიული მა კინო რეჟისორმა ფილმიპ მორამ ბერლინის კინო არქივში 1936 წელს შექმნილი სამგანზომილებიანი ორი ფილმი აღმოაჩინა, რომლებიც 35 მმ-იან ფირზე იყო გადაღებული და მათი ხანგრძლივობა 30 წელს შეადგენდა. ფილმები შექმნილი იყო კერძო სტუდიაში ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრის იმსებ გებელსის დაკვეთით. ტექნიკური სიახლე დაფიქსირდა და მიეცა განვითარების ეტაპს, რაც მომდევნო წლებში საკმაოდ გამომჟღვნდა სამგანზომილებიანი კინოს და ანიმაციის სფეროში.



როგორც ძველად ეკრანული შოუს დროს მოხვედრილი მაყურებელი, ასევე სტერეოსკოპიულ კინოშიც ის დიდი ემოციის ქვეშ ხდება. დროთა განმავლობაში ტექნიკური განვითარების პროგრესირებით სამგანზომილებიანი კინოს და ანიმაციის სფეროში. როგორც ძველად ეკრანული შოუს დროს მოხვედრილი მაყურებელი, ასევე სტერეოსკოპიულ კინოშიც ის დიდი ემოციის ქვეშ ხდება. დროთა განმავლობაში ტექნიკური განვითარების პროგრესირებით გამოსახულების მიწოდება გათვალისწინებული ორივე თვალისთვის ცალკალკე, როგორც სტერეოსკოპიულ გამოსახულებაში. მაყურებლის მხედველობა ერთდროულად დანახულ ირ სურათს ერთ მოცულობით კომპრზიციად აღიქვამს. ასეთი თანამედროვე მოწყობილობა წარმოადგენს სტერეოსკოპიულ სამგანზომილებიან მონიტორს, ამ პროცესის თანამონანილეობის ენთუზიაზმით გამომსარებების შორის ნაკლები გამომდინარე ტექნიკური კომპორტტის უქონლობის გამო ფერთან მიმართებაში. როდესაც სამგანზომილებიანი გამოსახულების სისტემით ტელემაყურებელი, მოცულობით გამოსახულებას ხდავს, მაშინ ხდება ორი ფერის – ლურჯის და წითლის ერთმანეთთან თანხვედრა, რაც რამდენიმე ხანში გამოსახულების დროს თავის ტკივილს იწვევს. წითელი და ლურჯი ფერის ერთმანეთში თანხვედრით მივიღებთ მესამე ფერს – იასამნისფერს, თუ რამდენად დადგებითად მოქმედებს ან თუ რამდენ ხანს შეუძლია ასეთი სიგნალის მიღება ადამიანის ქვეცნობიერს შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა, ფერთა ტესტის შემქმნელმა მაქს ლუშერმა თავის კვლევაში „ლუშერის ფერთა ტესტი“ აღნიშნა.



ადამიანის მხედველობის აპარატი - თვალი მჭიდროდ არის ინტეგრირებული ტვინთან, სადაც ხდება ინფორმაციის გადამუშავება მოცემულობის დეტალიზირება და ფერის სტრუქტურის შექმნავება. როდესაც ერთიდაიგივე ფერის სამუალებით მხედველობის არეს მიეწოდება სიგნალი ქვეცნობიერს რთულად უზევს მოცემულობის დეტალიზირება, ხდება გამოსახულების აღქმა მონიტორული შინაარსით, მაგრამ ქვეცნობიერის დაძაბული მუშაობის შედეგად წარმოშვება სხვადასხვა შეგრძნებები, როგორიცაა თავის ტკივილი, კორდინაციის შესუსტება და ასე შემდეგ. ასევე სამგანზომილებიანი გამოსახულების ეფექტი მაყურებელში ახალ შეგრძნებებს იწვევს, რომელიც ხელოვნურად შექმნილი, არარეალური სამყაროს აღქმის საშუალებას იძლევა. სამგანზომილებიანი მონიტორები სატელევიზიო სივრცეში შესაძლოა მედიის ახალი შესაძლებლობების და ტელემაყურებლის სატელევიზიო სივრცესთან მეტად დარეგისტრირების ფორმად ჩაითვალოს, მაგრამ მისი უარყოფითი გავლენა ადამიანის აღქმის ფაზაში და ახალი შეგრძნებების ჩამოყალიბება, გონების დაბინდვის რამდენიმე ფაქტის დაფიქსირების შედეგად სამედიცინო თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტად არ ჩაითვალა. ფრანგულმა საინფორმაციო პორტალმა ([lesnumeriques.com](http://lesnumeriques.com)) გამოაქვეყნა სტატისტიკა: 33% - სამგანზომილებიან გამოსახულებას უპრობლემოდ უყურებს, 27% - განიცდიან ზოგიერთ დისკომფორტს, 22% - უჩივიან ჯანმრთელობის გაუარესებას, 7% - აღნიშნავენ თავის ტკივილს, 11% - აღნიშნავენ ჯანმრთელობის გაუარესების სხვადასხვა ნიშნებს.

დღეს უკვე თანამედროვე ტელევიზორები, რომლებსაც მოცულობითი ეკრანი სტერეოსკოპიული სათვალის გამოყენების გარეშე გააჩინათ, ტელემაყურებლისთვის უფრო მეტ ინტერესს იწვევს. ავტოსტერეოსკოპიული სამგანზომილებიანი მონიტორი წარმოადგენს სამგანზომილებიან გამოსახულებას თვალისთვის დამატებითი აქსესუარის გარეშე, როგორიცაა სტერეო სათვალე ან

თავსაბურავი ვირტუალური რეალობისთვის.

სატელევიზიო სივრცემ თავი მრავალი კუთხით წარმოაჩინა. ტელემაყურებლის ყურადღება სხვადასხვა პროდუქტის მეშვეობით მიიპყრო, შეიძლება ითქვას, რომ თვითონ ეს ფენომენი თავი-დანვე კრეატიულ საფუძვლებზე დარეგისტრირდა და დროთა განმავლობაში გაზარდა, როგორც აუდიტორიის პროცენტულობა ასევე გააუმჯობესა ხარისხის მხარეც. თანამედროვე ტელევიზია იქცა ნიჭის და იდეების გამოვლინების და წარმოადგენის მთავარ ფუნქციად, სადაც სატელევიზიო სივრცეში მორგებული ნებისმიერი კრეატიული იდეა მაყურებლის დამოკიდებულების მთავარ ფუნქციას წარმოადგენს.

რამდენად პროდუქტიულად მოქმედებს კრეატიული იდეა და ახდენს ზეგავლენას ადამიანზე დიდი ბრიტანეთის ერთერთმა სატელევიზიო არხმა ბოქსის მატჩის ჩემპიონატის პირდაპირი გა-დაცემის დროს დააფიქსირა. ლონდონში იმ პერიოდში ტელევიზორების რაოდენობა 188 000 შეადგნდა, 1955 წლის 22 სექტემბერს ხუთშაბათს სალამოს დაახლოებით 658 000 ტელემაყურებელი უფრება ბოქსის პირდაპირ ტრანსლიაციას, კომენტატორმა ჯეე ჯეესონმა პირველად შეწყვიტა მატჩის გადაცემა და შესვენება გამოაცხადა იმის გამო, რომ პირველად პირდაპირი ჭრით რეკლამა უნდა გასულყო. პირდაპირი ტრანსლიაციის შეწყვეტა სატელევიზიო სივრცეში პირველად მოხდა, სადაც ნაჩევნები იყო რამდენიმე კათა ლუდი.

კრეატიულად გადაწყვეტილი ლუდის და არა დიასახლისებისთვის სარეცხი საშუალებების რეკლამა სპორტული სანახაობის მიმდინარეობის დროს, როდესაც უმეტესი ტელემაყურებელი მამაკაცია, სწორი გადაწყვეტილება იყო. ტელემაყურებელი უურადებას მას აუცილებლად მიაპყრობდა და მოხვდებოდა წარმოადგენის, მიწოდებული პროდუქტის მოთხოვნილების სურვილის ზეგავლენის ქვეშ. იმ სალამოს ლუდის კომპანიამ შემოსავლის დიდი პროცენტულობით ისარგებლა. კრეატიული გადაწყვეტილები თანამედროვე სატელევიზიო სივრცეს საკმარი გამოცდილების ფონზე მეტ პროფესიონალურ სახეს უქმნის, არა მარტო სარეკლამო, არამედ ყველა ბლოკში, რომელიც ტელემაყურებლის ემოციაზე, ზეგავლენაზე და დამოკიდებულებაზეა გათვლილი. კრეატივის გარეშე ტელევიზიას თავის ფუნქციას თავიდანვე ამოწურავდა. დღეს რეკლამის წუთობრივი დრო დაახლოებით 5 წამიდან 30 წამამდე გრძელდება განსხვავებით პირველი სატელევიზიო რეკლამებისგან, სადაც დეტალურად პროდუქტის გამოყენების წესები იყო აღნერილი და 10 წუთიდან 30 წუთამდეც გრძელდებოდა. ტელევიზიას ჩამოყალიბებული სტრუქტურა გააჩნია, რომელიც განიხილება, როგორც კულტურული ტექნოლოგიის ნაწილი.

სატელევიზიო სივრცის კრეატიულობა ყველაზე ფართო მცნებით გამოიხატება მის მიმართ ისეთი გეგმარების შემუშავებით, რომელიც ტელემაყურებელს სატელევიზიო ეკრანთან მია-ჯაჭვებს, მაგრამ კრეატიულად გადაწყვეტილი პროდუქტი სხვადასხვა პოზიციის მატარებელია. პოზიტიური ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილია კრეატიული იდეით მეტად დადებითი და სა-სიამოვნო ფორმის მატარებელია მომხმარებლისთვის. ასევე კრეატიულად გადაწყვეტილი ზეგავლენა კი საზოგადოების მანიულაციის შედეგების უარყოფით სახეს ასახავს.

ამერიკელი ლინგვასტის, ფილოსოფოსის, საზოგადო მოღვაწის და პოლიტიკანალიტიკოსის ნოამ ჰომსკის კვლევების შედეგები და მოსაზრებები, დიდ საფუძველს იძლევა მიმისა, რომ ერთერთი საშუალება, თავდაცვის ფორმა ინფორმაციების და განსაკუთრებით მასმედიის პროპაგანდული მა-ნიულაციის მატარებელი ზეგავლენისგან თავის დაცვის მიზნით წარმოადგენს განათლება, ინდი-ვიდუალიზმი და აზროვნების თავისუფლება. სწორედ პოლიტიზირების საგნად აცხადებს ჰომსკი ტელევიზიას, რომელსაც ამერიკის შეწყვეტული შტატები პოლიტიკური მანევრებისთვის, მოსახ-ლების თვალის ახვევის პრინციპით სწორედ იყენებს.

ნოამ ჰომსკების თავის ნაშრომში „აუცილებელი ილუზია: აზროვნების მართვა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მოჰყავს ირან-კონტრას საქმის მაგალითი, სადაც აღნიშნავს შედიოს დამოკ-იდებულებას ამ საქმის მიმართ, როგორც დემოკრატიული საზოგადოების დამხმარეს ცალმხრივი შედეგების პრივილეგიით დარეგისტრირების ინსტრუმენტს. ხაზს უსვამს ამერიკული პრესისა და ტელევიზიის გულგრილობას, მასმედიის და მთავრობის შეთქმულებას საზოგადოების წინააღმდეგ. როდესაც ამერიკის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს, ამერიკის თავდაცვის სისტემიდან იარაღის მიყიდვა მოხდა ირანზე და მიღებული თანხით ფინანსდებოდა ნიკარაგუაში ერთერთი ორგანიზაცია სახელმწიფოს ნინააღმდეგ. ეს ყველაფერი პიროვნეული სირთულეებს წარმოადგენდა და არასასურველი შედეგის სახე მიიღო, სატელევიზიო ეთერში პრეზიდენტის ცრუგანცხადება გაშუქდა. მან განაცხადა, რომ ამის შესახებ არ იყო ინფორმირებული, რასაც თოთხმეტი მაღალმინისის დაპატიმრება მოჰყავა, მათ შორის თავდაცვის მინისტრი გასპარ ვაინბერგერის, მა-გრამ ოთხ წელინადში გათავისუფლებული იყვნენ შემდეგი პრეზიდენტის - უფროსი ჯორჯ ბუშის მიერ, რომელიც ამ საქმის დროს ადმინისტრაციაში ვიცე პრეზიდენტის ადგილს იკავებდა.

მოხდა თუ არა საზოგადოების სწორი ინფორმირება ამ შემთხვევაში ადგილად გასაგებია, ტელე-მაყურებელმა მიიღო დაგეგმილი ინფორმაცია, რომ ქვეყნის პირი მოტყუებული იქნა და დამნაშავები დაპატიმრებული, თუმცა პრეზიდენტის გარეშე საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ

მსგავსი გადაწყვეტილებები საბოტაქს ნიშნავს, მაგრამ ეს ასე არ დაფიქსირებულა. საზოგადოების ყურადღების ქვეშ არც „დამნაშავეების“ გათავისუფლება იყო ატეუალური თემა, რადგან სახელმწიფოს მალე ახალი პრეზიდენტი ჰყავდა და ერაყის იარაღის მიყიდვის ფაქტმა და უამრავმა სხვა პოლიტიკურმა ქმედებამ, უკანა ფონზე გადაინია სხვადასხვა არასაჭირო ინფორმაციების გადაინიანი სახელმწიფოს მიყიდვის ფაქტმა და უკანა ფონზე გადაინია სხვადასხვა არასაჭირო ინფორმაციების გადაფარვით. ტელემაყურებლის ასეთი მანიპულირება ცნობილ თეორებაზე ემყარება, მიწოდებული ინფორმაციის სიმართლე პირველა, სიმართლე შეორე და მესამე სიმართლე - სადაც ძნელი გასარკვევია სად არის ჭეშმარიტება.

განვიხილოთ ნოამ პომსეის სხვადასხვა ავტორებისან შეკრებილი და ერთად ჩამოყალიბებული სატელევიზიო ეთერიდან მანიპულაციის 10 ყველაზე ძლიერი ხერხი:

1. ყურადღების გადატანა - საზოგადოების კონტროლის ძირითადი ელემენტია. ხალხის ყურადღების გადამისამართება პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველი წრეების მიერ, მნიშვნელოვანი საკითხების და გადაწყვეტილებების გადაფარვის მიზნით უწყვეტი ინტენსივობით საინფორმაციო სივრცეში უმნიშვნელო შეტყობინებების გავრცელების საფუძველზე. ეს არის ხერხი, რომ მოხდეს საზოგადოებისთვის იმ შესაძლებლობების აცილება მიიღო მნიშვნელოვანი ცოდნა მეცნიერების, ეკონომიკის, ფინანსობრივის და კაბერეტიკის სფეროში.

2. პრობლემის შექმნა და შემდეგ საზოგადოებისთვის შეთავაზება პრობლემის გადასაწყვეტად - ამ მეთოდს ასევე უწოდებენ „პრობლემა - რეაქცია - გადაწყვეტას.“ იქმნება პრობლემა, ერთგვარი „სიტუაცია“, რომელიც გათვლილია პრინციპზე გარკვეული რეაქცია მოახდინოს მოსახლეობაზე ისე, რომ მათ თვითონ მიიღონ საჭირო ზომები, რომლებიც აუცილებელია და უკვე დაგევმილა მმართველი წრეებისთვის. მაგალითად, დაიშვას ძალადობის ფაქტები ქალაქში, ან მოხდეს სისხლიანი თავდასხმების ორგანიზება იმისათვის, რომ საზოგადოებამ მოითხოვოს კანონების მიღება და უსაფრთხოების ზომების გაძლიერება, მკაფიო პოლიტიკის გატარება მათ მიმართ, ვინც არღვევს სამოქალაქო თავისუფლებას. ან შექმნას ეკონომიკური კრიზისი, რომ შემდეგ იძულებული გახდეს მიიღოს საზოგადოების სოციალური დაცვის შექანიში, როგორც აუცილებელი პირობა და შეკვეცვა სამოქალაქო სამსახურები.

3. თანდათანობითი მიმართვის პროცესი - სხვადასხვა არაპოპულარული ზომების მიღწევის მიზნით თანდათანობით, დღითი დღე ხდება მიმართვის დოზირებითი პროპაგანდა. ასეთი გზით, შესაძლებელია რადიკალურად ახალი სოციალურ-ეკონომიკური პირობლემის წარმოქმნა, როგორიც გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაფიქსირდა. სახელმწიფო ფუნქციების შემცირება, პრივატიზაცია, გაურკვევლობა, დაუცველობა, მასობრივი უმუშევრობა, ხელფასი, რომელიც უკვე არ უზრუნველყოფდა ლირსეულ ცხოვრებას. ეს რომ ერთდროულად მომხდარიყო აუცილებლად რეალუციას გამოიწვევდა.

4. შესასრულებელის გადავადება (დაპირება) - კიდევ ერთი გზა არაპოპულარული გადაწყვეტილებების წარმოდგენის, ისახება მიზანი, რომ დაგეგმილი მოცემულობა წარსდგეს, როგორც „მტკიცნეული და საჭირო თემა“, საზოგადოებისთვის გამოსავალი მდგომარეობის იმედით თანხმობის შედეგად მიზნის მიღწევა განხორციელებადია. ასეთი შეთანხმება ბევრად უფრო ადვილია, დროის მოგების მიზნით და დაპირების შესრულებით მომავალში ვიდრე არსებულ დროში.

5. საზოგადოებასთან მიმართვა, პატარა ბავშვთან მიმართვის მეთოდით - პროპაგანდული წარმოდგენები განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის. ბშირად გამოიყენება ისეთი არგუმენტები, გმირები, სიტყვები და ტონი, თითქოს საუბრობენ სკოლის ასაკის ბავშვთან. რაც უფრო აქტიურია მსმენელის შეცდომაში შევანის მიზანი, მით უფრო ხშირად გამოიყენება სიტყვის შაბლონები. მაგალითად, თუ ინდივიდს მიმართავენ ისევე როგორც 12 წლის ან ნაკლები წლოვანების ბავშვს, პასუხი ან მიღების შედეგი მიწოდებული ინფორმაციის მიმართ ინდივიდის ან საზოგადოების მხრიდან უმეტესი პროცენტულობით არ იქნება კრიტიკული, რაც მცირენლოვანთა რეაქციის ეფექტს ჰქავს.

6. მეტი გავლენა ემოციებზე ვიდრე მიღებულის გაზრებაზე - ემოციებზე ზეგავლენა კლასიკური მეთოდია, რომელიც ცდილობს დაბლოკოს ადამიანის უნარი, რაციონალური ანალიზი და საბოლოოდ გახადოს კრიტიკულად მოაზროვნედ. მეორე მხრივ, ემოციური ფაქტორის გამოყენება საშუალებას იძლევა გახსნას კარი ქვეცნობირში, რომ ჩასახოს აზრები, ფიქრის, სურვილის, შიშის, გაფრთხილების, თანაგრძნობის და ასე შემდეგ ემოციები.



7. საზოგადოების შენარჩუნება - მილნევა იმისა, რომ საზოგადოება, ტელემაყურებელი იყოს მუდმივი მომხმარებელი უნდა გახდეს უუნარო აღქმისა, შეცნობისა მათზე ზეგავლენის და მათი ნების გამოყენების პრინციპებს ვერ უნდა ხვდებოდეს. განათლების ხარისხი ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია სოციალური კლასის ყველა წარმომადგენლისთვის თანაბრად. ზეგავლენის ბალანსის შენარჩუნების მიზნით.

8. საზოგადოების აღფრთოვანება მილებული შედეგებით - აზრის შთაგონება, რომელსაც ახასიათებს მოდის, ვულგარულობის, ნაკლებად მცოდნეობის, ცხოვრების პრობლემების იგნორირების და უხშეშობის ელემენტები.

9. საკუთარი დანაშაულის გრძნობის გაძლიერება - ინდივიდის იძულება საკუთარი თავის დადანაშაულების მიზნით, პრობლემების მოუგვარებლობა, რომელიც იკვეთება არასაკმარისი ძალისხმევის შეგრძნებით და გონიერივი შესაძლებლობებით განათლების საფუძველზე. შედეგად ასეთი მანიპულაციისა ინდივიდი ინყებს თვითგანადგურებას, საკუთარი თავისი წარუმატებლობაში დადანაშაულებით და ხვდება დათოგუნულ და უმოქმედო მდგომარეობაში. მიზანმიმართული ზეგავლენა ამ შემთხვევაში თავიდან იცილებს „რევილუციონერს“, რომელიც საკუთარი ყოფიერების დასაცავად უუნარო ხდება.

10. ადამიანებზე მეტი ინფორმაციის ცოდნა, ვიდრე თვითონ იცნობენ საკუთარ თავს - უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, სამეცნიერო სფეროს წარმატებულმა მილნევებმა გამოიწვია ადამიანის ფორმირების შეცნობის გაფართოებული შედეგები, რომელიც მმართველი კლასის მიერ გამოყენება. ბიოლოგის, ნეირობიოლოგიის და გამოყენებითი ფსიქოლოგიის წყალობით „სისტემაში“ მიიღო ცოდნა ადამიანის კარგად შეცნობას როგორც ფიზიოლოგიაში, ასევე ფსიქოლოგიაში. შესაძლებელი გახდა ადამიანის შეცნობა უფრო მეტად ვიდრე მან იცის საკუთარ თავზე. ეს იმას ნიშანს, რომ ხშირ შემთხვევაში სისტემას აქვს მეტი ძალაუფლება და უფრო მეტი კონტროლი ადამიანზე.

ათივე ხერხი თანამედროვე ტელევიზიაში მეტად დახვეწილი სახით გამოიყენება, რომელიც თანამედროვე ტელემაყურებელზე დიდი ზეგავლენით სარგებლობს ვიდრე ადრე. მისი ფორმების ძირითადი სახე არ შეცვლილა, მაგრამ ათივე ხერხს დამემატა კრეატიულობის ისეთი ფორმები, რომელიც ეხმარება დაგვეგმილ ინფორმაციას საზოგადოების წყობაში მეტი შედეგიანი ხასიათი იარსებოს. სწორედ მესამე ხერხის ერთორულობამ გამოიწვია 90-იან წლებიდან საქართველოში პოლიტიკურ-ეკონომიური ვარდნა, კრიზისი, არეულობა, საომარი ვითარებები და რევოლუცია. მეოთხე ხერხის გამოყენება, მთავრობისგან შეთანხმების გადავადების, დაპირების პრინციპი უკანასკნელ წლებიში საქართველოში სამაგალითოა, სადაც უდიდესი როლი სწორედ ტელევიზიამ და საინფორმაციო საშუალებებმა შეასრულა. საქართველოს სატელევიზიო სივრცე თანამედროვე ეპოქაში აქტიურად იყენებს მეშვიდე ხერხს საზოგადოების შენარჩუნების მიზნით განათლების ხაკლებად აქტიურობის ხარჯზე, სწორედ სოციალური კლასის თანაბრობის პრინციპით, რაც გამოიხატება იაფფასიანი საპნის ოპერების მრავალფროვნებით დატვირთული დღის სატელევიზიო ბადით.

XX საუკუნიდან ადამიანის ცნობიერებას მილებული აქვს ზეგავლენის ძლიერი პრეპარატი საწილო მიმართულება ექნება XXI საუკუნის მომავლის ტელევიზიას ჯერჯერობით ვერ მივხვდებით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარების საფეხურებს აუცილებლად სჭირდება საფუძველი, შეგვიძლია ვიკარაუდოთ დღევანდელი ტელევიზიას ფორმებით, რომელიც სწორედ, რომ განვითარებას აძლევს მიმართულებას. თუ გადავხდედავთ საქართველოს ტელევიზიას საერთო სახეს, პროცენტულად თუ განვსაზღვრავთ მოწოდებული ინფორმაციების შინაარსს მივიღებთ შედეგს, რომ ტელემაყურებელი ძირითადად ისმენს ძალადობის, კრიმინალურ, სოციალურად დაუცველი ადამიანების პრობლემას. სერგეი კარა-მურზა აღნიშნავს, რომ: „სატელევიზიო სივრციდან უმეტესი წამყვანი და უურნალისტი გადმოსცემს უსახლკარობის თემას, ქმნის საჯარო ცნობიერებაში გაჭირვების იმიჯს...“

საქართველოს უკანასკნელ წლებში სოციალური პრობლემები ნამდვილად გააჩნია და სწორედ სატელევიზიო სივრცე ტელემაყურებლის ზეგავლენისთვის იყენებს ამ ფაქტის სახელმწიფოს სასარგებლოდ. გასართობი ან სასიამოვნო მოსასმენი ინფორმაციების ნაკლებობა და სამწუხარო ფაქტების მეტი პროცენტულობით მოწოდებული ინფორმაციების შინაარსს მივიღებთ შედეგს, რომ ტელემაყურებელი ძირითადად ისმენს ძალადობის, კრიმინალურ, სოციალურად დაუცველი ადამიანების პრობლემას. სერგეი კარა-მურზა აღნიშნავს, რომ: „სატელევიზიო სივრციდან უმეტესი წამყვანი და უურნალისტი გადმოსცემს უსახლკარობის თემას, ქმნის საჯარო ცნობიერებაში გაჭირვების იმიჯს...“

საქართველოს უკანასკნელ წლებში სოციალური პრობლემები ნამდვილად გააჩნია და სწორედ

ალვნიშნეთ ფელიქს სობოლევის ექსპერიმენტის შედეგის გამოერებით 39 წლის შემდეგ, სადაც პასუხი და ქმედება იგივე დაფიქსირდა, როგორიც თავიდან, ნლების წინ იყო, რაც საზოგადოებაში ზეგავლენის დანალექმა გამოიწვია. როგორ საზოგადოებას მივიღებთ ჩვენ 39 წლის შემდეგ, ტენდენციების სწრაფად განვითარების ფონზე? ჯანსაღი საზოგადოებისთვის აუცილებელია ზეგავლენის შედეგების კვლევები, ტენდენციების დროის თანხვედრით, რაც ტელემაყურებლის უფლებების დაცვის საფუძველს მოგვცემს. რაც გამოიწვევს არა პესიმისტურ განწყობას და შიშს სამყაროს მიმართ, არამედ სიმშვიდეს და ჯანსაღ შეხედულებებს. შედეგად ეკრანული ტენდენციები მომავლის ტელევიზიაში, როგორც საზოგადობის მიერ მიღებული წოვაციების დასტური მეტი კომფორტის და შესაძლებლობების მომტანი იქნება. ასეთი თანამედროვე ტექნოლოგიების ზეგავლენის საშუალებით შესაძლოა მომავალში მოხდეს განათლების მიღება სწრაფი ფრამით. ნებისმიერი სფეროს ინფორმაციის მიწოდებით უკვე მიჩვეული და ადაპტირებული ადამიანის ქვეცნობიერი მომავალში ახალ ინფორმაციას მიღებს მეტად სწრაფ დროში ვიდრე დღლეს. ინფორმაციის სფეროში მიღწეული ტენდენციები ასევე გულისხმობს ტელემაყურებელზე ზეგავლენის პრიციპების თანამედროვე ფირმაში გადატანას.

საზოგადოების ფორმირებას პრინციპულად განსაზღვრავს ტელევიზიას ზეგავლენა და ინტერაქტიული ურთიერთობა მაყურებელთან, როგორც მეტად აუცილებელი საგანი, რაც ინფორმირების სფეროში ჯანსაღი საზოგადოების მიღების უპირველესი საშუალებაა. სატელევიზიო სივრცის აუცილებელი და საჭირო სახე სწრაფ ახალ ტექნოლოგიებში უფრო მეტად დამტკიცდება, თუ რა როლს შეასრულებს ეს ადამიანის ცნობიერებაზე, მის გავლენაზე, დამოკიდებულებაზე, საქციილზე, ქმედუარიანობაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე ამას მხოლოდ მომავალში დაკვირვების შედეგით გავიცნობთ. მა-



გრამ ფაქტია, რომ მომხმარებლისთვის მოწოდებული ყოველდღიური ინფორმაცია თანამედროვე ტელევიზიის ფორმებით უფრო მეტად იქცევა მუდმივ საინფორმაციო კვების წყაროდ.

თანამედროვე ტელევიზიის სტრუქტურა, წარმოება და კრეატივი უკვე არსებული შესაძლებლობების პრინციპებს ემყარება. აპრობირებული ფორმები სატელევიზიო სივრცისთვის თანამედროვე წყობის მყარი ბერკეტია. რომელიც გამოყენებული უნდა იყოს არა სახელმწიფოებრივი ინტერესების დაკვეთით, როგორც სხვადასხვა ქვეყნებში ზდება, არაძედ საზოგადოების ინტელექტის ამაღლების მიზნით, სწრაფ იმ მიზნით, რისთვისაც შეიქმნა ტელევიზია.

**ხელმძღვანელი ხელოვნების დოქტორი ალექსანდრე ვახტანგოვი  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი**

### რეზიუმე

**Georgia is experiencing real social problems over last decades and television sources use this fact via influencing on watchers for favoring the state. The lack of entertaining and amusing information, but the provision of depressing facts in high portions causes the sense of pessimism and fright among the society around the idea of how to exclude an individual from such conditions. Consequently we are having cheap service field personnel, with high sense of fear of losing the job. The usage of human resources for law wages and violation of human rights based on artificially increased working hours is a vastly practiced phenomenon. The society of future will carry these dispositions and at the background of new technologies and novelties, the process of regeneration can be damaged. The adaptation of a human being as a person is incredible without the sequence of technological development and its adaptation to the society. For the formation of healthy society, much contribution comes on the influence research delivered in arrangement with time predispositions. All these will serve as a tool for protecting the watchers' rights, guarding them from the pessimistic attitude and fear of universe, but will find outcome in peace and healthy mentality.**

**ბარეკანის პირველ გვერდზე:**  
თეატრმცოდნე, შოთა რუსთაველის, სახელმწიფო და  
მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი,  
ნოდარ გურაბანიძე და მისი წიგნები

**ბარეკანის მეოთხე გვერდზე:**  
სცენა თავისუფალი თეატრის სპექტაკლიფან  
„ხომ ყლავენ ქანცგანყვეტილ ცხენებს“

## **„თეატრი და ცხოვრება“ „THEATRE AND LIFE“**

**№5, 2015**

**დამკაბადონებელი** კორექტორი  
**გიორგი მალხასიანი** მარინე ვასაძე

ელექტრო ფოსტა: TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM

ფასი — სახელშეკრულებო

რედაქციის მისამართი: თბილისი 0107, გ. ლეონიძის ქ. №11°.

აინტერ და დაკაბადონდა უურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში

# თეატრი და ცხოვრება

N<sup>o</sup> 5  
2015



ISSN 1987-8974



9771987897006